დავით გურიტიშვილი

გორის ისტორია

სახელმწიფო გამომცემლობა
1 9 თბილისი 5 4

წინასიტყვაობის მაგიერ

ქალაქ გორისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. იგი ამჟამად მთელ მსოფლიოში ცნობილი ქალაქია. აქ დაიბადა კაცობრიობის უდიდესი გენია — ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. ამიტომ გორზე წერა რამდენადაც საპატიოა, იმდენად საპასუხისმგებლოც არის.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ გორზე მეცნიერული მონოგრაფიები არ არსებობდა. ამხ. გ. ბუხნიკაშვილის წიგნი ქ. გორზე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნარკვევს სერიოზული ხასიათის შეცდომები ახლავს, იგი მაინც დადებითი მოვლენა იყო, რადგან იგი ერთადერთი წიგნია, რომელიც გაბმულ თხრობას შეიცავს გორის წარსულის შესახებ.

წინამდებარე მონოგრაფიას წინ უსწრებდა ჩემი მცირე ფორმატიანი მოცულობის ბროშურის — „გორის ისტორიიდან“ და საჯარო ლექციის — „გორის“ გამოქვეყნება.

ეს მონოგრაფია უმთავრესად საარქივო მასალებზეა დაფუძნებული. გორის შესახებ არსებული მდიდარი საარქივო მასალები გამოსაცემად დამზადებული აქვთ ამხ. გაბიჩვაძეს (XIII — XVIII საუკ.) და განსვენებულ მ. გაბრიჩიძეს

(XIX — XX). მე საშუალება მქონდა ამ არქივს გავცნობოდი, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ ამხ. გაბიჩვაძეს, და მ. გაბრიჩიძის ოჯახს.

წინამდებარე მონოგრაფია უამრავი ფაქტიური მასალის გააზრებას წარმოადგენს და საქართველოს ზოგადი ისტორიის ფონზეა დაწერილი, მაგრამ უნაკლო მაინც არ იქნება. არც სისრულის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს ამ ნაშრომს. ამიტომ ავტორი გულწრფელად და მადლობით მიიღებს ყველა სასარგებლო შენიშვნას.



თავი I

გორის წარმოშობის საკითხისათვის. ქალაქის გარეგანი სახე. გორის ციხე

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქი გორი მდებარეობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. იქ, სადაც მდინარე მტკვარს უერთდება მდინარე ლიახვი; მისი ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა არის აღმოსავლეთი გრძედის—44° 7,5', ჩრდილოეთი განედის—41° 58'.

პირველი ცნობა, სადაც გორი იხსენიება, შემოუნახავს მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ჯუანშერს. ჯუანშერი თავის თხზულებაში — „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა" აღნიშნავს, რომ ქართლის ერისთავს სტეფანოზს ორი შვილი ჰყავდა — არჩილი და მიჰრი..

მთელი თავისი ქონება სტეფანოზმა თავის შვილებს გაუყო, ხოლო თითონ ეგრისს წავიდა. არჩილის შესახებ კი ჯუანშერს ნათქვამი აქვს, რომ „ნახევარი საქონელისა თუისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თუისსა. ხოლო არჩილ დაფლა საგანძური უფროსი კევსა კახეთისასა, ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი კევსა უჯარმოსასა, და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომელი მანვე ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთუის,

რომელნი თანა ვერ წარჩონდეს. სახელი გორისა მის არს ტონითიო და თარგმანებით „მთა ოქროსა“[1].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ჯუანშერისათვის გორი მე-7 საუკუნეში რეალურად არსებული გეოგრაფიული პუნქტია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს პუნქტი საკმაოდ გამაგრებულ ციხე-სიმაგრედ ითვლება, სადაც სახელმწიფო ქონების დაცვა შეიძლება. მეტიც, მტერსაც კი, ამ შემთხვევაში ჰერაკლე კეისარს, სცოდნია, რომ გორი მიუვალი ციხე-სიმაგრე ყოფილა.

თხრობა ისეა განვითარებული, რომ ჯუანშერს რაღაც ცნობები ჰქონია გორის შესახებ, მაგრამ გაუგებარია ეს ცნობები იყო წერილობითი, თუ ზეპირი.

ჩანს, ვახუშტიც დაინტერესებულა გორის ისტორიის წარმოშობის საკითხით, მაგრამ ვერც მას მიუგნია პირდაპირი ცნობისათვის და ამიტომ აღნიშნავს: „ქალაქი გორი... არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ“[2]. ერთი კია, რომ ვახუშტი იზიარებს ჰერაკლე კეისარის მიერ სამხედრო საჭურველის შესანახად გორის გამოყენების შესახებ არსებულ მოსაზრებას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვახუშტის ჯუანშერის ცნობა ჰქონდა ხელთ თუ რაიმე სხვა წყარო გააჩნდა, როცა ასეთ მოსაზრებას აყენებდა.

ძველევართა ერთი ჯგუფი (ალ. ჯავახიშვილი, ალ. გარსევანიშვილი და სხვ.) ფიქრობს, რომ სტრაბონის გორზენა, ანუ გორსენა იგივე გორიაო. მაგრამ, ვინც კი სტრაბონის თხზულებებს იცნობს. მისთვის ნათელია, რომ სტრაბონის გორსენასა და გორზენას არაფერი საერთო არა აქვს გორთან. საქმე იმაშია, რომ სტრაბონს თავის თხზულებაში ცალკე აქვს გამოყოფილი იბერია — „აღწერა იბერიისა“, აქ კი გორსენა, თუ გორზენა არ არის მოხსენებული.

ამრიგად, გორის წარმოშობის საკითხის გადასაწყვეტად ლიტერატურული ცნობები არ გამოგვადგება. სამაგიეროდ ჩვენს ხელთ არის არქეოლოგიური მასალები, რომელთა ანა-

---

[1] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 149.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 73.

ლიზი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ გორის წარმოშობის პერიოდი.

1946 წლის 5 თებერვალს გორის ციხის ჩრდილო ფერდობი მოზვავდა. მიწის ღრმა ფენებში აღმოჩნდა კედელწყობის ნაშთი და კერამიკული ნაწარმის ნამსხვრევები (თხელკედლიანი ქვევრი, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვ.). აღმოჩენილი ნივთები ადგილზე ინახულეს პროფესორმა გიორგი ნიორაძემ, დოცენტმა გერმანე გობეჯიშვილმა, დოცენტმა ირაკლი ციციშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა. თუმცა ჩამოზვავებული ადგილი ჯერ არქეოლოგიურად მთლიანად შესწავლილი არ არის, მაგრამ აღმოჩენილი ნივთები ზოგიერთი მოსაზრების წამოყენების საშუალებას იძლევა.

ნაგებობის კედლის სიმაღლე 6 მეტრია, ხოლო სისქე — 3 მეტრი. აღმოჩენილ საგნებს შორის არის ორი ტიპის კრამიტის უამრავი ნამტვრევები. პირველი ტიპის კრამიტის ნამტვრევებად ჩვენ ვგულისხმობთ კუთხოვან ანუ შემოღობილ კრამიტებს, ხოლო მეორე ტიპისად — ნახევარცილინდრისებრ დაღარულ, ანუ კურტანიან კრამიტებს.

აქ აღმოჩენილი ნივთების მეცნიერული გააზრება პირველად დოც. გ. გობეჯიშვილმა სცადა და არა ერთი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა.

აღმოჩენილი ნივთები ძეგლის დათარიღების საშუალებას იძლევა. შავპრიალა ჭურჭლებს ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ. გორში აღმოჩენილი კრამიტი სამთავროს, არმაზხევსა და ბაგინეთში აღმოჩენილი კრამიტის ტიპისაა. დასახელებულ ადგილებში აღმოჩენილი კრამიტები სპეციალისტების მიერ დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლო წლებით.

დოც. გ. გობეჯიშვილის აზრით შავლეგა და შავპრიალა ჭურჭლების ფრაგმენტები ახლოს დგანან სამთავროს, თრიალეთის, სამხრეთ-ოსეთის და აგრეთვე საქართველოსა და კავკასიის სხვა რაიონების განათხარებში აღმოჩენილ იმ ჭურჭლებთან, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნებიან.

გორში აღმოჩენილი ძეგლი ძალიან ახლოს დგას ბაგინეთში აღმოჩენილ შიდა ციხესთან, ანუ არმაზციხესთან. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას აზრით ბაგინეთის ძირითად ნაგებობათა ნაშთები წარმოადგენს ანტიკური საქართველოს ძეგლებს და მოიცავს გრძელ პერიოდს — ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი ათასეულის მეორე ნახევრიდან ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებამდე.

თუ არმაზციხე წარმოადგენს თავისებურ აკროპოლისს, ხოლო გორის ციხესა და არმაზციხეს შორის მსგავსებას ვცნობთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გორისციხის სახით ჩვენ მეორე აკროპოლისიც გვქონია.

ასეთი დასკვნა გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გორი შიდა ქართლის გული იყო, შიდა ქართლი კი მთელი ქართლის გული.

ქალაქი გორი გზა-ჯვარედინზე მდებარეობდა. აქ ინასკვებოდა დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი გზები. იბერიაში ოთხი შესასვლელი გზის შესახებ სტრაბონსაც სცოდნია[1].

შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთით მიმავალი გზა ლიხის მთით შიდა ქართლში ამოდიოდა, მდინარე მტკვარს მიჰყვებოდა და გორზე გავლით, მცხეთა-არმაზის გზით აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. ასევე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზა გორს ვერ ასცდებოდა. სამხრეთიდან შიდა ქართლში ორი მთავარი საგზაო მაგისტრალი მიდიოდა: ერთი ატენის ხეობით, ხოლო მეორე — ბორჯომის ხეობით.

ჩრდილოეთიდან ქართლში რამდენიმე გზა-ბილიკი ჩამოდიოდა. ზეკარისა და ბახ-ფანდაგის გადმოსასვლელებით, მდინარე დიდი და პატარა ლიახვის ხეობებით ქალაქ გორში მოდიოდნენ პირიქითელები. დარიალის ხეობით მომავალი გზა მდინარე ქსნისა და არაგვის ხეობებს გადმოსჭრიდა და შიდა ქართლში — გორში ჩამოდიოდა.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ დასახელებულ გზა-გად-

---

[1] ლ ა ტ ი შ ე ვ ი, Известия, 1, გვ. 139.

მოსასვლელებს, დავინახავთ, რომ ყველა ეს სამიმოსვლო გზები და გადმოსასვლელები გარკვეული ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული.

გორის ასეთი მდებარეობით განისაზღვრებოდა თვით ქალაქის მნიშვნელობაც.

1833 წელს ხერსონეცი „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ გორის შესახებ წერდა: „სამხედრო თვალსაზრისით საქართველოში გორი რუსთა ძლიერების ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტთაგანია. ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ეს თბილისის გასაღებია; ამავე დროს გორი არის თურქეთის საზღვრებიდან და შავი ზღვიდან მომავალი გზების სიმაგრეთა დასაცავი კვანძი“. იგივე ავტორი განაგრძობს: „გორი მდებარეობს საქართველოსა და რუსეთს შორის მიმავალ ორ გზას შუა. ერთ გზად მე ვთვლი ჯერ არ არსებულს, მაგრამ შესაძლებელს — შავი ზღვის სანაპიროდან მომავალს, ხოლო მეორე გზად — საქართველოს სამხედრო გზას, თაგაურთხეობაზე რომ გაივლის (ეს ის ყელია, რომლითაც საქართველო რუსეთიდან სიცოცხლეს, დიდებასა და ღირსებას იღებს). გადმოგვცემენ, რომ გენერალი ერმოლოვი ფიქრობდა თბილისიდან გორში ცენტრის გადატანასო“[1].

თუ გორს გვიანფეოდალურ პერიოდში ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა, გასაგებია, რომ მისი მნიშვნელობა არა ნაკლები იქნებოდა ადრეც. გორი არა მარტო სავაჭრო გზათა შესაყარი იყო, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-თავდაცვის უდიდეს ციტადელსაც წარმოადგენდა. იგი ქართლის გულად ითვლებოდა და ვის ხელშიც გორი იყო, მას ეკუთვნოდა შიდა ქართლიც. როდესაც ქართველები თბილისს ჰკარგავდნენ, როგორც წესი, მათ გორში გადაჰქონდათ მმართველობის ცენტრი და აქ აწყობდნენ და აქედან ახორციელებდნენ მტრის განდევნის გეგმებს.

გორს ქართველები ყოველთვის ქართლის დამოუკიდებლობის ბედს უკავშირებდნენ და მედგრად იბრძოდნენ მის

---

[1] Гори древняя столица Карталинии, Москва, 1833, стр. 496—497.

დასაცავად. როგორც ცნობილია, 1770 წელს ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს; იგი ბორჯომის ხეობიდან დაბრუნდა და ქართლის ციხე-სიმაგრეების დაჭერა გადაწყვიტა. ამის შესახებ ერეკლე 1770 წლის 7 აგვისტოს პანინს სწერდა: „სადაც ის მივა (ლაპარაკია ტოტლებენზე, დ. გ.) ყველა ქართველს, როგორც მდაბიოს, ისე თავადებს, აფიცებს და ყველა ადგილზე თავის ყარაულებს აყენებს. ტოტლებენმა ჩვენ ოთხი ციხე წაგვართვა, ამაში წინააღმდეგობა არ გავუწიეთ, მაგრამ როცა მან ინება ჩვენთვის გორის ციხის წართმევაც, მაშინ ჩვენ იგი აქამდე აღარ მივუშვით“[1].

გორი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი, გაშენებული ბჭ, სადაც დღეს ციხეა.

სანამ გორის გარეგან სახეს მოვხაზავდეთ და ქალაქის ისტორიას განვიხილავდეთ, მანამ საჭიროდ მიმაჩნია ზოგადად, თუნდაც რამდენიმე სიტყვით, გავიხილოთ უფლისციხე, რადგან უეჭველია უფლისციხე გარკვეულ საუკუნეებში მჭიდრო კავშირში იყო გორთან. კიდევ უფრო მოკლედ შევეხები ურბნისს, ატენს და ნაჭარმაგევს.

უფლისციხე მიჩნეულია უძველეს ციხე-ქალაქად. „ქართლის მოქცევის“ ავტორს საქართველოში არსებულ ქალაქთა შორის მოხსენებული აქვს უფლისციხეც.

უფლისციხე ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი, ურთულესი და საუკეთესო ნიმუშია. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი დიადი წარსულის ეს უტყუარი ძეგლი ჯერჯერობით შეუსწავლელია. მეტიც, იგი მივიწყებულია ისე, რომ ჩვენდა სამარცხვინოდ დღემდის მასზე სრულყოფილად დამუშავებული მონოგრაფიაც კი არ არსებობს. სათანადო მკვლევარები, ნაცვლად იმისა, რომ ამ უბადლო ძეგლს არსებითად სწავლობდნენ და მის წარმოშობას მისი შემქმნელის — ქართველი ხალხის მატერიალური და პოლიტიკური ცხოვრების საერთო პროცესს უკავშირებდნენ, გვაწვდიან არამეცნიერულ, ყალბ, დაუსაბუთებელ თეორიებს,

---

[1] ალ. ცაგარელი, Грамоты, 1903 г., 1, стр. 466.

რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ ნამდვილ ისტორიასთან.

უკანასკნელ ხანებში პროფესორმა შალვა ამირანაშვილმა თავის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართული ხელოვნების ისტორია“ (წიგნი პირველი, თბილისი, 1944 წელი) არაერთი ძვირფასი მეცნიერული მოსაზრება წამოაყენა უფლისციხის შესახებ, რომელთა უმრავლესობა ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. მაგრამ ნაშრომში ბევრი არა ზუსტი, დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეცდომებია, რომელთა არათუ გაზიარება არ შეიძლება, არამედ უნდა დავგმოთ კიდეც. თუმცა, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომები: „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, პროფ. შ. ამირანაშვილი აღარ იზიარებს ბევრ მოსაზრებას, რომელიც ამ წიგნში აქვს განვითარებული საერთოდ და უფლისციხეზე კერძოდ.

სამართლიანობა მოითხოვს დავსძინოთ, რომ პროფ. შალვა ამირანაშვილს უფლისციხის ისტორიის დამუშავების საკითხი სპეციალური შესწავლის საგნად არ გაუხდია, მან მხოლოდ ზოგადი მოსაზრებები წამოაყენა ამ ძეგლის შესახებ, ისიც იმ მასალების მიხედვით, რომელიც ასე თუ ისე, დღეისათვის დადგენილად ითვლება. კერძოდ, დადგენილად თვლიან, რომ უფლისციხე წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ შენობათა რთულ კომპლექსს. მაგრამ როდის, რა მიზნით და ვის მიერ იქნა აშენებული, ამის შესახებ ჩვენი ისტორია სდუმს.

კლდე-ქალაქის შესწავლა იმითაც არის გაძნელებული, რომ მის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. ამავე დროს ქალაქს ჩვენამდე არ მოუღწევია იმ სახით, როგორიც მას თავდაპირველად ჰქონდა. ქალაქს მრავალი ქარტეხილი, ჟამთა სიავისა და ძნელბედობის დრო გადაუტანია, რის გამოც ბევრი დარბაზი დაინგრა, მოიშალა და თავისი პირვანდელი სახე დაკარგა.

ერთადერთი მართებული მეცნიერული მეთოდი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ასეთი კლდე-ქალაქის შესწავ-

ლისათვის, ეს შედარებითი ისტორიული მეთოდია. როგორც ცნობილია, საქართველოში ამ ტიპის ნაგებობანი სხვა არ გაგვაჩნია. ვარძია, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, უფლისციხეს ვერ შეედრება. ვარძია აგებულია იმ ეპოქაში, როცა კლდე-ქალაქის გამოკვეთა-მშენებლობა არ იყო ეპოქისათვის დამახასიათებელი. ხოლო უფლისციხე აუშენებიათ მაშინ, როცა ამ ძეგლის ამშენებელ ხალხს ასეთი ძეგლის რეალური საჭიროება გააჩნდა. ასე, რომ უფლისციხე წარმოიშვა როგორც რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგი. ამიტომ მისი პირვანდელი აშენების თარიღი უნდა ვეძებოთ იმ ეპოქაში, როცა ასეთი კლდე-ქალაქების გამოკვეთა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მეცნიერებაში დადგენილად ითვლება, რომ კლდე-ქალაქები და ციხეები დამახასიათებელი იყო შუამდინარეთისა და მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისათვის, კერძოდ, იგი დამახასიათებელი იყო ქალდების კულტურისათვის. ცნობილია, რომ ქალდების ძველი ქალაქის ტუშპას (ვანის) ძირითადი ნაწილი, ე. წ. ზედაქალაქი კლდეშია გამოკვეთილი.

დადგენილად ითვლება აგრეთვე წინა აზიის მკვიდრ ხალხებთან, ხეთურ-იბერულ ხალხებთან ქართველი ტომების მონათესაობის საკითხი. ასე, რომ უფლისციხის მშენებელი ხალხისათვის უცნობი არ ყოფილა ვანის კულტურა. თუ ასეთი გაგებიდან გამოვალთ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია უფლისციხის აშენების პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის VII — VI საუკუნეებით დავათარიღოთ.

რა თქმა უნდა, ამით ჩვენ იმის თქმა სრულიადაც არ გვინდა, რომ ყველა ის ნაგებობა-გამოქვაბული, რომელიც დღემდის არის შემონახული უკლებლივ VII — VI საუკუნეებისა იყოს. ამ რთული კონსტრუქციის კლდე-ქალაქში ფეოდალური ხანის, კერძოდ X—XIII საუკუნეების ნახელავიც არის.

უფლისციხის რთულ ანსამბლში ბევრია ისეთი ოთახ-გამოქვაბული, რომელსაც არავითარი არქიტექტურული ფორმა არა აქვს. მათი წარმოშობა, ცხადია, ადრეულ პერიოდს

უნდა მიეკუთვნოს, რადგან იქ გვაქვს ანტიკური და საშუალო საუკუნეების საუკეთესო ნიმუშები. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე დროს ბრწყინვალე არქიტექტურული ნაგებობების გვერდით უფორმო ხვრელები გაეკეთებიათ. ასეთი გამოქვაბულების უმეტესობა განლაგებულია ქალაქის განაპირა უბნებში და ზედა ფენებში, რაც კვლავ მათ ადრეულ წარმოშობაზე მიგვითითებს.

უფლისციხის რთულ ანსამბლში, გარდა აღნიშნულისა, ძირითადად ორი საამშენებლო პერიოდი ჩანს. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები და X — XIII საუკუნეები.

თუმცა არაბთა ბატონობის პერიოდის ძეგლებს ჩვენ ვერ ეხვდებით, მაგრამ სათანადო ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ არაბთა ბატონობის ხანაში უფლისციხე თვალსაჩინო როლს თამაშობდა, ხოლო X — XI საუკუნეებში უფლისციხე ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

უფლისციხეში ამჟამად არსებული სადგომ-გამოქვაბულების შესწავლის შედეგად დოც. ნ. ზაქარაია, სამართლიანად დაასკვნის, რომ ამ გამოქვაბულთა მშენებლობის საუკეთესო პერიოდად პირველი საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, ამ პერიოდის სადგომებს ეტყობა მაღალი მხატვრული გემოვნება. აქ გამოყენებული არქიტექტურული ფორმები იმის მომასწავებელია, რომ ისინი ცალკე მდგარ შენობათა თავისებურ ანარეკლს წარმოადგენენ. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელ საერო ნაგებობათა ფორმებზე. მაგალითად, აქ გვაქვს სვეტებიანი დარბაზი, კამაროვანი და კოჭებიანი გადახურვა და სხვ.

უფლისციხე ქართული საერო მშენებლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და მას სააღმშენებლო კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილი უკავია. უფლისციხემ, უეჭველად, გარკვეული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი წარმოშვა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის თავდაცვის საჭიროებამ. ვიდრე ქართველი ტომები ერთ ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიაში გაერთიანდებოდნენ და მტერს განდევნიდნენ საქართველოს მიწა-წყლიდან უფლის-

ციხე, თბილისთან ერთად, მნიშვნელოვან თავდასაცავ კლდე-ქალაქს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ჩვენს მიწა-წყალზე ხუთი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, უფლისციხე გახდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი.

დავით აღმაშენებლის დროს (1089 — 1125) საქართველოს გაერთიანება დამთავრდა. ქვეყანა უცხო მოძალადეთაგან განთავისუფლდა. ასეთმა გამოქვაბულ კლდე-ქალაქებმა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს. უფლისციხემაც პირველობა გორს დაუთმო.

ქართულ ციხე-ქალაქთა შორის ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება ურბნისი, ნაჭარმაგევი და ატენი. აღნიშნული პუნქტები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

უეჭველია, შემთხვევითი არ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა 1103 წლის ახლო ხანებში რუის-ურბნისში მოიწვია საეკლესიო კრება და უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაჭრა.

ქართველ მეფეთა სადგომს წარმოადგენდა ნაჭარმაგევიც. იგი ღღევანდელ სოფელ კარალეთის სანახებში მდებარეობდა. ქართველი მეფეები აქ მართავდნენ პოლიტიკურ თათბირებს, იღებდნენ დიპლომატიურ მისიებს, ატარებდნენ სამხედრო ლაშქრობებს. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა აქ შეადგინა თბილისის განთავისუფლების გეგმა.

არსენ იყალთოელს მიაწერენ ერთ ლექსს, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, დავით აღმაშენებლის საფლავის ეპიტაფიას წარმოადგენდა. ამ ლექსში ნათქვამია:

როს ნაჭარმაგევს მეფენი
შვიდნიენ პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამისა მომქმედსა
კელნი გულხედა დამესხნეს.

ნაჭარმაგევი მნიშვნელოვან პუნქტად იხსენება თამარის დროსაც. ცნობილია, რომ თამარი აქ გახდა ავად.

X — XI საუკუნეებში მნიშვნელოვან ქალაქად გადაიქცა ატენი — აშენდა მრავალი სასახლე-დარბაზი, აღიმართა ციხე-გალავნები, მოეწყო ქულბაქ-სავაჭროები; განსაკუთრებით დიდი მშენებლობა ჩატარებულა ბაგრატ მეოთხის დროს (1027 – 1072). ატენს. როგორც თავდაცვითს პუნქტს, არც გვიანფეოდალურ ხანაში დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ატენის ციხემ არაერთი სახელოვანი ბრძოლა გადაიტანა სპარსელებისა თუ თურქების შემოსევების დროს.

მაგრამ გორის სახელი სხვა არის, იგი შარავანდედით მოსილია და ჩვენც მისი ისტორია, მისი თავგადასავალი უფრო გვაინტერესებს.

საქართველოს არაერთხელ შემოსევიან რომაელები, სპარსელები, არაბები, ხაზარები, თურქ-სელჯუკები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბუღა-თურქის შემოსევის დროს (853 წელი) მარტო თბილისში 50 000 მცხოვრები დაიღუპა. როგორც ცნობილია, მან შიდა ქართლიც დალაშქრა და ცხაოტამდე მივიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ არც გორი დარჩენილა დაულაშქრავი.

XI ს. ბოლო წლებიდან მტრების შემოსევამ ერთგვარად იკლო, ქართველმა ხალხმა ძალების მობილიზაცია მოახდინა, ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში შევიდა, მეურნეობა გამოცოცხლდა, აღებ-მიცემობა გაფართოვდა, სამიმოსვლო გზები შეკეთდა, საქალაქო ცხოვრება გაიშალა. ამ საერთო აღმავლობის დროს გორიც თანდათან მოშენდა და ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრი გახდა.

ეს ფაქტი უდევს საფუძვლად იმ თქმულებას, რომელიც გორის აშენებას დავით აღმაშენებელს მიაწერს.

სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაელი წერს: „...ხოლო დავით მეფე (ლაპარაკია დავით აღმაშენებელზე, დ. გ.) იყო მხნე, ძლიერი სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მან მრავალჯერ სძლია უცხო ჯარს და შემუსრა ყოველი მათი ძლიერება, მრავალი და სახელგანთქმული ქვეყნები წაართვა სპარსთ მახვილითა და ძალით. აიღო ტფილისი და დმანისი ქალაქი; აიღო შირვანი, შაქი და შამქორი. აიღო სხვა მრავალი ქვეყანაც... იგი გამოჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხი

ნათესავისა; მასთან შემოკრბა სომეხთა შთენილი ჯარი. მან აღაშენა ქალაქი ქართლის ქვეყანაში, ააგო ეკლესიები და მონასტრები მრავლად და უწოდა ქალაქს სახელად გორი"[1].

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებელს ხელახლა აუშენებია გორი. ამის შემდეგ გორი ყოველთვის იყო საქართველოს ძირითადი თემის — შიდა ქართლის ცენტრი.

როგორც აღნიშნული იყო, ქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ციხის უბანში, მას გარშემო შემოვლებული ჰქონდა ქვიტკირის კედელი. ამბროზიო კონტარინის დახასიათებით საერთოდ ქალაქი კეთილმოწყობილია. ვახუშტიც გვარწმუნებს, რომ გორში „არს შენობა უმეტეს ქვითკირისა, ეკლესიანი კეთილმშვენიერნი"[2].

1770 წელს ქალაქი გორი ინახულა კაპიტანმა იაზიკოვმა და თავის „ზაპისკაში" გორის შესახებ ჩაწერა: „ქალაქი გორი თბილისიდან 80 კილომეტრზე მდებარეობს და შემოზღუდულია ქვის დაბალი და სუსტი კედლით... ახლა ქალაქის მცხოვრებნი ცოტანი არიან, მაგრამ ნანგრევებიდან ჩანს, რომ ისინი ბევრნი ყოფილან"[3].

ხერსონეცის მტკიცებითაც „გორიც, როგორც კავკასიის ქალაქთა უმრავლესობა, გაშენებულია მთის კალთაზე, რომელიც ამფითეატრს მიაგავს... ქალაქის ზოგიერთი უბანი, როდესაც ციხიდან უყურებ, ფუტკრის სკას გაგონებს. შუა ქალაქში დუქნები და ბაზარია"[4].

თითქმის ასეთივე ყოფილა გორი მე-17 საუკუნეშიც. „გორი,—ამბობს შარდენი,—პატარა ქალაქია, მდებარეობს ერთი გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული"[5].

ავთანდილ თუმანიშვილის დროს (1816 წ.) გორს ჰქონია მრგვალი, ამფითეატრის მსგავსი სახე, რომლის წრეხაზი იწყებოდა ციხის დასავლეთის წერტილიდან და წრისებურად

---

[1] მათეოს ურჰაელი, ჟამთააღწერილობა, ვაღარშაპეტი, 1898 წ. გვ. 356—357.

[2] ვახუშტი, აღწერა, გვ. 74.

[3] ალ. ცაგარელი, Грамоты, ტ. 1, გვ. 447.

[4] ხერსონეცი, Телеграф, გვ. 501.

[5] შარდენი, მოგზაურობა, გვ. 81.

უერთდებოდა საწყის წერტილს. მისი აზრით ქალაქს ისეთივე სახე ჰქონია, როგორც თვით ციხეს.

გორის შესახებ ცნობებს გვაწვდის კლაპროტიც. კლაპროტი განათლებული ევროპელი მოგზაური იყო. მან 1807 წელს პირადად ინახულა გორი და თავის დღიურში ქალაქის შესახებ ჩასწერა: „ეს ქალაქი საქართველოში თბილისის შემდეგ უდიდესად ითვლება. აქ ითვლიან 300-მდე სახლს, რომლებიც მოთავსებულ არიან წრისებურ გალავნის შიგნით"[1].

აქ დამოწმებული მასალით ჩვენ უკვე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ქალაქის გარეგნული სახის შესახებ. რა თქმა უნდა, ქალაქი ჟამთა მსვლელობაში სახეს იცვლიდა, ინგრეოდა ან შენდებოდა და ეს მოვლენები თავის დაღს ასვამდა ქალაქის გარეგან სახეს, მაგრამ მე-18 საუკუნის დამლევს ქალაქი ციხის ირგვლივ არსებულ ფერდობებზე იყო შეფენილი და ირგვლივ ქვიტკირის კედელი ჰქონდა შემორტყმული.

გორის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა გორისციხე. თვით გორიც თავდაპირველად თავისებურ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. გორისციხის პირვანდელი ისტორიის შესახებ ჩვენ მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემები გაგვაჩნია. ხოლო მეცამეტე საუკუნიდან კი ამ ციხის შესახებ ცნობები შემოუნახავთ ისტორიკოს-მემატიანეებსა და უცხოელ მოგზაურებს.

როგორც ცნობილია, ქალაქის შუაგულში აღმართულ გორაზე იყო აშენებული გორის ციხე. ციხე დღეს ნანგრევებს წარმოადგენს და ქრონოლოგიურად განსხვავებულ, რამდენიმე საამშენებლო ფენას შეიცავს. ნაგებობათა დაზიანების გამო არც ერთი ფენის თავდაპირველი სახის ზედმიწევნით დადგენა არ ხერხდება.

მთის ზედა ნაწილი უჭირავს ვიწრო და გრძელ გალავანს, რომლის ტერიტორია ნახევარ ჰექტარს აღემატება. ამ დიდ გალავანს სამხრეთით და აღმოსავლეთით, მთის ფერდობზე, კიდევ ორმაგი გალავანი არტყია.

ზედაციხეს, ანუ ციხის მთავარ ნაწილს, შესასვლელი სამხრეთით ჰქონია, რომელიც თავისთავად რთული ნაგებობა

---

[1] კ ლ ა პ რ ო ტ ი, Reise, ტ. II, გვ. 325.

ყოფილა. მისი დასავლეთის ნაწილი კიბის უჯრედს სჭერია, ხოლო ზედა ნაწილში რამდენიმე სართულიანი კოშკი ყოფილა, რომლის ქვედა სართულს კამაროვანი სახურავი ჰქონია.

საშუალო საუკუნეების მთელს სიგრძეზე მტერთა უამრავი ურდოების შემოსევის შედეგად გამოწვეულმა ნგრევა-აოხრებამ გამოიწვია ციხის მრავალგზის აშენება-გადაკეთება. ყოველივე ეს კი ციხეს თავის დაღს ასვამდა და სახეს უცვლიდა. ასე, რომ დღეს არსებულ ნაგებობათა უმრავლესობა ერეკლეს დროინდელი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ამ დროისაა დასავლეთის ტერასოვანი ციხის მეტი ნაწილი და სამხრეთ-აღმოსავლეთის გალავანი. შედარებით უფრო ადრეული ჩანს ზედაციხის ძველ გალავანზე დაშენებული სათოფურებიანი თხელი კედელი.

ციხის ადრინდელი შესასვლელის მოშლის გამო ახალი შესასვლელი კოშკი აუგიათ სამხრეთი კედლის ცენტრში. ამ კოშკის მხოლოდ პირველი სართულია გადარჩენილი და იმასაც კამარა გადაკეთებული აქვს. კოშკის ქვედა სართული კამაროვან გასასვლელს წარმოადგენდა და მისი როგორც კონსტრუქციული, ისე არქიტექტურული მხარე ჩვეულებრივია გვიანფეოდალური ხანისათვის, განსაკუთრებით კი მეთვრამეტე საუკუნისათვის. ამ გასასვლელით, ისე, როგორც ძველი გასასვლელით, ზედაციხის ტერიტორიაზე ბორბლიანი ტრანსპორტის ვერც ერთი სახე ვერ მოხვდებოდა.

კოშკის წინ, მთის ფერდობზე სპეციალურად მოწყობილი იყო კიბეები, რომელიც შიდა ციხეში ადიოდა. ქვედა, პირველ გალავანს ჰქონდა განიერი ჭიშკარი, რომელსაც ტალავერით, ვიწრო, ორმხრივ შემოსაზღვრული გასასვლელი ჰქონდა. ასეთი შემოსასვლელით ყოველგვარ ტრანსპორტს შეეძლო სარგებლობა.

ციხის ნაგებობიდან უკეთ არის შენახული დასავლეთის ტერასიანი ნაწილი. ეს ციხე ფერდობზეა განლაგებული, ორ პარალელურ კედლებშია მოქცეული და მდინარესთან ცილინდრული ფორმით მთავრდება.

ციხე შიგნით ხუთ თუ ექვს მონაკვეთად ნაწილდება. თითოეულ ამ ნაწილს ერთმანეთთან სპეციალური კარები

აკავშირებდა. გამყოფი კედლები დღეს თითქმის დანგრეულია და ამიტომ კავშირი ყველგან არა ჩანს.

ციხის ძირს ჩამოსასვლელი გვერდითი კედლებიდან ჩრდილოეთის კედელი უფრო განიერია (ორ მეტრამდე) და შიგნიდან საფეხურები მოჰყვება. ჩანს იგი გამოყენებული იყო საბრძოლო ოპერაციების დროს მეომართა მისადგომად.

ციხის დასავლეთით მდებარე კოშკი სამ სართულიანია.

ციხის სამხრეთ კედელზე მცირე ზომის ნახევარწრიული ორი კოშკია მიშენებული. ორივე კოშკს შესასვლელი ეზოდან აქვს.

ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ მე-13 საუკუნის ბოლოს, მონღოლთა ბატონობის დროს გორი გადაიწვა და ციხეც დაინგრა. თუმცა პირდაპირი ცნობები ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თემურლენგის სისხლიანი თარეშის დროს გორი კიდევ უფრო დაზარალდებოდა.

1474 წელს ვენეციელ მოგზაურს, ამბროზიო კონტარინს გორში ხის ციხე დახვედრია.

1599 წელს სიმონს გორის ციხე დაუნგრევია. 1633—1634 წლებში გორის ციხე აუშენებია როსტომ მეფეს. 1774 წელს ციხე საფუძვლიანად შეუკეთებია ერეკლე მეორეს.

ასე, რომ ყოველი აღდგენა-შეკეთება ციხეზე თავის დაღს ტოვებდა, მაგრამ ძირითადად ფორმა ძველი რჩებოდა.

ვახუშტი წერს: „არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვითკირისა“[1].

„ამ ველის (ლაპარაკია ქართლის ველზე, დ. გ.) შუა, მაღალ ბორცვზე, აშენებულია ციხე უშველებელი ლოდებისაგან, იგი განფენილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ; ციხის კედლები სქელი და მაღალია, გამაგრებულია მრავალრიცხოვან კოშკებ-ბურჯებით, რომელსაც 50 ფუტი სიმაღლე და 8 ფუტი სიგანე აქვს; შიგ შესვლა სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა ერთი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული კიბით. კიბე იწყება კედლის გარეთ, მიემართება მაღლა და თავდება ციხის შესავალთან, სადაც კიბისა და შესავლის დასაცავად

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 74.

აშენებულია კოშკები. ციხის აღმოსავლეთ ნაწილში აშენებულია ქვითკირის წმინდა გიორგის საყდარი და სანოვაგისა და სამხედრო საჭურველის შესანახი საწყობები. მათ ირგვლივაც აშენებულია კოშკები, ხოლო დანარჩენი ადგილი უკავია მცხოვრებთა სახლებს. საჭირო შემთხვევაში ამ კოშკებში გადაჰქონდათ სახლის ავეჯი და სხვა ქონება.

ციხის დასავლეთ ნაწილში მოთავსებულია თოთხმეტი დიდი კვადრატული ფორმის პატნეზი. თითოეულ მათგანში შეიძლება მოთავსდეს 100 კაცი თავისი საომარი მოწყობილობით ისე, რომ მათ საშუალება ექნებათ დაუბრკოლებლივ იმოქმედონ. უკანასკნელი პატნეზი გამოყენებულია წყლის შესანახად... ამ ციხეში ითვლება 35 მთავარი კოშკი და მცხოვრებთა 410 სახლი. ციხეში თამამად შეიძლება 50 000 მეომრის მოთავსება"[1].

რა თქმა უნდა, თუმანიშვილის ცნობები გაზვიადებულია, მაგრამ მაინც უაღრესად საინტერესოა, რადგან მას თავის თვალით აქვს ნახული ყველაფერი, რასაც იგი წერს. იგი გორიდან იყო.

კლაპროტი წერს: „ქალაქის ჩრდილო დასავლეთით, ლიახვის დონიდან 16 ფუტის სიმაღლეზე, კლდოვან მთის წვერზე, მდებარეობს ციხე. ის წარმოადგენს გრძელ ოთხკუთხედს, რომელსაც 200 ნაბიჯი სიგრძე და 60 ნაბიჯი სიგანე აქვს. კედლები ერთი ფუტის სისქისა და სამი ფუტი სიმაღლისაა. ამათ პარალელურად მიემართება უფრო დაბალი კედლები — 20 ნაბიჯის დაშორებით.

სამხრეთის კედლის შუაში არის ჭიშკარი. დასავლეთის კედლებს შუა ჩასასვლელია და ლიახვისაკენ მიდის. ამ ჩასასვლელით ციხეში წყალი ამოაქვთ. ეს ჩასასვლელი გზა, რომ დაცული იყოს და ციხეს წყალი არ მოაკლდეს, შემდეგნაირად მოუწყვიათ: დასახელებული კედლების გასწვრივ აშენებულია შედარებით უფრო დაბალი ორი კედელი. ისინი ერთმანეთისაგან 20 ნაბიჯით არიან დაშორებული. მათზე გაყვანილია ხუთი გადამღობი კედელი, თითოეული მათგანი სამი

---

[1] თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, Описание груз. города Гори, გვ. 17—20.

საჭენის სიმაღლისაა. ამის საშუალებით უვნებლად მიმოდიან როგორც ქვემოთ ჩამსვლელნი, ისე ზემოთ ამსვლელნი.

პარალელური კედლების ბოლოები მდინარე ლიახვთან ერთმანეთს უკავშირდება ოთხ საჭნიანი სიმაღლის კედლით, რომელსაც ნახევარრკალის ფორმა აქვს. ამ კედლის ძირში მიედინება ლიახვი, აქედან იღებენ წყალს და ასხამენ აგურისაგან გაკეთებულ წყალსადენ აუზში. აუზს 12 საჭენი სიგანე, 16 საჭენი სიგრძე და 14 საჭენი სიმაღლე აქვს. ის გაშენებულია ზედაგადამღობ კედელსა და დასავლეთის მოკლე კედელს შორის. რათა მტერი ახლო არ მიუშვან მოწყობილია კოშკები, რომელზეც მეომრები დგებოდნენ და კედელში ამოკვეთილ სათოფურებიდან (თითოეულ სართულზე 30 სათოფურია დატანებული) მტერს ტყვიას უშენდნენ.

ყოველ გადამღობ კედელში დატანებულია ორ-ორი დიდი ნახვრეტი, საიდანაც მტერს ზარბაზნებს უშენდნენ იმ შემთხვევაში თუ კი მტერი წყლის პირას გამოჩნდებოდა"[1].

სხვა წყაროებითაც ვიცით, რომ „გორის ციხეს ფეოდალურ საქართველოში მუდამ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი მდებარეობდა იმ გზაზე, რომელიც აკავშირებს თბილისს ახალციხესთან და იმერეთთან. გარდა ამისა იგი გზას უღობავდა ჯავახეთიდან თავდამსხმელ ლეკებს"[2].

მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ გორის ციხე ერთერთი უდიდესი ციხე-სიმაგრე იყო მთელ საქართველოში და მტრის თავდასხმის დროს ის არა მარტო ქალაქ გორის, არამედ მახლობელი სოფლების მცხოვრებთა თავშესაფარსაც წარმოადგენდა.

გორის ციხე ყოველთვის იყო ქართველთა ვაჟკაცობისა და მამაცობის სიმბოლო.

დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა სამართლიანად უმღერა გორის ციხეს:

---

[1] კლაპროტი, Reise, ტ. II, გვ. 325—327.

[2] Обозрение россійских владеній Закавказом. 1836 г. стр. 73—74.

„მოგზაურო! ვერა ჰხედავ
გორის ციხეს მაღალ სერზე
ჰირ-ნაბულს და გამარჯვებულს
სუყოველთვის ქართლის მტერზე?..
მიუვალს და მიუწვდომელს
ტინი კლდე აქვს საფეხურად,
ძველის მგონი დღესაც კიდევ
გადმოჰყურებს ამაყურად!..
მოგზაურო! ხომ უყურებ
იმ ძველ-ციხეს, რომ არ ჰქრება?
თითქოს დღესაც სამშობლოს მტერს
მომავალით ემუქრება“[1].

* * *

ასეთია გორის ციხე და თვით ქალაქ გორის გარეგნული აღწერა XIX საუკუნემდე. XIX საუკუნეში გორმა საგრძნობლად იცვალა სახე. ქალაქზე უცხოელთა შემოსევები შეწყდა, ამიტომ ციხემ თავისი ძველი მნიშვნელობა დაკარგა, ქალაქი ციხის რაიონს გასცდა და ახალი უბნები წარმოიშვა.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გორი სამაზრო ცენტრად გადაიქცა, გორში დაბანაკდა სამხედრო ნაწილიც. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას, მოსახლეობის ზრდამ თავის მხრივ გამოიწვია ქალაქის გაფართოება. ქალაქის ზრდამ მოითხოვა ქალაქის ახალი დაგეგმარება. XIX საუკუნის 20-იან წლებში გორის ზრდის გეგმის შედგენა მთელი სიმწვავით დადგა, მოხელეები თავიანთ უფროსებს არწმუნებდნენ, რომ ისეთი გეგმები, რომლებიც სრულ ასახვას ჰპოვებენ ქუჩებისა და მოედნების დაგეგმარებაში დაუყოვნებლივ უნდა შედგესო[2].

ასეთი გეგმა შეადგინეს 1824 წელს. 1826 წ. გეგმაში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება და დასამტკიცებლად რუსეთში გაიგზავნა. გეგმის დამტკიცება დიდხანს გაჭიანურ-

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. III, გვ. 173—176.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 4138, გვ. 1—2.

და. ამიტომ გორში მშენებლობა თვითნებურად წარმოებდა. გორის მაზრის უფროსი ილიაშენკოვი 1830 წლის 31 მაისს ზემდგომ ორგანოებს მოახსენებდა, რომ გორის გეგმა დამტკიცებული არ არსებობს, რის გამო სახლები აქ შენდება იმავე წესით, რა წესითაც ქართველი მეფეების დროს აშენებდნენ. ასე, რომ გორში აშენებენ დარბაზებს, ქვიტკირისა და ალიზის სახლებს, მიწურიან და ბანიან ბინებს. ქალაქს არა აქვს დადგენილი ადგილი საძოვრებისათვის, ქალაქი თავდება თუ არა, ბაღები იწყება, იქვეა გაშარავებული ადგილები, რომლებიც სხვადასხვა მფლობელს ეკუთვნის.

1837 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით გორი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ქალაქი გორი მდებარეობს მდ. ფშანას, ლიახვსა და მტკვარზე. ქალაქის მცხოვრებნი წყალს იღებენ მეტწილად მდინარე ფშანადან და ლიახვიდან, ნაწილი ეკლესიებთან არსებულ ჭებიდან, რომელთა რიცხვი ოთხია, ნაწილი იმ სამ წყაროდან, რომელიც ქალაქის ბოლოს გამოდის.

ქ ა ლ ა ქ შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს:

ა. ხიდები. ქვის ხიდები არ არის. ხის ხიდი — 7,

ბ. ქუჩები, რადგან გორი უგეგმოდ არის აშენებული, არ არის. შესახვევთა რაოდენობა უდრის 15, მათ შორის ქვაფენილიანი არც ერთი არ არის.

გ. მოედნების რაოდენობა — 3.

დ. ქალაქში საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღები არ არის, კერძო მფლობელთა კუთვნილი ბაღების რაოდენობა — 49.

ე. ბოსტნები — 35.

ქალაქის მიწა-წყალი 730 კვადრატული დესეტინაა, აქედან 40 კვ. დესეტინა შენობებს უჭირავს, 20 დესეტინა დაუსახლებელია, 40 დესეტინაზე ბაღ-ვენახებია, ხოლო 630 დესეტინა საძოვრებისათვის არის გამოყენებული.

ამავე აღწერილობით გორის კომუნალური სურათი ასეთია:

№№ რიგ.	სახლები კუთვნილების მიხედვით	ქვიტკირის	ხის	სულ
1	სახაზინო	2	—	2
2	ეკლესიის	5	1	6
3	თავადაზნაურთა და მოსამსახურეთა	28	1	29
4	სასულიერო პირების	25	—	25
5	სალდათების	4	2	6
6	გლეხების:			
	სახელმწიფო	367	—	367
	საეკლესიო	109	—	109
	საბატონო	106	—	106
	სულ	646	4	650

აქედან ისეთი სახლი, სადაც 5—10 კაცამდე ცხოვრობს—595
10—15-მდე „ 38
15—20-მდე „ 17[1]

1853 წლისათვის ქალაქის ფართობი 1125 დესეტინით გაზრდილა. მათ შორის ქალაქის დასახლება უკვე 69 დესეტინას აღემატებოდა, ბაღ-ბოსტნებისა — 41 დესეტინას, სახნავი 574, ხოლო საძოვრებისა კი — 640 დესეტინას.

ამ დროისათვის საგრძნობლად შეცვლილა ქალაქის კომუნალური სახეც. აგებულა:

ქვიტკირის	სახლი	128
აგურის	„	544
ხის	„	150
მიწურის	„	102
ქუჩა		20
ხიდი		2[2]

ქალაქი იზრდებოდა და მოსახლეობა მატულობდა, მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობაზე კი არავინ ზრუნავდა.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 5679, გვ. 42—52.

[2] Кавк. Календарь, 1853, стр. 277—280.

მდინარე მტკვარზე რკინის ხიდის აშენების საკითხი პრობლემად იქცა.

ჯერ კიდევ გენერალმა ციციანოვმა გორის კომენდანტს, რეიხს, 500 მანეთი მისცა მდ. მტკვარზე და ლიახვზე ხიდების ასაშენებლად. რეიხს 490 მანეთის მასალა უყიდია, მაგრამ ხიდები მაინც არ აშენებულა და ნაყიდი მასალა განიავებულა[1].

ეს საკითხი 1810 წელს გენერალ ტორმასოვთანაც მუშავდებოდა, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა[2].

1827 წლის 21 დეკემბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორი სიპიაგინი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს სწერდა: გორში ყოფნის დროს გორელები მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს დავხმარებოდი მთავრობაში სოფელ ხიდისთავის პირდაპირ მტკვარზე ხიდის აშენების საქმეში. აღმითქვეს, რომ ხიდის ასაშენებლად საკუთარ სახსრებს არ დაიშურებდნენ და შრომითს მონაწილეობასაც მიიღებდნენ[3].

1828 წლის 8 იანვარს გორის მაზრის უფროსი ილიაშენკოვი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს უპატაკებდა, რომ გორის მცხოვრებნი ხიდის აგებაზე 2 000 მანეთს ვერცხლით გაიღებდნენ და ფიზიკურ სამუშაოზე მთელი მაზრა მიიღებდა მონაწილეობას[4].

თითქოს რეალური ნაბიჯები გადაიდგა, ხიდის მშენებლობა წამოიწყო. 1829 წელს ხიდისათვის საჭირო რკინის მასალა ასტრახანიდან მოიტანეს. ამ მასალის მოტანა ბეგარით მოხდა, მრავალი ხარი და კაცი მოიქანცა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა[5].

მოტანილი მასალის დიდი ნაწილი წყალმა წაიღო, ხალხი, მათ შორის ჯარისკაცებიც, ხშირად წყალში იხრჩობოდნენ, მაგრამ საქმეს ყურადღებას არავინ აქცევდა. გორიდან ამაოდ წერდნენ დაეჩქარებინათ ხიდის მშენებლობა. ბოლოს გორის

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 904.
[2] იქვე.
[3] იქვე, საქმე 3513.
[4] იქვე.
[5] იქვე. გვ. 13.

მაზრის უფროსი ილიაშენკოვი იძულებული გახდა ზემდგომ ორგანოებში დაეყენებინა საკითხი, რათა მისთვის ნება დაერთოთ გაეყიდა ის მასალა, რაც წყალს გადაურჩა, რომ მთლიანად წყალს არ წაეღო[1].

1861 წელს გაზეთი „კავკაზი“ (№ 63, 69, 71, 72) აქვეყნებდა მგზავრის წერილებს. ამ წერილებში ნათქვამია, რომ გორში ხიდები არ არის, რომ მგზავრები წვალობენ ლიახვსა და მტკვარზე გასვლით, რომ არა იშვიათია შემთხვევა, როცა ადიდებული ლიახვი ურმებს გადააბრუნებს ხოლმე და უბედური მგზავრები წყალში იხრჩობიან.

მართალია, მტკვარზე და ლიახვზე აგებდნენ ხოლმე ფიცრისა თუ ქვის ხიდებს, მაგრამ ადიდდებოდა თუ არა მტკვარი ან ლიახვი ამ ხიდებს იმ წუთში წაიღებდა. წყალსაც რომ არ წაეღო, ხიდზე ისე დიდი იყო ბაჟი, რომ მის გადახდას ღარიბი მოსახლეობა ვერ ახერხებდა, ამიტომ ერიდებოდნენ რა გადასახადს, ფეხით შეტოპავდნენ ხოლმე მდინარეში, ეს კი ხშირად დახრჩობით თავდებოდა[2].

1874 წელს შეადგინეს პროექტი რკინის ხიდის აშენების შესახებ, შეადგინეს ხარჯთაღრიცხვაც. ამ ხარჯთაღრიცხვით ხიდის აშენება 63 006 მანეთი და 70 კაპიკი ჯდებოდა. გორის მაზრის გლეხებს შეაწერეს ფული 1 მან. და 20 კაპიკიდან 3 მან. და 50 კაპიკამდე, რასაც ნებაყოფლობითი შესაწირავი შეარქვეს. მაგრამ რატომღაც ამ წამოწყებასაც მხარი არ დაუჭირა არც გუბერნატორმა და არც ქალაქის სათათბიროშ. ასე, რომ არც ეს ინიციატივა აღმოჩნდა ხორცშესხმული[3].

გორში რკინის ხიდის აგება მხოლოდ 1880 წლისათვის იქნა დამთავრებული, მაგრამ ამ ხიდზე გამსვლელი ბაჟს იხდიდა: ეკიპაჟი 15 კაპიკს, ცხენიანი კაცი 5 კაპიკს, ამიტომ მეეტლეები რკინიგზის სადგურში გამოსვლას გაურბოდნენ და ხიდის ყურზე დგებოდნენ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე, 3513, გვ. 29.

[2] იქვე, ფ. 175, საქმე 817, გვ. 88.

[3] Кавказ, 1882, № 126.

1891 წელს ხიდი საიჯაროდ გადაეცა ალექსანდრე ბუნია-შვილს, მას თვიურად უნდა შეეტანა 502 მან. და 27 კაპ. ხიდზე გავლის გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო ტრანსპორტი და ქალაქის ნახირის მწყემსები[1].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ერთგვარი მუშაობა იქნა ჩატარებული ქალაქის კეთილმოწყობისათვის. 1871 წელს შეკეთდა და ქვაფენილი დაეგო ე. წ. მეფის ქუჩას, არტილერიის კაზარმებიდან მეჯვრისხევის გზამდე არსებული ქუჩაც მოკირწყლა; საამისო სახსრები საერობო მმართველობამ გაიღო. კერძო პირთა ინიციატივით მოიკირწყლა ჰოსპიტლის, ოქონის, „სობორნაიას“, ქუდების რიგის, რუისურბნისის, მჭედლების რიგის და სხვა ქუჩები[2].

ამ წამოწყების შედეგად გაზეთებში გაჩნდა ცალკეული წერილები, რომლებიც გორს ქებათა-ქებას ასხამდნენ. 1873 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „ვისაც გორი ორი-სამი წლის წინათ უნახავს, მას ალბათ, ახსოვს ის უსიამოვნო შთაბეჭდილებანი, რომელიც მან მიიღო ქალაქის ქუჩებში სიარულის დროს. ახლა სულ სხვა არის.. ძველი, ჭუჭყიანი, უსუფთაო, ნაგვიანი ქუჩები, რომელზე გავლაც კი ჭირდა, და გამვლელი თავიდან ფეხებამდე ისვრებოდა, ახლა დაგებულია ქვაფენილები.

მაგალითისათვის დავასახელებ მრავალთაგან ერთ შემთხვევას, რომელიც ორი თუ სამი წლის წინათ მოხდა გორში. ახლანდელ რუისურბნისის ქუჩაზე, ზაფხულში გენერალი ტარანტასით მიდიოდა. ეს ტარანტასი ჩაიფლო ლაფში და ექვსი უღელი ხარით ძლივს ამოათრიეს. ახლა აქ შოსეა, რომელიც ქუჩასაც კი სჯობია.

დიდი ქუჩების გაყოლებით დარგულია აკაციები და სხვა მცენარეები. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ტროტუარები არ არის კარგად გაკეთებული, მასზე სიარული ცოტა არ იყოს ჭირს.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ 10 წლის შემ-

---

[1] საქ ცენტრ. არქივი, ფ. 175, საქმე 2073, გვ. 13.

[2] იქვე, ფ. 34, საქმე 2259, გვ. 2—3.

დეგ ამიერკავკასიის სამაზრო ქალაქთა შორის გორი პირველი ქალაქი იქნება, თუმცა ახლაც არა ჰყავს მას მეტოქე".

სხვა მოგზაურებიც აღნიშნავენ, რომ გორის ბევრი ქუჩა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთ-ერთი მოგზაური „კავკაზში" წერდა: „პირველი ქუჩა, რომელზეც მე მივდიოდი საკმაოდ კარგია და ეწოდება „მეფის ქუჩა". იგი პროსპექტს წააგავს. ამ ქუჩას საკმაოდ მოხდენილი სახე აქვს: განიერი და სწორია; მას ამშვენებს ორსართულიანი სახლები, მაღაზიები, მცენარეები, ტროტუარები, ფარნები, ქუჩის ორივე მხარეს არხებია გაყვანილი, სადაც წყალი მიედინება. ამ ქუჩაზე ერთი აივნიანი სახლია, რომელსაც ერეკლეს სასახლეს უწოდებენო.

მიუხედავად ამისა, საერთოდ ქალაქი უყურადღებოდ იყო და განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქალაქში სრული ანტისანიტარია იყო გამეფებული.

1886 წლის 22 დეკემბერს გორის მაზრის უფროსი ქალაქ გორის სანიტარულ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: თითქმის ყველა ქუჩა წვიმისა და თოვლ-ჟყაპის დროს გაუვალი ხდება. აქ გავლა არა მარტო ფეხით, ურმითაც კი არ შეიძლება. ქალაქის მოედნები კიდევ უფრო უარესია — აქაური ორმოთხრილები წყლით ივსება და წუმპეებად იქცევა. ყოველივე ეს კი სიბინძურეს ჰქმნის და ხელს უწყობს ყოველგვარი ავადმყოფობის გავრცელებას... ქუჩების გაწმენდა აქ ხდება წელიწადში ერთხელ და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მოელიან რომელიმე დიდკაცს. მოედნები კი არასოდეს არ სუფთავდება[1].

ქალაქის უყურადღებობის შესახებ გაზეთი „ივერია" ჯერ კიდევ 1877 წელს (№ 69) წერდა: „ქალაქის გამგეობა, თვით ქალაქის მცხოვრებნი და ყველა ისინი, ვისიც ვალია, რომ ქალაქს ყური უგდონ, არაფერს არ ზრუნავენ ქალაქის მოვლაზე, გამაგრებაზე და სხვ. და სხვანი; დღეს გორი დასავლეთისა და სამხრეთის მხრივ წყალში სდგას; დასავლეთის მხრიდან ლიახვი ჩამოუდის; თუმცა წარსულს წლებში გაამაგრეს კიდე ამ მდინარისა, მაგრამ წელს ისევ მოგლიჯა და ძველი ადგი-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 34, საქმე 2259, გვ. 2—3.

ლი მოსძებნა. მინამ წყალი მოვარდებოდა და ასეთს ზარალს მისცემდა ქალაქს, არავინ შეიტკივა თავი, როცა სააზნაურო ქუჩაზე ლიახვმა დაგლიჯა სახლები, მიეცა ქალაქის ბაღსა და გვერდი ჩამოაცალა, წაიღო ქალაქის გამგეობისაგან აშენებული საყასბოები, მოჰგლიჯა ქვის ბურჯი ძველის ხიდისა და წყალმა სამხრეთის მხრიდამ შემოურბინა რკინის ხიდსა, — მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ და დაიწყეს თავში ცემა, მაგრამ გვიანღა იყო: აღელვებულს წყალს ვიღა შეამაგრებდა. ხალხი თამაშად გამოდის და თითქოს სტკბება, რომ წყალი აოხრებს ქალაქის საუკეთესო ადგილებსა".

გორის კლასიკური დახასიათება მოცემულია 1893 წლის გაზ. „ივერიის" 4 ნოემბრის ნომერში. ამ კორესპონდენციას ეწოდება „ხმა პროვინციიდამ (აღწერილობა გორისა შემოდგომაზე)". მოგვაქვს ვრცელი ამონაწერი: „...ჩვენი სახელგანთქმული „ჰორქარიანი", ჩვენი კურთხეული გორი რაღანაირ ყოფაში უნდა იყოს ამ ჟამად? ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, წუნწუხში ამოვლებული ქათამი, რომელიც მზის გულზე აბუზულა და საცოდავად ცახცახებს! სწორედ ესეთ სასაცილო ქათამს მოგაგონებს დღეს ჩვენი „ქართლის მეთაური". ავდრისაგან ჩამორეცხილი სახლის კედლები ისეთი დაძმარებულნი გამოიყურებიან, თითქოს ყოველ წამს ცისა და ქვეყნის დაქცევას მოელიანო. აქლემის ყელივით დახლაკნილი ვიწრო ქუჩები სავსეა მუხლამდის სარევი ტალახითა და ზოგან ისეთი ლაფის მორევები ტრიალებენ, რომ მათ გვერდზე გავლა-გამოვლა დიდ გულადობად უნდა ჩაითვალოს ადამიანისა. რაღა თქმა უნდა, რომ ყოველი აქაური სახლის პატრონი ცდილობს, რათა მათ ქუჩაში შეტბორებული წუნწუხი თავის სახლსა და ეზოში არ შეუშვას; ამიტომ ის ამ სახლისა და ეზოს კედლების გარედამ ძირში ტალახსა და თიხიან მიწას უყრის, ქუჩის აქეთ-იქით ნაპირებს ამაღლებს. ვაი იმ მოსიარულის ყოფას, რომელიც ამ ამაღლებულს ადგილზედ გასვლას მოისურვებს!.. წვიმისაგან ისე არიან ისინი დამბალ-დასიპებულები, რომ მათზე ორ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს კაცი ისე, რომ მესამეზე მის წინ გაჭიმულ მორევში არ ამოჰყოს თავი... ამის გამო ზოგიერთნი, გამოცდილნი და აქაურ

გარემოებათა მცოდნენი, ისევ დაკარწახებასა და შუა ლაფში ბაყაყულაპიასავით ტოპვას არჩევენ, ვიდრე მოხსენებულ ხაფანგში კისრის მოტეხვასა. და ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა სახეირო სანახავი იქნება ამისთანა ქუჩაში მომავალი რომელიმე დარბაისელი ქართველი, ანუ ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული მანდილოსანი".

მიუხედავად ამისა, ქალაქი მაინც იზრდებოდა.

ჯერ კიდევ 1784 წელს ერეკლე მეორემ გამოსცა ბრძანება გორიდან მოსახლეობის აყრისა და სხვა ქალაქში გადასახლების აკრძალვის შესახებ[1].

გორის მცხოვრებთა სტატისტიკური მასალები მეთვრამეტე საუკუნემდე, სამწუხაროდ, არ შემონახულა, ამიტომ შეუძლებელი ხდება გავითვალისწინოთ წინა საუკუნეების მოსახლეობის რიცხვობრივი მონაცემები.

1770 წლის აღწერით გორში 500 კომლი ითვლებოდა; ჩვეულებრივ კომლში ხუთ სულს ანგარიშობენ; თუ ამ ნორმიდან გამოვალთ, მაშინ გორში 1770 წლისათვის 2 500 მცხოვრები უნდა ვივარაუდოთ. 1794 წლისათვის გორში კომლთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულა, ამ დროისათვის გორში 227 კომლია[2].

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან გორის მცხოვრებთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს; ასე მაგალითად:

1807 წ. გორში — 300 კომლია[3],

1848 წელს გორში 3 763 მცხოვრები იყო[4],

1850 წელს — 3 800,

1873 წლის კამერალური აღწერით — 6 000,

1897 წელს — 10 269, ხოლო 1912 წელს 17 733 სული[5].

ასე რომ მოსახლეობის ზრდა და ქალაქის ზრდა პარა-

---

[1] Пурцеладзе, Крестьянские грамоты, стр. 42.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები და საქალაქო წყობილება. გვ. 38—39.

[3] კლაპროტი, Reise, ტ. II, გვ. 325.

[4] Кавказ. Календарь, 1849, стр. 103.

[5] დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორიიდან, გვ. 20.

ლელურად მიმდინარეობდა, ამასთან ერთად ახალ-ახალი უბნები ჩნდებოდა.

თუ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისათვის ქალაქი მხოლოდ ციხის უბანში იყო, ამ საუკუნის მთელ სიგრძეზე ქალაქი თანდათან ციხის გალავანს გასცდა და წარმოიშვა ახალი უბნები: „ციხის უბანი“, „რუის უბანი“, „პოსელენიე“ და „სულუხი“.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის გორი ითვლიდა უკვე 1 360 სახლს, მცირე გამონაკლისის გარდა გორის სახლები ერთსართულიანები იყო.

ამავე დროისათვის გორში რეგისტრირებული იყო 36 ქუჩა[1].

მე-20 საუკუნის დამდეგიდან გორი სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა.

1904 წელს მოსე ჯანაშვილი წერდა: „ქალაქი გორი შეიძლება ითქვას, რომ ჯერ მშენებლობის პროცესშია: მისი ქუჩები სწორდება, იკირწყლება, იტკეცება და ხეები ირგვება, კეთდება ქალაქის ახალი ბაღი; ძველი სახლები იღება და მათ ადგილზე ფუძნდება ახალი, ლამაზი შენობები. ქალაქის გარეუბნებში გუბე-ჭაობები შრება და იქ, სადაც გუშინ ბაყაყების ყიყინი ისმოდა, დღეს უკვე ჰყვავის ბაღები, ბიბინებენ ბოსტნები“[2].

უბადრუკი მენშევიკების ბატონობის დროს არამცთუ რამე შემატებია, არამედ არსებულიც ინგრეოდა. მეტიც, თითქოს განგებო, მიწისძვრამ ძველი გორის დიდი ნაწილი მთლიანად დაანგრია.

თანამედროვე გორი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა, რომლის შესახებ ჩვენ ამ შრომის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი.

---

[1] ალ. ჯავახიშვილი, Гори, გვ. 69—70.

[2] М. Джанашвили, Гори, СМОПК, вип. 34, стр. 161.

თავი II

გორის თავგადასავალი

1. ბრძოლა გორისათვის

გორი შიდაქართლის დიდმნიშვნელოვან თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ მომხდური მტერი თავგანწირვით იბრძოდა გორის ხელთგდებისათვის. მტერმა კარგად იცოდა, რომ თუ გორს აიღებდა, მაშინ შიდა ქართლის დაკავებას ადვილად შეძლებდა, რადგან საშუალო საუკუნეებში ციხის აღებით მთელი მხარის აღება მთავრდებოდა.

კიდევ უფრო დიდი იყო გორის მნიშვნელობა ქართლისათვის. ქართველები გორს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ, ხოლო როცა დაცვა შეუძლებელი იყო, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელთ, თვით ქართველები წვავდნენ მას. ასევე იქცეოდა მტერიც. ასე, რომ საუკუნეების განმავლობაში გორი ინგრეოდა და შენდებოდა, შენდებოდა და ინგრეოდა. მტერმა ვერ შეძლო ამ მართლადაც ზღაპრული ქალაქის მოსპობა.

სამართლიანად ამბობდა ავთანდილ თუმანიშვილი: „გორი განუწყვეტლივ ხელიდან ხელში გადადიოდა, განიცდიდა რა საშინელ უბედურებას, მას ერთნი არბევდნენ, სხვანი ანგრევდნენ, ხოლო ისინი, ვისაც უნდოდათ შთამომავლობისათვის დაეტოვებინათ სამუდამო დიდება, ამაგრებდნენ, ანახლებდნენ

და წესრიგს აღადგენდნენ; ძნელბედობის ჟამს მცხოვრებნი ინარჩუნებდნენ საკუთარ ზნე-ჩვეულებებს, სარწმუნოებას და სხვა ზნეობრივ ღირსებას"[1].

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გორს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად გადააქცია. ამიერიდან დადგა მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გორი თბილისის შემდეგ პირველ ადგილზე იდგა. მაგრამ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი კვლავ ჟამთასიავით შეიცვალა. 1225 წლიდან ჩვენი ქვეყანა მტრის მუდმივ სათარეშო არენად გადაიქცა; სოფლები გავერანდა, ქალაქები დაიშრიტა, მოსახლეობა შემცირდა. XIII საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს შინაპოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა, დავით მეფე ქართლის მთიანეთში შეიხიზნა, მთა, თუ ბარი მტრის სათარეშოდ იქცა. მონღოლობის დროს, ქართლს მთიანეთიც აეშალა. იმიერკავკასიის ველებზე მცხოვრები ტომები მონღოლებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ და მთებში გაიხიზნენ. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს შინაპოლიტიკური აშლილობით და გორი დაარბიეს, ქალაქი გადაწვეს, ხოლო ციხე დაანგრიეს.

თუმცა პირდაპირი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თემურ-ლენგის შემოსევების დროს გორი სასტიკად აოხრებულა. მით უმეტეს, ვიცით, რომ თემური ქსნისა და არაგვის ხეობაში ლაშქრობის დროს ქართლის ველებზე გაშლიდა ხოლმე თავის ურდოებს.

1477 წელს საქართველოს შემოესივნენ ე. წ. თეთრბატკნიან თურქმანული ტომები უზუნ ჰასანის მეთაურობით და თბილისი და გორი დაიჭირეს.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეთხუთმეტე საუკუნეში ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამ მოვლენამ კიდევ უფრო დაასუსტა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ამასობაში

---

[1] თუმანიშვილი, Описание Груз. г. Гори, გვ. 21—22.

საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. 1453 წლის 29 მაისს ოსმალო-თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ამით დასრულდა ბიზანტიის იმპერიის არსებობის ხანა. ისინი ამის შემდეგ სულ უფრო და უფრო ჩრდილოეთისაკენ მოიწევდნენ. 1461 წელს თურქებმა ტრაპიზუნტის იმპერიაც შთანთქეს და საქართველოს საზღვრებს უშუალოდ დაუმეზობლდნენ. ქართველებმა, ჩანს, სათანადოდ შეაფასეს მომხდარი აქტი და, როცა 1459 წელს რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი სპეციალური დავალებით ჩამოვიდა საქართველოში და თურქთა წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობა შესთავაზა ქართველ მეფე-მთავრებს, ქართველებმა სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება და შემხვედრი გეგმები წარადგინეს. თუ ევროპელები ითვალისწინებდნენ თურქთაგან მხოლოდ კონსტანტინოპოლის განთავისუფლებას, ქართველები მოითხოვდნენ თურქების განდევნას, მთელი მცირეაზიიდანაც. ეს შესანიშნავი წამოწყება არ განხორციელდა. თურქები სულ უფრო და უფრო აფართოებდნენ თავიანთ დაპყრობით გეგმებს. ასე რომ, მე-16 საუკუნის დამდეგს საქართველოს უშუალოდ დაუმეზობლდა ხონთქარის თურქეთი და შაჰის ირანი. ამიერიდან ქართველებს ეს ორი მტაცებელი ესხმოდა თავს.

1555 წელს ირან-ოსმალეთის შეთანხმება მოხდა. მტაცებლები შეთანხმდნენ და საქართველო ორად გაინაწილეს. ხონთქარს დასავლეთ საქართველო ერგო, ხოლო შაჰს—აღმოსავლეთ საქართველო.

ქართლის მეფემ ლუარსაბ პირველმა (1434—1558) მტაცებელთა შეთანხმებას ბრძოლით უპასუხა. შაჰ-თამაზი ქართლს ოთხჯერ შემოესია. ჩვენი ქვეყნა მტრის ურდოების ფეხქვეშ ითელებოდა. თუმცა ქართველი ლომგულები პარტიზანული თავდასხმებით მტერს დღეს უმწარებდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ, მაგრამ მტრის ჭარბ ძალებს მაინც თავისი გაჰქონდათ.

1556 წელს შაჰ თამაზმა გორი აიღო, აქ პლაცდარმი შეჰქმნა და გორის მახლობლად არსებულ ციხე-სიმაგრეებს შეუტია. ლუარსაბის დედა მზლებლებითურთ ატენის ციხეში იმ-

ყოფებოდა. შაჰ-თამაზმა იერიში მიიტანა ატენის ციხეზე. მტერმა პირდაპირი იერიშით ციხე ვერ აიღო. მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა. მტერმა მოღალატე იშოვნა. კავთისხეველმა ბეთიაშვილმა სპარსელებს ციხის წყალსადენის სათავე მიასწავლა, მეციხოვნეებს წყალი შეუწყვიტეს, დიდი გაჭირვების შემდეგ ციხე დანებდა. შაჰ-თამაზმა ლუარსაბის დედა და 30 000 ქართველი ტყვეთ იგდო და სასწრაფოდ სპარსეთს გაემგზავრა. ლუარსაბი აჩაბეთის ციხეში იყო, როცა ეს საზარელი ამბავი შეიტყო, მტერს დაედევნა, დიდი ვნება მიაყენა, მაგრამ ტყვეები ვერ დაიხსნა.

შიდა ქართლი გაწმენდილ იქნა მტრისაგან, ქალაქი გორი გათავისუფლდა. ამჯერად ქართლის პოლიტიკურ ცენტრად გორი იყო, რადგან თბილისი 1541 წლიდან სპარსელებს ეპყრათ.

1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია 1555 წლის ზავი და ირანს ომი გამოუცხადა. ოსმალეთის ჯარების სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ ჩილდირის ტბასთან სპარსელები სასტიკად დაამარცხა და ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად გამოემართა. იგი ქართლში შემოვიდა. დაუთხანი უძლური აღმოჩნდა ოსმალებთან ბრძოლაში. მან ქართლის ციხე-სიმაგრეები უბრძოლველად გადასცა მტერს და თვითონაც ოსმალებთან გადაბარგდა. იგი ფაშამ ხონთქართან სტამბოლს გაგზავნა და ქართლის გამგებლობას თვითონ შეუდგა.

ირანის შაჰისათვის ყველაფერი ნათელი იყო. მას ახლა მოაგონდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ საიმედო მებრძოლი მხოლოდ სიმონი იყო. სიმონი 1569 წლიდან ირანში იმყოფებოდა ტყვედ.

სიმონს ათავისუფლებენ და იგიც ირანში აღარ აყოვნებს, ქართლში ჩამოდის, იკრებს ძალებს და ემზადება ქართლიდან ოსმალთა გასაძევებლად. სიმონი მიწერ-მოწერას აწარმოებს დასავლეთ ევროპის მბრძანებლებთან და მათ სამხედრო დახმარებას სთხოვს თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან 1598 წლამდე სიმონმა მთელი რიგი ბრძოლები ჩაატარა ოსმალთა წინააღმდეგ.

მან არა ერთი ციხე წაართვა ოსმალებს, ოსმალთა არა ერთი მოკვეთილი თავი გააგორა მიწაზე, მაგრამ ქვეყნის საბოლოო განთავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა თბილისიდან და გორიდან განდევნიდა მტერს. თბილისი და გორი მტრის მთავარი პლაცდარმები იყო. ვახუშტის თქმით „ოსმალთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს ტფილისი საფაშოდ. გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯახად“[1].

1598 წელს სიმონმა გორს შეუტია. ოსმალებს გორის ციხე საგანგებოდ გაემაგრებინათ, ისედაც მიუვალ ციხის კედლებზე ღობურები გაეკეთებინათ და თოფ-ზარბაზნები დაედგათ. პირდაპირი იერიშით ციხის აღება არ შეიძლებოდა. სიმონმა ხანგრძლივი ალყის ტაქტიკა აირჩია. გორის ციხისათვის სიმონს ცხრა თვის განმავლობაში ალყა ჰქონდა შემორტყმული. 1599 წლის გაზაფხულს, დიდმარხვის პერიოდში, მან უცბად ალყა მოხსნა და გაეცალა ციხეს. ოსმალები განცხრომას მიეცნენ. მათ სჯეროდათ, რომ ქართველები დიდმარხვაში არ ომობენ. სიმონმა მოხერხებულად გამოიყენა მტრის გულუბრყვილობა, სულხან თურმანიძესა და ფარსადან ციციშვილს დაავალა კიბეების დამზადება, მოქმედების დროს დაინიშნა. დანიშნულ დროს ქართველები უნდა შეკრებილიყვნენ ლიახვისა და მტკვრის შესართავთან. ყველაფერი დროზე და დანიშნულებისამებრ მომზადდა. მთვარის დალევის დრო იყო. ბნელოდა. ქართლის ლაშქარი დანიშნულ დროზე მოსულიყო. ქართველ პატრიოტებს დავალება პირნათლად შეესრულებინათ, კიბეები და სხვა საჭირო ხელსაწყოები მოეტანათ. ისინი „მტკვრისაკენ მუნჯივით ხმაგამოუღებელი ციხეს მიეპარნეს“, ციხეზე კიბეები ააყუდეს. ხმალამოღებული ქართველები მტრის გასამუსრად მიაბიჯებდნენ კიბეებზე. ქართველთა დიდი ნაწილი უკვე გალავანში იყო გადასული, როცა ოსმალებმა შეიტყვეს თავზე დამტყდარი უბედურება. „ძახილისა, ყვირილისა და ტკაცატკუცის ხმა ამაღლდა“. გორის ციხის აღებას ვახტანგ ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. მტერმა გათენებამდე უწესრიგოდ იქნია

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც., II, გვ. 44.

ბმალი და ბოლოს იარაღი დაყარა. მტერი დამარცხდა. მომხდურ თურქთა სისხლით შეიღება ამაყი გორის ციხის კედლები. ქართველებს დიდი ალაფი დარჩათ და გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ეს იყო 1599 წლის გაზაფხულზე. 1599 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში.

XVII საუკუნის 20-იანი წლები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მძიმე ხანად არის მიჩნეული. 1614 წელს შაჰ-აბაზმა კახეთი მოაოხრა, ქართლში გადმოვიდა, გორში დაბანაკდა და აქედან დაიწყო ქართლის საქმეების „მოგვარება".

თეათინელები, რომლებიც 1628 წელს მოვიდნენ გორში, „საქართველო სპარსელებისაგან ერთიან გაოხრებული დახვდათ. იქაურობას ჯერ ისევ ეტყობოდა მტრის ცეცხლისა და მახვილის კვალი. მცხოვრებნი აღარსად ჩანდნენ, ზოგი გაეწყვიტათ და ზოგიც შორს გადაესახლებინათ; ყველგან ნაცრად ექციათ თლილი ქვის სახლები"[1].

XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ერთგვარი ცვლილება მოხდა. ქართლის მეფედ შაჰმა გამოგზავნა ხოსრო მირზა, დაუთხანის უკანონო შვილი, რომელიც ქართულს ისტორიოგრაფიაში როსტომ მეფის სახელდებით არის ცნობილი.

როსტომს თან მოჰყვნენ სპარსეთში მყოფი ქართველი თავადიშვილები. ამ საერთო ამალაში იყო ბეჟან ამილახვარიც ძეც.

ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი როსტომს მიუვიდა. როსტომის ძირითადი დასაყრდენი მაინც ყიზილბაშური ლაშქარი და სპარსეთიდან მოყვანილი ქართველი თავადიშვილობა იყო.

ფეოდალების დიდი ნაწილი თეიმურაზს ემხრობოდნენ. თეიმურაზის მხარეზე დარჩნენ: ორივე ერისთავები, და იოთამ ამილახვარი. ამ ორ დაჯგუფებას შორის ხშირად შეტაკებებიც ხდებოდა.

---

[1] თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 100.

როსტომმა გაითვალისწინა, რომ თავადთა გამოსვლების დასათრგუნავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-სიმაგრეებს. მან სხვა ციხეებთან ერთად საგანგებოდ და სასწრაფოდ შეაკეთა გორის ციხე. გადმოცემით ამ ციხის შეკეთების დროს 40 დღის განმავლობაში დღედაღამ ოცი ათასი კაცი მუშაობდა. თავადური ომების დროს გორის ციხემ სრულიად გარკვეული როლი შეასრულა, როსტომ მეფის პოლიტიკის განხორციელებაში.

ერთ-ერთი ბრძოლა რომელიც არცევს მოხდა, როსტომის გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულმა როსტომმა „ლაშქრით საამილახორო ჩაიარა, მუხრანი დაარბივა, და ქალაქს ჩავიდა“[1].

როსტომმა საგანგებო ზომები მიიღო, ციხე-სიმაგრეებში ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა, ურჩი თავადები გადააყენა და მათ ადგილზე ირანიდან მოყვანილი ერთგული თავადიშვილები დასვა. იოთამ ამილახვარის ადგილზე 1622 წ. მან სპარსეთიდან მოყვანილი ბეჟანი დასვა და ზემო ქართლის სარდლობა, გორის მოურაობა და საამილახოროს უფროსობა უბოძა.

იოთამი არ შეურიგდა მომხდარ ფაქტს და წინააღმდეგობას განაგრძობდა. როსტომისა და თეიმურაზის ბრძოლები 1632 წლიდან 1648 წლამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ქართლის თავადობაც ორ ურთიერთ მოწინააღმდეგე ჯგუფად დაიყო. თეიმურაზის მომხრე იოთამ ამილახვარს როსტომი თავს დაესხა, „ჰგვემა იგი და განუტევა ფიცით და შემუსრა ციხე ცხვილოსი და სხვანი ვიეთნიმე განაძო და ზოგნი უმკვიდრო ჰყვნა. არამედ იოთამ ჟამთა მჭვრეტი, ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზისა თანა ჟამ როსტომის წინაშე“[2].

იოთამ ამილახვარი იასე ქსნის ერისთავთან ერთად ცდილობს გორის ციხეში მყოფ როსტომზე თავდასხმას. როსტომმა განზრახვა შეუტყო, მათი ცოლშვილი გორის ციხეში და-

---

[1] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 244.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 48.

აკავა და მათი შეპყრობა განიზრახა. ამილახვარმა და ერისთავმა თავს კახეთში გაქცევით უშველეს[1]. რომ თეიმურაზთან არის იოთამ ამილახვარი და „ერთგულებასა ზედა დგომისათვის“ თეიმურაზი სწყალობს, გარდა ისტორიკოსთა ცნობებისა, ჩანს თეიმურაზის მიერ იოთამ ამილახვარისათვის მიცემულ სიგელებიდანაც[2].

მაგრამ იოთამმა ფერი იცვალა, თეიმურაზს წაუვიდა და როსტომს ეახლა. გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „იოთამ ამილახორის დედა მეფის ბიძის ვახტანგის ქალი იყო და იმერეთში ჩიჯავაძეს ედგა, იქიდამენ კარგის ფეშქაშით მეფეს იახლა და შვილის შემორიგებას შემოეხვეწა“. მეფემ შეიწყალა, „ბატონიშვილ თამარს აპატია და საამილახოროც მისცა“[3]. ეს იყო 1646 წელს.

მაგრამ იოთამი ჯერ კიდევ თეიმურაზისა და როსტომის ბრძოლის მსვლელობას უთვალთვალებდა და „ყამთა მჭვრეტი, ყამ იყვის ბატონის თეიმურაზისა თანა და ყამ როსტომის წინაშე“[4]. იგი „საითკენაც დრო დააკელის, იქითკენ იყუის“[5]. ამ ორთა ბრძოლაში იყო ჩაბმული მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობა, „ნაპირის ალაგებს ერთი მეორეს ურბევდეს. ვინც ამათ შემოსწყრებოდეს, ამათ მიუვიდის, ვინც ამათ შემოსწყრებოდეს იმათ მიუვიდის და ამათის საქმით ქართლი და კახეთი მოუსენებელი და არეულ-ალაგებული იყო“[6].

ორთა შორის ბრძოლა სულ უფრო და უფრო როსტომის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, საერთაშორისო სიტუაცია თეიმურაზის საწინააღმდეგოდ იცვლებოდა. ირან-ოსმალეთის ომი, რომლის იმედიც თეიმურაზს ჰქონდა, დამთავრდა. 1648 წლის ომში თეიმურაზი დამარცხდა და საბოლოოდ გაირიყა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან. თეიმურაზის მომხრე თავადები იწყებენ მონანიებას და ითხოვენ შენდო-

---

[1] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ 245.
[2] საქ. მუზეუმი, Hd, 2128, იქვე Hd, 2122.
[3] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 245.
[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 48.
[5] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 180.
[6] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 249.

ბას. ზაალ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახვარი ირანს წავიდნენ და შაჰისაგან პატივდებულნი დაბრუნდნენ როსტომთან.

ამიერიდან ქართველი თავადები თავიანთ სახელოს ირანის შაჰისაგან იღებენ.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, როცა იოთამ ამილახვარსა და ზაალ არაგვის ერისთავს სპარსეთიდან საქართველოში ისტუმრებდნენ, სპარსეთის სამეფო კარზე გააფრთხილეს ისინი: „რასაც როსტომ მეფეს აამებთ და ერთგულათ ემსახურებითო, ჩვენ გვიამებისო და იმისის მოწერილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებისო და ისრევე მისის მოწერილობითა ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო“[1].

იოთამი 1656 წლამდე ამილახორობდა, ხოლო 1656 წელს ამილახორად უკვე გივი პირველია. გივიმ ამილახოროობა შაჰისაგან მიიღო, მას გარდა მისი სახელოდან შემოსავლისა, დაენიშნა ყოველწლიური სარგო ასი თავრიზული თუმანი.

1658 წელს გარდაიცვალა როსტომ მეფე. ქართლში გამეფდა ვახტანგ მუხრანბატონი, რომელიც ცნობილია შაჰნავაზის სახელდებით. გივი შაჰნავაზს ერთგულობდა. მალე იგი მეფეს დაემოყვრა კიდეც — ცოლად შეირთო მეფის ქალიშვილი თამარი.

შაჰნავაზის კარზე გივი საპატიო დავალებებს ასრულებდა. 1661 წელს თეიმურაზ პირველმა ბრძოლა საბოლოოდ წაგებულად სცნო, ფარ-ხმალი დაჰყარა და შაჰს თავი დაუკრა. შაჰნავაზმა „წარავლინა ბატონი თეიმურაზ წინაშე ყეენისა და წარატანა გივი ამილახორი და მიუძღვნა არმაღანნი და ტყვენი ოდიშარნი“[2].

ამ ხანებში იმერეთის საქმეებში ჩაერია ვახტანგი და იქ თავისი შვილი არჩილი გაამეფა. თავისთავად ქართველობის ინტერესებისათვის ეს არ იყო ცუდი წამოწყება, რამდენადაც ქვეყანა, თუნდაც ეფემერულად, ერთიანდებოდა, მაგრამ ის ძალები, რომელნიც გაერთიანების ტენდენციას იცავდნენ და

---

[1] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 254.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., II, გვ. 52

ამაგრებდნენ, იმ ხანად საქართველოში ძლივს ბოგინობდნენ. არც საგარეო პირობები იძლეოდა წამოწყებული საქმის დამთავრების საშუალებას. იმერეთი ხონთქრის ყმა იყო, ხოლო ქართლი — ირანისა. ქართლის მიერ იმერეთის საქმეებში ჩარევა ხონთქარის გულისწყრომას იწვევდა, ხოლო შაჰი ამ ჯერად საქმის გართულებას ერიდებოდა. ყველა ამის გამო ვახტანგ მეფემ უკან დაიხია, არჩილი წამოიყვანა, „წარგზავნა წინაშე ყეენისა... და წარატანა გივი ამილახვარი“[1].

აქ ყეენმა არჩილი „მაჰმადიან-ჰყო გივითურთ“[2]. ასეთივე ცნობა შემოუნახავს გორგიჯანიძესაც[3].

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გიორგი გამეფდა. იგი სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულა. 1688 წელს სპარსეთის მთავრობამ აჯანყებული გიორგის ადგილზე ერეკლე დასვა, ნაზარალხანის სახელწოდებით. გიორგი არ ურიგდებოდა მომხდარ ფაქტს და სპარსელებისა და ნაზარალხანის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას აწარმოებდა; ამჯერადაც ქართლის ფეოდალები ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყვნენ. ერთნი გიორგის მიემხრენ, მეორენი ერეკლეს მზეს ლოცულობდნენ. ორთა შორის დაჯგუფდნენ არა მარტო ცალკეული თავადები, არამედ ამ სახლის შვილებიც. ამ მხრივ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ამილახვრიანთ სახლი.

გივი გიორგის შერჩა, იოთამი ნაზარალხანს მიუვიდა, საამილახვრო მათ მომხრეთა ჯგუფებად დაიყო, ამ საფუძველზე მძლავრობა და ერთმანეთზე თავდასხმა გახშირდა. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანა ნადგურდებოდა. როდესაც გივი ამილახვარი გიორგი მეფესთან ერთად კოჯორს იდგა, იოთამი გორში იყო და „არბევდა მუნიდამ ქართლსა“[4].

ნაზარალხანისა და გიორგის ურთიერთ ბრძოლისა და ამ ბრძოლაში ამილახვრების ადგილის შესახებ ყურადსაღები ცნობებია ნაზარალხანის მიერ ამილახორებისადმი ბოძებულ

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11.
[2] იქვე.
[3] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 72.
[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 63.

სიგელებში. ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ მეფეთ-მეფემ ნაზარალი ხან ესე წიგნი გიბოძეთ, თქვენ ამილახორს იოთამს ასე, რომე ბედნიერის ყაენის ორგულნი ქართველნი რომ ჩვენ უკუ გვიდგნენ და გიორგი მეფე ქართლში საბატონოდ გადმოიყვანეს, ჩვენ ბედნიერის ყაენის ერთგულებისოვის ქალაქის ციხეში შემოვედით და თქვენი ძმა ავთანდილ ჯალაბობრივ დედით და მსახურ-აზნაურიშვილით გორის ციხეში შეხვედით და სამჯერ გიორგი მეფე და ქართველნი შეყრილნი მოგიხდნენ და ციხიდამე ებრძოლეთ და თქვენ გაიმარჯვეთ და გამოაბრუნეთ, მერმე გარშემოადგნენ და ციხეს წყლები მოუჭრეს და აღარც აზუღა შემოუშვეს და ციხის გარშემო რაღაც წყლის გუბი და ყარასუ შეგრჩენოდათ, ისიც კირითა და ძაღლის სისხლით წაგიპილწეს. ორი წელიწადი დანახევარი ამისთანის განსაცდელის საქმითა და სარჯლითა ციხის სიმაგრეს და ჩვენს ერთგულობას ეცადენით და დედა თქვენი და ზოგნი მსახურ-აზნაურიშვილნი და მხლებელნი ციხეში დაგეხოცნენ. იმათი მიწათმიღება ციხეში არ მოხდებოდა და გარეთ ხომ არ გამოგესვლებოდათ. ციხესაც აზუღა მწვედ შემოაკლდა და მიბაში და თათრებიც დიდად შეღონდნენ. თქვენ და მიბაშმა ჩვენ და ბეგლარბეგს აბაზყული-ხანს ბევრჯერ ჯარი და ჯომაგი გუთხოეთ; ჩვენ ხომ ჯარი არა გვყვანდა და ბეგლარბეგს მეც ბევრჯელ ვეუბენ და არ იქნა თქვენთვის ჯარი ვერ გამოვაგზავნინე. ის მუხანათი ბეგლარბეგი თურმე ყაენის ორგული იყო და ყაენის ორგულებისაკენ იყო და არას თავს შეიდვა და არც ჯარი მოგაშველა. ამასობაში შენ დიაღ შეგაღონეს და თუ კიდევ ციხეში ხანი დაგეყო, ციხის აზუღაც დაილეოდა და ციხის აღება შიმშილით მოხდებოდა. მიბაშსაც თქვენთვის წიგნი მოეცა, რომე შენი გასვლა სჯობსო, ციხის სიმაგრეც უფრო მოხდებაო, ჩვენც ასე დასტური დაგეცთ, რომე რადგან ყაენის ერთგულობის და ჩვენს სამსახურს გარედამაც უკეთ ეცდები და კიდევ ბედნიერის ყაენისა და ჩვენი ერთგული იქნებით ჩვენც დასტური მოგეცითო“[1].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1018

XVIII საუკუნის ოციან წლებში მდგომარეობა გართულდა. შაჰმა ქართლი კახეთის მეფეს, კონსტანტინეს გადასცა. ქართლის მეფე ვახტანგ VI კონსტანტინეს წინააღუდგა და მათ შორის ბრძოლა გაიმართა, რაც კონსტანტინეს გამარჯვებით დამთავრდა. ალექსანდრე ამილახვარის თქმით ამ ბრძოლაში „უბრალო ჯარისკაცებს გარდა მრავალი დიდგვაროვანი პირი დაიღუპა, სხვათა შორის ჩემი პაპაც თავისი ღვიძლი ძმით, ორი თანამეგვარითა და ოცდაათის საკუთარი ყმა-აზნაურითურთ; სრულიად შემუსრული იქნა აგრეთვე პაპაჩემის ჯარიც, რომელსაც არ უნდოდა მტრის ხელში ცოცხლად დაეტოვებია თავისი ბატონი“[1]. თავადები გიორგი ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ბარათაშვილები, ციციშვილები — კონსტანტინეს მიუვიდნენ, ზემო ქართლი კი კვლავ ვახტანგს ერთგულობდა[2].

კონსტანტინესა და ვახტანგის ბრძოლით ოსმალეთმა ისარგებლა და 1723 წელს თბილისი დაიპყრო. იესემ (ვახტანგის ძმა) ოსმალებთან საერთო ენა გამონახა, ოსმალებმა ქართლი მას გადასცეს, ვახტანგი კი 1724 წელს რუსეთს წავიდა.

ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი, მათ შორის გივი ამილახვარიც არ ურიგდებოდნენ და ყველა საშუალებით იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. გუფთასთან ბრძოლაში გივი ამილახვარმა სძლია ოსმალებს და დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ მტრის მხარეზე გადასული რენეგატი იესე ოსმალებს ამხნევებს და მაშველი ჯარებით ქართველებს უტევს. ბრძოლა ამილახვარის დამარცხებით დასრულდა[3].

აჯანყებულ ქართლს ოსმალები იარაღით იმორჩილებდნენ და 1725 წ., „ვინაიდგან არღარავინ ჰყავთ წინააღმდგომნი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ

---

[1] მნათობი, 1939 წ. № 8, გვ. 130.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., II, გვ. 85.

[3] იქვე, ქ. ც., II, გვ. 87.

აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ, და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი"[1].

ოსმალური გადასახადები მით უფრო აუტანელი იყო, რომ ოსმალები არ აუქმებდნენ ადგილობრივ ფეოდალურ გადასახადებს. ამის გამო მწარმოებელი ფენა მოსახლეობისა ეკიდურეს გასაჭირში ჩავარდა.

გადასახადის ოსმალური სისტემა ძირშივე განსხვავდებოდა ქართულ საგადასახადო სისტემისაგან. ქართული საგადასახადო სისტემა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიას სხვადასხვანაირად ბეგრავდა, ზოგს მთლად ათავისუფლებდა, ზოგს შეღავათს აძლევდა, ოსმალობა კი „არ სცნობდა თარხანს, აზატს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ სხვადასხვა გადასახადებისაგან, არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით"[2].

1727 წელს იესე გარდაიცვალა. ოსმალეთმა ქართლი რამდენიმე სამოხელეო ერთეულად დაჰყვეს — „სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანის შვილს, მცხეთას ზეით ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივის ამილახორს, მუხრანი და საერისთაონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა რა იგი უხმდათ"[3].

თითოეული ასეთი დანაყოფი თავისებურ, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ საგადასახადო ოლქს წარმოადგენდა. დანაყოფის მეთაური ნივთიერი პასუხისმგებელი იყო ოსმალთა წინაშე. იგი ჰკრებდა საოსმალო გადასახადებს, აწესრიგებდა სოციალურ ურთიერთობას და სხვ. ერთი სიტყვით დანაყოფის მეთაური ოსმალთა სუვერენიტეტს ახორციელებდა ადგილზე.

გივი ამილახვარი, როგორც აღნიშნული იყო, ზემო ქართ-

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 88.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები, 1944 წ., ნაკ. 1, გვ. 179.

[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 88.

ლის მმართველად დაინიშნა. მისი საჯდომი გორი გახდა. 1724 წელს გივიმ გორის ციხის ირგვლივ დიდი არხი გათხარა, შიგ წყალი გაუშვა და ამით ციხე ლეკთა თარეშისაგან მიუვალი გახადა. ზემო ქართლში მრავალი სათავადო იყო. აქ ცხოვრობდნენ: მაჩაბლები, ხერხეულიძეები, ავალიშვილები, თუმანიშვილები, ფავლენიშვილები, ფალავანდიშვილები, ამირეჯიბები და სხვა. აქვე იყო ეკლესიის ყმა-მამული.

ამ ფეოდალთა ურთიერთობა, თითოეული ფეოდალის სახლის წევრთა დამოკიდებულება ამილახვარს უნდა გაერჩია. მაგალითად: „ქ. ვეზირი ისპ(ა)ყ-ფაშა ვიკადრებ. ჩვენს მაგიერ ამილახვარს ბატონს გივს ასე უანბეთ: მერმე ამ ბეჟან თუმანიშვილის გლეხი, სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენი კაცი გაგზავნეთ მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულზედ მოაყვაინეთ“[1].

„ამილახორო ბატონო გიო, ქრცხინვალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათი სამკვიდრო იყოს (ლაპარაკია მაჩაბლებზე, დ. გ.) დ(ა)ჭ(ე)რინე, ნურავის შეაცილებთ“[2].

„ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატივცემულს ამილახორს ბატონს (გივს) მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერმე ამ თუმანიშვილს ფირანს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კომლს კაცს ახ(ა)ლდაბას გოგებას-შვილს ეცილებოდა. გავშინჯეთ, ფირან(ს) იმ კაცის ბარათი ეჭირა. როგორც აქამდინ ფირანს ჰეროდა, ისევ ამისთვის წყალობა გვიქნია და თქვენ გაურიგეთ“[3].

აქ მოტანილი საბუთები ყველა ოსმალთა ბატონობის ხანისაა (1723 — 1735).

გივი ამილახვარი მოხერხებულად სარგებლობდა პრივილეგიური მდგომარეობით და თავის ყმა-მამულს ზრდიდა.

1725 წლის 7 ივლისს ლევან მაჩაბელმა ნასყიდობის წიგნი მისცა გივი ამილახვარს: „...დაგვეჭირა და სათათროს სა-

---

[1] საქ. სიძ. III, გვ. 419.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 201.

[3] იქვე, გვ. 218—219.

ხოვარისაგან დიაღძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა"...[1]

ოსმალების დროს პრივილეგიურ მდგომარეობაში თავადია ძალიან მცირე ნაწილი იყო და რაც დრო გადიოდა ამ ნაწილისათვისაც აუტანელი ჩანდა ოსმალობა. გაბატონებული კლასისათვის (აღარას ვამბობთ მწარმოებელ საზოგადოებაზე) ოსმალობას მხოლოდ გაღარიბება და შიმშილი მოჰქონდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ყმა-მამულზედ დაღებული ხარკის წესიერად გადახდის პასუხისმგებელი ოსმალთა ხელისუფლების წინაშე მებატონეები იყვნენ. ეს მოვალეობა კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა. ხალხის ერთი აღწერიდან მეორემდის გადასახადის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, ხოლო ამა თუ იმ საბატონოს გადახდის უნარიანობა სწრაფად მცირდებოდა: ხარკის გადამხდელები ღატაკდებოდნენ, გარბოდნენ, „იკარგებოდნენ", ზოგს ლეკები იტაცებდნენ, ზოგს თითონ მებატონე ჰყიდდა; საბატონო იცლებოდა, დამუშავებული და სათანადოდ დახარკული მიწები პარტახდებოდნენ, დარჩენილი გაღატაკებული გლეხების კიდევ უფრო დატვირთვა შეუძლებელი იყო, ისინიც დაიფანტებოდნენ და მამული სულ მთლად „ამოწყდებოდა"... მებატონე ცდილობდა ხელიდან გაეცალა აღრე აუტანელი ტვირთად ქცეული მამული. ჩალის ფასად ჰყიდიდა მამაპაპის ნამემკვიდრევს, ან, ხშირად, სრულიად მუქთად უთმობდა მას უფრო შეძლებულ თავის სახლის კაცს, რომელიც ამ მამულზედ დადებული ხარკისათვის პასუხისმგებლობას ოსმალთა წინაშე ამიერიდან თვით იკისრებდა"[2]. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველი ხალხი მახვილს ლესავდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 215.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქ. ისტორიიდან, მასალები, I, 1944 წ., გვ. 181.

აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. ჯერ კიდევ 1724 წლის შემოდგომაზე შანშე ქსნის ერისთავი აჯანყებისათვის ემზადებოდა და რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI დახმარებას სთხოვდა, აქაურ ამბებს ატყობინებდა: „...მღთის ძალით ღონე მოსტყდა ამ თავლაფიანს ოსმალსა“[1].

მართლაც, რომ ქართველები მუდმივი აჯანყებებით ოსმალებს „ღონეს უტეხდნენ“, მაგრამ თუ ოსმალთა ბატონობა კვლავ გრძელდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავადურ საქართველოს ერთპირობა არ შეეძლო საერთო მტრის წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება. ოსმალთა წინააღმდეგ ამოქმედდა გივი ამილახვარიც. 1733 წ., ბესარიონ კათალიკოსი ატყობინებდა რუსეთში მყოფ ვახტანგ VI, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ქართველები სულ უფრო და უფრო ერთდებიან და რომ ქართველებს სურთ ვახტანგი ჩამოვიდეს საქართველოში და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგეს სათავეში. ეს საერთო სურვილია და „ამილახორს კიდევ უფრო გულით უნდა“[2].

ამავე 1733 წ. თვით გივი ამილახვარი წერდა: „ღმერთმან ამდენი მოწყალება მაღირსოს, მაგათ წინ სისხლი დავაქციო“[3].

გივი რომ აჯანყების მოლოდინში ყოფილა და ვახტანგს ერთგულობდა, ეს ჩანს შანშე ერისთავის წერილიდანაც, რომელიც ვახტანგს გაუგზავნა. „თვითონ ამილახვარმაც წიგნი გაახლოთ, შენ ნუ მამიკვდები, დაიჯერეთ, დიდად ერთგული არის თქვენი და დიდის სამსახურის მცდელი არის და მომ-

---

[1] ბროსე, Переписка грузинских царей с российскими государями, стр. 174.

[2] იქვე, გვ. 199.

[3] იქვე, გვ. 204.

ჰირნე. ამაზე გუნება დააჯერეთ, ამას გუნებაში თქვენი ურიგო დაუმსახურობა არა ძეს, ამისი თავდები და მოპირე მე ვიყო. არაგვის ერისთავია და ესეც ერთგულია, რომ არ იყოს არ იქნება. დამიჯერეთ, ეს ორი კაცი, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ. სხვა ვინ არის ქართლში, რომ უარი და ჩვენი დაუმჯერებლობა ქნას და შეიძლოს... ამას უკეთესი დრო არ იქნება, ამილახვარმაც ხომ მოგწერათ და ზეპირადაც დააბარა"[1].

როგორც აღნიშნული იყო, ქართველები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ და ძალით იცავდნენ ქართველობას. ბრძოლის ფორმები სხვადასხვანაირი იყო; ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ და თავხედ ოსმალებს მადას უმცირებდნენ, ზოგჯერ ქრთამს იღებდნენ და ამით ქართველობას ინარჩუნებდნენ. ასე რომ, გარკვეულ მომენტში ქართველები ბრძოლის იმ გარკვეულ ხერხებს იყენებდნენ, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა. ბრძოლას სათავეში ხან გივი ამილახვარი ედგა (თუმცა გივი ოსმალთა სამსახურში იყო, მაგრამ ქართველებისათვის მას არ უღალატია), ხან შანშე ერისთავი, ხან მაჩაბელი, ხან არაგვის ერისთავი, და ასე შემდეგ.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გივი ამილახვარს.

ოსმალთა ბატონობის შავბნელ პერიოდში გივი ზემო ქართლს განაგებს. იგი ოსმალთა სამსახურშია, მაგრამ ყველა საშუალებით ცდილობს ჩაშალოს ქვეყნის გათათრების საქმე. ამ მხრივ ყურადსაღებია ერთი ფაქტი. 1727 წელს რენეგატი იესე რომ გარდაიცვალა, ოსმალებმა ადგილობრივი ხელისუფლება (თუმცა იესეს დროსაც ცენტრალური ხელისუფლება უფრო ნომინალური იყო, ვიდრე რეალური) გააუქმეს. ქართლი ხონთქარმა ისაყ-ფაშას ჩააბარა და მას მტკიცედ დავალება მისცა, — სიონი მიზგითად გადაექცია და ქართველ-

[1] ბროსე. Переписка грузинских царей с российскими государями, стр. 205.

თა გათათრება დაეწყო. ქართველთა ეროვნულ დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდა. ოსმალთა ამ ლაშქრობას წინ აღუდგა გივი ამილახვარი და კარზე მომდგარი ბოროტება ააცდინა ჩვენს ქვეყანას.

გივი ამილახვარის ამ პატრიოტულ ინიციატივას იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რომ გივის პატივსაცემად ყოველწლიურად სიონის ეკლესიაში ჟამს სწირავდნენ. 1727 წლის 8 აპრილს ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტმა დომენტიმ გივი ამილახვარს შემდეგი შინაარსის წიგნი მისცა: „ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ ორბელისშვილმან ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტმან დომენტიმ და ერთობილთ სიონთა ღვთისმშობლის კრებულთ, თქვენ ღთისმოყვარესა და მართლმადიდებელს ამილახორს ბატონს გივის; მას ჟამსა ოდეს აღაოკრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღთის მშობელი, შემდგომათ მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა; მაშინ პატრონობდა ვეზირი ისაყფაშა ახალციხისა; ბრძანება და ფარმანი მოსლოდა ხონთქრისაგან, სიონთა ღვთისმშობლის ტაძრის მეჩიტად შექმნა ინებეს. ჩვენცა წმიდამ ღთის მშობელმან თქვენი თავი გამოგვიჩინა დამკსნელად და ნუგეშინის მცემლად, მოვედით ჩვენის კრებულით დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ; თქვენი ვინცა ვინ ქართველნი დარბაისელნი იყვნენ თანაშემოიყარენით და ამის შეწევნასა და დახსნას გულსმოდგინედ ეცადენით: მიხვედით ფაშასთან, არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდევით. თითქმის დატყვევება და მოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა იმანაც ყურთ მიუგდო თქვენს მოხსენებასა, კელი აიღეს, დიდად დაგაშადლეს და ფეშქაშიც მრავალი გაიღევით და საყდარსაც შესწირეთ. რადგან ამდენი სასყიდელი და ჰირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე, ჩვენ სხვაფერ ვერას გამსახურებდით და ეს პირობა მოგვიხსენებია რომე, რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი, ისივ ახალკვირას წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ

დღეს იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენი კრებულნი ერთობილნი ჟამს გიწირევდით თქვენ და თქვენთა შვილისშვილთა დაუვიწყებლად მოვიხსენებდეთ“[1].

1734 წლისათვის ოსმალებს საქართველოში დღე ელეოდათ. მართალია ვახტანგი რუსეთიდან რეალურ დახმარების იმედს არ იძლეოდა, მაგრამ ქართველ პატრიოტებს მხნეობა არ დაუკარგავთ და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ირაზმებოდნენ. საერთო მტრის წინააღმდეგ სამზადისში ქართლის თავკაცებს ურთიერთ მტრობა „დაევიწყათ“ და საერთო მტრის გასაჟლეტად „ძმობა-ერთობა“ ჩამოეგდოთ. ამასობაში საგარეო ხელსაყრელი პირობები შექმნილიყო. ერანი შეტევაზე გადმოსულიყო და უკვე ამიერკავკასიის ციხე-სიმაგრეებში ჟლეტდა ურუმთა მეციხოვნე გარნიზონებს. მომენტი დადგა და ქართველებიც შეტევაზე გადავიდნენ. ქართველებმა „მოწყვიტნეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად, აგრეთვე გივი ამილახორი შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე“[2].

ამილახვარისაგან გორის ციხის განთავისუფლების ამბავი უფრო სრულყოფილად აქვს აღწერილი სეხნია ჩხეიძეს. 1734 წლის ოქტომბერს—მოგვითხრობს ჩხეიძე—„შეიყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუკს ღამით, დაიქვეითა თვითონ და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ ღამით და დაიმალა ჯარი სასახლეშია, ვერა იგრძნეს ურუმთ, ციხეში მიუჩინეს ოთხი გამოჩენილი ვაჟკაცი, მისცეს საბოძვარი, ვითარცა ურუმნი ხეებსა ზიდვდენ, ვინცა აუტანდათ არას უკითხევდენ. გათენდა, ამ ოთხმა კაცმა შეიდვეს ძელები მხართა, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდვან, ერთი აქათ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ. გააღეს კარი ციხისა და გამოვიდნენ ციხიდამ ურუმნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და დააგდეს კართა ზედა: იდროეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თურე ყარაულმა იგრძნა, მოასწრეს კარი ქვე-

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 733.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 91.

ით გალავნისა, შეიქმნა ცემა გორში. ამ ოთხმა კაცმა გაიკრა სატევარს ხელი, თურე დამალული ქონდათ, შეუხდენ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მიუხდენ ენგიჩარ აღას, დასჭრეს: გამოვიდნენ მშვიდობით, ჩამოვიდნენ კარსა გალავნისასა, მოკლეს მცველი კარისა, დალეწეს კლიტენი, გამოვიდენ უზიანოდ და ვინცა ვინ ციხიდამ ურუმნი გამოვიდნენ ამოსწყვიტეს, დაიჭირეს"[1].

გამარჯვებულმა გივი ამილახვარმა გორის ციხეში თავისი კაცები ჩააყენა და ოსმალთა მოჭრილი თავები სპარსთა სარდალს — ნადირს გაუგზავნა[2].

აჯანყებულ ქართველთა მეთაურები ნადირს ეახლნენ ერევანს, მათ შორის იყო გივი ამილახვარიც. ნადირმა ისინი შეიპყრო.

1735 წლის ოქტომბერში ნადირი ერევნიდან თბილისს წამოვიდა „გაპაროდა სომხითიდამ ამილახვარი გივი, მუხრანის ბატონი, ავალისშვილი ქაიხოსრო, მივიდნენ თავთავისათ"[3].

ჩანდა ოსმალთა წინააღმდეგ ამოღებული ხმალი ქარქაშში არ ჩაიდებოდა, იგი საჭირო იყო ახალი დამპყრობელის— ერანის წინააღმდეგ.

გივი ამილახვარი იძულებული იყო იმერეთს წასულიყო[4]. სხვანი სხვაგან შეიხიზნენ. სისხლიანი ნადირი ქართლს აოხრებდა. მან „დაიქცია ციხე გორისა, ქალაქსთაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემოქართლს, ოთხი ათასი საციციანოს: არაგვის ერისთავი ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვევით, აწერის ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემოქართლისა, ვახანიდამ დაწყებული მუხრანამდე ააოხრეს, დაატყვეს, დასწვეს"[5].

ასე დაიწყო ყიზილბაშობა.

---

[1] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქ. ც., 11, გვ. 338.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 339.
[4] იქვე.
[5] იქვე

ნადირმა თავის წარმომადგენლად ქართლში სეფი-ხანი დანიშნა, მას დაევალა აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა, საამისოდ ყიზილბაშთა რაზმები აახლა სეფი-ხანს.

სეფი-ხანმა ქვეყანას ახალი გადასახადები შეაწერა. ქართლს სამი ათას სამასი თუმანი და ხუთასი მხედარი უნდა გამოეღო. ამან აჯანყებულთა რიგები კიდევ უფრო გაზარდა, აჯანყებამ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო.

სეფი-ხანმა აჯანყების მეთაურთა გათიშვა შესძლო. მან „მოიტყუვნა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლო შანშე ივლტოდა, და წარუვლინა ისპაჰანს შაჰნადირს“[1].

ლტოლვილი შანშე თავის მამულში მივიდა და ქართველთა აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მან საგანგებოდ გაამაგრა ქსნის საერისთაოში არსებული ციხე-სიმაგრეები და პარტიზანული თავდასხმებით სიცოცხლეს უმწარებდა ყიზილბაშებს. იგი თავს დაესხა გორის ციხეში მყოფ სპარსთა გარნიზონს, ამოჟლიტა მეციხოვნეები და გაიტაცა ხაზინა. კალიუბკინის ცნობით ხაზინიდან გატაცებული თანხა 70 000 მანეთს უდრიდა. ნადირ შაჰის მოხელეთა მკაცრი ზომები საქმეს ვერ შველოდა.

1738 წელს ტყვე ქართველები, მათ შორის გივი ამილახვარიც, ნადირ-შაჰმა საქართველოში დააბრუნა და ქართლი სამმართველოდ ხანჯან-ხანს მისცა.

ვერც ხანჯან-ხანმა დაამშვიდა ქვეყანა. ყიზილბაშთა მძლავრობას თან სდევდა ლეკთა თარეში და ფეოდალთა ურთიერთ მტრობა. შანშეს ყიზილბაშებმა არაგვის ერისთავები და ამილახვრები დაუპირისპირეს. ასე რომ, „შანშეს ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩქარა ქართლის თავადების ურთიერთ შორის ბრძოლად იქცა. შანშე ლეკებით საამილახოროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებსა სპობდა და ორივენი კი ქართლის გაოხ-

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., II, გვ. 92.

რ ე ბ ა ს ა ჩ ი ო დ ნ ე ნ“[1]. აჯანყებული შანშე ერისთავის გასატეხად ცბიერმა ნადირმა ქსნის საერისთაო გივი ამილახვარს გადასცა და „დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა“[2]. მასვე „ჩააბარა“ ვექილობა ქართლისა“[3].

გივი ამილახვარი უნათესავდება ბეჟან არაგვის ერისთავს; შედის ქსნის ხეობაში და იმორჩილებს ქსნის საერისთავოს[4].

ამ ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული ერთი ქართული ხალხური ლექსი:

„ამილახვარმა გასტეხა
შანშე ერისთვის კარები,
შევიდა, გამოიტანა
თვალშუდგამი ლალები“.

1741—1742 წწ. ნადირ შაჰი დაღესტანში დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს დაღესტნელ ლეკთა წინააღმდეგ. ლეკები მედგრად იცავენ თავს და დიდ ზიანს აყენებენ დამპყრობელ შაჰს.

ლეკებთან ომის წარმოების დროს ნადირი სულ უფრო ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ქართველებს. ნადირმა 1741 წელს სპეციალური აღწერა ჩაატარა ქართლ-კახეთში და საგანგებო გადასახადები შემოიღო. „ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველთ ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხარკი დასდვეს. ეგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხარკი დასდვეს, ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღსაშინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქ. ისტორიიდან, მასალები, I, 1944 წ., გვ. 197.

[2] პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, ქ. ც., 11, გვ. 346.

[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., 11, გვ. 93.

[4] იქვე.

სი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე, პირუტყვზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლისკაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო"[1].

ასეთი გადასახადების შედეგად ქვეყანა დაღუპვის კარზე მივიდა, ხალხი დაიმშა და დედა შვილს ლუკმა პურზე ჰყიდდა, მოსახლეობა მასიურად გარბოდა ქართლ-კახეთიდან. პაპუნა ორბელიანის თქმით „მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო"[2].

შანშე ქსნის ერისთავის დამარცხების შემდეგ ქართლის თავკაცები დაღესტანში გაიწვია ნადირმა. მათ „დაუმადლა ერთგულება". ქართველებმა შაჰს „მოახსენეს ქვეყნის წახდენა"[3]. შაჰი შეპირდა „თქვენს შეძლებას ყველას შევიტყობ და იმით გიმსახურებო"[4].

დაღესტანში ჩასულ ქართველ თავადებს ნადირმა შესაფერისი თანამდებობანი მისცა და ჯამაგირიც გაუჩინა.

ამილახვართა სახლიდან შაჰს ეახლენ გივი და ოთარი. გივის მეორე ვექილობა მისცა და ასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა, ხოლო ოთარს ქეშიკბაშობა უბოძა და ჯამაგირად ორმოცდა ათი თუმანი დაუნიშნა[5].

ნადირი ცდილობდა ქართლ-კახეთის გაბატონებული კლასის ყველაზე უფრო გავლენიანი პირები თავის მხარეზე გადაეყვანა. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ თავადთათვის ჯამაგირების დანიშვნა, მაგრამ იგი მაინც მიზანს ვერ აღწევდა, რადგან მისი საქმიანობა არც ერთს სოციალური წრის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. მართალია, შანშე ქსნის ერისთავის აჯანყება ჩააქრეს და ქსანი გაავერანეს, მაგრამ ქართველებს ჯერ კიდევ გააჩნდათ ძალა ყიზილბაშობისაგან თავი იარაღით დაეცვათ.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., 11, გვ. 345.
[2] იქვე. გვ. 347.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ისედაც გაჭირვებულ ქვეყანას ნადირმა ოცი ათასი ხარვარი პური შეაწერა. ეს გადასახადი აღემატებოდა ქართველთა ფაქტიურ შეძლებას. გივი ამილახვარმა დაინახა, რომ ამ ახალმა გადასახადმა ქართველებში საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყებისათვის საშინაო ხელსაყრელ პირობებს ზედ ერთოდა საგარეო პირობებიც. „დაღისტანში ლაშქრობამ ნადირ-შაჰს საქმე მეტად გაურთულა. ლეკების დამარცხება-დამორჩილება მან ვერ შესძლო. ჩრდილოეთიდან რუსეთი ამოქმედდა. ბაქარ ვახტანგისძეც კი ასტრახანს მოსულიყო. რუსეთის დახმარებით ის ქართლში გამეფებას აპირებდა. დასავლეთიდან ოსმალეთი იმუქრებოდა. ასეთ პირობებში ქართლის აჯანყება ერანის შაჰისათვის საჩიფათო რამ იყო“[1].

ჩანს გივი ამილახვარმა მომენტი სათანადოდ შეაფასა და აჯანყების ხელმძღვანელობა ითავა.

ამ აჯანყების დაწყების შესახებ თანამედროვე ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი შემდეგ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. „თვესა აპრილსა (ლაპარაკია 1742 წლის აპრილზე, დ. გ.) თერთმეტსა, ღამესა ბზობისასა, ქალაქიდამ ღამე გაიპარა გივი ამილახორი, რომელი იყდა ვექილად, წავიდა თავისის ცოლშვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთვის შვილის ცოლი. პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი ზემო ქართლისანი, ამავებზობის ღამეს გამოიპარნენ იორის პირიდამ, რომელნი ახლდენ ჯარად ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორთან. რა მივიდა მცხეთას ამილახორი ჩამოეგება არაგვის ერისთავი ბეჟან ჯარით, ხიდი მცხეთისა ჩავარდნილი იყო და ნავტიკები მზად დაახვედრა. გავიდნენ უვნებლად და მივიდნენ დუშეთს“[2].

ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია. ირკვევა, რომ გივის გაქცევა თბილისიდან ნაუცბათარი არ ყოფილა. მას, ჩანს, აჯანყებისათვის წინასწარი სამზადისი ჩაუტარებია და განდ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქ. ისტორიიდან, მასალები, I, 1944 წ., გვ. 202.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., 11, გვ. 350.

გომის დღეც წინასწარ ყოფილა განსაზღვრული. თუ ეს ასე არა, სხვანაირად ძნელია ავხსნათ, რომ ზემო ქართლის თავადები, რომლებიც ივრის პირას იყვნენ, იმავე ბზობა ღამეს განდგნენ, ხოლო არაგვის ერისთავი ჯარითა და ნავტიკებით მცხეთას დახვდა ამილახვარს.

გივი ამილახვარი აჯანყებას შემდეგი მიზეზით ასაბუთებდა: „ქვეყანა ოხერი შეიქნა და არა გამოდიოდის-რაო, ვეღარ შევძელ სამსახური ხელმწიფისა და წაველო“[1].

გივი ამილახვარი მივიდა დუშეთში, შეკრიბა არაგვისა და ქსნის ხეობის თავკაცები და ბრძოლის გეგმები გააცნო. ამავე დროს გივი ამილახვარმა „ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გაიერთა“[2].

ასე რომ აჯანყებამ თითქმის მთელ ქართლში იფეთქა. არაგვის, ქსნის ხეობისა და საამილახვროში არსებული ციხე-სიმაგრეები საგანგებოდ გაამაგრა გივი ამილახვარმა და ქართლის გარეთაც მოკავშირეების შოვნას შეუდგა. საამისოდ, ერთის მხრივ, ლეკ-ოსმალოს მოიხმობდა, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთში მყოფ ბაქარს სთხოვდა შველას.

ყიზილბაშთა მოხელეები გონს მოვიდნენ და ერთგვარი ზომებიც მიიღეს, თბილისში მყოფი ზემო ქართლის თავადები დაიჭირეს და „მაღალ ციხეში დააპატიმრეს“. ასევე შეუყარეს მათი ჯალაბიც. შემდეგ შეეცადნენ თვით ამილახვრიანთ სახლში ჩამოეგდოთ მტრობა. როგორც აღნიშნული იყო, ნადირმა ქეშიკჩაღასბაშობა ოთარს უბოძა, ოთარი დაღესტნიდან რომ ბრუნდებოდა გზაში გარდაიცვალა და შაჰმა მამის თანამდებობა შვილს—რევაზს უბოძა. ახლა გივი ამილახვარი რომ გამდგარი იყო სპარსელები რევაზზე ამყარებდნენ იმედს. იგი გორში გაგზავნეს და დაავალეს გივი არ შეეშვა გორის ციხეში. რევაზმა გორში მისვლისთანავე ყიზილბაშებს უღალატა და გივისთან გამოცხადდა[3].

ნადირ-შაჰმა დაინახა, რომ გივი ამილახვარის აჯანყება

---

[1] პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 350.

[2] იქვე.

[3] იქვე.

სერიოზულ ხასიათს იღებდა. მან ბარდის ხანის პირით შეუთვალა გივის „თუ ჩამოხვიდე არაფერი ხელმწიფისაგან არა დაგიზიანდესრაო“[1].

ასეთივე თხოვნა გაუმეორეს შემდეგაც, მაგრამ „არა ინება და ვერას ღონისძიებით ვერ დაიმორჩილეს ამილახორი“[2].

ნადირ-შაჰმა, ამის შემდეგ, ბრძანება გასცა ძალით დაემორჩილებიათ გივი ამილახვარი. ყიზილბაშები გორს მიადგნენ და მახლობელი სოფლების რბევა-აწიოკება დაიწყეს[3].

გივი ამილახვარმა სურამის ციხე გაამაგრა, ციხეში სანდო ხალხი ჩააყენა და თვითონ ბორჯომის ხეობაში პეტრეს ციხე დაიკავა და ოსმალეთთან კავშირი გაიბა. ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლელები ახალციხის ფაშის მხარდაჭერას გრძნობდნენ. ამჯერადაც ახალციხის ფაშამ გივის ტყვია-წამალი მისცა და სხვამხრივაც „პირდებოდა მოხმარებასა ამილახვარსა“[4]. გივიმ ოსმალეთთან საქმეები მოაგვარა, ქართლის მთის ძირში მყოფი ციხე-სიმაგრეების მზადყოფნა შეამოწმა და სხვილოს ციხეში მოვიდა.

ნადირ-შაჰის ბრძანებით ქართლში მყოფ ყიზილბაშებს ერევნისა და განჯის დამხმარე ჯარები მოუვიდათ. ამიერიდან „ყოველდღე წავიდის ამათი მარბიელი და მოარბივის მთას აქეთი, დაწვის მოსავალი ანუ შენობა“[5].

სპარსი მოხელეები შაჰის სახელით შენდობას ჰპირდებოდნენ გივი ამილახვრის მომხრე თავადებს და წყალობას აღუთქვამდნენ. ამ გზით მათ ერთგვარ შედეგს მიაღწიეს. თავადთა ნაწილი ყიზილბაშთა მხარეზე გადავიდა და გივის წინააღმდეგ ბრძოლა იკისრა. ქრთამ-საჩუქრებით დაბრმავებული ზოგი თავადი მტრის წისქვილზე წყალს ასხამდა და ძმათა სისხლით იბანდა ხელებს. ზაალ ავალიშვილმა საჩუქა-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 351.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 352.

[4] იქვე.

[5] იქვე.

რი მიიღო იმამყულიხანისაგან, შევიდა ბორჯომის ხეობაში, გასტეხა პეტრეს ციხე, გამოიყვანა გივის კაცები და შიგ თავისიანები ჩააყენა[1].

ამის შემდეგ ყიზილბაშებმა ჭალაზე, ამილახვრების რეზიდენციაზე მიიტანეს იერიში. ამ დროს გივი ამილახვარი იქვე ახლოს, სხვილოს ციხეში იყო გამაგრებული. მან თავის მხრივ მომხდურ ყიზილბაშთა ჯარზე იერიში მიიტანა. ბრძოლას ასე აგვიწერს პაპუნა ორბელიანი: „გავიდის გარეთ ამათი მებრძოლები და გამოვიდის იმათი, იყვის ომი ფიცხელი, დაიხოცის ორგნითვე ურიცხვი“[2].

ჭალის ბრძოლიდან დაბრუნებული ყიზილბაშები არაგვის საერისთაოში შევიდნენ. ოტია ერისთავიშვილმა მედგარი ბრძოლა გაუმართა მტერს და ყოველი წვრილმანი გამარჯვება მტერს დიდ მსხვერპლად დაუსვა. ყიზილბაშებმა საბარათიანოს ჯარი მოიშველიეს და ბაზალეთში დაბანაკდნენ. არაგვის საერისთაოში ყიზილბაშები 15 დღეს დარჩნენ და კვლავ გორს შეუტიეს.

გორში ყიზილბაშებმა „დაუწყეს ზემოქართლის რიგება და მალუჯათისაც თხოვნა დაუპირეს“[3]. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი ფეოდალები, რომ ყიზილბაშები მათ კარგს არაფერს უქადიან და ის თავადები, რომლებიც ყიზილბაშებს შერიგებოდნენ, კვლავ გაიპარნენ გორიდან. ქართლის ხანმა საბაბი იშოვა და ქართლი დაარბია, ქართლისა და სურამის მხარე გაავერანა[4].

შიდა ქართლის ბრძოლების შემდეგ ხანი თბილისისაკენ წამოვიდა და გზაზე რაც მოიხელა მიწასთან გაასწორა, ამ დროს დაანგრია კასპის ციხეც[5].

თუ ქართლის ველების დარბევა მტერს ადვილად შეეძლო, სამაგიეროდ ქართლის მთიანეთი და მთის ძირი მტრი-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 352.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ 353.
[4] იქვე, გვ. 352.
[5] იქვე. გვ. 353.

სათვის შედარებით მიუვალი ჩანდა და გივისაც თავისი ძირითადი ძალები აქ ჰყავდა თავმოყრილი.

აჯანყებულ გივი ამილახვრის ძალთა განლაგების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იესე ოსეს ძე: „სურამის ციხეში თვითონ იჯდა... ახალდაბის ციხეში დიმიტრი იდგა, კეხვს სარიდან, წირქვალის ციხეს რევაზ იდგა ამილახორისშვილი, არაგვზე ბეჟან ერისთავი შემოფიცებული და სიძე იყო და ის იდგა“[1].

გივი ამილახვრის ბრძოლების შესახებ, გარდა იმისა, რომ უხვად შემოუნახავს ცნობები ქართულ ნარატიულ წყაროებს, ძვირფას ცნობას გვაწვდის თვით გივი ამილახვრის ერთი წერილი, რომელიც მას რუსეთს გაუგზავნია ბარძიმ და ლუარსაბ ამილახვრის შვილებისათვის 1743 წელს.

რადგან წერილს ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს: „...ჩვენ დიდ მარხვაში ზემო ქართლს წავედით, ლაზარობა დღეს სურამს მოვედით. თიბათვისა ოცდახუთი ვიყავით. ამიტომ ზემო ქართლში ჯარის ფიქრი იყო. ყიზილბაშს იქით არა წაეხდინა რა. ზოგიერთი კაცი ტყეში ერეოდა. იმისი პირობა და ფიცი გამოვართვი. აღარავინ გარეულა ტყვის გასყიდვაში. ციხეებიცა გვქონდა საკეთებელი: სურამი და ახალდაბა. ახალციხის გზაც გავარიგეთ. ვისაც სავაჭრო უნდოდა ქართველს კაცსა, ყველა ახალციხიდან მოდიოდა. ამ ჯაანისათვის ვიყავით ზეითა. ოც თიბათვეს მეჯვრისხევს ჩავედით. გაგვცეს ქართველებმა. აჯიხან სარდალი, ალიხან ავღანი, რაც ყიზილბაშის ჯარი იყო დაგვიმალეს. წინა დილა რომ ინათა მოვიდნენ ჩვენზედ. აძვის ვენახებთან ვიყავით ჩამომხდარი. ყარაულებმაც მოასწრეს ჩვენმა და იმათმაც. შორიდან — ..აჰალახ! აჰალახ! აჰალახ! დაიძახეს, მანამდე ჩვენც მზად დავხვდით და ღვთის მადლით ადრე გავაბრუნეთ. მერმე აჯიხან კიდევ ცალკე დამალულიყო. ჩვენზედ მოვიდა უმეცრად. შვიდ საათს ომი იყო. ღთნ ხელი მოგვიმართა. ბევ-

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, ავთ. იოსელიანის გამოცემა. გვ. 7.

რი კაცი და ცხენი დავუმარცხეთ. გაბრუნდა. ის შორს წავიდა. ჩვენ წამოვედით. ცხვილოს მოვედით 23 თიბათვესა, წირვის დრო იყო"[1]. ნადირი კბილებიდან ცეცხლს ჰყრიდა გივი ამილახვრის აჯანყების გამო. მუქარას უთვლიდა: „ქართლში მიწასაც აღარ გაუშვებო"[2].

ნადირ-შაჰი დარწმუნდა, რომ შაჰაბაზისეული გეგმით საქართველოს ვერ წამოაჩოქებდა და დათმობის გზა აირჩია. ქართლ-კახეთს გადასახადები შეუმცირა, თეიმურაზი მოიმადლიერა და გივის შერიგების სურვილი გამოთქვა. თეიმურაზს მისწერა: „შენ თავდებად დაუდეგ ამილახორსაო, რომ ჩემგან არა დაუშავდეს რაო"[3].

თეიმურაზი ავჭალას მივიდა და ნადირის დანაბარები აცნობა გივის. გივის ყიზილბაშთა წინააღმდეგ საბრძოლველად შვიდი ათასი ლეკი მოეყვანა და ქართლის ციხე-სიმაგრეებში დაეყენებინა.

ლეკები თავნებობდნენ და ამის გამო გივიმ თეიმურაზს შეუთვალა: „ამდენი ლეკი შინ მიდგასო, ეს გამაცალეთ და მე ჩამოვალო".

რა თქმა უნდა, გივი ამილახვრის მიუსვლელობის მიზეზი ლეკები არ იყვნენ. მას ჯერ კიდევ ბევრი სხვა პრეტენზიები ჰქონდა სპარსეთისადმი და მისი აზრით ამ პრეტენზიების დაკმაყოფილება მხოლოდ აჯანყების გზით შეეძლო.

ნადირ-შაჰმა აჯანყებულ გივი ამილახვრის წინააღმდეგ ადერბაიჯანის სარდალი ფათალი-ხანი გამოგზავნა. იგი თბილისში მოვიდა, და, როგორც თვით გივი ამილახვრის ზემოთ მოტანილი წერილიდან დავინახეთ, გივის წინააღმდეგ ჰაჯი-ხანი გაგზავნა. ჰაჯი-ხანი გივიმ ჭალასთან დაამარცხა და სირცხვილეული უკან გააბრუნა.

როგორც დავინახეთ, ყიზილბაშთა ლაშქარი არაერთხელ შევიდა საამილახვროში, მაგრამ ყველა ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.

---

[1] „მეცნიერების მოამბე", 1936 წ., გვ. 119—120.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, კ. ც. გვ. 354.

[3] იქვე.

ფათალი-ხანმა იცოდა ნადირ-შაჰის დავალების შეუსრულებლობას რა მოჰყვებოდა და ამის გამო გივის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციას თვითონ ჩაუდგა სათავეში. იგი მეტეხს მივიდა, იქ დაბანაკდა და ამილახვარს შეუთვალა: „ნუ გეფიქრება ხელმწიფისაო, რაც შენი საწადელი არის, მე აგითავებო“[1]. გივი ამილახვარი შეეცადა ფათალი-ხანის ლაშქრობის მოსალოდნელი აოხრებისათვის თავი დაეღწია. ამისათვის საჭირო იყო საკუთარი ძალების მობილიზაცია. ეს კი დროს მოითხოვდა. ფათალი-ხანის წინადადებაზე გივი ამილახვარმა პასუხი გაუგზავნა. სამი დღე დრო ითხოვა და თან აცნობა მას, ლეკის დიდი ჯარი დაღესტანში მიდის ალაფით, ისინი დაამარცხეთ და „მეც თქვენს სამსახურში მოვალო“. ფათალი-ხანს ჰკვაში დაუჯდა ამილახვარის პასუხი. იგი ლეკებს გამოეკიდა. გივის ხერხმა გასჭრა; მასზე მოსული მტრის ძალები ლეკებს დაუპირისპირა.

ფათალი-ხანი ნადირ-შაჰს უკან გაეწვია და ქერიმ-ხანისათვის დაევალებინა ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა.

გივი ამილახვრის აჯანყება გრძელდებოდა. პერსპექტივა არ ჩანდა. გივის მომხრე ფეოდალებს ზარალი მოსდიოდათ, ყიზილბაშთა ჯარები დაეხეტებოდნენ მათს მამულში. დაუსრულებელი ომები განსაკუთრებით მშრომელ მოსახლეობას ანადგურებდა. ამიტომ მათ თვალში არა მარტო ყიზილბაშები ჩანდნენ თავიანთ მტრებად, არამედ ადგილობრივი საკუთარი ბატონებიც. გივი ცდილობდა ასეთი შინაური უკმაყოფილება ჩაექრო. იგი სასტიკად გაუსწორდა არაგვის საერისთაოში მომხდარ შეთქმულებას.

პაპუნა ორბელიანის აზრით, გივიმ იმიტომ გამოიჩინა ასეთი სისასტიკე, რომ თუ „არაგვის კაცნი უკუსდგომოდენ, ვეღარც ქსნის კაცსა დაიმორჩილებდა“[2].

„დაამშვიდა“ რა გივი ამილახვარმა არაგვის ხევი, იგი სასწრაფოდ საამილახვროში ჩავიდა და ქერიმ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის თადარიგს შეუდგა. ამილახვარი სხვილოს ცი-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 355.

[2] იქვე, გვ. 356.

ხის ჩრდილოეთით ტყიან მთაზე დაბანაკდა. აქ ყიზილბაშთა ერთი რაზმი გივიმ დაამარცხა, მაგრამ ყიზილბაშთა მთავარმა ძალებმა სამთავისი აიღეს და „მერე მივიდნენ და შემოადგნენ სხვილოს ციხესა, მოუტანეს საფრები, ქვევით გალავანი თვითონ დაუცალეს, დარჩათ ყიზილბაშთა, იყო ბრძოლა ყოველ დღე შიგნით მეციხოვნეთაგან და აქეთ ყიზილბაშთაგან“[1].

აქ ჯერ კიდევ ბრძოლა არ დამთავრებულიყო, რომ ნადირის ბრძანება მოვიდა, მას ი მ ა მ ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს ქართლი ჩამოერთმია და თავისთან ეხმო, ქართლის ხანობა კი ყოჯა-ხანისათვის მიეცა. ამ ამბების გამო ყიზილბაშებმა ლაშქრობა მოშალეს, ყოჯა-ხანი გორს მივიდა, იმამყული-ხანი სპარსეთს წავიდა.

გივიმ სცადა ყოჯა-ხანთან საერთო ენა გამოენახა. მან აცნობა, რომ მზად არის სპარსელებს დაეზაოს და მძევლები გაუგზავნოს, მაგრამ თვითონ პირადად არ შეუძლიან გამოცხადდეს სპარსთა ბანაკში მანამ, სანამ საამისო ხელუხლებლობის რაყიმი არ ექნება ხელმწიფისაგან. ნადირ-შაჰს მოახსენეს ამილახვრის პირობა. ნადირმა ამ პირობაში დაინახა, რომ ამილახვარს უჭირსო და ბრძანება გასცა: „ამდენი ქვეყანა ჩემს საბრძანებელში არისო, ვის გამოვართვი მზევალი, რომ ეგ მზევლით ვიმსახურო. თუ ჩემის ბრძანების მორჩილი არისო, ჩამოვიდეს და ბრძანებისაებრ ჩემისა მემსახუროსო და თუ არა ქნას, ყოვლის წახდენით წაახდინეთო“[2].

ყიზილბაშთა მოხელეებმა მიიღეს ნადირის ეს ბრძანება, ამილახვარს უკან დაუბრუნეს მძევლები და მის სამფლობელოს შეუტიეს.

ნადირ-შაჰი სულ ახალ-ახალ ჯარებს აგზავნიდა, მოხელეებს ხშირად სცვლიდა, ქრთამ-საჩუქრებს აწესებდა, მაგრამ არ იქნა, ამილახვარი ვერ გატეხა.

ქართლის სხვა თავადებს აჯანყებული გივი იმედად ეგუ-

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 356,

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლებოდათ და თუ ყიზილბაშ მოხელეებთან საერთო ენას ვერ გამონახავდნენ, მაშინ ისინი ამილახვრის მხარეზე გადადიოდნენ ხოლმე. ასე იყო 1743 წლის აპრილში, როდესაც ახლად დანიშნულმა ალი-ხანმა ციციშვილებს: ალექსანდრეს, დავითს და ოთარს „შარი მოუდო“ ამილახვარს ელაპარაკებითო. ციციშვილებმა მიზეზი იშოვეს და „მისცეს, მართლაც, ციხეები ამილახვარს აბუხალ და მძოვრეთისა, შეაყენეს კაცნი ამილახვრისანი, დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი, და ეცადა სიმაგრესა“[1].

ამილახვარმა დაინახა, რომ ბარათაშვილები დიდად ერთგულობდნენ ყიზილბაშებს, დაიქირავა ჯარი ლეკისა, მობილიზაცია უყო საკუთარ ჯარებსაც და შეერთებული ძალებით სიბარათიანო ააკლებინა[2].

1743 წლის გვიან გაზაფხულზე აჯანყება ახალ ფაზაში შევიდა. ნადირ-შაჰი მიხვდა, რომ „ამდენი ქართლისაგან ღალატი სათხოვრისაგან ამდენის რთმევის მიზეზი იყო“[3]. იგი დათმობაზე წავიდა „რაც ქართლში ხარაბა ადგილი იყო იმისი ხარჯი ეპატივებინა“.

ქართლის თავადთა გულისმოგების მიზნით ზოგიერთი ყიზილბაში მოხელე საგანგებოდ დასაჯა.

ნადირმა ამავე დათმობის გზით თეიმურაზ კახთა მეფეც გაიერთგულა. ამის შემდეგ თეიმურაზი სპარსთა მხარეზე გადავიდა და გივის წინააღმდეგ ბრძოლა იკისრა. ამიერიდან, ნადირისაგან მიღებული შეღავათების წყალობით კახეთისათვის ყიზილბაშობა იოლი ასატანი გახადა. ამ ამბავმა თეიმურაზს მომხრეები გაუმრავლა. მას არაერთი ნატრულობდა ქართლშიც.

1743 წლის ივნისში არაგვის ხეობაში აჯანყება მოხდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ მთიულ-მოხევეები; ღუდუშაური პაპია, ნადიბაიძე, ზარიბეგი, პტეტიანახიჩა, გელდაშვილი და სხვა 15 გლეხი[4]. აჯანყებულებმა მოჰკლეს ბეჟან

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 359.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 360.
[4] მეცნიერების მოამბე, 1936 წ., გვ. 12.

ერისთავი და მისი ბიძაშვილი და მათი საქონელი გაინაწილეს. ერისთავისა და ამილახვრის ცოლშვილი საერისთაოს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში იყვნენ. აჯანყებულებმა ეს ციხე გატეხეს, მეციხოვნეთა ქონება დაიტაცეს და „ცარიელნი დედაკაცები გაუგზავნეს ამილახორსა“[1]. არაგველებმა თეიმურაზს კაცები აახლეს და ანანურს მიიწვიეს. არაგვის საერისთავო გივი ამილახვრის მომხრეთა ბანაკიდან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. ეს იყო აჯანყების პირველი სერიოზული მარცხი. გივი შეეცადა საქმის გამოსწორებას. მან უპირველეს ყოვლისა მიუსია „ჯარი არაგვის ერისთავის მამულს, რაც ქართლში ჰქონდა, ტიძნისი, შინდისი სულ წაახდენინა“[2].

თვითონ გივი ამილახვარი რუსეთში გაგზავნილ წერილში არაგვის ამბებთან დაკავშირებით შემდეგსა წერდა: „ცხვილოს მოვედით 23 თიბათვესა, წირვის დრო იყო, კაცი მოგვივიდა ერისთავი ბეჟან თავის კაცებმა ღალატით კარავში დახოცესო... მთიულეთს კაცი გავგზავნე, ხიზანს მივაშველეთ. ქსნისხეველნიც თან გაჰყვნენ. ხიზანი მშვიდობით წირქვალს მიიყვანეს. მაგრამ რაც რამა გვქონდა: ხატი, ჯვარი, წიგნი, სიგელი, ისინი არ დაებრუნებინათრა, ისევ იმავე აქვს“[3]. შემდეგ წერილში გივი ამილახვარი მოგვითხრობს თეიმურაზის და არაგველების დამოკიდებულების ამბებს და დასძენს — „...ეხლა გვეხვეწებიან ის არაგვის კაცნი, ვინცა იმ საქმეში ურევიან. ჩვენც ამას ვეუბნებით: ვინც იმ ღალატში ურევიან ისინი ყველა დახოცეთ, იმათი ცოლშვილი მოგვეცით, ან არა ცოცხლები მოგვეცითო. თუ ორში ერთი ქნეს, მას უკან კიდეც ვენდობით, თუ არა ქნეს და რასაც ღმერთი შემაძლებინებს არც მართალს გავიკითხავ, არც მტყუანსა. თორმეტი ათასი კაცი მზათა მყავს. მარიამობისთვე, ენკენისთვე, ღვინობისთვე, ამ სამს თვეს იმათ მამულში დავდგები. ასეთ საქ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 361.

[2] იქვე.

[3] მეცნიერების მოამბე, 1936 წ., გვ. 120.

მეს უზამ, რომ ამგვარი საქმე სხვამ იმათთანამ კაცმა ვეღარ ქნას"[1].

არაგვის ხეობას თეიმურაზი ეპატრონებოდა. ზემო ქართლს ყიზილბაშთა რაზმები შესეოდა და ამილახვრების სოფლებს არბევდნენ. გივი წერს: „ჩვენ, რომ ზემო ქართლს ვიყავით ყიზილბაში სადაც სამტროდ მოვიდა, თან დავდევდით. ბევრგან დაუმარცხდათ. შვიდს მკათათვეს, ხუთშაფათს, მოვიდა სარდალი აჯი ხან დირბის წყალზე, ჩამოვიდა და ჩვენ ყორნისს ვიყავით; ჩვენზე მოვიდა. რაც ჯარი ჰყავდა ქვეითი და ცხენოსანი, ყველანი მოიყვანა. დილას შებმული ხუთ საათს ბრძოლა იყო. იმდენი ღვთის წყალობა გაქვსთ, რამდენი ცხენი და კაცი იმათი დაგვრჩა. გაბრუნდნენ. გამოუდგნენ უკან. ვერა შევიტყვე რა. საბრალო ჩემი ძმა გამოსდგომოდა უკანა და დიდს ალაგას ედევნა და ზედა შეაკვდა. იმის სიკვდილის უკან ჩვენსა და ყიზილბაშებში ოთხჯერ ხუთჯერ ომი მოკდა. ღვთით იმისი სისხლი ამოვიღეთ. იმისი სიკვდილის უკან ხუთასი ყიზილბაში მომკვდარა. საქონელი, ცხენი, იარაღი ბევრი იშოვეს"[2].

სწორედ იმ ხანებში, როცა გივი ამილახვარმა აჯი-ხანი ზემო ქართლში დაამარცხა, ნადირ-შაჰს სხვამხრივაც გაურთულდა მდგომარეობა. შირვან-შამახიის მხარე ნადირს გაუდგა და სპარსთა მოხელენი ამოჟლიტა. დაღესტანმაც ხელმწიფეს პირი გაუტეხა, ნადირი ხონთქარს ებრძოდა, ყველა ამის გამო აჯი-ხანი საქართველოდან უკან იხმეს. გივის იმედი მოეცა, საქართველოსა და სპარსეთის ამბებს რუსეთში მყოფ ბაქარს ატყობინებდა: „ოსმალი და დაღესტანი ერთი შეიქმნა. ორივე ყიზილბაშსა სცემენ. ჯამაგირიც ბევრი გაუჩინა თავისკაცებსა და ბელადებს ხონთქარმა. წელიწადში რვაასი ქისა ულუფა მისცა. თამაზხან თავისი ჯარით ბაღდადის მიწაში ქარქუთს მივიდა. უწინ ოცი ათასი კაცი გაგზავნა ქურთისტანზედ და ძალბასი ჰქვიან იმათზედ და იმათი ელი დაარბი-

---

[1] მეცნიერების მოამბე, 1935 წ., გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 121.

ეს. ბევრი ნაშოვარი ქნეს, რომ წამოვიდნენ მოსწეოდა მდევარი. ნაშოვარიც წაართვეს და ყიზილბაში ნახევარი კაცი ვეღარ მორჩა; სულ ამოწყვიტეს. თითონ მოსულს მოვიდა. იქ ბაღდადის ფაშას შემოება. თორმეტი ათასი ყიზილბაში მომკვდარა. თვითონ თავისპირით ამბობენ ყიზილბაშები. ერთი სარასკარი აზრუმს არის ასიათასის კაცითა და იმისი ჯარი ყარსს არფაჩაის ჯავახეთსა არის უფროსი ერთი. სტამბოლს რომ ყაენის შვილი იყო შასეფი, ისიც ბაღდადს წამოუყვანიათ. თურქესტანიც აშლილი არის. ოზბეგს და ხორასანს არბევენ. ერანში შენობა ხომ არ გაუშვა. შვილებს ყიდიან თავისი ხელით... ამ ახლოხანში ოსმალოს ჯარი ადერბეიჯანში ჩამოდგება"[1].

წერილის ეს ადგილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჩანს, გივი ამილახვარი თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო ამბებს და იმისდა მიხედვით მოქმედებდა.

ოსმალები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს გივის ბრძოლებს ყიზილბაშების წინააღმდეგ, რადგან ეს მათს ინტერესებს შეესაბამებოდა. ოსმალები ხელს უწყობდნენ ლეკთა თარეშსაც. გივის დაძახილზე მოსულიყვნენ ოს-ჩერქეზებიც. ყველა ესენი თავს ესხმოდნენ ყიზილბაშთა მომხრე ქართველ თავადების მიწა-წყალს, არბევდნენ და აწიოკებდნენ მას.

ოსმალები თავშესაფარს აძლევდნენ სპარსეთის ტახტის პრეტენდენტებს. ერთ-ერთ შაჰზადეს ამილახვარისათვის გამოუგზავნია ხალათი, ცხენი და თეთრი—„ვინც ჩვენ სამსახურზე ხმალს იქნევდეს, იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო"[2].

ოსმალთა ჯარითა და ხაზინით ამილახვარმა თეიმურაზის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა აჩაბეთს მოხდა და თეიმურაზისა და ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა.

ამილახვარს იმედი არ გაუმართლდა, რუსეთიდან დახმარება არ ჩანდა. შაჰსაც თავისი საქმეები მოეგვარებინა, ოსმალთა მაშველი ჯარებიც სახლში, ახალციხეში, დაბრუნდნენ.

---

[1] მეცნიერების მოამბე, 1936 წ., გვ. 121.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 363.

მარტო ლეკებით რაიმე წარმატება უპერსპექტივო ჩანდა. ამასობაში ქსნის ხეობაც დაკარგა (1744). როცა თეიმურაზმა არაგვი დაიჭირა და ეს ამბავი შაჰს აცნობა, ნადირმა მიულოცა წარმატება და მოსწერა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორთავ საერისთოს შენთვის მოგვიცემიაო“[1].

თეიმურაზი ქსნის დაკავებისათვის გეგმებს ადგენდა. მას ჯერ მშვიდობიანი გზით უნდოდა ქსნელთა გაბრიერება და „ეცადა... მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შემოირიგა“[2]. რადგან ქსანელები ნებით არ დამორჩილდნენ, თეიმურაზმა ძალა იხმარა. მან თავისი შვილი მოიშველა, ერეკლე კახელებით მოვიდა და ანანურს დადგა. შეერთებული ძალებით მამა-შვილი ქსნის ხეობაში შევიდნენ და ხმლით დაიპყრეს ქსანი[3]. გივის ცოლ-შვილი ქსნის ხეობაში, წირქოლის ციხეში იყვნენ გამაგრებული. ამ ციხის დაცვა დავალებული ჰქონდა რევაზს — ამილახვრის შვილს.

თეიმურაზი და ერეკლე 1744 წ. იანვარში წირქვლის ციხეს „მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი (რევაზ ამილახვრის შვილს, დ. გ.) და აღუთქვა წყალობა უზომო, დამორჩილდა ბრძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე, უბოძა ხალათი, დაპირდა უმეტესა წყალობასა“[4].

ამრიგად, ახლა უკვე გივის ღალატობდნენ არა მარტო მოკავშირე თავადები, არამედ საკუთარი სახლის შვილებიც.

ჯერ კიდევ ადრე, როცა 1742 წ. გივი გაიქცა, და არაერთი მოლაპარაკების მიუხედავად უკან აღარ ბრუნდებოდა და შერიგებას არ აპირებდა, სპარსეთის სამეფო კარმა გივი ამილახვრობიდან გადააყენა და ამილახვრობა ამირინდოს მისცა. მაგრამ ამირინდო უფრო ნომინალურ ამილახვრად დარჩა, რადგან საამილახვროში გივი იჯდა და ეს ქვეყანაც მას უჭერდა მხარს. ამირინდო სპარსთა სამსახურში დარჩა. რევაზიც თავის მამის გარდაცვალების შემდეგ მისკარბაშად ითვ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ჭ. ც., გვ. 361.
[2] იქვე, გვ. 362.
[3] იქვე, გვ. 363.
[4] იქვე, გვ. 364.

ლებოდა და ამდენად სპარსთა მოხელე იყო, მაგრამ დრო იხელთა და გივის მიემხრო. ახლა, ჩანს, გივის საქმე რევაზმა წაგებულად ჩათვალა და ამჯობინა თეიმურაზის მხარეზე გადასვლა. აქ როგორც წესი, ფეოდალური სინდისი არ ირღვეოდა. მართალია რევაზი გივის სახლისკაცი იყო, მაგრამ მაინც ფეოდალი. გივისთან ყოფნა სახიფათო იყო, მაშინ როდესაც თეიმურაზის გამარჯვება უკვე აშკარად ჩანდა. მით უმეტეს, რომ თეიმურაზი მას ფიცის წიგნს აძლევდა: „...შენ და რაც შენთან კაცნი არიან, რადგან ჩვენს ერთგულობაზედა სამსახური ქენ, მოხველ, ჩვენგან წყალობისა და პატივის მეტი არა დაგემართოსრა, დიდი წყალობა გიყოთ, თუ ღთნ და კემწიფემ ქართლი მიბოძა, ამილახორობაც შენ მოგცეთ, თუ რომ ქართლი არ მომცა, რაც კახეთში შენი ყმა არის ის მიიცეთ (sic) ერთი სოფელი სარჩოდ წყალობად გიყოთ, არც ყიზილბაშს ჩვენ მიგცეთ, არც ჩვენგან ფიქრი და საზიანო მოგინდომოთ“[1].

ამილახვრის მოქმედება ასე თანდათან ვიწროვდებოდა. მან არაგვი და ქსანი დაკარგა. ამის შემდეგ ამილახვარს დარჩა სხვილოს ციხე, ქვემო ჭალა, სურამი, კეხვი, ქრცხინვალი და საქართლის ციხე[2].

ამილახვარი იძულებული იყო დახმარებისათვის ოსმალეთს შეხვეწნოდა, ეს იყო მისი მიზნიდან ძალაუნებური გადახვევა. რათქმა უნდა, „ნადირშაჰის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას გივი ამილახორი ქართლში ოსმალთა შემოყვანას არ ჰფიქრობდა. „ოსმალობის“ სიავ-კარგე მას ახლო წარსულიდან კარგად ახსოვდა, როცა ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებას თვითონ ხელმძღვანელობდა. ამილახორი ქართლში „ქართველობის“ დაცვისათვის ებრძოდა „ოსმალობასაც“ და „ყიზილბაშობასაც“. ამ საქმეში დამხმარედ პეტრე ხელმწიფის მემკვიდრეები წარმოედგინა. რუსეთში ამილახვარს მართლაც თავის კაცადა თვლიდნენ, მაგრამ მისთვის აქტიური დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებდნენ. არც ბა-

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 2137.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 363.

ქარი მოდიოდა. ნადირშაჰმა კი თეიმურაზ—ზამთარი დაუპირისპირა ბაქარსა და ამილახვარს. ერთადერთი ვისგანაც ეხლა ამილახვარს დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო და უფრო ოსმალებზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალობის“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე რომ, ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდა უნებურად ო ს მ ა ლ ე ბ ი ს ა გ ე ნ ტ ი ხ დ ე ბ ო დ ა“[1].

დრო თეიმურაზის სასარგებლოდ მოქმედებდა. თეიმურაზის ქვეყანაში ცხოვრება უკეთესი ჩანდა. ყიზილბაშობა ქართლთან შედარებით აქ იოლი ასატანი იყო. 1744 წლისათვის ერანის თვალში იმდენად დამსახურებულად ჩანდა თეიმურაზი, რომ ქართლის მმართველობა მას ჩააბარეს. ამის შემდეგ „ქ ა რ თ ლ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს დ ი დ ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს თ ვ ა ლ შ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს ი დ ე უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ე ც ლ ე ბ ო დ ა. ნადირ-შაჰის სარწმუნო თეიმურაზი, იმედი იყო, ქართლს ყიზილბაშობიდან ისევე გაათავისუფლებდა, როგორც გაათავისუფლა მან კახეთი“[2].

ქართლის ფეოდალური წრე სულ უფრო და უფრო ნაწილდებოდა ორ ბანაკად. ერთ ნაწილს მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და თეიმურაზს შეერთებოდა, მეორე ნაწილი კი კვლავ აჯანყებულ გივის მხარეზე იდგა. აჯანყებას გადაგვარება ეტყობოდა. ის სწორ მიზანს—ქართველობის გამოხსნასა და ყიზილბაშობის მოსპობას რომ ისახავდა მიზნად, ასცდენოდა და ურთიერთ თავდამსხმელ ავანტიურად გადაქცეულიყო.

მაჩაბელი თეიმურაზის მხარეზე გადასულიყო. ამის გამო „რაც ამილახვართან ლეკნი იყვნეს მოუხდენ მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, ...ჩამოუყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდენ მაჩაბლის ქვეყანასა“[3].

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII ს. საქ. ისტორიიდან, მასალები, 1, 1944 წ., გვ. 207.

[2] იქვე.

[3] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 366.

ამილახვარი ხედავდა, რომ ქართლის თავადები თეიმურაზს უსმენდნენ და ზომების მისაღებად ის ოსმალებს ეპატიჟებოდა. ჩანს ოსმალეთმა მომენტი სერიოზულად შეაფასა და ახლა დიდი ხაზინა, სურსათ-სანოვაგე და ჯარი მოაშველა ამილახვარს. ხონთქარმა ზემო ქართლის საქმეები გივისა და ახალციხის ფაშას უსუფს მიანდო და დაავალა: „ზემო ქართლი ხომ ჩვენი არისო, ჩაიარე იმაზე და ალაზნის პირზე დადექ, იქ ლეკი შემოიყარეო, ხაზინა გაუყავო და ქართლი დაიჭირეო“[1].

უსუფ-ფაშა მზადებას შეუდგა. მან ქართლში „გაგზავნა პური და ქერი ამდენი, რომ სურამის გარშემო რაც საყდრები იყო სულ აავსეს, დიდი თადარიგი ქონდათ ურუმთა“[2]. სწორედ ამ დროს თბილისიდან გაიპარა დავით თარხნიშვილი და გივი ამილახვართან მივიდა[3].

უსუფ-ფაშა და გივი ამილახვარი სურამს შეეყარნენ ერთმანეთს, დაღესტანში კაცები გაგზავნეს, საჩუქარი გაუგზავნეს და ლეკთა ჯარები გამოითხოვეს. თეიმურაზმა კონტრზომები მიიღო, ქართველ-ყიზილბაშთა ძალებს მობილიზაცია უქნა, ერეკლე კახეთიდან იხმო. ასეთმა ზომებმა გასჭრა, ერეკლე კახელებით მამის მისაშველებლად წამოვიდა. მას გზაზე შემოეყარნენ დაღესტანს მიმავალ ოსმალთა მოციქულნი. ერეკლემ ისინი დაიჭირა და ნადირ-შაჰს გაუგზავნა.

ამილახვარ-ოსმალთა და თეიმურაზ-ყიზილბაშთა შორის ბრძოლა გორთან ახლო, ლიახვის პირას მოხდა. ბრძოლაში თეიმურაზ-ყიზილბაშნი დამარცხდნენ. ოსმალნი ქართლის სოფლებს დაერივნენ. რუისსა და ურბნისში მათ „შეაბილწეს მონასტრები, დააბტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გორს გარშემო საცა რამ ყანა იდგა სულ გათიბეს, აღარსად გაუშვეს წაუხდენელი“[4].

მიუხედავად გივის პერიოდული გამარჯვებებისა, დრო

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც.. გვ. 366.

[2] იქვე.

[3] იქვე

[4] იქვე, გვ. 367.

მაინც თეიმურაზის სასარგებლოდ მოქმედებდა. ოსმალები ხედავდნენ, რომ დახმარება ამაო იყო. უსუფ-ფაშას ზარალი ენახა, ქართლში ლაშქრობისას, გარდა ლეკებისა ხუთასი კაცი დაჰკლებოდა[1].

აჯანყებული გივის წინააღმდეგ მუდმივ სამხედრო ექსპედიციებს ვეღარ უძლებდა გლეხობა, ისინი გარბოდნენ ჯგუფურად თუ ცალ-ცალკე. საამილახორო დაიცალა გლეხთაგან. აჯანყების პერიოდში „მარტო საამილახოროდან გადაიკრიბა კახეთში სამი ათასი კომლი კაცი. ეს ყველაზედ საშიში განაჩენი იყო, ქართლის ფართო საზოგადოებამ რომ გამოუტანა გადაგვარების გზაზედ შემდგარ აჯანყებას“[2].

1744 წლის ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ მეორე დანიშნა, ხოლო კახეთი მის შვილს—ერეკლე მეორეს „უწყალობა“.

თეიმურაზმა ქართლი როდესაც ჩაიბარა, სცადა გივის შემორიგება. სურამში მჯდომ გივის ვახუშტი აბაშიძე და ღარხანი ლუარსაბი მიუგზავნა და „დაპირდა დიდს წყალობას და ხელმწიფისაგან დანაშაულის მოტევებას“[3].

ნადირ-შაჰმა თეიმურაზს მტკიცე დავალება მისცა—ხელთ ეგდო გივი. ამ მიზნისათვის თეიმურაზს დამხმარე ჯარი გამოუგზავნა (4 000 კაცი) ალი-მარდახანის მეთაურობით.

3 დეკემბერს თეიმურაზი სურამს მიადგა. სურამის ციხე ამილახვარს საგანგებოდ გაემაგრებინა. თეიმურაზმა ციხის მოშორებით სანგრები გათხარა და ჯარი ჩააყენა. ციხის მახლობლად საფრები შეუკრეს, თეიმურაზმა სხვა ზომებიც მიიღო. ზემო ქართლის თავადები თავისთან იხმო, წყალობა უყო და შეცოდების პატიება აღუთქვა. შემდეგ „გაგზავნა ყაფლან ორბელიანი ამილახვარის შვილს დიმიტრისთან, რომელი იყო ახალდაბის ციხეში გამაგრებული“[4]. დემეტრე ამილახვრიშვილი ყაფლან ორბელიანის სიძე იყო და მისი სჯე-

---

[1] პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ 368

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქ. ისტორიიდან, მასალები, 1, 1914 წ.. გვ. 208.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 374.

[4] იქვე, გვ. 375.

როდა. ყაფლანმა ადვილად გადაიბირა დემეტრე, იგი თეიმურაზთან გამოცხადდა და ახალდაბის ციხეც გადასცა.

ახალდაბის ციხის დაკარგვით აჯანყებული გივი იზოლირებული შეიქნა. მისთვის ახალციხის გზა შეკრული აღმოჩნდა.

თეიმურაზმა დემეტრე ამილახვრის შვილი დაიახლოვა, ამილახვრობა უბოძა, ხალათი გადასცა, 50 თუმანი ჯამაგირი გაუჩინა და ამით შვილი მამას დაუპირისპირა[1].

თეიმურაზს სურამის ციხის აღება გაუჭირდა, გივის იმედი ჰქონდა სიმაგრისა და არ ნებდებოდა. მას „ცოტა რამ ლეკიც ჰყვანდა ციხეში და ციხეც კარგად დაწყობილი ჰქონდათ სანოვაგითა მრავლითა და ჯაბახანითა ფრიადითა. არ ჰქონდათ ციხის აღების იმედი, იყო დღე და ღამ სროლა ზარბაზანთა და ყუმბარათა, რომე კომლისაგან ციხე აღარა ჩნდის. აგრევ ესროდენ ციხიდამ ზარბაზანთა. განაწესნეს ღამით მეომარი ხუთასი მცველად გზებისა, რომე ციხიდამ არავინ გაპარვოდათ“[2].

კეხვის ციხეში გივის სარიდან ერისთავის შვილი ჩაეყენებინა. თეიმურაზმა ჯარი გაგზავნა კეხვზე ამირინდო ამილახვრის შვილისა და ზურაბ მეითარის მეთაურობით. ესენი „მივიდნენ და შემოადგნენ ციხესა კეხვისასა, იყო ბრძოლა დღე და ღამ, გამოხდა ხანი თვე ოთხი. მერე უბრძანა ყაფლან ორბელიანს საბარათაშვილოს ჯარით და მიაშველა კეხვის ციხეს. გავიდა ესეც და იყო დღე და ღამ ცდაში და სამსახურისა და ერთგულობისა გამოჩენაში“[3]. კეხვის ციხის მეციხოვნეებმა ხანგრძლივ იერიშებს ვერ გაუძლეს, სარიდანი დანებდა, ციხე დაეცა.

ნადირ-შაჰი ხედავდა, რომ გივის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციები საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. ძალით ვერ ამარცხებდა, სანამ აჯანყება ცოცხლობდა, ნადირსაც უნდა

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა. ქ. ც., გვ. 376.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თავის სამოქმედო გეგმებში აჯანყების მოსპობა გაეთვალისწინებინა და ამიტომ იყო, რომ ახლაც, 1745 წლის დასაწყისში იგი მზად იყო ამილახვრისათვის „შეცოდება“ ეპატივებინა, ოღონდ ამილახვარს შერიგება-დაწყნარების ხალისი გამოეჩინა. ნადირ-შაჰს ამილახვრისათვის უსეინბეგი გამოეგზავნა და „ეპატივებინა ფიცით დანაშაული ცდომილებისა. შეუგზავნეს რაყამი გივის ამილახვარს და აცნობეს ესე ამბავი“[1].

ამილახვარმა რაყიმი წაიკითხა და პასუხი შემოუთვალა. პასუხში ამილახვარი თეიმურაზთან აუდენციას თხოულობდა. თეიმურაზი სურამის ციხესთან მივიდა, საგანგებო კარავი გააკეთა და ამილახვარს ელოდა. გივი ამილახვარი თეიმურაზის კარავში გამოცხადდა და ერთგულებაზე შეჰფიცა, ოღონდ „ხელმწიფისაგან ერთი ასეთი რაყიმი მომიტანინეო, ჩემი გული შესჯერდესო და ციხეს მაშინვე მოგართმევო“[2].

თეიმურაზმა გივის აღუთქვა სურვილის შესრულება, შაჰ-ნადირთან რევაზ ამილახვარი გაგზავნა და გივის პირობა შეუთვალა, გივი კვლავ ციხეში შევიდა.

ორივე მხარე სპარსეთის მბრძანებლის პასუხს უცდიდა, თუმცა საომარი ბანაკები არ მოშალეს, მაგრამ ბრძოლა შეწყდა. პაპუნა ორბელიანი, რომელიც ამ დროს თეიმურაზის ბანაკში იმყოფებოდა, გადმოგვცემს: „ციხის კაცნი ჩვენს ჯარში მოდიოდის და ჩვენი ჯარის კაცნი ციხეში შევიდის, ერთმანეთში ვაჭრობდიან“[3].

ამასობაში რევაზ ამილახვარი სპარსეთიდან დაბრუნდა, ნადირ-შაჰს გივისათვის შემოეთვალა: „შენი დანაშაული და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და განძლიერებელის მდომებელის მეფის თეიმურაზისათვის გვიპატივებიაო“[4].

გივი შაჰის გულწრფელობაში მაინც ეჭვობდა და თეიმურაზს არ ნებდებოდა. მან ციხიდან კაცები ჩამოგზავნა და

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ჭ. ც., გვ. 377.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

თეიმურაზის ბრძანებით გაკეთებული ნაღმის მოშლა უბრძანა. თეიმურაზმა ეს ამბავი შეიტყო, მან საბარათიანოს ჯარს უბრძანა შეტევაზე გადასვლა. ჯარმა იერიში მიიტანა, ამილახვარს ერთი კაცი მოუკლეს, დანარჩენები ისევ ციხეში ჩაიკეტნენ „დახშეს კარი ციხისა და შეიქნა ისევ ბრძოლა... იყო ყოველთვის ომი ფიცხელი უმეტეს პირველისა“[1].

სურამში მოვიდა ერეკლე მეორე, მან ზაალ აბაშიძის ქალიშვილზე იქორწინა ქვიშხეთს. ქორწილის შემდეგ მამაშვილმა სურამის ციხეზე შეტევა განაახლეს. „იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის“[2].

თეიმურაზმა შაჰ-ნადირს აცნობა ამილახვრის პირის გატეხა და რჩევა სთხოვა. ნადირმა შემოუთვალა: „რაც გინდოდეს ჩემი ხაზინა დახარჯეო, ყველა შენგან ეს ეხთიბარი გვაქვსო“[3].

ნადირ-შაჰმა მოითხოვა სურამის ციხის სურათი, მხატვარმა ციხე დახატა და სასწრაფოდ გაუგზავნეს ნადირს. სურათის გასინჯვის შემდეგ, ნადირმა თეიმურაზს ფული გამოუგზავნა და დაავალა: „მაგ ციხეს იმგვრლივ ასეთი გალავანი შემოავლევითო, რომ კაცს გარდასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი მოუყენეთო და თქვენ ჩამოეცალენითო, ეგ სანამდის იყოსო, რომ თვითონვე შემოიხვეწიოსო“[4].

ნადირის ბრძანება შეასრულეს. ციხეს გალავანი შემოავლეს და ყარაულები დაუყენეს.

ახალციხის ფაშას ისაყს გივი ამილახვრისათვის წიგნი მოუწერია და დახმარებას დაჰპირებია. ეს წიგნები ქაიხოსრო ავალიშვილს ჩავარდნოდა ხელთ და თეიმურაზისათვის მიეტანა. თეიმურაზმა ზომები მიიღო. ბარათაშვილები გაგზავნა ბორჯომის ხეობაში და ხეობა გაამაგრა.

თეიმურაზმა სურამის ციხეზე შეტევა გაახშირა. „მის-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 377.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 377—378.

[4] იქვე, გვ. 378.

ცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა“[1].

გივი დარწმუნდა, რომ საქმე წაგებული იყო და ახლა თვითონ დაიწყო შემორიგებაზე ლაპარაკი. „ბატონი დედოფალი მობრძანდესო და იმას მოვენდობიო“[2].

თამარი სურამს მივიდა, გივი ეახლა თამარს და ერთგულება შეჰფიცა. თამარმა თავის მხრივ უვნებლობა აღუთქვა. გივიმ თავისი საჭონლის დავთარი გადასცა და ციხე ჩააბარა. გივი ამილახვრის აჯანყება დამთავრდა. დედოფალი თბილისში წამოვიდა და გივიც თან წამოიყვანა.

აჯანყება რომ მინელდა, სამი ათასამდე გაქცეული გლეხი უკან დააბრუნეს[3].

ასეთია გივი ამილახვრის აჯანყების ისტორიული მიმოხილვა. მართალია, ქართლის აჯანყების მეთაური თავადები სპარსეთმა ჯერ გათიშა და შემდეგ ხელთ იგდო, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს რომ „ამით ქართლის ბრძოლა არ დამარცხებულა. პირიქით, აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირ-შაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა“ აქ თანდათან „ქართველობით“ შეეცვალა“[4].

ეს აჯანყება შეიძლება სამ ძირითად პერიოდად დაიყოს:

I პ ე რ ი ო დ ი 1742 წ ლ ი ს ა პ რ ი ლ ი — 1743 წ ლ ი ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი. ეს პერიოდი აჯანყების აღმავლობის პერიოდია. გივის მხარეზეა ქართლის თავადთა უმრავლესობა. აჯანყება, რამდენადაც ყიზილბაშთა წინააღმდეგ არის მიმართული, პროგრესულია.

II პ ე რ ი ო დ ი 1743 წ. გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი—1744 წ. ი ვ-

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., გვ. 379.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII ს. საქ. ისტორიიდან, მასალები, I, 1944 წ., გვ. 209.

[3] ა ლ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, გიორგიანული ისტორია, მნათობი, 1938 წ., № 8, გვ. 133

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 209.

ნ ი ს ი. მეორე პერიოდში აჯანყება დაქვეითების გზას დაადგა: ნადირი დაბრუნდა, თეიმურაზს ხელსაყრელი პირობები შეექმნა, გივის მომხრეთა რიცხვი შემცირდა, აჯანყება მიზანს ასცდა, გივი მისდა უნებურად ოსმალეთის აგენტად გადაიქცა.

I I I პ ე რ ი ო დ ი 1744 წ. ზ ა ფ ხ უ ლ ი — 1745 წ. ზ ა ფ ხ უ ლ ი. აჯანყებას იდეური საფუძველი გამოეცალა, მან რეაქციული ხასიათი მიიღო და თავადთა ურთიერთ თავდამსხმელ ავანტიურად გადაიქცა.

2. გორი — ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი

როცა გვსურს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გორს თავისი ადგილი მივუჩინოთ, აუცილებლად საჭიროა ზოგადად ზემო ქართლის სადროშოს ისტორია მიმოვიხილოთ, სარდლის უფლება-მოვალეობა გავითვალისწინოთ და ამ ფონზე, ქვეყნის თავდაცვის საქმეში გორის მნიშვნელობა დავადგინოთ.

ქართლის სამეფოში, მეთექვსმეტე საუკუნეში, ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო. ერთი ამ ოთხთაგანი იყო „ზემო ქართლის სადროშო“, რომლის მედროშე, ანუ სარდალი, ამილახვარი იყო. ხოლო სადროშოს ცენტრს გორი წარმოადგენდა. ამ სადროშოს ფარგლების ვრცელი აღწერილობა მოცემული აქვს ვახუშტის: „ვიწყებთ მ ე ო რ ე ს ა ს პ ა ს პ ე ტ ო ს, მემარჯვნეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს აწის ზემო ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამკრით მდინარე მტკვარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქით მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყევება ჩდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო—კუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა; კეფინის — კევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყევების სამკრით ვერტყვილამდე; ვერტყვი-

ლიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკულიანის მთამდე"[1].

აქ მოცემული საზღვრები ახლანდელი დარაიონების მიხედვით შემდეგ რაიონებში თავსდება: კასპის (ნაწილობრივ), ლენინგორის (ნაწილობრივ), გორის (ნაწილობრივ), სტალინირის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ), ხაშურის (ნაწილობრივ), ხარაგაულის (ნაწილობრივ), ბორჯომისა და ახალციხის (ნაწილობრივ). გარდა საამილახროსი, ალექსანდრე ამილახვრის ცნობით, ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა შემდეგი სათავადოები:

1. აბაშიძეების
2. ფალავანდიშვილების
3. ფავლენიშვილების[2]
4. ხერხეულიძეების
5. დავითაშვილების
6. ამირაჯიბების
7. ავალიშვილების
8. ხიდირბეგიშვილების
9. მხეიძეების
10. დიასამიძეების
11. სიამარდაშვილების
12. თაქთაქიშვილების
13. შალიკაშვილების
14. მაჩაბლების.

აქვეა მეფის მემკვიდრის საბატონო, რომელიც ამილახვრების სარდლობის ქვეშ უნდა იყოს ომების დროს[3].

ალექსანდრე ამილახვრის მიერ ჩამოთვლილ სათავადოთა ნუსხა არ უნდა იყოს სრული. რომ აქ ჩამოთვლილ სათავა-

---

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 71—72.

[2] ფავლენიშვილები, გამოტოვებული აქვს თარგმანში გ. ჭიჭოძეს. „მნათობი", 1939 წ. № 8, გვ. 128.

[3] ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, „მნათობი", 1939 წ., № 8, გვ. 128.

დოებს გარდა სხვა მფლობელთა სოფლებიც შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, ჩანს ერთი, XVII საუკუნის, საბუთიდან, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში არის დაცული. „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშაზედა; ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარ ეფისკოპოზი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არის, ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა (sic), ერთობილნი ამირეჯიბიანი, თვალდამწვრიანი, დიასამიძე ელიზბარ; როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუან (?) თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი, და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა ოხუზიშვილი“[1].

ამ ორ ცნობას შორის, როგორც ვხედავთ, არსებითი განსხვავებაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მუზეუმში დაცული საბუთი უფრო სწორია, რადგან როგორც ვიცით, ალ. ამილახვარი თავის ისტორიას წერდა იმ ცნობებზე დაყრდნობით, რაც მას ახსოვდა; საბუთის შემდგენელი კი, ცნობებს კრეფდა, როგორც თვით საბუთიდან ჩანს, „სარდლის წიგნიდან“; თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ორ ცნობას შორის განსხვავება მთელი საუკუნეა და ეგების სადროშოს შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. თუ ამ ორი წყაროს ცნობებს ერთმანეთთან შევაჯამებთ, მივიღებთ შედარებით სრულ სიას იმ სამფლობელოებისას, რომლებიც ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა:

1. საამილახორო
2. სააბაშო
3. საფალავანდიშვილო
4. საფავლენიშვილო
5. ხერხეულიძეების სათავადო
6. დავითაშვილების „

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 2124.

7. ამირაჯიბების სათავადო
8. საავალიშვილო „
9. ხიდირბეგაშვილების „
10. მხეიძეების „
11. დიასამიძეების „
12. სიამარდაშვილების „
13. თაქთაქიშვილების „
14. შალიკაშვილების „
15. სამაჩაბლო „
16. ბატონიშვილის საუფლისწულო
17. ზედგენიძეთა სახლი
18. თუმანიანთ სახლი
19. მროველის ყმა-მამული
20. ურბნელის ყმა-მამული
21. მთავარეპისკოპოზის ყმა-მამული ზემო ქართლში
22. სადედოფლო ყმა-მამული ზემო ქართლში
23. სვეტიცხოველის ყმა-მამული ზემო ქართლში
24. „იელუსარემის“ ყმა-მამული ზემო ქართლში
25. თვალდამწვრიანთ სამფლობელო
26. ქავთარაძეები
27. თუხარელები
28. ტატიანი
29. წერეთლის მამული
30. იტრიის წინამძღვარი
31. აბაზაძეების მამული
32. დამღაწაშვილები
33. იალღუზიაშვილები.

აქ ჩამოთვლილი სათავადო-სამფლობელოები ყოველთვის ამილახვარების დროშაზე შეიძლება არ იდგნენ და იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი მეფესთან, ან როგორი იყო ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია, ამილახვრები კარგავდნენ, ან აფართოებდნენ თავიანთ მოვალეობას. განსაკუთრებით ცვალებადი უნდა ყოფილიყო სადროშოს დასავლეთი მხარე. თუ XVII საუკუნეში საწერეთლო ზემო ქართლის სადროშოში ჩანს, ეს აღარ ითქმის XVIII საუკუნეზე. ამ აზრის დასამტკიცებლად მრავალ დოკუმენტთა შორის მხოლოდ ერთ დოკუმენტს მოვიტან. 1744 წელს გივი ამილახვარმა ხეფინისსხეველთა, ვერტყვილელთა და სხვებს პირობის წიგნი მისცა. „ძველთაგანვე ქართველთა ბატონის სახასო და მკვიდრი ყმანი ყოფილიყავით და ჩვენი სახელო და სასარდლო იყავით. ცოტას ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი ისევ ჩვენ გვიბოძა“[1].

რა ტერიტორიული ცვლილებებიც არ უნდა განეცადა ზემო ქართლის სადროშოს, ის მაინც ერთი მთავარი სადროშოთაგანი იყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სადროშო სამხედრო ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც სრულიად გარკვეული პრინციპების საფუძველზე გამოიყოფოდა. ეს პრინციპები არც გვიან ფეოდალურ საქართველოს სადროშოებს ჰქონდათ გამორიცხული.

სომხით-საბარათიანო, რომელიც მეწინავე სადროშოდ იწოდებოდა, ქართლის სამეფოს სამხრეთ სანაპიროს შეადგენდა. ამ სადროშოს ტერიტორიაზე არსებული ციხე-სიმაგრეების საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა უთუოდ სადროშოს სარდლის ზედამხედველობის ფუნქციაში შედიოდა. მართალია, სარდალი ამ ტერიტორიის მხოლოდ მოხელე იყო და სათავადოს ფაქტიურ მფლობელად თვით თავადი ითვლებოდა, მაგრამ მას ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფლებამოსილება ჰქონდა მიცემული და ჯარის შეყრა მისი საქმე იყო.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები, 1, 1944 წ., გვ. 135.

ზემო ქართლის სადროშო სამ მთავარ მაგისტრალს მეთვალყურეობდა: 1. სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჯომის ხეობით მიმდინარე მაგისტრალს, 2. ლიხთიმერეთიდან მომავალ გზებს და 3. დიდი ლიახვის ხეობით მომდინარე გზებს. თუ კაცი დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა, ახალციხე, აწყური, ბორჯომი, ახალდაბა, სურამი, გორი და სხვილო — ერთ მთლიან მაგისტრალს ჰქმნიდენ და გარკვეულ სამხედრო სტრატეგიულ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ ფეოდალურ საქართველოში. ქართველები ცდილობდნენ ნიადაგ მზადყოფნის მდგომარეობაში ჰქონოდათ ეს სიმაგრეები. როცა ქართველები ახალციხის მხარეს კარგავენ, კიდევ უფრო მწვავედ ისმის ქართლის ციხე-სიმაგრეების მოვლა-შენახვის საკითხი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერეკლეს „ანდერძიდან“ ერთი დეტალი: „ციხეებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქ თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიცა აქვს და ნარიყალები ცოტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგს ნარიყალებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რა ერთიც მოუნდესთ მცველთ და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის“[1].

სადროშოს, გარკვეული ორგანიზაციის სრული სახე რომ წარმოვიდგინოთ, სარდლის უფლება-მოვალეობანი გავითვალისწინოთ და სადროშოში შემავალ თავადებთან სარდლის ურთიერთობა დავადგინოთ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ სათანადო დოკუმენტებს მოვუყაროთ თავი და შემდეგ ამ დოკუმენტების ანალიზი გავაკეთოთ.

1644 წელს როსტომმა ბეჟან ამილახვარს წიგნი მისცა: „მას ჟამსა ოდეს ლიახვს ზედათ და ლიავხუს (?) ქვეშეთ ქართლის ქვეყანა თქვენის სახლის კაცის სასარდლო ყოფილა, აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თავადის, აზნაურშვილისა, ბერისა და ერთობილთ ყოვლისა კაცის, რა რიგადაც ამას

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 205.

წინათ თქვენი სახლის კაცი სარდარი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქვენთვის გვიბოძებია, როდისცა ჩვენი წიგნი და ბრძანება მოგივიდეს, რა რიგადაც მოგახსენოთ, იმ რიგად შეყარეთ და სადაც ჩვენი ბრძანება[1] იყოს იქ შეიოგვეყარენით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩუენი ბრძანება გატეხოს რითაც სამართლით ემართლებოდეთ გაუწყერით გარდაახდევინეთ და ჩუენი ბრძანება და სამსახური გაათავეთ"[2].

კიდევ უფრო საინტერესოა როსტომ მეფის მიერ ამილახვრებისათვის 1656 წელს მიცემული საბუთი. „ესე წყალობისა და სასარდრო გარიგებისა წიგნი და სიგელი დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ თქვენ ტახტის ჩვენისათვის თავგარდადებით სიკვდილისა დაურიდალსა, — ერთგულობისა მოჭირნესა და მებრძოლთა ჩვენთა ფეხთა ქვეშა მომქცევარსა ამილახორს პატრონს გივსა, ძმათა თქვენთა და მომავალსა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე მას ჟამსა ოდეს მამა-პაპანი თქვენი ტახტისა და მეფობისა ჩვენისა გამაძლიერებელნი ყოფილიყვნენ, რადგან წესისაებრ გარდაჰხედეს, სიგლითა პირველითაცა განგიახლეთ ამილახორობისა დროშა, შემოგარტყით ხმალი მოსურად მებრძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კულაცა პირველიდგან სასარდროს საქმე გარიგებული ქონოდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდრობისა, ასრე რომე, როდისაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნითა თქვენს სასარდროს თქვენ ასწერდეთ, რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიაქენი ფანჯიაქს აიღებდეს, რაც ათის თავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ. თქვენის დროშის კაცი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დროშის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზედ მოვიდოდენ, თქვენც დახუდებოდეთ და რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდროს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წავართუემდეთ, იმასაც შემოგეკითხებო-

---

[1] აქ ბეჭედია სპარსული წარწერით.

[2] საქ. მუზეუმი, ფონდი Hd, 2125.

დეთ და თუ უბოძებდეთ, თქვენისავ შემოკითხულობით წყალობას უზემდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოგეშალოს და რა რიგათად თქვენგან თქვენის დროშის კაცი აიწერებოდეს, ლაშქარსაც იმ ანაწერზედ შემოგუყრიდეთ"[1].

როსტომ მეფის სხვა საბუთიდანაც ჩანს, რომ ამილახვრებისათვის მიცემულია სარდლობა და რომ ამის გამო „ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება" მათი ხელისა არის[2].

კიდევ უფრო სრულ ცნობებს გვაძლევს ოთარ ამილახვრის მოხსენება პავლე ციციანოვის სახელზე. მართალია, ეს მოხსენება შედარებით გვიანდელია, მაგრამ ადრინდელ საბუთებთან შედარების დროს ირკვევა, რომ ამ მოხსენებაში დაცული ცნობები ძირითადად სწორია და ამიტომ ნდობის ღირსია.

„ა — მჭონდა ამილახვრობა, ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა, და მჭონდა შემოსავალი ამისი. როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშოვარს მოიტანდა, იმ ნაშოვრიდამ სამეფოთ ფანჯიექი აიღებოდა, ესე იგი ხუთზედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი მეფისა იყო და მეხუთე ჩემი იყო, ამაში მჭონდა სარგებლობა.

„ბ. — როდესაც ქვეყანა მეფის ბრძანებით აიწერებოდა და ჩემის სასარდლოც დაიწერებოდა, სამწერლო კომლზედ აბაზი იყო იმ ჩემის სასარდლოსი რაც სამწერლოდ დადგებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში მჭონდა სარგებლობა.

„გ. — ჩემს სასარდლოში თავადი თუ აზნაური რომ გაიყრებოდნენ და ამათი ყმა თუ მამული რომ აიწერებოდა მდივნისაგან, რამდენიც საკომლო დადგებოდა და ან გლეხი კომლათ, კომლზედ თოთხმეტი შაური აიღებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში სარგებლობა მჭონდა.

„დ. — გლეხი კაცი ერთი მეორეს რომ თავს გაუტეხდა

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, საქმე 285.
[2] საქ. მუზ. Hd, 2127.

ხარი და მარხილი წაერთმეოდა ჩემთვის და ამაში მჭონდა სარგებლობა.

„ე. — როდესაც მეფე ლაშკარს დაუძახებდა და ჩემი სასარდლო ვინც დააკლდებოდა, იმას მეფე დაარბევდა, რაც სარბევი დადგებოდა სამეფოთ იქიდამ ხუთზე ერთი ჩემი იყო, სამართალი ჩემგან უნდა მისცემოდათ და ამაში სარგებლობა მჭონდა, და თუ ვინმე ჩემი სასარდლო ქალაქს საჩივლელად ჩამოვიდოდა, მეფესთან თუ მდივანბეგთან იჩივლებდნენ და სამართალი მიეცემოდა იმის სამდივანბეგოში წილი მჭონდა“[1].

თუ ყველა ამ ცნობას ანალიზს გავუკეთებთ, მივიღებთ, რომ სადროშოს უფროსი დიდი ხელისუფალი იყო და გარდა ლაშქრობა-ნადირობისა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მოწესრიგებაშიც იღებდა მონაწილეობას.

მართალია, ბრძოლის ველზე გამოყვანილ ჯარის ნაწილს ის თავადი ხელმძღვანელობდა, რომელიც ამ მებრძოლთა უშუალო ბატონი იყო, მაგრამ მისი ადგილი ამ ბრძოლის ველზე მაინც განსაზღვრული ჩანდა; იგი იმ დროშაზე დადგებოდა, რომლის საუწყებოშიც ითვლებოდა.

ამა თუ იმ სარდლის უფლება-მოვალეობა წინასწარ მტკიცედ იყო განსაზღვრული, მაგრამ იმისდა მიხედვით თუ ვინ იყო სარდლად, ან ქართლის მეფედ, სარდლის ადგილი მისადმი რწმუნებულ საქმეებში დიდად ან შემცირებულად მოჩანდა.

სადროშოს თავისი ნიშანი ჰქონდა. ეს ნიშანი იყო დროშა. ამ დროშის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს 1745 წელს თეიმურაზ II შეკვეთით საგანგებოდ გაკეთებული დროშა. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ს ორბელიანების სახლში უნახავს მეწინავე სადროშოს დროშა.

ამ დროშების შესახებ ლიტერატურული წყაროც მოგვეპოვება. პაპუნა ორბელიანი წერს: თეიმურაზ მეორემ ბრძანა „დროშათა გაკეთება[2]; გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფი-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1948 წ. ნაკ. 1, გვ. 85—86.

[2] ტექსტში გაკეთება სწერია.

ლიყო დროშა ოთხი ჯვარითა მოცული, ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მუხრან-ბატონს კონსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა... ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვისთვისი ჯარი დროშათა"[1].

ე. თაყაიშვილს სოფ. დიღომში, კონსტანტინე მუხრანსკის ბინაზე უნახავს II სადროშოს დროშა და მოჰყავს ტექსტი, რომელიც დროშაზე ყოფილა დაწერილი: „ქ: ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან, თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს ორისავე საერისთოს წინა საძღვანად, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა მეფეთთა ნებითა ღ-თისათა, თთვესა ოკტონბერსა პირველსა დღესა, დღესასწაულისა სვეტისა ცხოველისა ქ/რისტ/ეს აქეთ ჩღმე ქკს უ/ლგ/"[2].

უმიკაშვილს ორბელიანთ სახლში უნახავს დროშა. მას დასტურლამალის ლექსიკონში მოჰყავს დროშის წარწერა. „ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე წინამძღოლსა ჩვენსა ამირსპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმნენით საცხებელითა სამეფოთა, თვესა ოკტონბერსა, ა. დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისაცხოვლისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქორონიკონსა ულგ"[3].

აქ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ გვიანფეოდალური ხანის სადროშოებს ჰქონიათ სახელმწიფო ნიშანი — დროშა, რომელზედაც ეწერა არა მარტო მბოძებელის, არამედ მიმღების ვინაობაც. ყოველი მეფე, როცა იგი მეფობას იწყებდა, სარდალს სასარდლოს უმტკიცებდა, დროშას და ხმალს უბოძებდა.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც., 11, გვ. 383.

[2] Такаишвили, Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г., Известия Кавк. отделения имп. Московск. Арх. общества, вып. II, 1907 г., стр. 117.

[3] დასტურლამალი, გვ. 168.

სულხან ორბელიანს დროშა განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „მწყობრთა ნიშანი. ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“[1]. ეგების ამ ცნობის საფუძველზე (სხვა მონაცემს არ ვიცნობთ) დავუშვათ, რომ სხვადასხვა სადროშოს სხვადასხვა ფერის დროშა ჰქონდა.

სარდლის მოვალეობა, რა თქმა უნდა, ნათქვამით არ განისაზღვრებოდა. XVIII საუკუნის მთელ სიგრძეზე ლეკთა საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. არაერთხელ ყოფილა საამილახვრო ლეკთა თავდასხმის ობიექტი. 1723 წელს „მოვიდნენ ლეკნი და მოსტყვევნეს საამილახორო და უკუნ ქცეულნი შევიდნენ შიოს უბანს“[2].

ვახუშტიც გადმოგვცემს, რომ 1728 წელს „მოადგნენ ლეკნი ჭალას, მოკლეს ამილახორი რევაზიშვილი ერასტი და შემუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ/1000/ სული ტყვედ და წარვიდნენ“[3].

თუ რა შედეგისა იყო ქართლისათვის ლეკთა თარეშები, ჩანს დიმიტრი ქარუმიძის წერილიდან, რომელიც 1740 წლის 2 აპრილს გაუგზავნა გივი ამილახვარს. წერილში ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბატონის ამილახორის ჭირი მისცეს ქარუმიძეს დემეტრეს, კალთას კოცნას მოვახსენებთ. ჩვენთვის წიგნი გებოძათ და გებრძანებინათ: კასპსა შენობას ვაპირობთო, დაგებარებინენით: აქ ჩამოდიო, მოურავი ხარო, სარჭრობა ქენიო, მართებულიც შენი არისო, თუ რომა არ ჩამოხვალო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენცა ეს მოგვიხსენებია: ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეახლები დაღისტანში, ვერც დავდგები, ვისაც გინდოდეს იმას უბოძეთ კასპის მოურაობა. ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გადარჩომილია, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა იმათ ცოდოში ჩავდგები“[4].

---

[1] ლექსიკონი, 1928 წ., გვ. 102.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., II, ჩუბინიშვილის რედ. გვ. 86.

[3] იქვე.

[4] საქ. სიძველენი, III, გვ. 456.

ამირინდო ამილახვარი ერთ-ერთ წარწერაში 1760 წელს აღნიშნავდა: „მოოხრდებოდა რა ქართლი ცოდვითა ჩვენითა, ლეკნი რა წარსტყვენიდნენ ქართველთა ერთა, მათის განრისებისათვის ჩვენ ძემან ამილახორის ავთანდილისამან ამილახორმან ამირანდო აღვაშენე გალავანი და კარის ბჭე ესე მოსახსენებლად ჩვენდა“[1].

აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ყველაზედ უმძიმესი ძნელბედობა ეს ლეკთა თარეში იყო. აღნიშნულ ოცდახუთ წლეულში (ლაპარაკია 1723 — 1747 წ.) ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებიათ, არ გაეძარცვათ. ერთი მეორის ქვეყნების სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და, ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: ადამიანები, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვა“[2].

ლეკთა საკითხის გადაჭრას ერეკლე მეორე ენერგიულად შეუდგა. საამისოდ მან მრავალი ღონისძიება გაატარა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებათაგანი იყო ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული ფორმების გამომუშავება.

1772 წლის 28 აგვისტოს, ერეკლემ ზემო ქართლის სადროშოში შემდეგი შინაარსის, ინსტრუქციის მსგავსი, მიწერილობა გაგზავნა:

1. „ქ. როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდენ. თუ მხურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარნენ; თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს

---

[1] ივერია, 1891.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკვეთი 1, გვ. 78.

დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდნენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა.

2. „ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ; ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდნენ და ისე მივიდნენ სადაც სარჭარდებმა დაუძახონ.

3. „ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე, გორით ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

4. „ქ. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს რა სარჭარდებმა დაუძახონ, ორისავ მხარის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამგრგვალდენ და სადაც სარჭარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდენ.

5. „ქ. თუ სამაჩაბელოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდნენ და, როგორც სარჭარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ, რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარჭარდებმა დაუძახონ გამოღმა მხარის, მდევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ.

6. „ქ. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ჭრცხილვანს ქვეით კაცი დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფლები, ყველანი შეიყარნენ და გაცვივდნენ, ცხენიანი და ქვეითი ნურავინ დააკლდება.

7. „ქ. ვინც დააკლდეს მდევარს ასე გარდაჰხდესთ: თუ თავადის შვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურიშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში.

8. „ქ. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამაევ აზნაურიშვილსავით გარდაჰხდეს და, თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან.

9. „ქ. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მდევარი და ისე იმდევრონ.

10. „ქ. თუ ესენი არ იყვნენ ყულარაღასმა გიორგიმ და მდივანბეგმა იასემ ქმნან.

11. „ქ. თუ არც ესენი იყვნენ, აღაბაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომანმა ქმნან და იმდევრონ.

12. „ქ. რომელიც ერისთავისშვილი და ამილახორისშვილი დაესწროს მდევრობა გვიბრძანებია, ამათ შემოეყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მოიყვანონ, დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთავისშვილები და ამილახორისშვილები მდევრობისა, რომ ეს მდევრობა ამათ აძევსთ.

13. „ქ. ეს მდევრობა რეხურას წყლიდამ მოკიდებული ალის წყლამდის და გორიდამ სადამდისაც მოჰყვებოდენ და ქარელიდამ სადამდისაც მოჰყვებოდენ უნდა იმდევრონ.

14. „ქ. გაღმა მხრისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ.

15. „ქ. ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმაკაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აამებთ, ვერცარას ჩვენ გვაამებთ და ვერცარას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაჰხოცოთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ.

მარიამობის კც, ქკს უ.

16. „ქ. ეს იცოდეთ, რომელიც ჩვენგან საქმნელი საქმეა, პატრონყმობისა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დადებისა ღვთით არ დავზოგავთ, თქვენ ასე ეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევნას ვცდილობთ“[1].

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 13714, დოკუმენტი დაყოფილია ხახებად. ყოველი ხახის შემდეგ ახალი აბრი იწყება, ნუმერაცია ჩვენ გვეკუთვნის.

ასეთია ამ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ტექსტი.

როგორც ამ დოკუმენტის ერთი ადგილიდან ჩანს, მსგავსი შინაარსის ინსტრუქციები დაუგზავნია სხვა სადროშოებშიც: „გალმა მხარისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ“.

ჩვენი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ იმ ოლქს, რომლის დაცვის შესახებ აქ არის საუბარი, ლეკები თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან. არაგვის ხეობიდან ილიტოზაქსოვრისის გზით ლეკები შიდა ქართლში გადმოდიოდნენ.

სამოქმედო ოლქი იწყებოდა ლეხურის ხეობიდან და ალის ხეობამდე გრძელდებოდა. ამ ოლქის აღმოსავლეთით ასეთივე ოლქი უნდა ყოფილიყო, რომლის დაცვა მუხრანბატონებს ევალებოდათ. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ოლქებს შორის გარკვეული კავშირი ყოფილა. ოლქები ერთმანეთს ატყობინებდნენ მოთარეშე ლეკთა მოძრაობას, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდებოდა თავდაცვისა თუ თავდასხმის ღონისძიების მიღება. ჩვენთვის საინტერესო ოლქს თავდასხმა უმთავრესად აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა. ლეკთა ბრბო პირველად სამუხრანოს მოადგებოდა, ამიტომ მუხრანბატონი ვალდებული იყო ამილახვრებისა და ერისთავებისათვის ეცნობებინა ლეკთა მოძრაობის შესახებ (იხ. მუხლი 1).

ერეკლემ თავისი სამეფო ლეკთა თარეშის საწინააღმდეგოდ გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად დაჰყო. თითოეული ასეთი ზოლი თავისებური სამხედრო ოლქი იყო, რომელთაც იმისდა მიხედვით, თუ ამ ოლქში როგორი განლაგებით მდებარეობდნენ სოფლები, ცალკეულ უბნებად ანუ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, სამდევროებად ნაწილდებოდა. ჩვენთვის საინტერესო ოლქში შემდეგი უბნები გამოიყოფოდა:

პირველ უბანში შედიოდა ტირიფონის ველზე არსებული სოფლები: მხურვალეთი, საკორინთელო, ბერშუეთი, მეჯვრისხევი და სხვა. აღმოსავლეთიდან მოსულ ლეკთა ბრბო პირველად მხურვალეთში შემოდიოდა, ამიტომ იყო, რომ ერეკლე რჩევას იძლეოდა: „თუ მხურვალეთში შევიდეს ლე-

კის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარნენ".

როგორც ვხედავთ, ამ უბნის „თავად" და „ბოლოდ" განსაზღვრულია მხურვალეთი და მეჯვრისხევი. ამ უბანში მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ მოქმედებისათვის მთავარი ტაქტიკური ხერხია, რომ „თავი და ბოლო მოუდრიკონ". მეჯვრისხევი ბოლო იყო, ხოლო მხურვალეთი თავი, მეჯვრისხეველებს ევალებათ მტერს საშუალება არ მისცენ წინ წაწევისა, ხოლო მხურვალეთელებს უკან დასახევი გზები უნდა გადაეჭრათ.

მაგრამ ერეკლე არ უზღუდავს ქართველ მეომრებს მოქმედების სფეროს და რჩევას აძლევს, რომ თუკი ბრძოლის თავისებურება მოითხოვს სხვა ხერხი იხმარონ. სწორედ ამიტომ წერს: „თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა".

ერეკლე ითვალისწინებს აგრეთვე მტრის ჯარის გვაროვნებას.

მეორე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მტრის ჯარი თუ ცხენოსანია, მაშინ, რადგან ლეკებს მანევრების მეტი საშუალება აქვთ, მცხოვრებნი „ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ" და მეთაურთაგან მათთვის წინასწარ მიჩნეულ ადგილზე მივიდნენ. ხოლო „მტრის ჯარი თუ ქვეითად მოდის, მაშინ სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდნენ და ისე მოვიდენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ".

მეორე უბანში შემდეგი სოფლები შედიოდა: ბელოთი, საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, „პატარა ლიახვის გამოღმართი" (აქ რამდენიმე სოფელი იგულისხმება), გვერდისძირი და ვაკე. ამ უბანში შედიოდა აგრეთვე „გორით ბერშუათამდიმ რაც ამათ შუა სოფლებია. ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირობებულნი".

ბრძოლის ტაქტიკა ძირითადად აქაც ისეთია, როგორც

პირველ უბანში, მაგრამ შემდეგი განსხვავებით: „თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახონ ორისავ მხარის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცნენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამრგვალდნენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდნენ“.

მესამე უბანში სამაჩაბლო და „პატარა ლიახვის გაღმართი“ შედიოდა. საჭიროების შემთხვევაში ამ უბანს პატარა ლიახვის გამოღმა მხარის მდევარიც მიეშველებოდა.

მეოთხე უბანში ქარელისა და ცხინვალის შუა მოთავსებული ტერიტორია იგულისხმებოდა, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის და დირბის ხევის სანაპირო სოფლებითურთ.

აქ ჩამოთვლილი უბნები, ანუ როგორც მას ერეკლე უწოდებს სამდევროები, ერთიან გეოგრაფიულ ზოლში — სამხედრო ოლქში ერთიანდებოდა[1]. რადგან ეს ოლქი გეოგრაფიულად ქსნის საერისთაოსა და საამილახვროში შედიოდა ამ ოლქის ხელმძღვანელობაც ერისთავებსა და ამილახვრებს ჰქონდათ მინდობილი. ჩვენი დოკუმენტი, როგორც დავინახეთ, 16 მუხლის, ანუ პარაგრაფისაგან შედგება. შინაარსის მიხედვით ეს დოკუმენტი შეიძლება შემდეგ ძირითად ნაწილებად დაიყოს:

პირველი ნაწილი (§ 1 — 6) უბნების ორგანიზაციასა და ბრძოლის ხერხებს შეეხება.

მეორე ნაწილი (§ 7 — 8) დეზერტირების, ანუ როგორც ტექსტშია ნათქვამი „საჭაკოდ“ დამნაშავეთა სასჯელს ითვალისწინებს: სასჯელის სიდიდე და ფორმა სოციალური კუთვნილების პრინციპზეა დამყარებული. განსაზღვრულია, რომ „თუ თავადიშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურიშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში (§ 7), თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავ აზნაურიშვილსა-

[1] ეს ოლქი ზემო ქართლის სადროშოს ერთი ნაწილთგანი იყო.

ვით გარდახდეს და, თუ ღარიბი იყოს ერთი კაცი ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან“ (§ 8).

მესამე ნაწილი (§ 9 — 13) ხელმძღვანელობის საკითხს ეხება. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია მნიშვნელობა აქვს ერისთავებსა და ამილახვრებს.

მეოთხე ნაწილში (§ 14 — 16) განმარტებულია ამ ღონისძიების მნიშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში: „ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმა კაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აამებს, ვერცარას ჩვენ გვაამებთ და ვერცარას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დახოცოთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ“.

ჩვენს დოკუმენტში მოცემული ბრძოლის ფორმა მხოლოდ ერთ-ერთი სახე იყო ლეკთა თარეშის აღმოსაფხვრელად და რადგან ბრძოლის ეს ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა, ერეკლემ, როგორც ცნობილია, ახალი, უფრო რადიკალური, ღონისძიება მიიღო და 1774 წ. 4 იანვრის განჩინებით მორიგი ჯარის სისტემა დააწესა.

როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ 1772 წელს ლეკების წინააღმდეგ მოქმედების მთელი წესდება გამოიმუშავა. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება სადროშოში სარდალს ევალებოდა, მას ციხე-სიმაგრეები მზად უნდა ჰქონოდა. მეზობლებთან კავშირი უნდა დაემყარებინა. „მერმე ავხანაგ, სწერდა ერეკლე რევაზ ამილახვარს 1772 წელს, ჩვენი შვილი გიორგი გამოვგზავნეთ მანდედქენ და თქვენ უნდა იახლოთ. იმათთვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა-სიმაგრე, ჯარისა და მდევრების გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგრება, როგორც სამჯობინარი იყოს ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფრთხილად და მტერმა არა დაანებოთ რა“[1].

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ერეკლეს ერთი წერილი, მიწერილი რევაზ ამილახვრის სახელზე 1772 წლის 28 ივ-

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 13736.

ვარს: „... ზემოთ მომავლის ქვეითის დიდის ჯარის კვალი ენახათ და ერთი ცხენიანი კაცი რეოდათ. ეს ამბავი ზემო ქართლში ყველას შეატყობინეთ, გაფრთხილდნენ, რომ არა წაახდინონრა. ხუმრობა საქმე არ არის, ეს ამბავი ახლავ ყველას აცნობე, რომ გაუფრთხილებლობით არა წაახდინონრა"[1].

ანდა: „ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზ ბატონს ამილახორ რევაზს ასე მოახსენეთ, მერე ჩვენ რომ ავჭალას მოვედით, ქაიხოსროს მარტყოფის მოურავის წიგნი მოგვივიდა. უჯარმაში ქვეითი ლეკის ჯარი შემოსულა, ცოტა და ბევრობა კი არ ეწერა. ეს ამბავი სოფლებს აცნობეთ, ხმა დააგდეთ და გააფრთხილეთ"[2]. წერილი ერეკლესია და 1772 წლის 28 აგვისტოთი თარიღდება.

ჩანს, სარდალი მოვალე იყო არა მარტო ციხე ჰქონოდა მზად ან ჯარით მეფის დაძახილზე მზად ყოფილიყო, არამედ მტრის მოძრაობისათვის თვალყური ედევნებინა და მოსახლეობა თავდაცვის მდგომარეობაში ჰყოლოდა. სარდალი ვალდებული იყო აგრეთვე თავის სასარდლოში ზომები მიეღო და პანიკიორ-ჭორიკანების წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინა. ერეკლე აფრთხილებდა: ამილახვარს „შენი სასარდლე თავადი და აზნაური შემოჰკრიბე და ეს ჩვენი წიგნი ისე წაუკითხე. ჩვენ ბელადნი ვართ და ვიცით, რომ ჭორიკანობა შეიქმნება, მაგრამ უბრალოს ჭორს ნურავინ აჰყვება თორემ ვინც უნდა იყოს ენას მოვსჭრით"[3].

სარდლის მოვალეობის კიდევ ერთი მხარე იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს არის მეზობლებთან (ახალციხის საფაშო, იმერეთის სამეფო) სადაზვერვო მუშაობა. 1765 წელს ერეკლე სწერდა რევაზ ამილახვარს: „ბატონიშვილის არჩილის ავად ყოფნის ამბავი მოგვივიდა, მეტად შეწუხებულნი ვართ. ქართლში რაც იმისი ამბავი იყოს, დიდათ მალე გვაცნობეთ"[4].

უფრო ადრე, 1761 წლის 21 დეკემბერს, ერეკლე სხვა ამ-

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 13709.
[2] იქვე, 13715.
[3] იქვე, 13716.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 22c, საბ. 386.

ბებთან ერთად რევაზ ამილახვარს მოაგონებდა: „თუ იმერული ამბავი გაგეგონოსთ რამე გვაცოდინენ“[1].

საყურადღებოა, რომ ამილახვარი მარტო ერეკლეს კი არ აწვდიდა ცნობებს იმერეთის საქმეებზე, არამედ თავისებურ ინფორმაციას აძლევს ქართლის ამბების შესახებ იმერეთის მეფესაც. „ქ. მის ბრწყინვალებას სარდარს ამილახვარს, ძმას, ბატონს ოთარს მეფე იმერთა სოლომონ მრავალს მოკითხვას და უვნებლად ბრძანების სიხარულს მოგახსენებ, მერმეთ წიგნი მოგეწერა, რაც ამბავი შამოგეთვალა კარგათ ვისმინე, დიაღ მადლობელი ვარ, მერე ირაკლი ნუ მოგიკვდება და თუ ჩემი ძმობა გწამდეს, მანდეური ამბავი როგორც იცოდე, ან ამან ხანის, ან სხვა ყოვლისფერი საჩქაროდ მომწერე და ან აწ როგორ რამე ამბავი შეიტყო, მალმალე გვიბრძანე, ამბავს ნუ დაგვაკლებ, ჩვენც მაგიერს გარდაგიხდით და გაამებთ“[2].

ასეთივე დავალება აქვს ამილახვარს, როგორც სარდალს, ახალციხის ფაშისადმი.

ერეკლე 1788 წლის 8 ივნისს ოთარ ამილახვარს სწერდა: „...შენი წიგნი მოგვივიდა, ახალციხის მხარის ამბავი მოგეწერა. ჩვენც იქით აქეთ კაცნი გვყვანან, რომ იმათი ამბავი არ გვაკლია, არიან კაცნი ქრისტიანენი და თათარნიცა, რომ ამბავს წვრილათ იწერებიან. შენის მოწერილის ამბისა ზოგი რამ კიდეც ემოწმება და დიაღ კარგსა იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ. იქ, ახალციხეს რაც ლეკის ჯარია, ჩვენ სარწმუნოთ ვიცით ხათრიჯამის კაცისაგან, რომ სულ ხუთას კაცს ათნაკლები კაცნი არიან, იქაური ამბავი არც ჩვენ გვაკლია, მაგრამ მაინც კარგათ იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ და კიდევაც ნუ მოიშლი“[3].

ერეკლე მსგავს დავალებას აძლევდა იმავე ოთარ ამილახვარს 1790 წლის 10 მარტს: „ბატონო ამილახორო ოთარ,

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 13710.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1751.

[3] იქვე, საბ. 2497.

მერმე ქაიხოსრო ლევანანიშვილის ქალი რომ არის მანდ, თქვენ კარგად უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ იმასთან მამსვლელი კაცი იყოს ვინმე და ან მაგისაგან გაგზავნილი კაცი იყოს ვინმე და გზავნიდეს, კარგათ, ფრთხილათ, უნდა... ის კაცი ჩაიგდოთ, კარგათ გაჩ(ხრიკო)თ, ან აქედამ გაგზავნილი წიგნი ექნება და ან იქიდამ მოსული წიგნები—ასე კარგათ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ მოსული კაცი, მანამ მაგასთან მოვიდოდეს, თქვენ ჩაიგდეთ, წიგნებიცა და კაცათ საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ“[1]. მოტანილი საბუთები მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. როგორც დავინახეთ, ერეკლე ყველა ღონისძიებას ხმარობს მტრის მოულოდნელი თავდასხმები აცდინოს თავის ქვეყანას.

გაწვრთნილი დიპლომატი სადაზვერვო ორგანიზაციას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

ასეთია მასალები სარდლისა და სადროშოს უფლება-მოვალეობის შესახებ. როგორც ვხედავთ, სარდალი დიდი ხელისუფალი იყო. მის მოვალეობას შეადგენდა: ადგილზე ციხე-სიმაგრეების დაცვა-პატრონობა, ჯარის ორგანიზაცია, სადროშოში შემავალ თავადთა ურთიერთობის მოწესრიგება, როგორიცაა: გაყრა, შერიგება, სხვა მცირე სამართლის ქმნა, მისი სადროშოს სამეზობლო ქვეყნების ამბების ცოდნა და სხვა.

განხილული მასალებიდან დავინახეთ, რომ სამხედრო-თავდაცვის თვალსაზრისით გორს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სარდალი აქ იჯდა, აქედან აწესრიგებდა ამ მხარის თავდაცვის საქმეს.

მოტანილი მასალები, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გორის ადგილის შესახებ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 372.

როგორც აღნიშნული იყო, გორი სრულიად გარკვეულ ადგილს იკავებდა ქვეყნის როგორც ადმინისტრაციულ-სამხედრო, ისე ეკონომიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო რუსეთის მფლობელობაში შევიდა. ქართველმა ხალხმა საგარეო შემოსევებისაგან მოისვენა, ქვეყნის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი შეიქმნა, საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა, გორის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო.

თავი III

გორის ეკონომიური სახე

1. ვაჭრობა

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ გორი მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, XII საუკუნემდე ჩვენ თითქმის არავითარი ცნობა არ გვაქვს გორის სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ. მათეოს ურჰაელის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელმა ქალაქ გორში სომხები დაასახლაო, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ გორის ხვედრითი წონა ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში საგრძნობლად დიდი უნდა ყოფილიყო. საქმე იმაშია, რომ ფეოდალურ საქართველოში სიტყვა „სომეხი" გაიგივებული იყო ვაჭართან და სომხების იქ დასახლება სწორედ რომ ვაჭრების დასახლებას ნიშნავდა.

ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში გორელი ვაჭრები შორეულ ქვეყნებშიც დადიოდნენ და უცხოური საქონლით ავსებდნენ ჩვენს ქვეყანას.

სამართლიანად წერს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომ „გორელი ვაჭრები განთქმული სოვდაგრები იყვნენ. მესტამბოლე-მობაღდადენი გემქარავნებით გაბედულად სერავდნენ უშორესი ქვეყნების ზღვასა და ხმელს. გაჰქონდათ ქართული ნედლეული თუ ნაწარმი და შემოჰქონდათ: ინდური თვალ-

მარგალიტი, ყაშმირის ქსოვილები, სპარსული ფარჩა, ფრანგული ატლასი, ერაყული ფოლადი, ხვარასნის რკინა, სალიანის თევზი, ზეითუნის ზეთი, არაბული ნელსაცხებელი და ათასი სხვა".

ერთიან ცენტრალიზებულ ფეოდალურ საქართველოში ქალაქების როლი საგრძნობლად გაიზარდა და საქალაქო ცხოვრების ხვედრითმა წონამ იმატა. მაგრამ XIII ს. მეორე ნახევრიდან, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგად, ქალაქების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამ საერთო მდგომარეობამ გორსაც, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა. გორი განსაკუთრებით დაზარალდა მონღოლთა ასწლიანი ბატონობისა და თემურლენგის შემოსევების გამო.

მაგრამ, როცა მშვიდობიანი განვითარების საშუალება ეძლეოდა ქალაქს, თუნდაც ხანმოკლე პერიოდში, მაშინ ის კვლავ შესამჩნევ ადგილს იკავებდა ქვეყნის ეკონომიკაში. ამ დროს ქალაქი კვლავ ვაჭრობა-ხელოსნობის კერად იქცეოდა და სოფელთან საქმიან ურთიერთობას აფართოებდა.

გორს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა ვაჭრობა-წარმოების ყველა დარგში.

არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს, რომ როცა საკითხი საერთოდ საქალაქო ცხოვრებას ეხება, გორი ყოველთვის თბილისის შემდეგ არის მოხსენებული. მნიშვნელოვანია ისეთი საზომ-საწყაო ერთეულების არსებობა („გორული ლიტრა", და სხვ.), რომლებიც გორშია შექმნილი. ეს ფაქტი ქალაქ გორის დიდმნიშვნელობაზე მიუთითებს.

საერთოდ, ქალაქში ვაჭრობა-ხელოსნობა არასოდეს არ კვდება: იგი ხან აღმავალი ხაზით მიდის, ხან საგრძნობლად ქვეითდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის საერთო მდგომარეობა.

XIV საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნის 30-იან წლებამდე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება თავდაცვითი ომებით ხასიათდება. ქვეყნის სასიცოცხლო ძალები თავდაცვის საქმეს ხმარდებოდა. ასეთ პირობებში ვაჭრობა ეცემოდა. ქალაქებმაც თავიანთი ძველი მნიშვნელობა დაკარ-

გეს, ბევრი მათგანი ან მთლიანად მოიშალა, ან უბრალო სოფლად გადაიქცა. მართალია, გორი, როგორც ქალაქი დარჩა, მაგრამ ის უფრო ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, ვიდრე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს.

XVII საუკუნის 30-იან წლებიდან ქვეყანაში ერთგვარი მშვიდობა დამყარდა, დიდმა შემოსევებმა იკლო, ქვეყანაში ეკონომიური აღმავლობა დაიწყო, საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა და აღებ-მიცემობა გაფართოვდა. განვითარების ამ საერთო ფერხულში ჩაება გორიც.

XVII საუკუნის 70-იან წლებში ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა ინახულა გორი. მისი ცნობით გორის მცხოვრებნი „სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულებიც, აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება“[1].

ქვეყნის საერთო აღმავლობა მე-18 საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ჩვენი ქვეყანა კვლავ უცხოელ დამპყრობთა შემოსევებით დაისერა. ჯერ ოსმალობა, ხოლო შემდეგ ყიზილბაშობა ჩვენს ქვეყანას გადაშენებით ემუქრებოდა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებიდან შედარებით კვლაკ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა აღებ-მიცემობის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელი ეკონომიური ისტორია შეუსწავლელია და ამიტომ ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით ამ საკითხზე.

XVIII საუკუნის ქართლში ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისათვის რამდენადმე ხელსაყრელი ეკონომიური პირობები იქმნებოდა. მეფის ხელისუფლების გაძლიერება ხელს უწყობდა აღებ-მიცემობის გაფართოებას. ცალკეულმა პირებმა თავის ძირითად საქმედ აღებ-მიცემობა გაიხადეს და ამ საქმეში მალე ცნობილნი გახდნენ. XVIII საუკუნეში ერთერთი ასეთი თვალსაჩინო ადგილი თუმანიშვილებს ეკავათ.

XVIII საუკუნეში სავაჭრო და სავახშო კაპიტალის წონა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში საკმაოდ გაიზარდა.

---

[1] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, გვ. 82.

„რათა სავახშო კაპიტალი არსებობდეს, — ამბობს მარქსი, — ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: რომ პროდუქტების ერთი ნაწილი მაინც საჭონლად იყოს ქცეული და სასაქონლო ვაჭრობასთან ერთად ფული მის სხვადასხვა ფუნქციებში იყოს განვითარებული“[1].

ქართლ-კახეთის სამეფოში იმ დროისათვის უკვე არსებობდა სავახშო და სავაჭრო კაპიტალი. მევახშეობა იმდენად იყო განვითარებული, რომ ვახტანგ მეექვსე, მევახშეთა ბოროტმოქმედების აღკვეთის მიზნით თავის კანონებში, გაცემულ ვალზე სარგებლის აღების გარკვეულ საზღვრებსაც კი აწესებდა. ვალი,—ამბობს გვირგვინოსანი მეცნიერი „ამ ახლო ხანებშიაც თუმანი თვეში ხუთ აბაზადაც მისცემია, ოთხ აბაზადაც, სამ აბაზადაც, და ათ შაურადაც, აბაზადაც, სამ შაურადაც, ორ შაურადაც, ამაში დიაღ ბევრი გვარიც ქნილა. ასე რიგად მოცემაზედ სარგებლის სარგებელიც აღებულა, რამდენი წელიწადი დაგვიანებია იმდენი სარგებელიც გამორთმეციათ“[2].

ვალში აღებული სარგებლის სიდიდე ვახტანგს დიდ ბოროტებად მიუჩნევია და სარგებლის აღების ოდენობისათვის კანონების 124-ე მუხლით განუსაზღვრავს: „თეთრი რომ გასცეს კაცმან თუ ძალა ქნას და სული სძულს თუმანი თვეში ხუთშაურად, თუ სული ცოტად უყვარს აბაზად, თუ უკეთ უყვარს სამ შაურად, თუ მართლა უყვარს ორშაურად, სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს“[3].

ამრიგად, ვახტანგის მიერ სესხის პროცენტი განსაზღვრული იყო 2—5 შაურამდე, მაგრამ ეს განსაზღვრა მხოლოდ ფორმალური იყო, სესხის პროცენტსა და პირობებს ხშირ შემთხვევაში თვით მევალეები საზღვრავდნენ. გამსესხებელი წერილობით აფორმებდა სათანადო პირობებს და პირობის საბუთზე, „თამასუქზე“, ორივე მხარის ხელის მოწერის შემდეგ „პირობა“ ძალაში შედიოდა.

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 124.

[2] ვახტანგის კანონები, მუხ. 2, 116, გვ. 420.

[3] იქვე.

როგორც აღნიშნული იყო, ამ პერიოდისათვის ქართლში ცალკეული „სახლები“ მსხვილი მევახშე-ვაჭრები იყვნენ. ისინი ხშირად მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდნენ და არა მარტო თვითონ აძლევდნენ ფულს სესხად სხვას, არამედ თვითონაც სესხულობდნენ. მას აღებ-მიცემობაში აბანდებდნენ, რათა ფული მოეგოთ. ამგვარი აღებ-მიცემობის რამოდენიმე სახეა ცნობილი:

1. 1756 წ. 10 სექტემბერს პოღოსა ასატურას შვილმა გორჯასპი მდივანს თამასუქი მისცა: „ქ. ავიღე მე, ალემა ასატურას შვილმან პოღოსმა, თქვენ, ბატონის ჩემის გორჯასპის მდივნისაგან ერთი თუმანი ახალი თეთრი, რომა იქს ამისი ნახევარი (ქ), ამასა, ამა პირობით, რომა ეს თეთრი მე თავნაო დავიჭირო და აღება მიცემაში ვამუშაო და რაც ღმერთმან მამცეს ხეირი თუ შარი, თავნი რომ თქვენ უნდა მოგაბარო და მონაგებისა ხეირი და შარი ორსავე უნდა იყოს“[1].

2. 1765 წელს გორჯასპი თუმანიშვილმა გიორგი ნათიშვილისაგან ისესხა ექვსი თუმანი, შემდეგი პირობით: „ექვსი თუმანი თეთრი რაცხანს ჩემს ხელთ დაყოს თუმნის თავსა თვეში სამი შაური სარგებელი მოგცე“[2].

3. 1777 წელს გოგია თუმანიშვილმა თავის ბიძაშვილს ოსეფა მდივანს ქაღალდი მისცა „ავიღე მე, თუმანიანთ ბეჟანიშვილმა, გოგიამ, შენ ბიძაჩემი იოსეფ მდივნისაგან, ოცი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ათი თუმანი. რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს თუმნისთავს სამი შაური სარგებელი მოგცე თვეში. არის ამის გირაოთ ჩემი წილი ყმა და მამული“[3].

4. 1781 წელს ავჭალელმა ივანე ზურაბიშვილმა რვა თუმანი აიღო მანუჩარ თუმანიშვილისაგან, თამასუქი მისცა, რომ „ამ ზემო თეთრის გირაო დაგიდევით ჩემი შვილი ნონია. რაც ხანს ჩემს კელთ დაჰყოს თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო“[4].

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 3842.
[2] საქ. მუზეუმი, ფ. Sd, საბ. 198.
[3] იქვე, საბ. 176.
[4] იქვე, საბ. 162.

5. „ქ. ავიღე მე, დაბაღი ზაქარიასშვილმა ერევნელი არუთენამ, თქვენ ბატონი მანუჩარ მდივნის ჯალაბისაგან ორმოცი თუმანი ახალი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიახი თეთრი, რომ იქს ამის ნახევარი ამდენი. ეს თეთრი წელიწადში რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს ათი თორმეტად მოგცე"[1]. თამასუქი 1785 წლით თარიღდება.

6. 1784 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ავიღე მე, ტერ ასატურასშვილმა არაქელამა, შენ, თუმანიშვილის მდივნის მანუჩარისაგან ოთხმოცი თუმანი ქალაქის რაიჯი სირმა ოთხი დანგიანი აბაზი, ... წავიღო მე ეს თეთრი და როგორც ხეირათი ვნახო და ჰკვამ გამიჭრას ჩემთვის ვამუშაო, რომ ამის ხეირში და ზიანში შენ საქმე არა გქონდეს, ზიანი და სარგებელი ორივე ჩემი არის, და ამ ქვემო თარიღიდამ ამ შენმა ოთხმოცმა თუმანმა რა ერთი ხანსაცა ჩემთან დაჰყოს წელიწადში ათი თერთმეტ ნახევრად, გაურჯელად, მოგცე; თუ გაგსარჯო საჯდივნო და საიასაულო მე გავიღო. და ქალაქს სახლი მქონდა გირაოთ რომე თვითონ მე ვდგავარ შიგა და ისევ მე უნდა ვიდგე და იმ სახლის გირაოს წიგნიც შენთვინ მაიცია და შენა გაქვს. როცა შენი თეთრი ითხოვო და მოგცე ზემოხსენებულის ანგარიშით, შენ ჩემი სახლის გირაოს წიგნი მამცე"[2].

7. 1670 წელს პაპუნა და ქრისტესია ზურაბ და სულხან თუმანიშვილებს პირობას უდებენ: „ახალგორელთ, ხელთუბნელთ, ხრისელთ ვალი მემართა ორმოცი მარჩილი, შიმშილობაში დამიხსენ და მოვალეობას მომარჩინე. მანამდის თქვენს ორმოცს მარჩილს მოგართმევდე, იმის სარგებელში მე გ(ე)მს(ა)ხურებდე, არც შენის თეთრის სარგებელი იყოს, არც ჩემი ჯამაგირი, მანამდინ თეთრი არ მოგართო არც მე გაგეყარო"[3].

მსგავსი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 6660

[2] იქვე, ფ. Sd, საბ. 156.

[3] საქ. სიძ., III, გვ. 563.

ყველა საბუთების მოტანა ტექნიკურადაც მოუხერხებელი: და, ვფიქრობთ, არც საჭიროა.

ამრიგად, ჩვენს მიერ აქ განხილული შვიდი საბუთი ფულის გასესხების სხვადასხვა პირობებს ადგენს:

1. ფულის გასესხება სარგებლის ოდენობის წინასწარ განსაზღვრის გარეშე. პირობა: მონაგების „ხეირი და შარი“ ორივე მხარის თანაზიარია, თავნი გამსესხებელს უბრუნდება.

2. მსესხებელსა და გამსესხებელს შორის დადებული წერილობითი დოკუმენტით („თამასუქით“) სარგებელი განსაზღვრულია, „თუმნის თავს“ თვეში სამი შაური.

3. გაცემულ ფულში სარგებელი თვეში სამი შაური, ყმა და მამული გირაოდ რჩება.

4. მსესხებელი მევახშეს შვილს გირაოდ უტოვებს და თუმნის თავს სარგებლად ორ შაურს უხდის.

5. ფული გაცემულია „უვადოდ“, სარგებელი წლისთავზე იანგარიშება „ათი თორმეტად“.

6. სარგებლის გაანგარიშება აქაც წლის თავზე ხდება, მაგრამ არა „ათი თორმეტად“, არამედ „ათი თერთმეტ ნახევრად“; ამავე დროს სახლი გირაოდ იდება და რადგან იმავე სახლში ვალის ამღები რჩება საცხოვრებლად სანამ ვალს გადაიხდის „თავის სახლში“ მევახშეს ქირას აძლევს.

7. აღებულ ვალის სარგებელში ვალის ამღები მევახშისაგან დამოკიდებული ხდება და ვალის გასტუმრებამდე თავი „გაყიდული“ აქვს.

ასეთია ფულის სესხების ძირითადი სახეები. რომ მევახშეობაზე და, საერთოდ აღებ-მიცემობაზე გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს, საჭიროა მანუჩარ თუმანიშვილის საამისო ნუსხების გაცნობა, ასეთი მანუჩარები კი ქართლ-კახეთის სამეფოში მეთვრამეტე საუკუნეში საკმაოდ ბევრი იყვნენ. მანუჩარ თუმანიშვილს 1769 წლიდან 1802 წლამდე სხვადასხვა პირებზე გასესხებული ჰქონდა 3154 თუმანი 8 მინალთუნი, 4 აბაზი და 6 ფული[1].

---

[1] სათანადო ცნობები ამოღებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებიდან, ფონდები Hd, საბ. 5422, 5423, 3506, 14595, 3508, 3550; Sd, 156, 153, 152, 162, 151.

წლების მიხედვით ეს თანხა შემდეგნაირად ნაწილდება:

1760 — 1762 წწ.	77	თუმანი
1776 წელი	41	„
1777 „	4	„
1778 „	73	თუმანი სამი მინალთუნი და ორი აბაზი
1779 „	81	თუმანი 9 მინალთუნი 18 შაური
1780 „	80	თუმანი ერთი აბაზი და ერთი ფული
1781 „	8	თუმანი
1782 „	108	„
1783 „	120	„
1784 „	80	„
1785 „	228	„ 9 მინალთუნი და ექვსი შაური
1786 „	5	თუმანი
1787 „	1080	„
1788 „	120	„
1789 „	48	„
1790 „	90	„
1791 „	56	„
1792 „	89	„
1793 „	101	„
1794 „	309	„ 6 მინალთუნი და 3 შაური
1797 „	72	„
1801 „	80	„
1802 „	129	„ 9 მინალთუნი[1].

[1] 1802 წელს, ტერ-შმოვანაანთ სტეფანას შვილმა სოლომონამ 433 დანა ბაჯაღლო ოქრო აიღო (Hd. 14595), 1815 წლის საბუთიდან ჩანს (Hd. 6571), რომ ოქროზე სამ მინალთუნ თეთრს ანგარიშობენ. სოსია მურაღაშვილი დავით თუმანოვს აძლევს საბუთს „უნდა მოგართოთ თქვენ, უფალს დავით თუმანოვს ეგნატისძეს, მე მურაღაშვილმა სოსიამ, სამი ოქრო ღალანდიისა ტფილისში თუ ოქრო ვერ მოგართო, ოქროს ანგარიშით ოქროზე სამი მინალთუხი (sic) თეთრი ფული მოგცე".

თუ გაცემულ ოქროს თეთრით ანაზღაურების დროს გაანგარიშების აჯ ნაჩვენები წესი 1802 წელსაც უნდა ყოფილიყო ძალაში და თუ 433 ოქროს

3154 თუმანი 8 მინალთუნი, 4 აბაზი და 6 ფული მაშინ დიდი კაპიტალი იყო. თუმანიანთ საბუთებიდან ვიცით (Hd, 14596), რომ ერთი თუმნით ოცდაცამეტ კოდნახევარი ხორბლის ყიდვა შეიძლებოდა. „ქ. იქავ ახალდაბას მამასახლის სიმონას ჩემი ერთი თუმანი ჰქონდა, რომ ოცდაცამეტ-კოდნახევარი პური უნდა ეყიდა“ (ეს საბუთი მანუჩარ თუმანიშვილს ეკუთვნის და 1802 წლით თარიღდება).

საკმაოდ დიდი მევახშე იყო მანუჩარ თუმანიშვილის ძმა სულხანიც. მას სხვადასხვა პირებზე გაცემული ჰქონდა 690 თუმანი[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ფულისა, თუმანიშვილები პურსაც აძლევდნენ სესხად და ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ თუმანიშვილებს სესხად გაცემული პური თავიანთ მინდვრებში კი არ მოყავდათ, არამედ ყიდულობდნენ და მოგებით ყიდდნენ. იყო შემთხვევაც, როცა სესხად გაცემულ ფულის სარგებელში მოვალეს პურს ართმევდნენ.

„ქვს უდე (1777) ამ წელს დავით სარდალს ვასესხე პური კოდი კ(20)“[2]. ამავე საბუთით დავით სარდალი 1778 წელს „მისაცემს არის 27 კოდს“[3].

„ქკს უობ (1784) სულხან გერმანოზიშვილის ყმამ — მატიასშვილმა გაბრიელამ უნდა მამცეს, რომ წიგნი მაქვს პური კოდი რმ (140)“. ამავე ნუსხაში აღნიშნულია, რომ „ქკს უოვ (1788) დავით სარდლის ყმამ აზმარ-ოღლისშვილმა გლახამ პური კოდი, რომ წიგნი მაქვს სამოცდა ექვსი (1)[4].

ამრიგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში

სამ თეთრზე გადავამრავლებთ მივიღებთ: $433 \times 3 = \frac{1299}{10} = 129$ თუმანს და ცხრა თეთრს (ანუ მინალთუნს).

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 4823, Sd, 158.

[2] იქვე, Hd, 5422.

[3] იქვე.

[4] საქ. სიძვ III, გვ. 324.

ქართლ-კახეთის სამეფოში ქვეყნის ერთგვარი ეკონომიური აღმავლობის შედეგად აღებ-მიცემობა გაიზარდა, ვაჭრობა გაფართოვდა.

სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, მარქსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ტყუპი ძმები არიან[1], ისინი ერთმანეთს შეიცავენ და უერთმანეთოდ არ წარმოიდგინებიან. დამახასიათებელია, რომ თვით ქართული სიტყვა „აღებ-მიცემა“ გამოხატავს ვაჭრობასაც და მევახშეობასაც.

საკითხის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის განვიხილოთ ვაჭრობა. ამისათვის საკმარისია თუმანიანთ სახლის საბუთების განხილვაც კი.

თუმანიშვილების სავაჭროებში მყიდველს შეეძლო მრავალგვარი საქონლის ყიდვა. 1795 წელს მათს დუქნებში 459 სახის საქონელი ელაგა[2].

თუმანიშვილებს სხვადასხვა ქალაქებში ჰყავდათ თავიანთი ვაჭრები, ისინი იქ ხელსაყრელ ფასებში ყიდულობდნენ საქონელს, მოჰქონდათ საქართველოს ბაზრებზე და დიდი მოგებით ჰყიდდნენ. მოგებული ფულით საქართველოს ბაზარზე ადგილობრივ საქონელს ყიდულობდნენ და საზღვარგარეთ გაქონდათ.

თუმანიშვილების სავაჭრო და სავახშო ინტერესები განსაკუთრებით დიდი იყო მოზდოკსა და ასტრახანში. როგორც აღვნიშნეთ, 1796 წელს სულხან თუმანიშვილს ერეკლე მეფის მიერ „რვაასი თუმნის ოქრო მოზდოკს მოუვიდა“[3]. მოზდოკის „ბურღომისტრის“ ხოჯაიოვის მიერ 1801 წ., მანუჩარ თუმანიშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილიდან ვიცით, რომ მანუჩარს იქ ჰქონდა 80 თუმანი[4]. ამავე წერილიდან ჩანს, რომ მანუჩარ თუმანიშვილს არაქელა ტერ-ასატურასშვილს და აკოფა აზიზაშვილს „საამხანაკო“ საქმეები აქვთ[5]. ამავე წე-

---

[1] კაპიტალი, ტ. III, გვ. 125.
[2] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 3504.
[3] საქ. სიძ III, გვ. 334.
[4] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 7730.
[5] იქვე.

რილიდან ვტყობილობთ, რომ სულხან მდივანს მოზდოკში დაბანდებული ჰქონია „ოცდა ათი თუმანი რუსის ასიგნაცია“[1].

სააღებმიცემო საქმეების მოსაგვარებლად მანუჩარსა და სულხან თუმანიშვილებს ასტრახანში ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი — გასპარ ბაღდადოვი. იგი თუმანიშვილების ფულით სხვადასხვა ქალაქებში დადიოდა და მათსავე შეკვეთებს ასრულებდა[2].

1802 წელს მანუჩარისაგან, რომ ტერ-შმოვანა (ა)თ სტეფანას შვილმა სოლომანამ ოთხას ოცდაცამეტი დანა ბაჯაღლო ოქრო აიღო, თამასუქები „დაიწერა ჰაშტრახანს“[3].

მანუჩარ თუმანიშვილისა, აბი მელიტოვისა და აღა სტეფანას ანგარიშებით 1794 წელს ასტრახანში იყო, „ორასი თუმანი რუსის შავი ფული“[4].

თუმანიშვილებს, როგორც აღნიშნული იყო, სხვადასხვა ქალაქებში ჰყავთ, თავიანთი წარმომადგენლები, მათი საშუალებით ეცნობოდნენ იქაურ ამბებს, იქაურ „სავაჭრო მაზანდებს“, ასრულებენ პატრონის დაკვეთებს.

უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი თუმანიშვილებს გაჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ჯერ კიდევ 1649 წელს როსტომ მეფემ დააკმაყოფილა თუმანიშვილების თხოვნა და „წყალობის წიგნი“ უბოძა: „მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა, თქუენის სათავნოსა და თქუენის ყმის აშანმაშანაშვილის ხუდადასა, ყაზარასა და პაპიას სითარხნეს დაგუიჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ასრე გათარხნევთ, რომე სამოცის თუმნისა რაგინდარა სავაჭრო, მოქალაქემ თქვენმა უმებმან ამგზავროს ჩუენს საბატონოში არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს“[5].

თუმანიშვილები პურითაც ვაჭრობდნენ „ქ. ქკს უოᲔ. ამ წლის თიბათვის „გ“ ბატონი გორიდამ, რომ ხელთუბანს ამო-

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hძ, 7730.
[2] იქვე, 7660.
[3] იქვე, 14595
[4] იქვე, 5420.
[5] იქვე, 13:43

ბძანდა თეთრით თუმანიანთაგან ოთხი ხარვალი ფქვილი ვიყიდეთ“[1].

არა ერთი საბუთიდან ჩანს, რომ თუმანიშვილები სხვა „სახლებთან“ ქმნიდნენ „სავაჭრო ამხანაგობებს“. მანუჩარ თუმანიშვილისა და მისი სიმამრის — სტეფანას საამხანაგო თანხა 835 თუმანს შეადგენდა. მანუჩარი აგრეთვე ითვლება ბაზაზა ჰაიროსეფაშვილის, აში მელიქოვის, არაქელა ტერ-ასატურაშვილის, აკოფა აზიზაშვილის და სხვ. ამხანაგად.

ამრიგად, ერთი „სახლის“ კუთვნილი საბუთების განხილვის შედეგად, ნათელი ხდება, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში, მიუხედავად საგარეო ურთიერთობის სირთულისა, თანდათან იქმნებოდა სათანადო ეკონომიური პირობები ალებ-მიცემობის განვითარებისათვის. მაგრამ რამდენადაც ფეოდალური მეურნეობის სისტემა ძალაში რჩებოდა, ეს ალებ-მიცემობაც სუსტი იყო და არ შესწევდა ძალა ფეოდალური რკალი გაერღვია.

XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ აქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ქვეყანამ ფიზიკურად მოისვენა, შეწყდა საგარეო შემოსევები, ტყვეთასყიდვა და ფეოდალური ომები.

ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაშიც ჩაება. ყოველივე ქართულს რუსეთის სავაჭრო კაპიტალი თავის ორბიტში აქცევდა. გასაგებია, რომ ყოველივე ეს გორსაც უნდა ეგრძნო და მართლაც XIX საუკუნის დამდეგიდან გორის სავაჭრო კაპიტალის ხვედრითი წონა სულ უფრო და უფრო მატულობდა, დუქან-სავაჭროების ქსელი ფართოვდებოდა.

1802 წლისათვის გორში 90 დუქანი იყო[2].

1807 წელს კლაპროტი, რომელმაც პირადად ინახულა გორი, წერს: „6 მაისს, დილით გამოვედი და შუადღემდე აქეთ-იქით ვიარე, რომ მენახა აქაური ბაზარი, რომელიც

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, 11749.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქმე 2420, გვ. 55.

ასამდე საწვრიმალო დუქნისაგან შედგება. დუქნები დიდია, მაგრამ საქონელი ისე უმნიშვნელოა, რომ თითოეულ ვაჭარს თავისუფლად შეუძლიან თავის ავლადიდება ზურგით ატაროს. გასასყიდად გამოეტანათ დაბალი ხარისხის აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ციყვის და მელიის ტყავები, აზიური ფეხსაცმელი. დუქნების მეტი წილი სურსათ-სანოვაგის სავაჭროებს წარმოადგენს"[1].

კლაპროტის ეს ცნობა არ გვაძლევს საბუთს გორის სავაჭრო მნიშვნელობა შევამციროთ, იგი მხოლოდ ერთი დღე იყო აქ და შესაძლებელია მაშინ მართლაც ბაზარი ცარიელი იყო. ჩვენ სხვა ცნობებით ვიცით, რომ გორელი ვაჭრები რუსეთსა და საზღვარგარეთ მიდიოდნენ სავაჭროდ. ავთანდილ თუმანიშვილის გადმოცემით გორელები „ვაჭრობენ რუსეთს, სპარსეთსა და თურქეთში და ქალაქს ავსებენ აღნიშნული ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით"[2].

ფრანგი კონსული გამბა 1820 წელს გორის შესახებ წერდა: „ვაჭრობის მნიშვნელობისა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ გორი მეორე ქალაქია საქართველოში. იქ ითვლიან 600-დე სახლსა და 4000-დე მცხოვრებს, გარნიზონის გამოკლებით, რომელიც საკმაოდ დიდია...

გორის ვაჭრობა უმთავრესად შედგება შალეულობის, ტყავეულობის, სანთელ-საკმელის და სხვ.[3]

1837 საანგარიშო წელს გორის ვაჭრობა შემდეგ მონაცემებში გამოიხატა. ქალაქში გილდიის ვაჭრები საერთოდ არ იყვნენ. ვაჭრობას ეწეოდნენ: მოქალაქენი, საეკლესიო, სახაზინო და საბატონო გლეხები. მათი ვაჭრობის მთავარი საგნებია: ფარჩა, რომელსაც ყიდულობენ მაკარევსკის იარმარკასა და სხვა ადგილებში, მაგარი სასმელები, როგორიცაა არაყი, ღვინო, ამ უკანასკნელს გორელი ვაჭრები იძენდნენ გორის, თელავის და სიღნაღის მაზრებში, ღვინოს ყიდულობდნენ აგ-

---

[1] კლაპროტი, Reise, გვ. 328.

[2] ა. თუმანიშვილი, Описание груз. города Гори, გვ. 34—35.

[3] Путешествие кавалера Гамбы.

რეთვე იმერეთშიც. გორში ითვლებოდა შემდეგი სახის სავაჭრო დუქნები:

ფართლეულის	39 დუქანი
პურის	15 დუქანი
სხვადასხვა საწვრილმანო . .	27 დუქანი
სასადილოები	13 დუქანი
ღვინის სარდაფები . .	8 დუქანი
სამკერვალოები	18 დუქანი
სულ . . .	120[1] დუქანი

კიდევ უფრო საინტერესოა 1842 წლის გორის მაზრის სტატისტიკური მიმოხილვაში დაცული ცნობები, რომელიც ცენტრალური ისტორიული არქივის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება[2].

აქ ნათქვამია, რომ გორელები მანუფაქტურული ნაწარმოებით ვაჭრობენ ლაიპციგში, მოსკოვში, სპარსეთში, თურქეთში და ამიერკავკასიის პროვინციებში. აღნიშნულ პროვინციებიდან მოაქვთ სხვადასხვა საქონელი, წლიური ბრუნვა 250 000 მანეთამდეა ვერცხლით. გორელთა დიდი უმრავლესობა წვრილმანი საქონლით ვაჭრობს, ჰყიდიან ღვინოს, არაყს, სურსათ-სანოვაგეს და სხვ.[3]

ჩვენს ხელთ არის გორის მაზრის უფროსის მოხსენებითი ბარათი გორის მაზრის მცხოვრებთა საქმიანობის შესახებ. ეს მოხსენებითი ბარათი 1846 წლის 21 მარტით თარიღდება. იგი უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გორის მაზრის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. აქ გორის ვაჭრობის შესახებ ნათქვამია: ვაჭრობის მდგომარეობა გორში საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, მანუფაქტურული, კოლონიური საქონლისა და სხვ. შესყიდვისათვის გორელთაგან ექვსი კაცი მგზავრობს საზღვარგარეთ — თურქეთში, ირანში; მსხვილ ქალაქებში: ლაიპციგში და ლონდონში.

12 კაცი რუსეთის ქალაქებში ვაჭრობს (მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი). გორელ ვაჭართა რაოდენობა 196 კაცია.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 159, საქ. 5679, გვ. 42—52.

[2] ეს მასალა პროფ. პ. გუგუშვილმა მომაწოდა.

[3] ЛОЦИА, Ф. Кавк. кош. № 245.

გორის მაზრაში ვაჭრობას ეწევიან ებრაელები, რომლებიც გორელ ვაჭრებისაგან იძენენ წვრილმან საქონელს და სოფელ-სოფელ დააქვთ გასასყიდად.

გორელ ვაჭრებს საზღვარგარეთიდან შემოაქვთ: შალი, ირანის საუკეთესო ქსოვილები, ლურჯი ნარმა, შაქარი, ყავა, საკმელი, ყინვაშაქარი, თურქული თამბაქო, ფოლადი, ლიმონი და სხვ. რუსეთიდან მოჰქონდათ სხვადასხვა ფერისა და ხარისხის მაუდი, თივთიკი, ხავერდი, სხვადასხვა ფერის ატლასი, აბრეშუმის თავსაფრები, ჩითები, თეთრეული, ნარმა, მიტკალი, ტილო, ნაშური, სარჟ-ყალამქარი, გალანტერიული საგნები, ფაიფურის და ქაშანურის ჭურჭელი, თაფლის სანთელი, სუფრისა და ჯიბის დანები, საწერი ქაღალდი და სხვადასხვა წვრილმანი საქონელი.

ადგილობრივ ნაწარმოებებიდან ბაზარზე გაჰქონდათ: ქეჩა, შალის წინდები, გლეხური მაუდი, შალის ზონარები, თოკები, თეთრი ნარმა[1].

საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან გორში შემოტანილი საქონლის შესახებ საინტერესო ცნობა არის დაცული 1846 წლის 9 ივლისს შედგენილ უწყისში. რადგან ამ უწყისს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, მოგვაქვს მთლიანად.

გორის სავაჭრო ბრუნვის უწყისი 1846 წელი.

საქონლის დასახელება	შემოტანილი საქონლის დასახელება (ვერცხლით) მან.	კაპ.	გაყიდული საქონლის ღირებულება (ვერცხლით) მან.	კაპ.
კანანის შალები	1100	„	990	„
ირანის საუკეთესო შალები რომლებსაც ეწოდებოდა ტირმაშალი .	1000	„	700	„
ლურჯი ნარმა	1200	„	1000	„
შაქარი	1800	„	1600	„
ყავა	300	„	200	„
საკმელი	250	„	180	„
ყინვაშაქარი	1000	„	800	„
თურქეთის თამბაქო	880	„	690	„
ფოლადი	200	„	150	„
ლიმონი	300	„	250	„
სულ თანხით	8 030	„	6 560	„

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, გვ. 5—9.

შემოტანილი საქონელი	საქონლის ბრუნვა			
ქ. მოსკოვიდან და მაკარევის ბაზრიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობას მისდევენ გორის მცხოვრებლებიდან 50 კაცი.	რა თანხას შეადგენდა შემოტანილი საქონლის ფასი		რა თანხას შეადგენდა გაყიდული საქონლის ფასი	
	ვერცხლით		ვერცხლით	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
სხვადასხვა ფერისა და ხარისხის მაუდი .	4000	„	2000	„
თივთიკი	200	„	100	„
სხვადასხვა ფერის ხავერდი	600	„	300	„
ატლასი	200	„	108	„
სხვადასხვა აბრეშუმის ფართალი . . .	5000	„	3900	„
აბრეშუმის სხვადასხვა თავშლები . . .	1000	„	800	„
დოლბანდის თავშლები	290	„	180	„
ბამბის ჩითეულობა	16000	„	13000	„
ბამბის სხვადასხვა თავშლები	1900	„	1000	„
თეთრი მიტკალი და ნარმა	4000	„	3000	„
სარეპტის და ბამბის ტილოები	1600	„	1200	„
ნაშური, სარჟი	900	„	700	„
სხვადასხვა მარმაში	200	„	150	„
ყალამპარი თეთრი და წითელი	300	„	180	„
სხვადასხვაგვარი ბამბანარევი შალები .	2500	„	1890	„
გალანტერიული ნივთები	500	„	300	„
სამხედრო ნივთები	1000	„	700	„
სახარაზო საქონელი	600	„	500	„
ფაიფურის და ქაშანურის ჰურჭლები . .	450	„	300	„
სხვადასხვა ხარისხის ბოქლომები . . .	500	„	400	„
სხვადასხვა ხარისხის საწერი ქაღალდები	3090	„	2000	„
ლუქი	180	„	120	„
სამელნე გალი და ასპი	60	„	50	„
ფანქრები, საღებავები. კალმები, ტუში, საშლელი და სხვა	100	„	90	„
ჩახსაკრავები, სარტყელები, შალის წინდები და ხელთათმანები, ნატი და სანდალოზი	200	„	100	„
რკინები, ლურსმნები, მავთულები, ღუმელის კარებისა და ფანჯრების გასაწყობები	900	„	800	„
ს უ ლ . .	47730	„	34968[1]	

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 8888, გვ. 10—106.

ეს ციფრები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ გორში შემოტანილი საქონლის შესახებ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის ხვედრითი წონა სულ უფრო და უფრო მატულობდა; ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელოსნურ წარმოებაზე დამღუპველ გავლენას ახდენდა.

შემოზიდული საქონლის ზრდა, ბაზარზე ადგილობრივი მოსახლეობის მოზიდვა დღის წესრიგში სვამდა ამ საბაზრო საქმის ტექნიკურ მოწესრიგებასაც. ჯერ კიდევ 1844 წელს დაისვა საკითხი გორში იარმარკის მოწყობის შესახებ. იარმარკობა უნდა მოწყობილიყო თვეში ორჯერ, კვირაობით[1].

ამ მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხი მიიღეს იმ მოტივით, რომ რუსეთში საამისო წესდების თანახმად, იარმარკობა შეიძლებოდა გამართულიყო წელიწადში მხოლოდ სამჯერ, ამიტომ ნება დართეს გორში მხოლოდ ბაზრობა გაეხსნათ[2].

მართალია, ძველთაგანვე არსებობდა ბაზარი გორში, მაგრამ ეს იყო მოწყობილი დახურულ რიგზე, სადაც 90 სავაჭრო ფარდული, 7 პურის გასასყიდი წერტი, 6 ხორცის გასასყიდი დუქანი, 18 სხვადასხვა პირველი მოთხოვნილების საგნების და 50 მანუფაქტურის მაღაზია არსებობდა[3].

ახლა მოითხოვდნენ, რომ გორელებისათვის ნება დაერთოთ სპეციალური მოედანი, მუდმივად გამოყოფილი ადგილი ამოერჩიათ, სადაც ბაზრობა გაიმართებოდა.

1852 წელს კვლავ დაისვა საკითხი გორში ყოველკვირეული ბაზრობის შემოღებისა და წელიწადში ერთხელ იარმარკობის გამართვის შესახებ[4]. ეს საკითხი ამჯერადაც ვერ გადაწყდა.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 8424, გვ. 1.
[2] იქვე, გვ. 3.
[3] იქვე.
[4] Акты, т. 10, стр. 60.

როგორც იყო საქმეს ეშველა და 1853 წლის 24 იანვარს გორში ბაზრობა გახსნილად გამოცხადდა. ამის შესახებ გაზეთი „კავკაზი“ წერდა: დანიშნულ დღეს ხალხი დაიძრა მოედნისაკენ, სადაც ბაზრობა იყო დანიშნული. მოედანი მდებარეობდა მაზრის წინამძღოლ ერისთავის სახლის მახლობლად. აქ თავი მოეყარათ ვაჭრებსა და ხელოსნებს, აქ მოსულიყვნენ მახლობელი სოფლების გლეხებიც. ერთი სიტყვით, ქალაქი მთელი თავისი 5000 მცხოვრებით ცხოველ მონაწილეობას იღებდა ამ საერთო სასარგებლო საქმეში. ბაზრობის შემოღება საზეიმო ვითარებით აღინიშნა[1].

შემოტანილი საქონელი სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს გლეხთა რეფორმის შემდეგ, ამასთან ერთად ფართოვდება ასორტიმენტიც. საქართველო და მათ შორის გორიც რუსეთის იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში შესამჩნევ ადგილს იჭერს, როგორც რუსული საქონლის გამსაღებელი..

„რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას“[2].

კაპიტალისტური ურთიერთობის ამ ფერხულში ჩაება ქალაქი გორიც.

---

[1] Кавказ, 1853, № 12.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 704.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ცნობით, „გორელი ვაჭრები ძალიან ხშირად მიდიან ნიუეგოროდის, მოსკოვის, ვარშავის, ოდესის, როსტოვისა და სხვა ქალაქების ბაზრებზე, იქ ყიდულობენ საქონელს და მოაქვთ გორში გასასყიდად“[1]. მისივე გადმოცემით, გორი არა მარტო უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის გამსაღებელი ბაზარი იყო, არამედ — ადგილობრივი ნაწარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამსაღებელი ბაზარიც. „გლეხებს გორის ბაზარზე გამოაქვთ ხორბალი, ფქვილი, რძის ნაწარმი, მატყლი, შალი და სხვ.“[2]

თუ 1846 წელს გორის მცხოვრებთაგან ვაჭრობას 196 კაცი მისდევდა 1880 წლისათვის უკვე 235 კაცი ვაჭრობდა.

1880 წლისათვის გორში საქონლის მიმოქცევა დაახლოებით 500 000 მანეთით განისაზღვრებოდა[3].

ვაჭრობის განვითარებას თან სდევდა კაპიტალისტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: კონკურენცია, წვრილი მწარმოებლებისა და გლეხების ჩაგვრა-გაყვლეფა, მოტყუება, ქურდობა, გაიძვერობა. ამ მხრივ არც გორი წარმოადგენდა გამონაკლისს.

1886 წლის 17 იანვარს გაზეთი „ივერია“ წერდა: „მთელი გორი წარმოგიდგენთ ერთს დიდს დუქანს: დიდი და პატარა წვრილმან ვაჭრობას მისცემიან, დღესა და ღამეს ატარებენ იმ ფიქრში, თუ როგორ კარგად მოაგვაროონ ვაჭრობის საქმე, იაფად იგდონ ხელთ ყოველივე სოფლებიდამ შემოტანილი და მამა-სისხლად ჰყიდონ ქალაქის მცხოვრებლებზედ. ყველაფერს, რაც კი სოფლებიდამ შემოდის, ნემსის დანაფასევად ჩაიგდებენ ხოლმე ხელში აქაური ვაჭრები: ხორაგეულს, სანოვაგეულობას, საკლავს, მიწის მოსავალს და ბევრ სხვათა. მაგალითად ჰყიდულობენ კართოფილს 15—20 კ., კომბოსტოს — 15 კ., ლობიოს — 60 კ., სიმინდს — 30 — 35 კ., ფუთ ხორბალს—55—60 კ., ქერს—40—45 კ. ახლა საკლავი

---

[1] ალ. ჯავახიშვილი. Гори, გვ. 90.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ავიღოთ: თოხლი ცხვარი წყვილი — 2 მ. 40 კ., ძროხა — 10 მ., ძლიერ ბევრი — 13 — 14 მ., ქათამს, ინდაურს და ორფეხ ცხოველებს ნუ იანგარიშებთ; წრეულს ღორი ხომ ოხრად არის. ყველა ეს უფრო ფასში ეხლა იყიდება.

როცა ფოსტის ფულობა მოატანს ხოლმე, მაშინ, რადგანაც მცხოვრებლები ერთობ შეჭირვებაში არიან და კარს იასაული უკაკუნებს, ამ მოყვანილს ფასებზე კიდევ ნაკლებად ჰყიდიან. ...ასე იაფად რომ ჰყიდულობენ ყოველიფერს სოფლიდამ შემოტანილს, თვით ჩარჩი ვაჭრები როგორ ჰყიდიან მცხოვრებლებზე? ერთი სამად და ოთხად... ბაზარი ძვირად თუ როდისმე ისინჯება სამმართველოსაგან და ექიმისაგან. სასწვრები, საწონები, საწყაოები ყველას ნაკლები თურმე აქვთ ბაზარში“[1].

მსგავსი წერილები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მომდევნო წლებშიც იწერებოდა.

2. ხელოსნობა

ფეოდალური ქალაქი ხელოსნური წარმოების ცენტრსაც წარმოადგენდა. სამწუხაროდ, გორის ხელოსანთა რაოდენობის, ხელოსნობის დარგების, ორგანიზაციისა და სხვ. შესახებ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე ჩვენ თითქმის არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია; გარდა სამღებრო საქმისა. ცხადია, რომ გორში სხვა ხელოსნებიც იყვნენ, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ შემონახულა, უფრო სწორად სათანადო საბუთებს ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

გორის ხელოსანთა პირველი, შედარებით სრული აღწერილობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 1802 წლით თარიღდება. ამ აღწერიდან ჩანს, რომ გორში 50 სახელოსნო იყო. დარგების მიხედვით ეს სახელოსნოები შემდეგ სურათს იძლევიან:

---

[1] „ივერია“, 1886 წ., № 16.

ზეინკალთა	1	სახელოსნო
ოქრომჭედელთა . .	2	„
მღებავთა . . .	9	„
ფეხსაცმელების .	3	„
მექუდეთა	3	„
ოქრომჭედელთა . .	1	„
თოქმაჩთა	3	„
მჩითავთა	10	„
სხვადასხვა დარგის	14[1]	„

ავთანდილ თუმანიშვილი გვარწმუნებს, რომ გორში ეწეოდნენ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების დამზადებას, ოქრო-ვერცხლის სამკაულთა დამზადებას, რკინისა და სპილენძის საგნების გამოჭედვას, სახლმშენებლობას და სხვ.[2]

საკმარისია ითქვას, რომ 1822 წელს გორში ითვლებოდა 72 ხელოსანი[3].

1837 წლის მონაცემები გორის ხელოსანთა მდგომარეობის შესახებ ასეთია:

მკერავი .	6	ხელოსანი
ხარაზი .	19	„
მჭედელი	9	„
მკალავი	5	„
ზეინკალი	2	„
მექუდე . .	8	„
ოქრომჭედელი	4	„
მენაბდე . .	2	„
მეხანჯლე . .	2	„
სირაჯი . .	6	„
დალაქი	7	„
სულ	70	ხელოსანი[4].

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 16, საქმე 51, გვ. 5.
[2] ა. თუმანიშვილი, Описание груз. города гори, გვ. 34
[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 34, საქმე 3290, გვ. 7.
[4] იქვე, ფ. 159, საქმე 5479, გვ. 42—52.

1842 წლის აღწერით ქალაქ გორში იყო სარეწაოებიც, რომლებიც სათანადო საბუთებში ქარხნების სახელდებით არიან მოხსენებული. ასეთ სარეწაოთა შორის დასახელებულია:

ხის სახერხი	1
ზეთსახდელი	1
არაყის სახდელი	2
საკირე	4
აგურის	5
კრამიტის	2
ტყავის	3
ქოთნების (თიხის ჭურჭლის)	2
სამღებრო	1
აბანო	1
სულ	22[1]

1851 წლის აღწერით, გორის სარეწაოების წლიური შემოსავალი განისაზღვრებოდა შემდეგი მონაცემებით;

№№ რიგზე	სარეწაოების დასახელება	სარეწაოების რაოდენობა	სარეწაოების წლიური შემოსავალი მან.	შენიშვნა
1	ხე-ტყის	1	—	ამ დროს რემონტში იყო, არ მუშაობდა
2	ტყავ-გადამმუშავებელი	2	300	
3	თიხის ჭურჭლის (ქოთნების)	4	200	
4	აგურის	3	900	
5	საპნის	1	450	
6	ზეთსახდელი	2	500	
7	სამღებრო	3	210	
	ს უ ლ	16	3560 მანეთი[2]	

გორის სარეწაოების შედარებით სრული აღწერა შენახულია საქ. ცენტრ. არქივში. აღწერა 1864 წელს შეეხება.

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 159, საქმე 5679, გვ. 42—52.

[2] იქვე, ფ. 152, საქ. 6.

№№ ნ.	მესაკუთრის გვარი და სახელი	სარეწაოს დასახელება	გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა	გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება	მუშაობდა	
					ოსტატი	ქვეოსტატი
1	მეჩატოვი გლახა	ზეთსახდელი	83 ვედრო	250 მან.	1	1
2	ტუტუნოვი	"	82 "	250 "	1	1
3	ღამბაროვი ივანე	აგურ. ქარხანა სამი დაზგით	9000 ც.	600 "	1	1
4	კორბესაშვილი პეტრე	" " ორი დაზგით	6000 "	400 "	1	1
5	ტოტაძე ნიკო	" " " "	6000 "	400 "	1	1
6	ალაძე ალექსი	" " " "	6000 "	400 "	1	1
7	ციხითათრიშვილი ანდრო	თიხის ჭურჭლ. ერთი დაზგ.	3500 "	130 "	1	—
8	არაბაშვილი სოსო	" " " "	3500 "	130 "	1	—
9	ბებიაშვილი გიორგი	" " " "	3500 "	130 "	1	—
10	ზახაშვილი ზაალი	" " " "	3500 "	1 :0 "	1	—
11	სალაგაშვილი ანდრია	" " " "	3500 "	1 :0 "	1	—
12	თაყნიაშვილი სოსიკო	" " " "	3500 "	130 "	1	—
13	ბალიაშვილი სიმონ	სამღებრო ორი ქვაბით	3000 "	180 "	1	1
14	სომხიშვილი კარგია	" " "	3000 "	180 "	1	1
15	ლოშელევი სტეფანე	" " "	3000 "	180 "	1	1
16	ზახუნოვი იაკობი	არაყსახდელი ორი ქვაბით	100 ვედრო	200 "	1	1
17	ზახუნოვი იოსება	" " "	100 "	200 "	1	1
18	მიქაძე ბერიკა	" ერთი "	50 "	100 "	1	1
19	მამასახლისოვი იაკობი	" " "	50 "	100 "	1	1
20	მეჩატოვი გლახა	" " "	50 "	100 "	1	1
21	ნერსესოვი ტერ ნერსესა	" " "	50 "	100 "	1	1
22	აბუევი იაკობი	" " "	50 "	100 "	1	1
23	აბუევი დავით	" " "	50 "	100 "	1	1
24	გამგებელი ანდრია	" " "	50 "	100 "	1	1
25	ბაბალოვი ზაქარია	" " "	50 "	100 "	1	1
26	მაისურაძე ივანე	" " "	50 "	100 "	1	1[1]

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 175, საქმე 1081, გვ. 154—206.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ გორის სარეწაოები იმდენად სუსტი ყოფილან, რომ ადგილობრივ მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ საქონელი უმთავრესად შემოჰქონდათ.

XIX ს. 80 — 90-იან წლებში გაიზარდა ხელოსანთა რიცხობრივი შემადგენლობა, რაც ცხადყოფს სასაქონლო კაპიტალისტური მეურნეობის დარგების ზრდას.

№№ რიგ.	ხელოსნების დასახელება დარგების მიხედვით	ხელოსანთა ეროვნული შემადგენლობა			
		ქართველი	სომეხი	შეგირდი	ს უ ლ
1	ხუროთ	60	15	20	95
2	კალატოზი	40	5	30	75
3	დალაქი	2	12	6	20
4	მეტყავე	1	1	—	2
5	ევროპული ფეხსაც. სპეც. . .	27	3	16	46
6	მკერავი	13	8	4	25
7	თოქმაჩი	9	11	15	35
8	მჭედელი	19	7	20	46
9	მღებარები	—	4	—	4
10	ქვის მთლელი	5	4	—	9
11	მეპურე	1	8	1	10
12	მღებავი	5	5	10	20
13	მეთუნუქე	13	3	10	26
14	აგურის მჭრელი	5	7	4	16
15	მებაღე-მევენახე	32	11	5	48
16	მეკარეტე	9	3	10	22
17	ოქრომჭედელი	7	5	6	18
18	მეჩექმე	50	7	35	92
19	მეკუბოე	1	1	—	2
20	მხერხავი	50	16	—	66
21	მენალბანდე	—	5	—	5
22	მესაათე	—	3	—	3
23	იარაღის მკეთებელი	2	—	—	2
24	მებურნე	9	—	—	9
25	მეთულუხე	2	—	—	2
26	მექუდე	8	7	5	20
27	მეტიკე	1	4	—	5
28	ხაბაზ-მეკანდიტრე	4	—	3	7
29	მეეტლე	26	8	15	49
30	ყასაბი	5	17	10	32
31	მეწისქვილე	10	1	—	11
32	მეურმე	40	10	—	50
33	წყემსი	4	3	—	7
	ს უ ლ	460	194	225	879

გორის ხელოსნობის შესახებ კიდევ ერთ წერილობითს საბუთს დავიმოწმებთ. ეს მასალა შედგენილია 1894 წელს— „უწყისი ხელოსნებზე“.

№№ რიგზე	ხელოსნობის დასახელება დარგების მიხედვით	ხელოსანი (ოსტატი)	შეგირდი	მუშა
1	პურის მცხობელი	10	10	—
2	საკონდიტრო ნაწ. მცოდნე	3	3	3
3	მკერავი	20	10	—
4	მექუდე	3	4	—
5	ხარაზი	30	60	—
6	მკაზმავი	1	1	—
7	დურგალი	4	7	—
8	ხურო	30	30	—
9	ხეინჯალი	3	3	6
10	პეშუშე	4	—	—
11	მჭედელი	20	20	—
12	მენალბანდე	4	4	—
13	მღებრები	1	1	—
14	მელუდე	3	3	—
15	მექოთნე	10	10	—
16	მეფეჩე	3	3	—
17	მესაათე	2	2	—
18	მეუნაგრე	3	3	—
19	თვლების გამკეთებელი	1	1	—
20	ყასაბი	6	6	—
21	შეშის მჭრელი	8	—	—
22	ეტლის მკეთებელი	2	2	—
23	მეტყავე	2	2	—
24	ღუმელის მილის მწმენდავი	3	2	—
25	მექვაბე	5	5	—
26	მეკასრე	2	—	—
27	მბურავი	2	—	—
28	მეკუბოე	3	3	—
29	მეეტლე	32	32	—
30	ოქრომჭედელი	5	5	—
31	ქვის მთლელი	4	—	—
32	დალაქი	7	7	—
	ს უ ლ	238	265	9[1]

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 175, საქმე 2138, გვ. 132.

XIX ს. 80-იან წლებში გორის ხელოსანთა დარგობრივი, რიცხობრივი და ეროვნული შემადგენლობის აღწერა მოგვცა ალ. ჯავახიშვილმა. (იხ. ცხრილი მე-121 გვერდზე).

ალექსანდრე ჯავახიშვილის ცნობებსა და 1894 წლის ცნობებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

მაგ. ალექსანდრე ჯავახიშვილის ცნობით ხუროთა რიცხვი შეგირდების ჩათვლით 95 კაცს უდრის, 1894 წლის აღწერით კი — 60 კაცს. განსხვავებაა მრავალ სხვა დარგებშიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სახელდობრ ის, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის თანდათან გავრცელებას თან სდევდა ევროპული (უმთავრესად რუსული) საქონელი, მოდა, კულტურა, ახალი, ე. წ. კაპიტალისტური ყოფა, ყოველივე ეს თავის გავლენას ახდენდა ხელოსნობის ძველ დარგებზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ხელოსნობის ძველი დარგის მთლიანად მოსპობას. გორის მაზრის სოფლებს გორელი ხელოსნები თავიანთი პროდუქციით ამარაგებდნენ, როგორც შეეძლოთ და რითაც შეეძლოთ.

გორის ხელოსნები, სხვა ქალაქების ხელოსნების მსგავსად, ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი. ცალკეული დარგის ხელოსნები ქმნიდნენ თავიანთ ამქრებს. გორის ხელოსანთა ამქრებში გაერთიანებულნი იყვნენ არამარტო ადგილობრივი ხალხი, არამედ სხვა მხრიდან მოსული ხელოსნებიც.

თითოეულ ამქარს თავისი უფროსი ჰყავდა. ამქრის უფროსს უსტაბაში ეწოდებოდა. უსტაბაში თვალყურს ადევნებდა ხელოსან-შეგირდების ურთიერთობას, ამქრის უფლების დაცვას. ოსტატის სიტყვა შეგირდისათვის კანონი იყო. ყოველ ამქარს წესად ჰქონდა შემოღებული ამქრობის ჩატარება გორის გარეუბანში. ეს „ამქრობა“ ტარდებოდა, მაისის თვეში ყოველწლიურად. „ამქრობა“ თავისებურ სპეციმო ნადიმობის სახეს იღებდა. ნადიმობის დროს ის შეგირდი, რომელიც უკვე სათანადო მომზადებას ამჟღავნებდა, ქარგლად გადაჰყავდათ. ოსტატი შეგირდს ჯერ სილას არტყამდა, შემდეგ გადაჰკოცნიდა, მიუხედავად ამისა, შეგირდი რამდენიმე წელს კვლავ ოსტატთან მუშაობდა, სანამ იგი თვითონაც ოსტატი გახდებოდა.

ამჭარში შემავალი ხელოსანი შესასვლელ გადასახადს იხდიდა 5—10 და 20—30 მანეთის რაოდენობით.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის გორელ უსტაბაშთა შორის ცნობილნი იყვნენ: გიგო მაისურაძე — ხუროების ქარგლის უსტაბაში, გაბო კოკაშვილი — მჭედელთა ქარგლის უსტაბაში, შიო მჭედლიძე — მეწაღეთა ქარგლის უსტაბაში, ზურაბ ცვიაშვილი — ხაბაზთა ქარგლის უსტაბაში[1].

1880 წელს გორში დაარსდა გორის ხელოსანთა გამგეობა. ხელოსანთა გამგეობა ხელოსანთა ინტერესს იცავდა. გამგეობის მეშვეობით ხდებოდა ხელოსანთა და ცალკეულ მოქალაქეთა, ან ხელოსანთა და მთავრობის პირთა შორის ურთიერთობის მოგვარება. ხელოსანთა გამგეობა დიდი უფლებით სარგებლობდა. მას შეეძლო ხელოსნის გადასახლებაც კი. „რამდენიმე კაცმა — წერს ს. მგალობლიშვილი 1880 წელს — „ყვავის ტუზებმა“ შეიტანეს სახელოსნო სამმართველოში თხოვნა, რომ გადაესახლებინათ გორიდან ერთი ყასაბი, სახელად ბესა“[2].

სახელოსნო სამმართველოს უფროსს თვით ხელოსნები ირჩევდნენ.

„ქალაქის მოხარჯე, პატიოსანმა ხალხმა აღმომარჩიეთ თქვენს მოთავედ, მწარმოებლად სახელოსნო გამგეობისა“, — ამბობდა ხელოსანთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში გრ. თუთუნოვი[3].

ხელოსანთა გამგეობის აპარატს თვით ხელოსნები ინახავდნენ. „რადგანაც ახალს გახსნილს ხელოსნების გამგეობას არ ჰქონდა წყარო თუ რითი შეენახა მსახურნი გამგეობისა, ყრილობამ იკისრა, რომ გადაეხადნათ მათთვის ფული, მანეთის მაგიერ ექვსი აბაზი, რომელიც შეადგენს წელიწადში ათას ორას მანეთს და ეყოფა გამგეობას“[4].

---

[1] გარსევანიშვილის არქივი, გორის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 536.

[2] „დროება“, 1880 წ. № 77.

[3] იქვე. № 11.

[4] იქვე.

3. სოფლის მეურნეობა

ფეოდალური ქალაქის ცხოვრებაში სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

XVIII საუკუნის საბუთებიდან ჩანს, რომ მცხოვრებთა უმრავლესობის შემოსავალის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა.

გორელებს ჰქონიათ ბაღ-ვენახები, ბოსტნები, ჰყოლიათ პირუტყვი და სხვ. სოფლის მეურნეობას დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა XIX საუკუნეშიაც.

1853 წელს ქალაქ გორის მიწა-წყლის ფართობი, 1 125 დესეტინას შეადგენდა. აქედან 41 ჰექტარი ბაღ-ბოსტნებს ეჭირა, 57 დესეტინა სახნავ-სათესი იყო, ხოლო 640 ჰექტარი საძოვრებს წარმოადგენდა[1].

ძნელად თუ მოიძებნებოდა ისეთი ოჯახი, რომელიც მთლიანად მოწყვეტილი ყოფილიყო სოფლის მეურნეობას.

---

[1] Кавк. календарь, 1853 г., стр. 277.

თავი IV

ქალაქის სოციალური სახე

ფეოდალური ქალაქი ასახავს ფეოდალურ სოციალურ სტრუქტურას. ვაჭრები და ხელოსნები ყმურ ურთიერთობაში იყვნენ მეფესთან ან ეკლესიასთან, ან კიდევ მებატონესთან. თვით ქალაქი, მეფეს, ეკლესიას, ან ფეოდალს ეკუთვნოდა, ასე იყო სხვა ქვეყნებში, ასე იყო საქართველოშიც. გვაქვს ცნობები, რომ შანშე მხარგრძელი 19 ქალაქის მფლობელი იყო.

გორის მოსახლეობის ძირითადი ფენა ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა. შარდენის თქმით გორის მცხოვრებნი სულ ვაჭრები არიან და საკმაოდ შეძლებულნიც.

XIX საუკუნის გორის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ არა ერთი საბუთი გაგვაჩნია.

1806 წლის 28 ოქტომბრის ცნობით გორის მოსახლეობის სოციალური სურათი ასეთია:

	მამრ.	მდედრ.
ვაჭრები	106	88
ხელოსნები	206	160
სახაზინო გლეხები	19	14
საბატონო გლეხები	163	139
საეკლესიო გლეხები	62	55
კათალიკოსი	72	58[1]

[1] Акты, III, გვ. 714.

1811 წლის 19 სექტემბრის აღწერილობით გორის მცხოვრებთა რიცხვი განისაზღვრებოდა:

	მამრ.	მდედრ.
მოქალაქენი	314	248
სახაზინო გლეხები	19	14
საბატონო „	163	139
საეკლესიო „	134	113[1]

როგორც ამ ორი ცნობიდან ჩანს, გორის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ვაჭრები და ხელოსნები ყოფილან. მართალია, აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ვაჭრები და ხელოსნები ამა თუ იმ მფლობელს ეკუთვნოდნენ, მაგრამ, რომ XVII — XVIII საუკუნეებში ვაჭრებსა და ხელოსნებს ყავდათ თავიანთი მფლობელი, ამაზე არა ერთი საბუთი გაგვაჩნია და ეს ამბავი იმდენად ცხადად გვეჩვენება, რომ საბუთების დამოწმება ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ აქ მეორე მხარე იქცევს ჩვენს ყურადღებას, კერძოდ ის, რომ 1807 წლის ცნობებში სიტყვა „მოქალაქე“ არ არის ნახსენები, 1811 წლის ცნობებში კი სიტყვა „მოქალაქეში“ ვაჭრები და ხელოსნები იგულისხმება. როგორც ცნობილია, „მოქალაქეობა“ სოციალური შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინი მეცხრამეტე საუკუნემდე დამახასიათებელი იყო თბილისის მცხოვრებთათვის: მხოლოდ თბილისში მცხოვრებთ ეწოდებოდათ მოქალაქეები და ისიც, უმთავრესად მეფის კუთვნილ ვაჭარ-ხელოსნებს[2].

მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გორელი ვაჭრები გათანაბრებულ იყვნენ თბილისელ ვაჭრებთან[3], მაგრამ ისინი მაინც მოქალაქეებად არ იწოდებოდნენ.

---

[1] Акты, V, გვ. 199.

[2] დავით გურიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია.

[3] საქ ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქმე 5416, გვ. 9.

რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება? XVII — XVIII საუკუნეებში გორის ვაჭარ-ხელოსანთა უდიდესი უმრავლესობა სამეფო კარს ეკუთვნოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეფო ქონება სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა. ალბათ ამის შემდეგ გორელი ვაჭარ-ხელოსნებიც გააიგივეს თბილისელ მოქალაქეებთან და ზოგადი სახელი — „მოქალაქეები“ უწოდეს. ამ მოსაზრებას აქვს თავისი საფუძველი, მით უმეტეს, რომ გორის სახასო გლეხები ახლა უკვე სახელმწიფო გლეხებად იწოდებიან.

ერთი სიტყვით, შეიძლება დავუშვათ, რომ XIX საუკუნის დამდეგს მოსახლეობის სოციალური დანაწევრება მოხდა არა ამა თუ იმ ქალაქის ტრადიციის მიხედვით, არამედ საერთო საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღწერის დროს ვაჭრები ხშირად გლეხებთან არიან გაიგივებულნი.

გარდა ვაჭარ-ხელოსნებისა და გლეხებისა ქალაქში ცხოვრობდნენ თავადაზნაურებიც.

XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის გორში 3 468 მცხოვრები იყო, მათ შორის:

თავადაზნაურები	146	სული
სასულიერო პირები	106	„
გლეხობა:		
სახელმწიფო	2 360	„
საეკლესიო	411	„
საბატონო	194	„
თავისუფალი	241	„
სოლდათობიდან დარჩენილი	7[1]	

[1] ЛОЦИА, Кавк. комитет, № 245.

დასტურლამალში საკმაოდ დაწვრილებითი ცნობებია შემონახული გორელთა ვალდებულების შესახებ. აქ ნათქვამია, რომ გორელები იხდიან სულზე გადასახადს ქორწინების დროს 60 კაპიკს, ხოლო შემდეგ, ყოველწლიურად 1 მანეთსა და 20 კაპიკს, ამ შემოსავლიდან მანეთი მიდიოდა სამეფო სალაროში; 10 კაპიკი მოურავს რჩებოდა, 5 კაპიკი მეფის მდივანს, ხოლო 5 კაპიკი მამასახლისს. ბაზარზე გაყიდული საქონლის ღირებულებაზეც ბაჟი იღებოდა: ცხენზე — 20 კაპ., ძროხაზე — 10 კაპ., ცხვარზე — 5 კაპ.

მეფისათვის დღესასწაულზე საჩუქრების შესაძენად გორელებს ევალებოდათ 120 მანეთი შეეგროვებინათ და სხვ.

გარდა სახელმწიფო გადასახადებისა, გორელები იხდიდნენ საეკლესიო, სამოხელეო, საბატონო და უცხოელ დამპყრობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს.

„გორში მოსახლე კაცზედ კომლზედ ექვსი შაური სამოურაო დებულება“ იყო. ამის გარდა, „გორში მოსახლეთ კომლზედ წელიწადში ორი ძღვენი დებულება აძესთ, თითო ძღვენი ხუთ მინალთუნად ეღირებოდა“. „ახალ წელიწადს კომლზედ თითო შაქარი აძევსთ“, ნათქვამია ოთარ ამილახვრის სამოურაოს სარგოს წიგნში, რომ მომიტანდნენ, და ზოგნი ბატკანს მომგვრიდნენ... გორში რამდენიც მესამთლის დუქანი არის, დუქანზედ ნახევარი ლიტრა ქონის სამთელი ჩემი იყო“; როდესაც გორელი ვაჭარი სხვა ქვეყნიდან ბრუნდებოდა მოურავი უნდა მოეკითხა და ძღვენი მიერთო. გადასახადს იხდიდნენ მამულის სყიდვისა თუ გაყიდვის დროს, ქალის შერთვისა თუ გათხოვების დროს და სხვ.[1]

როგორც წესი, ქალაქზე სახელმწიფო გადასახადი ბითუმად მიდიოდა, და მოურავი მცხოვრებლებზე ანაწილებდა მოქალაქეთა შეძლებისა და ქონების გათვალისწინებით. საქალაქო გადასახადისაგან ეკლესიის ყმები თავისუფლები იყვნენ, ისინი ეკლესიას ემსახურებოდნენ[2], მაგრამ როცა რაიმე საგან-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორიიდან, გვ. 31—32.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 230, № 26, გვ. 195.

გებო ღონისძიება ტარდებოდა, მაშინ ეკლესიის ყმებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ერთგვარი შეღავათებით.

გორელ ყმათა ვალდებულების შესახებ საინტერესო ცნობა არის შემონახული ერთ განაჩენში, რომელიც 1757 წლის 17 მაისით თარიღდება.

„ქ. გორელი ჩვენი სახასო ყმანი და კათალიკოზის ყმანი თავეთის სათხოვარსა და გამოსაღებზედ ერთმანეთს ელაპარაკებოდენ. ამათი გამოსაღების საქმე ასე გვიბძანებია: თუ საბატონო სათხოვარი რამ ეთხოვებოდესთ და საბატონოთ გამოერთმეოდესთ, ჩვენმა სახასომ კაცმა, რომ მთელი ლიტრა გამოიღოს, ამისმა ყადრმა კაცმა კათალიკოზის ყმამან ნახევარი ლიტრა გამოიღოს. ამ საბატონოს სათხოვარში ასრე მოუდგებოდენ თავთავისის შეძლებით, ამიტომ რომ ნახევარი ამათი სამსახური რაც იქნება ბატონს კათალიკოზს უნდა მსახურონ და ამას გარდა თუ ერთი ასეთი რამ საქვეყნოთ მოსახმარებლათ შეეწერებოდესთ და ეთხოვებოდესთ, რომ ქვეყანას მოეხმარებოდეს, ან სხვა ქვეყნის ჯარი რომ მოვიშველოთ და ქვეყანას მოეხმარებოდეს, ეს ჯარი ამგვარი ამისი ხარჯი სახასომ თუ კათალიკოზის კაცმა თავთავისის შეძლებით ყველამ სწორეთ უნდა გამოიღონ და მთელს ხარჯში მოუდგნენ შეძლებული შეძლებით და შეუძლებელიც თავისას შეძლებით, ასე სწორეთ გამოიღონ, რაც რამ ფერი ამ რიგი ხარჯი შევარდებოდესთ და ეთხოვობოდესთ. თუ უცხოს ქვეყნის სტუმარი მოუვიდოდესთ, ან მოსაქმე, იმათი ხარჯიც ამავ რიგათ უნდა გამოიღონ. ესეც ასე გვიბძანებია, თუ ჩვენს ყმა, სახასოს კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს, რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს, მას აქეთ ოსმალობას თუ ყიზილბაშობას, დღეს აქამდის იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი კათალიკოზს უნდა მისცენ და თუ სახასოს კაცსაგან კათალიკოზის კაცს და ყმას უყიდნია მიწა, თუ ვენახი, იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი საჩვენოთ უნდა გამოერთვას და მისცემოდნენ“[1].

---

[1] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 227, საქმე 904.

ჩვენ არაერთი საარქივო დოკუმენტი მოგვეპოვება, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბეგარა-გადასახადების აკრეფა ხშირად აშკარა მძარცველურ-მეკობრულ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობას ართმევდნენ იმაზე მეტს, რაც მათს ფაქტიურ შესაძლებლობას აღემატებოდა. იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის მოხელე, თავადი ან აზნაური გორელ ხელოსანს თუ ვაჭარს იმაზე მეტს სთხოვდა, ვინემ მას ემართა. ასეთ შემთხვევაში ქალაქელები წინააღმდეგობას უწევდნენ, რითაც კი შეეძლოთ. ეს ბრძოლა ხშირად შეიარაღებული შეტაკებით მთავრდებოდა. მართალია, ასეთი შეიარაღებული წინააღმდეგობა ფართო ხასიათს არ ატარებდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია რამდენადაც იგი თავისი ფორმითა და შინაარსით ხოციალური ხასიათისა იყო.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ბაქარ მეფის წერილი, სადაც ნათქვამია: „...ჩვენი ბრძანება არის თავლიდარო ფირან, მერმე გორს ეშიკაღასბაშის გივის აზნაურიშვილები ყოფილან საქმეზე და გორელთ დაულახავთ, დაუჭრიათ, იარაღი აუყრიათ. მიდი მოკითხული ჰქენი. თუ უბრალოდ დაელახოსთ, ვისიც ამათი იარაღი ჰქონდეს გამოართვი, მოეცი და ექვს-ექვსი თუმანი იმათ ჯარიმა წაართვი და თუ მართლის ჰყოს (sic) ეს ამათ ექნასთ. ის გორელი კაცები აქ მოიყვანე, ჩვენ გავიკითხავთ და სამართალს აქ ვუზამთო“[1].

ამ წერილიდან განსაკუთრებით ორი ადგილია საინტერესო: 1. აქ რომელიმე კონკრეტულ პირზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ჯგუფზე, გორელებზე და 2. გამოდის, რომ საგანგებოდ გაგზავნილ მოხელე აზნაურებს წინააღმდეგობას უწევს არა რომელიმე ცალკეული პირი, არამედ ჯგუფი, კოლექტივი.

ამ მიზნისათვის საინტერესოა მეორე საბუთიც.

„...მერე ამას წინათ, 1794 წლის 27 იანვარს წერდნენ გორელები სულთანიშვილებს, ბატონთან არზი დავწერეთ ჩვენი მოხელეების ჯათზე. ბატონი, რომ დიდ საქმეებში

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 2335.

ბრძანდებოდა ამაზე შევკრთით და თავი ვეღარ ვაწყენიეთ. ახლა გამოგვიგზავნია, თუ, რომ ღ/მერ/თი გვწყალობდეს და კაის გუნებაზე ბრძანდებოდეს, არზა მიგვირთვი. მაგ კარზე შენს მეტი გორელი კაცი არავინ არის და ვალი გაქვს, რომ ამ ქვეყნისთვინ შენც იღვაწო. ჩვენი შეწუხება იცი ზოგიერთი... მანამდი ხითარანი მოხელეობას იშოვნიდენ ერთმანეთს ხოცდენ; მოხელეობა, რომ იშოვნეს ამხანაკათ შეიყარნენ და ნახევარ ხარკს აღარ აძლევინებენ, თორემ შეიტყობენ ერთხელაც არის. შენ ხომ კარგად იცი ხითარაშვილმა, რომ ოქმი მოიტანა მოხელეობისა მაშინვე თავებს ვიხოცდით, მაგრამ ასეთის აზრით შემოგვეტყუა მოხელეთ, რომ ის ოქმიც უცხადებდა, რომ არ მოგვეცადნა არ იქნებოდა, ხომ მოუცადეთ, რაც ქნა აღარა დავდიეთრა და რაც შემატა და მოუარა ამ ქვეყანას გლეჯის მეტი"[1].

როგორც ვხედავთ, როცა ხითარაშვილები მოხელეობას ითხოვდნენ, ისინი ხალხთან იყვნენ და ხალხისაგან თხოულობდნენ შუამდგომლობას, მაგრამ როცა მოხელეობას მიაღწიეს, ხალხს გაეთიშნენ და მათი შევიწროება იწყეს. გორში როგორც სამეფო ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობა მეფის ყმები იყვნენ, მაგრამ იყვნენ კათოლიკოზისა და თავად-აზნაურთა ყმებიც.

ქალაქის შემოსავლის ძირითადი ფონდი სამეფო ხაზინაში შედიოდა. გადასახადების აკრეფაზე კონტროლს მეფე აწესრიგებდა, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევა, რომ ესა თუ ის ბატონიშვილი მეფის დაუკითხავად გორში თავის იასაულებს გზავნიდა და მოსახლეობისაგან გადასახადებს ითხოვდა. ეს ამბავი მეფის თვალში უკანონოდ ჩანდა და კონტრგანკარგულებას იძლეოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ერეკლეს წერილი გორელებისადმი, რომელიც 1795 წლით თარიღდება. ამ წერილში ვკითხულობთ: „...მერე ომანისშვილი გოგია და ალექსისშვილი იაკობ, რომ იასაულად ბატონს ჩემს შვილს ფარნავაზს გამოეგზავნა, ერთი ექვს თუმანსა გთხოვსთ და მეორე

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ 226, საბ. 3774.

სამს თუმანსა გთხოვსთ, ეგენი ორნივ დაიჭირეთ, ან რაც კაცი ახლდეს, თავიანთი თუ ვისიც უნდა იყოს, ყველანი უნდა დაიჭიროთ და ცხენი, თუ იარაღი თქვენთვის სულ სახალხოდ მამიცია და მაგათ ყველას თავი გაუტეხეთ, ოთხას-ოთხასი ჯოხი დაჰკარით. ამის იქითაც თუ ჩემმა შვილებმა და ან შვილიშვილებმა შემოგაწერონ რამე, ერთის შაურიდამ ას თუმნამდინა, ნურაფერს ნუ მისცემთ, თუ ძალა მოინდომონ, კაცები კარგად დაუტყიპეთ, ისე გაუყარეთ; თუ თქვენზე იარაღი მოიდომონ და იხმარონ იმათმა კაცებმა, თქვენ ერთისათვის ორი და სამი იარაღი იხმარეთ იმათზედა. გორელებო, დიდნო და მცირენო, სახასონო, ეკლესიისა და ან სხვისა ვისიმე ყმანო და ხიზანნო და დედაკაცებო! თქვენც ასე ჰქმენით"[1].

ბატონიშვილების ურთიერთ ბრძოლა ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა, ურთიერთის სოფელ-ქალაქებს ესხმოდნენ თავს, ქვეყანას ავერანებდნენ. ამ მხრივ ყურადსაღებია 1797 წლის 22 დეკემბერს იულონ ბატონიშვილის მიერ დარეჯან დედოფლის სახელზე გაგზავნილი წერილი:

„...ჩვენ აქ, გორს რომ მოვედით, ჩვენს ძმას ფარნაოზს წიგნი მივსწერეთ და დავიბარეთ. მოვიდა აქ, გორს და ერთად შევიყარენით. წინამძღვარი გამალიელი მდივანი სულხან და ჩვენი მღვდელი იოანე მოციქულად მიუგზავნეთ, ჩვენის ოჯახისა და ქვეყნის სამჯობინარი სიტყვა სიტკბოიანის და მყუდროს სახით შეუთვალეთ და ურჩივეთ სურამის ციხეზე კელის აღება. იმას თავის თავის სამარლთებელი სიტყვები ელაპარაკნა და დასასრულს ასე ეთქვა: „უსიკვდილოდ სურამის ციხეზე ჩემგან კელის აღება არ იქნებაო". კორინთელი ნინია ციხის თავად დააყენეს, თავისი ცოლშვილიც იქ მიჰგვარეს, ორი თავისი კაცი ჰყავს ამ ნინიას და სამი სხვა იმერელი და სამიც მანაველი კაცი და ერთი სურამელი კაკალაშვილი ბერი, რომელიც რომ უწინავე სურამის ციხეში იყო ციხის

[1] საქ. მუზეუმი. Sd. 494.

თავად დაყენებული მისის უმაღლესობის მეფისაგან. ეს ათნი ახლა სურამის ციხეში დგანან ციხის მცველად და ასე დაიფიცეს, რომ ვინც უნდა მივიდეს ციხე არავის უნდა მისცენ, და ესეც ფიცში ჩაიტანეს, რომ მარტო ფარნაოზ რომ მივიდეს, თუ ელიზბარ თან არ მიჰყვეს, ისიც არ შეუშვან. ციხეში შემსვლელ-გამომსვლელი ეს ქვემოთ აღწერილნი ოთხნი კაცნი არიან; ბებილაშვილი მღვდელი გიორგი, ტერ მიქელა, მამასახლისი გაბრიელა და ბერელაშვილი გაბრიელა. ამ ოთხს კაცს გარდა სურამელი კაცი ვერავინ შევა ციხეში და ვერცავინ გამოვა. ციხეში მრავალი პური და ღვინო, შეშა, ტყვიაწამალი და სხვა რაც შეიძლეს სახმარი ნივთი შეიტანეს და გააწყვეს. რკინაც მიიტანეს ციხის კარის მოსაჭედად... ასე დაექადნათ მირვანიოს და ბებურიშვილს: ეს რა არისო, ბევრს თავშეხვეულს თათარს ნახავთ თქვენ აქაო. ამისი მთქმელნი სხვას რას დაერიდებიან? ფარნავაზმა და მისმა მომხრეებმა გორიც აიკლეს“[1].

როგორც დავინახეთ, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური საქართველოსათვის, მთლიანად და სავსებით ვრცელდებოდა ქალაქზედაც. ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენები ქვეყნის საერთო ცხოვრებაში განსხვავებულ ადგილს იკავებდნენ და ამა თუ იმ საქვეყნო მოვლენას საკუთარი კლასობრივი ინტერესებით ზომავდნენ.

კლასთა ბრძოლის გამოძახილი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა კაპიტალისტურ გორში. წვრილი ბურჟუაზია, ხელოსნები, მუშები ხშირად გამოდიან „მსხვილი“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმ ვაჭარ-ფინანსისტების წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენების საზარალოდ გამოიყენეს. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება გორელთა გამოსვლები რუსეთის

---

[1] საქ. მუზეუმი, Sd, 317.

პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს. აქ ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ: ამიროვმა გორელთა საერთო მიწები მიიმძლავრა და მცხოვრებნი შეავიწროვა. გორელები სასამართლოში მიდიოდნენ, მაგრამ დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ. ხალხმა (ხელოსნებმა, გლეხებმა, მუშებმა) ძალა მოიხმარა და ამიროვის მამულში შეიჭრა, გაკაფა „ხილ-ვენახები და გააფუჭა თივა“.

კიდევ ერთი მაგალითი; 1905 წლის 10 აპრილს გორელი ხელოსნები და ნოქრები გაიფიცნენ და თავიანთ პატრონებს პრეტენზიები წაუყენეს, პირობების გაუმჯობესება მოსთხოვეს.

თავი V

ქალაქის კულტურული სახე

გორის სასწავლებლები

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე გორში სახელმწიფო სკოლა არ არსებობდა. მართალია 1799 წელს ივანე ბატონიშვილმა შეადგინა პროექტი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ, ამ პროექტში გორის ინტერესებიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ პროექტი პროექტად დარჩა და გორში სასწავლებელი არ გახსნილა.

არც ცარიზმის პროგრამაში შედიოდა ქართული სკოლების გახსნისა და ქართული კულტურის აღორძინების საქმე. პირიქით ცარიზმის მიერ საქართველოში გახსნილ სკოლებს სხვა მიზნები არ ჰქონდა, თუ არა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის სამსახური.

„ცარიზმი — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ

აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას"[1].

ი. ბ. სტალინის დახასიათებით, „ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეხშოთ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრივობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია"[2].

XIX საუკუნეში, ქალაქ გორში არსდება სასწავლებლები: 1817 წელს გორის სასულიერო სასწავლებელი, 1830 წელს გორის სამაზრო სასწავლებელი, 1876 წელს სამასწავლებლო ანუ საოსტატო სემინარია, შემდეგში ქალთა პროგიმნაზია, ვაჟთა პროგიმნაზია და სხვ. ეს სკოლები მეფის ინტერესებს ემსახურებოდა.

1. გორის სასულიერო სასწავლებელი

გორის სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა 1817 წელს, მოწაფეების მიღება დაიწყო ოქტომბერში. სკოლის გახსნა საზეიმოდ აღინიშნა 1818 წლის 16 მაისს. საზეიმო სხდომაზე ესწრებოდნენ სამღვდელოებისა და თავადაზნაურთა წარმომადგენლები. პარაკლისის გადახდის შემდეგ, სასწავლებლის ზედამხედველმა ნეშუმოვმა სიტყვა წარმოთქვა და აღნიშნა ახლად გახსნილი სასწავლებლის მნიშვნელობა.

1819 წელს სასწავლებელში გაიხსნა მეორე კლასიც.

მიტროპოლიტ თეოფილაქტეს განკარგულებით, გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახად რუისის არქიმანდრიტს

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 388.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 26.

ნიკიფორეს უნდა ეძლია ყოველწლივ 420 მანეთი შემდეგი დანიშნულებისათვის: მეორე კლასის მასწავლებელი, იგივე ზედამხედველი, მიიღებდა 225 მანეთს, პირველი კლასის მასწავლებელი — 120 მანეთს, ხოლო 75 მანეთი დაიხარჯებოდა საკანცელარიო ნივთებისა და სახლის ქირაში[1].

ახლად დაარსებულ სასწავლებელს თბილისის სასულიერო სემინარია ამარაგებდა პროგრამებითა და სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციებით.

პირველ ხანებში, სასწავლებელში გარდა მართლმადიდებლებისა მიიღეს ფრანგები (კათოლიკები) და გრიგორიანები.

მოსწავლეთა პირველი ნაკადი 48 მოსწავლით განისაზღვრებოდა. აქედან 27 სასულიერო პირთა შვილი იყო. მოსწავლეები სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ — ექვსიდან ჩვიდმეტ წლამდე.

მოსწავლეები ხშირად იპარებოდნენ სასწავლებლიდან და სახლებში გარბოდნენ. გ. საძაგელოვ-ივერიელი ამის შესახებ შემდეგ ცნობას გვაძლევს: მოსწავლეთა „ნახევარზე მეტს თვალი სახლებისაკენ ეჭირა. 1818 — 1825 წლებში ხშირი იყო მაგალითი მოწაფეთა შინ გაქცევისა... ამის მიზეზს ჩვენ პირველად იმაში ვხედავთ, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივს ნიადაგზედ, არამედ უცხოეთიდან იყო გადმოტანილი, გადმონერგილი; მეორეს მხრით, თვით სასწავლებლის გამგეთა ვერ შეითვისეს მოწაფენი, ვერ დაამკვიდრეს კავშირი თავისსა და მოწაფეთა შორის"[2].

გორის სასულიერო სასწავლებელს 1836 წლიდან სამისიონერო სკოლის ხასიათი მისცეს. ამასთან დაკავშირებით მოხდა ცვლილებები სასწავლო გეგმებში. მანამდე ძირითადად რუსული და ქართული ენების სწავლება იყო, ახლა ოსურისა და თათრული ენების სწავლებაც დააწესეს. მოხდა

---

[1] „ივერია", 1693 წ. № 102.

[2] იქვე.

სხვა ხასიათის ცვლილებანიც. ჯერ კიდევ 1826 წელს ბერძნული ენის სწავლების მაგიერ ლათინური ენა შემოიღეს.

1838 წლისათვის გორის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვმა 65 მიაღწია. გაიზარდა მასწავლებელთა რიცხვიც. ამ ხანისათვის სასწავლებლის შტატი შვიდ ერთეულამდე გადიდდა[1].

1853 წლისათვის მოსწავლეთა რიცხვი კვლავ შემცირებულა 55-მდე[2].

1867 წელს მთელს რუსეთის იმპერიაში შეიცვალა სასულიერო სასწავლებლების სტრუქტურა. მსგავსი ცვლილებები მოხდა გორის სასულიერო სასწავლებელშიც. 1867 წლის დებულების საფუძველზე გორის სასულიერო სასწავლებელში დაარსდა სასწავლებლის გამგეობა. გამგეობაში შედიოდნენ ზედამხედველი, ინსპექტორი, სამღვდელოების ორი, და მასწავლებელთა ერთი წარმომადგენელი.

1872 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში გაიხსნა ორი მოსამზადებელი კლასი.

სასწავლებელს ჰქონდა თავისი წიგნსაცავი, მაგრამ იგი დაიწვა. 1889 წელს სასწავლებლისათვის ააგეს ორსართულიანი ახალი შენობა.

1888 — 1894 წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა ი. ბ. სტალინი. იმ დროს გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობაში შედიოდნენ: საღვთო რჯულის მასწავლებელი — დავით ივანეს ძე დათოშვილი (თავმჯდომარე), გიორგი საძაგლიშვილი — წმინდათა ისტორიის მასწავლებელი, სოფრომ მგალობლიშვილი — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პავლე გიორგის ძე ბურჯანაძე — მათემატიკის მასწავლებელი, ალექსანდრე დანიელის ძე იტალინსკი — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და სხვ.

დასახელებულ მასწავლებელთაგან იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებიც, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 152, საქ. 5679, გვ. 42—52.

[2] Канк. Календарь, 1853 г. стр. 280.

კამოცდილებას არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ მოწაფეებში ჩაენერგათ რწმენა უკეთესი მომავლისა. ისინი ხელს უწყობდნენ მოწაფეთა თვითშეგნების გაღვიძებას, აყვარებდნენ მშობლიურ მხარეს, ქართულ ენასა და ლიტერატურას.

„მასწავლებლები შევუდექით სკოლაში ახალი სიოს შეტანას, — მოგვითხრობს სოფრომ მგალობლიშვილი, — უფროსს კლასებში, სადაც უკვე 14 — 15 წლის ყმაწვილები ისხდნენ, შეგვქონდა რევოლუციონური შინაარსის ნაწერები, მოთხრობები, ლექსები. ვაცნობდით ქართული მწერლობის და ენის დევნა-შევიწროებას მონარქიული რეჟიმისაგან, ვუკითხავდით შესანიშნავ ისტორიულ ამბებს, რომელსაც მე თვით საგანგებოდ ვამზადებდი, ბავშვებს შეუყვარდათ ქართული ისტორია, სამშობლო, დედა ენა, ქართული მწერლობა“[1].

პეტრე კაპანაძე, რომელიც ამხანაგ სტალინთან ერთად სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, მოგვითხრობს: „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი, ჩვენში კარგად ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე, სასწავლებელში გაკვეთილების დროს მრავალ საუკეთესო გარეშე წიგნს გვაკითხებდა; მან შეგვაყვარა მშობლიური მწერლობა. დღესაც პატივისცემითა და სიამოვნებით ვიგონებთ სოფრომს მისი ყოფილი მოწაფეები“[2].

გორის სასულიერო სასწავლებელს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ სასწავლებლების ისტორიაში. თუმცა ის მოწოდებული იყო აღეზარდა სასულიერო პირები, მაგრამ ამ სასწავლებელმა ამათ ნაცვლად არაერთი დიდი ქართველი პატრიოტი მისცა ჩვენს ქვეყანას. გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, ნიკო ხიზანიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ლადო კეცხოველი და სხვ.

საკმარისია ითქვას, რომ გორის სასულიერო სასწავლე-

---

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 84—85.

[2] პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა, გვ. 22.

ბელში სწავლობდა დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი. აქ, ამ სასწავლებელ-ში ყოფნისას პატარა სოსომ პირველად ჩაიხედა ქვეყნის ორომტრიალში და საქვეყნოდ განაცხადა — მე მშრომელი ადამიანის განთავისუფლებისათვის ვიბრძოლებო. უნდა აღი-ნიშნოს, რომ როდესაც 1905 წლის რევოლუციის სიომ და-ბერა და გორში ბარიკადები აღიმართა, გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები რევოლუციონერთა პირველ რი-გებში ჩადგნენ და თავისი ნორჩი ხმა და ახალგაზრდული ენერგია ხალხის ხსნის საქმეს მიუძღვნეს.

გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებმა ადმინისტრაციას წარუდგინეს თავი-ანთი მოთხოვნები, სადაც ნათქვამი იყო: 1. ინსპექტორი, მღვდელი პიროსი უხეშად მოპყრობისათვის გაგდებულ იქნეს სასწავლებლიდან; 2. აიკრძალოს მოსწავლეთა დევნა მშობ-ლიურ ენაზე ლაპარაკისათვის; 3. ხუთი საათის შემდეგაც მოსწავლეებს უფლება მიეცეს თავისუფლად ისეირნონ; 4. გადიდდეს ქართული ენის გაკვეთილები ბერძნული ენის ხარჯზე; 5. ნება დაერთოთ მოწაფეებს ისარგებლონ იმ წიგ-ნებით, რომელიც ადმინისტრაციის მიერ ნებადართული არ არის და სხვ.

1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით, გორის მაზრის მოსახლეობამ მოითხოვა გორის სასულიერო სასწავლებლის გაუქმება, ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა სასულიერო მსა-ხურთა დაბალმა ფენამაც, მაგრამ ზემდგომი ინსტანციები არ დაეთანხმნენ და სასწავლებელმა განაგრძო არსებობა, სანამ დიდმა ოქტომბერმა არ წალეკა ის კლასი, რომელსაც ასეთი სასულიერო სასწავლებლები სჭირდებოდა.

2. გორის საქალაქო სასწავლებელი

გორის საქალაქო სასწავლებელი ჩამოყალიბდა გორის სამაზრო სასწავლებლის ბაზაზე 1872 წლის 31 მაისის დებუ-ლების შესაბამისად.

გორის სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა 1830 წლის 14 სექტემბერს. ეს სასწავლებელი 1835 წლამდე ორკლასიანი

იყო. ხოლო 1835 წლის დებულების საფუძველზე, როგორც მსგავსი სხვა სამაზრო სასწავლებლები, გორის სამაზრო სასწავლებელიც სამ კლასიანი გახდა, ერთწლიანი მოსამზადებელი კლასით[1].

გორის სამაზრო სასწავლებელი სახელმწიფოს ხარჯზე იყო, მას ხაზინა წლიურად 3 340 მანეთს აძლევდა[2].

სამაზრო სასწავლებლებში ძირითადად თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. ასე მაგალითად: 1834 წელს სასწავლებელში 71 მოსწავლე ითვლებოდა. აქედან 66 თავადაზნაურთა შვილი იყო, ხოლო 5 ბავშვი ვაჭრისა[3].

სამაზრო სკოლებში ასწავლიდნენ: საღვთოსჯულს, რუსულ ენას, ქართულ ენას, არითმეტიკიდან ოთხმოქმედებას, გეოგრაფიას, მსოფლიო ისტორიის შემოკლებულ კურსს, ხატვას, ხაზვას.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებისათვის, როდესაც სამაზრო სასწავლებელი გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად, უკვე სამი კლასი არსებობდა; პირველი კლასი სამი სექტორით, ხოლო მეორე და მესამე ორ-ორი სექტორით.

სწავლა ორ წყებად მიმდინარეობდა; მოსწავლეები სკოლაში იმყოფებოდნენ დილის 8—11 საათამდე, სადილის შემდეგ კვლავ აგრძელებდნენ სწავლას. მოსამზადებელ კლასებში ასწავლიდნენ ლანკასტელის მეთოდით.

საქართველოში არსებული სამაზრო სასწავლებლები გათანაბრებული იყო რუსეთის სამაზრო სასწავლებლებთან[4]. ეს სასწავლებელი იძლეოდა პირველდაწყებით განათლებას; სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება ეძლეოდა შესულიყო რეალურ სასწავლებელსა და გიმნაზიაში.

სწავლის ფული წლიურად 12 მანეთი იყო.

გორის საქალაქო სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1830—1901 წლებში საქალაქო სასწავლებელი დაამთავრა 6 468 მოსწავლემ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 231, საქმე 93.
[2] იქვე, ფონდი 107, საქმე 53.
[3] Акты, VIII, стр. 97.
[4] იქვე.

გორის საქალაქო სასწავლებლის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ. ამასთან ერთად, მოსწავლეების დიდი ნაწილი ხელოსნებისა და მახლობელი სოფლების გლეხების შვილები იყვნენ. შესანიშნავი წარსული აქვს გორის საქალაქო სასწავლებელსაც. 1905 წლის რევოლუციის დროს გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები არ ჩამორჩნენ საერთო ვითარებას და უსამართლობის წინააღმდეგ მათაც ხმა აღიმაღლეს.

1905 წლის ოქტომბერში გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა მოთხოვნა წარუდგინეს სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც შემდეგ პუნქტებში გამოიხატებოდა: 1. ხატვის გაკვეთილების შემცირება, 2. მშობლიური ენის სწავლების გათანაბრება სხვა სავალდებულო საგნებთან, 3. სიმღერის, მუსიკისა და ფიზკულტურის სწავლება მოსწავლეთა სურვილის მიხედვით, 4. საღვთოსჯულის გაკვეთილების შემცირება, 5. პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა თავისუფლება, 6. მოსწავლეთა კრებების, წრეებისა და მეცადინეობის თავისუფლება, 7. მოსწავლეთა კერძო ცხოვრებაში მასწავლებელთა ჩაურევლობა, 8. მოსწავლის ან მასწავლებლის დათხოვნის შემთხვევაში მოსწავლეთა თანხმობა, 9. ღარიბ მოწაფეთა უფასო სწავლება, 10. თავაზიანი მოპყრობა მოსწავლეების მიმართ, 11. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის აკრძალვა.

ამ მოთხოვნათა შინაარსი იმის მაუწყებელია, რომ გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები მოვლენების საქმის კურსში იყვნენ და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მნიშვნელობას სათანადოდ აფასებდნენ.

3. გორის ქალთა გიმნაზია

1857 წელს მთავრობამ განიზრახა ზოგიერთ ქალაქებში ქალთა სკოლების გახსნა. ამ მოწოდებას გორის საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა. გორელები აცხადებდნენ, რომ თუკი გორში გაიხსნებოდა საქალებო სასწავლებელი, მაშინ ისინი მზად იყვნენ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ სასწავლებ-

ლისათვის. ამავე დროს სურვილს გამოსთქვამდნენ, რომ გორის საქალებო სასწავლებელი ყოფილიყო თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის მსგავსი. ამავე დროს გამოითქვა აზრი, რომ სასწავლებელთან გახსნილიყო პანსიონიც, რადგან უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა სკოლაში სიარული, იმ თავისებური პირობების გამო, რომელიც გორს ახლდა.

გათვალისწინებულ იქნა სასწავლებლის ფინანსიური მხარეც. სასწავლებელი იარსებებდა ძირითადად თვით მოსწავლეთა ხარჯზე, იმ ანგარიშით, რომ თითოეული მოსწავლე გადაიხდიდა წლიურად ხუთ მანეთს, ხოლო საპანსიონო ხარჯებს 60 მანეთამდე ითვალისწინებდნენ. ასე, რომ სასწავლებლის წლიური შემოსავალი ნავარაუდევი იყო დაახლოებით 5 000 მანეთი. პირველ ხანებში ამ თანხას საკმარისად თვლიდნენ იმისათვის, რომ სასწავლებელს ეარსებნა[1].

მიუხედავად იმისა, რომ გორელები ამ მოწოდებას ხალისით შეხვდნენ და დახმარებაც აღუთქვეს და, რაც მთავარია, მთავრობამ თითქოს სათანადო დადგენილებაც მიიღო, გორის საქალებო სასწავლებელი მაინც არ გაიხსნა მაშინ. იგი დაგვირგვინდა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებისათვის. პროგიმნაზია ოფიციალურად 1881 წელს გაიხსნა. პროგიმნაზიის გახსნის წინ 1877—78 წლებში გორში დააარსეს ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც საფუძველი გახდა ქალთა პროგიმნაზიისა.

გორის ქალთა პროგიმნაზიის შესახებ 1881 წელს გაზეთი „კავკაზი“ (№ 198, 204) წერდა: განსაკუთრებული კმაყოფილებითა და სიხარულით შევხვდით 30 აგვისტოს. აჰ დღეს დაგვირგვინდა მრავალი ჩვენი მოღვაწის შრომა და ვაჟთა სასწავლებლის გვერდით გაიხსნა ქალთა პროგიმნაზია. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაცნოთ მკითხველს მისი წარმოშობის ისტორია.

საქართველოში ქალთა განათლების ბედი თითქმის მივიწყებული იყო. იგი არ სცილდებოდა პატრიარქალურ-ოჯახურ აღზრდას. ქალთა საზოგადოებრივ აღზრდის ცდები ან კრახით მთავრდებოდა მისი წამოწყებისთანავე, ან ეს წამო-

[1] ხაქ. ცენტრ. არქივი, ფ. 107, საქმე 82.

წყება ჩაიფერფლებოდა უკვალოდ. 1878 წელს ქალთა საზოგადოების მცირე თანხებით დაარსებული იქნა ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი თავად ერისთავის სახლში, მაგრამ შენობა დაიწვა და სკოლამ შეწყვიტა არსებობა. ამის შემდეგ, სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის დ. სემიონოვის ნაცნობთა ვიწრო წრეში დაიბადა აზრი ქალთა პროგიმნაზიის გახსნის შესახებ. ეს ამბავი მალე მთელ ქალაქს მოედო. დაიწყეს ფუსფუსი. ქალაქის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას სასწავლებლის მოწყობაში. ქალაქის სათათბირომ სასწავლებელს ყოველწლიური სუფსიდიის სახით გამოუყო 1 000 მანეთი. კლუბი დაჰპირდა, რომ ყოველწლიურად გაიღებდა 300—500 მანეთამდე. კეთილშობილთა საზოგადოებამ 300 მანეთი გაიღო. სცენისმოყვარულთა დასის მიერ მოწყობილი წარმოდგენების შემოსავალი თანხა სასწავლებლის ფონდში ირიცხებოდა. შეაგროვეს კერძო პირთა შენაწირებიც. ასეთი თანხები შეადგენდა სასწავლებლის მატერიალურ ბაზას. 30 აგვისტოს, ნაშუადღევს, პროგიმნაზიის დაქირავებულ შენობაში, შეიკრიბნენ მოსწავლეები მშობლების თანხლებით. აქ მოსულიყვნენ დამსწრენიც ქალაქის სხვადასხვა სოციალური წრეებისა და ორგანიზაციებიდან, რაღაც გამოუთქმელი, სასიამოვნო შთაბეჭდილება ეტყობოდა კრების მონაწილეებს, წარმოითქვა მრავალი სიტყვა. სემიონოვმა ფართოდ გააცნო დამსწრეთ პროგიმნაზიის მნიშვნელობა.

პროგიმნაზიის უფროსად დაინიშნა მ. მაკაევა.

პროგიმნაზიის პირველ მოსწავლეთა შორის 51 მოსწავლე ქართველი იყო, 35 სომეხი, 6 რუსი, 2 ფრანგი, 1 ოსი, 1 გერმანელი.

მართლაც ქალთა პროგიმნაზიის გახსნა ქალაქ გორის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ ქართველი პატრიოტები ქალთა პროგიმნაზიის გახსნას ერთგვარი ეჭვით შეხვდნენ. მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ საქალებო სკოლების მუშაობის შედეგების შესახებ. ასეთ სკოლაში ქართველი ქალი არაქართული სულისკვეთებით იზრდებოდა.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, საქალებო სკოლების გახსნის წინააღმდეგი არ იყო, პირიქით, ისინი ასეთი სკოლების გახსნის დიდი მსურველები იყვნენ. ისინი მხოლოდ ისეთი საქალებო სკოლის გახსნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სადაც არ იზრდებოდა ქართველი დედა, სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი მანდილოსანი.

აი რას წერდა 1881 წელს გორის საქალებო სასწავლებლის შესახებ ილია ჭავჭავაძე: „გაიმართა გორში ქალების სასწავლებელი... ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრობის და უსწავლელობის წამალი სხვათაშორის სკოლაა...

სკოლა, სასწავლებელი ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლია და დიდის სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. ჩვენ არ ვიცით საქალებო სასწავლებელი გორისა რაზედ არის დაფუძნებული. თუ ნეტარხსენებულ თეორიაზეა დამყარებული, რომელიც ეგეთის გაბედვით ბატონმა ზახაროვმა ავარჯიშა ჩვენში ერთს დროს, ესე იგი, მასზედ, რომ ქართველს ქართული არ უნდაო და ყოველი ფერი ამ უმსგავსო აზრს შეუფერა, მაშინ გორის საქალებო სასწავლებელი, როგორც სხვა მისი მსგავსი სასწავლებელიც, სულ რომ არ ყოფილიყო, ის გვერჩივნა“[1].

ილია ჭავჭავაძე იმ აზრისა იყო, რომ „საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი და, ქართველი დედაკაცი“.

გორის ქალთა პროგიმნაზია 1910 წელს გორის ქალთა გიმნაზიად გადაკეთდა.

თუ რამდენი ქალი სწავლობდა ყოველწლიურად, ამის დადგენა ძნელდება, მაგრამ, ცხადია, რომ გორის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

---

[1] ჟურ. „ივერია“, 1881 წ. № 9, გვ. 123—124.

ჭრელი იყო მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა: ასე მაგ., 1912 წელს სასწავლებელში ითვლებოდა 368 მოსწავლე. აქედან თავადაზნაურთა შვილი იყო 192, ჩინოვნიკ-მოხელისა—32, სასულიერო წოდების—73, ვაჭრების—96, მოქალაქე-ხელოსანთა—24, უაზახების—3, გლეხების—48[1].

1909 წლისათვის, ჩანს, სწავლის ფული საკმაოდ გადიდებულა. მოსამზადებელ კლასში წლიურად იხდიდნენ 30 მანეთს, პირველ კლასში—40 მანეთს, ხოლო დანარჩენ კლასებში—50 მანეთს. ფრანგული ენის გაკვეთილებისათვის დაწესებული იყო ცალკე გადასახადი 10 მანეთის რაოდენობით.

ქალთა გიმნაზიის სასწავლო პროგრამა ძირითადად ვაჟთა გიმნაზიის სასწავლო პროგრამას შეესაბამებოდა, მაგრამ ზოგ რამეში მაინც განსხვავდებოდა. კერძოდ, მათემატიკურ საგნებს ვაჟთა გიმნაზიაში უფრო გაძლიერებული კურსით გადიოდნენ, ხოლო ქალთა გიმნაზიაში დამატებით ისწავლებოდა ხელსაქმე და ჭრა-კერვა.

გორის ქალთა გიმნაზიაში ხშირად იმართებოდა ხოლმე ლიტერატურული დილა.

1887 წლის 2 აპრილს გაზეთი „ივერია“ წერდა: „გორიდან გვწერენ: „მარტის 25-ს გორის ქალების პროგიმნაზიაში იყო „სალიტერატურო დილა“. წაიკითხეს ქართულად, სომხურად და რუსულად ლექსები, იყო აგრეთვე სიმღერები ამავე ენებზედ. ქართულად ექვსი ლექსი წაიკითხეს. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ნინო ბურჯანაძისამ, რომელმაც საუცხოოდ წაიკითხა გრ. ორბელიანის ლექსი „განთიადი“. საგანგებოდ იგალობეს ქართულად ბარათაშვილის „არაგვი“. ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებულს „სალიტერატურო დილაზე“ ქართველმა მოსწავლე ქალებმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, როგორც ქართულს ენაზე კითხვა-გალობითა, აგრეთვე რუსულზედაც“.

1919 წელს გორის ქალთა გიმნაზია გადაკეთდა ჰუმანი-

---

[1] Кавк. Календарь, на 1913 г. стр. 412.

ტარულ ტექნიკუმად, ხოლო 1922 წლიდან ქალთა გიმნაზია შეუერთდა ვაჟთა პროგიმნაზიას და დაერქვა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

4. გორის ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია

1875 წლის 8 აპრილის დებულების საფუძველზე, 1876 წლის 12 სექტემბერს ქალაქ გორში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია. (იგივე საოსტატო სემინარია)? სათანადო ცერემონიისა და ლოცვა-კურთხევის შემდეგ სემინარიის დირექტორი კათედრაზე ავიდა და სიტყვა წარმოსთქვა. მან თავის სიტყვაში ვრცლად ილაპარაკა ამ სემინარიის დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ.

სემინარიამ მუშაობა დაიწყო მოსამზადებელი და პირველი კლასის გახსნით. სემინარიაში სწავლის სურვილი გამოსთქვა 95 კაცმა, აქედან გამოცდა ჩააბარა 50 მსმენელმა, მათ შორის 27 მსმენელი ჩარიცხულ იქნა მოსამზადებელ კლასში, ხოლო 23 პირველ კლასში. სემინარიაში ჩარიცხულ მოსწავლეთა ნაციონალური შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი — 29, რუსი — 6, სომეხი — 6, . პოლონელი — 2, ინგილო — 2, უდი — 1, ჩერქეზი — 1, აფხაზი — 2, ბერძენი — 1. სემინარიასთან დაარსებულ იქნა დაწყებითი სკოლა, პირველად ქართული განყოფილებით, სადაც 45 ბავშვი მიიღეს, ხოლო შემდეგ სომხური, რუსული და თათრული განყოფილებებიც. ამასთან ერთად, სემინარიასთან მოეწყო სახელოსნოები: სადურგლო, საამკინძაო, საბარატო.

1879 წლის 23 სექტემბერს სემინარიასთან გაიხსნა თათრული განყოფილებაც.

საბოლოოდ სემინარია შედგებოდა სამი ნორმალური და ორი მოსამზადებელი კლასისაგან. მოსამზადებელი კლასები იყოფოდა ქვედა და ზედა კლასებად. ქვედა მოსამზადებელი

კლასი სპეციალურად გახსნილი იყო მაჰმადიან ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ სათანადო განათლება, რომ უფროს მოსამზადებელ კლასში შესულიყვნენ. თათართა განყოფილებისათვის არსებობდა პანსიონი.

1879 წლიდან 1900 წლამდე სემინარია დაამთავრა 373 მოსწავლემ[1].

სემინარიას ჰქონდა თავისი საკუთარი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა. 1881 წლის პირველი იანვრისათვის ბიბლიოთეკაში ითვლებოდა 377 თხზულება 659 ტომით. სემინარიას ჰქონდა აგრეთვე ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, ანატომიური და ზოოლოგიური მოდელები, მინერალოგიური კოლექციები, გეოდეზიური ინსტრუმენტები და სხვ.

სემინარიის წლიური ბიუჯეტი 1893 წლისათვის 53 973 მანეთით განისაზღვრებოდა[2].

გორის სამასწავლებლო სემინარიის სასწავლო გეგმით ისწავლებოდა როგორც ზოგადი განათლების საგნები, ისე პოზიტიური მეცნიერული დისციპლინები.

გორის სამასწავლებლო სემინარიის მსმენელთა ერთ მესამედზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. ამიტომ იყო, რომ ქართველი მოწინავე ადამიანები სემინარიაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ჯერ კიდევ 1877 წლის „დროებაში“ ილია ალბაზიშვილი გორის სამასწავლებლო სემინარიის შესახებ წერდა: „კეთილმოვლენათაგანს გორისათვის სხვათაშორის შეადგენს — სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც წელს გაუღიმა ჩვენს საქართველოს და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის იმედი, რომ იქიდან ოთხიოდე წლის შემდეგ უეჭველად გამოვლენ ახალი თაობის გამანათლებელი მასწავლებელნი“[3].

მართლაც, გორის სამასწავლებლო სემინარიამ არა ერთი ქართველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე მისცა ჩვენს ქვეყანას.

---

[1] Закавказская учительская семинария. 1901 г., стр. 12.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 34, საქმე 3575, გვ. 34.

[3] „დროება“, 1877 წ., № 4.

გორის საოსტატო სემინარია ცარიზმს სჭირდებოდა თავისი კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისათვის—აღეზარდა ერთგული მოხელეები, მაგრამ იგი მიზანს ვერ აღწევდა, რადგან აქ მყოფი ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ობიექტურად ხელს უწყობდნენ ხალხთა ურთიერთდაახლოება-გაგებაში.

გორის სამასწავლებლო სემინარია 1905 წლის რევოლუციის დროს ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოექცა და რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

5. გორის ვაჟთა პროგიმნაზია

1910 წელს გორში უკვე არსებობდა ვაჟთა პროგიმნაზია, სადაც 224 მოსწავლე სწავლობდა. 1911 წელს მოსწავლეთა რიცხვი 227-მდე ავიდა. პროგიმნაზია თანდათან გაიზარდა და 1915 წელს გადაიქცა გორის ვაჟთა გიმნაზიად, სადაც 303 მოსწავლე სწავლობდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1922 წელს გორის ვაჟთა გიმნაზია ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს შეუერთდა და ჩამოყალიბდა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

6. სომხური სასწავლებელი გორში

თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ყველა მოგზაური ერთხმად აღნიშნავს, რომ გორში მცხოვრებ სომხებს დიდი ხანია თავიანთი ენა დაუვიწყნიათ და მშობლიურ ენად ქართული გაუხდიათ, მაგრამ მეფის მთავრობამ სომხობაში ქართული ენის ლიკვიდაციის მიზნით 1858 წელს გორში გახსნა სომხური სასულიერო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში 47 მოსწავლე სწავლობდა[1].

[1] ალ. ჯავახიშვილი, გორი, გვ. 107.

გორში არსებობდა აგრეთვე ე. წ. სომეხ ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც XIX საუკუნის 80-იან წლებში მხოლოდ 29 მოსწავლე სწავლობდა[1].

7. პროფსკოლა

გორელ ქალთა ინიციატივით 1911 წელს ქალაქ გორში დაარსებულ იქნა პროფსკოლა. ამ სკოლის აქტიური დამაარსებელთაგანნი იყვნენ ოლღა ნარიაშვილი და მარიამ რევაზიშვილი.

პროფსკოლა სპეციალური დანიშნულებისა იყო. აქ მოსწავლეებს ჭრა-კერვასა და ხელსაქმეს ასწავლიდნენ. სწავლების ვადა ოთხი წელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლეოდათ მოწმობები. ამ მოწმობებით მათ შეეძლოთ მოწყობილიყვნენ როგორც სათანადო სახელოსნოებში ხელოსნებად, ისე სკოლებში ხელსაქმის მასწავლებლად.

პროფსკოლაში პირველად 40 ქალი სწავლობდა, შემდეგ მოსწავლეთა რიცხვიც გაიზარდა. 1919 წელს გორის პროფსკოლამ ფილიალები გახსნა ხაშურსა და წითელქალაქში.

გორის პროფსკოლა ხშირად აწყობდა მოწაფეთა ნახელავების გამოფენას; ერთ-ერთ ასეთმა გამოფენამ, რომელიც 1914 წელს მოეწყო დიდი ინტერესი გამოიწვია.

გორის პროფსკოლამ 1933 წლამდე იარსება.

* * *

გორის სასწავლებელთა ისტორიის ასეთი მოკლე აღწერილობიდანაც კი გასაგებია, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართული სკოლები საერთოდ და გორის სკოლები კერძოდ.

---

[1] ალ. ჯავახიშვილი, გორი, გვ 108.

ისე, როგორც სხვა ქართულ სკოლებში, გორის სასწავლებლებშიაც აკრძალული იყო ქართულად ლაპარაკი, ქართულად წერა, კითხვა. იქ, სადაც ქართული ენა ვერ განდევნეს, სხვა ხერხს მიმართეს. ქართული ენის გაკვეთილები უკიდურესად შეამცირეს და ამ საგნის სწავლება მიანდეს სრულიად უვიც ადამიანებს, ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ქართულ ენას აბარებენ იმისთანა სულიერებს, რომელთაც არც ცოდნა აქვთ, არც ხალისი საქმისა, მოკლებული არიან უნარსა და მთელს გაკვეთილებს ატარებენ მთქნარებასა და თვლემაში". მეტიც, „შეიყვანდნენ თუ არა ბავშვს სკოლაში, მაშინვე რუსულს ენაზე უწყებდნენ ჟღურტულს და ყველა საგანს ამ ენაზე აწამებდნენ კურსის დაწყებიდან დასრულებამდე, ქართულს ენას ან ადგილი არ ჰქონდა სრულიად, ან თითო ოროლა გაკვეთილით ანელებდნენ გამწვავებულს ხალხის სიბრაზეს... თვით რუსული ენა ისწავლებოდა მუნჯური მეთოდით, დედაენის დაუხმარებლივ. ერთი სიტყვით, ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა უკანასკნელს ჟამს რუსიფიკაციის და გადაგვარების ქარხანასა"[1].

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი გვასწავლის, რომ „ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა"[2].

უაღრესად ცუდი იყო მოსწავლეთა ეკონომიური პირობები. მოსწავლეებს სტიპენდიები არ ეძლეოდათ, ხოლო სწავლება ფასიანი იყო. ამიტომ მოსწავლეებში შიმშილი, სიღატაკე და ავადმყოფობა სუფევდა. 1893 წლის 4 ნოემბრის ნომერში გაზეთი „ივერია" წერდა: „მომეტებული ნაწილი აქაურის სკოლის შეგირდებისა სოფლებიდამ ჩამოსული ყმაწვილები არიან, რაღა თქმა უნდა, რომ შეძლებული დედ-მამა თავიანთ შვილებს გორის დაბალ სასწავლებლებში არ მიაბარებენ. აქ ოთხი სასწავლებელია და შეიძლება დაბეჯითებით

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 414—415.

[2] ვ ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 342.

ითქვას, რომ მათში მოსწავლე შეგირდების უმრავლესობას შეადგენენ ღარიბ მშობელთა შვილები. ესენი აქა დგანან „სახლის პატრონებთან“, რომელთაც ბინასა და გამოკვებაში აძლევენ თვეში ხშირად არა უმეტეს ოთხის, ხუთის მანეთისა. ყველა ჩვენგანი შორიდამაც მიხვდება ამ ფულით ან როგორი ბინა უნდა ჰქონდეთ ხსენებულ ყმაწვილებსა და ან რანაირი და რაოდენი სანოვაგე მიეცემა მათ ახალგაზრდა, ყოჩაღად მომქმედ კუშსა. პატარა, დაბალი, ნახევრად განათებული ოთახი, რომელშიაც ზამთარ-ზაფხულს განუყრელად ტრიალებს შმორის სუნი, — შედეგი სინოტიესი და უსუფთაო, გაფუჭებული ჰაერი, — აი სადგომი, სადაც 3 — 4 პატარა შეგირდი სცხოვრობს ერთად. ჩვენი კურთხეული ლობიო, ამაზედ არანაკლებად სახელგანთქმული მახოხი, ხშირად უხეიროდ გამომცხვარი შავი პური არის წლითი წლამდე ერთადერთი ამათი საზრდო, რომელსაც შეიძლება დიდ უქმე დღეებში ან ხაში, ან ორიოდ გირვანქა ხორციც მიემატოს. რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამგვარ ცხოვრებას, ცხადია! ...მათი ფერმკრთალი სახე, ხშირი ავადმყოფობა, საშინელი უსუფთაობა ტანისა და ტანსაცმელისა სამწუხარო მჭერმეტყველებით ჰლაღადებს მათს უნუგეშო მდგომარეობას. მაგრამ თბილსა და კარგს დღეებში ბავშვის ცხოველი ბუნება, მარად მოძრავი, შთაბეჭდილებით მოსულდგმული, ყველა ამას თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს, არ ემორჩილება... მაგრამ სურათი სრულიად იცვლება, როდესაც შემოდგომის სიცივე და ტალახები, ზამთრის ყინვა და თოვლჭყაპი ერთად და ცალ-ცალკე ეწვევა ხოლმე ჩვენს საჭაროზე გაშენებულ ქალაქსა. ამისთანა დროისათვის ხსენებულ ყმაწვილებს არც ტანისამოსი აქვთ შესაფერი და არც ფეხსაცმელი. დალურჯებულ ხელებში უჭირავთ წიგნები და გაცრეცილის სახით მიეჩქარებიან ყოველ დილა ადრიან თავთავიანთ სკოლებში. სადღაა წინანდელი მხიარულება!... ეხლა ესენი ავდარში გარეთდარჩენილ, დაღონებულ და ფრთებჩამოყრილ პაწია ბეღურა ჩიორებს ჰგვანან!.. უცქერი ამ მწარედ მოძაგძაგე პატარა კაცუნებს და გიკვირს: როგორ და რანაირად იტანს მათი ნორჩი ბუნება, მათი სუსტი, უღონო აგებულება ამ საშინელ ავდრის განვლენასა?!

მაგრამ ვაი ამ ატანასა! ვინ იცის რავდენი ამათგანი უდროოდ გამოესალმება წუთისოფელსა, ვიდრე ბოლომდისინ გაივლიდეს აწინდელ სწავლის დახლაკნილ და ეკლიან გზასა!".

ასეთი იყო ხვედრი ქართველი მოსწავლისა, რომელიც გაბედავდა და სკოლის კარებს შეაღებდა.

8. გასართობ-სანახაობანი

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე რა გასართობ-სანახაობანი იყო ქალაქ გორში ჩვენ არ ვიცით. ამიერიდან კი ქართულ პერიოდიკაში ხშირად გვხვდება ცნობები, რომ ამა თუ იმ ინტელიგენტის კერძო თაოსნობით იმართება საღამო წარმოდგენები, თუ სხვა ხასიათის შეხვედრები. 1856 წლის 8 ნოემბერს კი რუსული წარმოდგენა დაუდგამთ.

1865 წელს, ივლისში, გორში დადგეს გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი". სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. სპექტაკლის მთელი შემოსავალი მოახმარეს გორელ ღარიბებს[1].

მაგრამ ასეთი საღამო-წარმოდგენები ამ დროისათვის მაინც იშვიათი იყო. ამიტომ გორელთა ერთ-ერთ გასართობს და თავშესაყარ ადგილს წარმოადგენდა ქალაქის ბაღი. ბაღში მოწყობილი იყო როტონდა. ეს ბაღი XIX საუკუნის 70-იან წლებში გაშენდა. ბაღი თავის როტონდით მოეწყო გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ი. ს. ჟერომსკის ინიციატივით. ბაღში შესვლა თავისუფალი იყო, ოღონდ ქალაქი ჟერომსკის უხდიდა წლიურად 100 მანეთს. მალე ბაღმა ისეთი სახელი გაითქვა, რომ დროს გასატარებლად თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე. ბაღში უკრავდა მუსიკა, ხუთშაბათობითა და კვირაობით იმართებოდა ცეკვის საღამოები[2].

1875 წლის 27 აგვისტოს „დროების" ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ გორში წარმოდგენა დადგეს. „როგორც

[1] ცისკარი, 1865 წ., გვ. 20.

[2] Кавказ, 1873 წ., № 85.

იქნა ეღირსა გორიც ერთ ქართულ წარმოდგენას. ამ თვეში წარმოუდგენიათ როგორც გავიგონე, ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ „ძალად ექიმი“ და „უჩინმაჩინის ქუდი““. კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ თავისი როლი კარგად შეუსრულებია ნ. გაბუნიას ქალს და დამსწრე საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩენილა.

1878 წლის 30 დეკემბერს, გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის სემიონოვის თაოსნობით გორში დაიდგა ოსტროვსკის კომედია რუსულ ენაზე—„В чужом пиру похмелья“ და „Счастливый день“. წარმოდგენის მთელი შემოსავალი ქალთა პროგიმნაზიის გახსნის მოსამზადებელ მუშაობას მოახმარეს. წარმოდგენა დადგეს გორის როტონდაში. თავის როლი შესანიშნავად შეასრულა კაპიტანმა ნელიუბოვმა. ამავე დღეს გორში ქართული წარმოდგენაც დადგეს — „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაჭორწინდნენ“. წარმოდგენაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზაალ მაჩაბელი, ნატო გაბუნია და გულისაშვილი. დასადგმელად ამზადებდნენ აღალო თუთაევის პიესას — „რძალი, მული და მაშენიკები“[1].

როგორც ცნობილია, 1879 წელს თბილისში დაარსდა ქართული თეატრის მუდმივი დასი. ამ დასმა ივლისის თვეში მოაწყო თავისი პირველი გამსვლელი წარმოდგენები ქალაქ გორში. ამ ამბავმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი სიამოვნებით იგონებდა: „გაჩერდა მატარებელი, გადმოვხტით სადგურზედ. მაგრამ ძნელია იმ ენტუზიაზმის, იმ უსაზღვრო აღტაცების გამოთქმა, როგორც ჩვენ გორის საზოგადოება დაგვიხვდა! სახალხო მატარებლის მოსვლის დროს ხომ ყველა სადგური ხალხით ივსება, აქ სხვებს ჩვენი დამხვედრნიც მიმატებოდნენ და სხვა ცნობის მოყვარენი. ამგვარად სადგური წარმოადგენდა ხალხის ზღვას, რომელიც ჩვენს დანახვაზედ აღელდა, შეირყა, და „ვაშას“ ძახილით მოგვეგება“[2].

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 4.

[2] ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, კომედიები, ი. გრიშაშვილის რედ. გვ. 365.

აქვსენტი ცაგარელი განაგრძობს: „...წარმოდგენებს ვმართავდით როტონდაში, ხიდის ყურთან, ქალაქის ბაღში. მაშინ ეს ბაღი საკმაოდ მოწყობილი და ტურფა ხეებით სავსე იყო. როტონდა სულ სავსე იყო ხოლმე. ან სად დავტევდით ამოდენა ხალხს: გორელები ხომ იყვნენ და იყვნენ — დიდი და პატარა, ეხლა სოფლებიდან მოემატა თავადაზნაურობა. ზალაში ხომ ჭედვა იყო და ბევრი ერთიორად იძლეოდა ფულს, ოღონდ კარებიდან და ფანჯრებიდან გვაყურებინეთო. ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა“[1].

თანდათან მწიფდებოდა გორში სცენის მოყვარულთა დასის შექმნის პირობები. გორის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის აშკარად ჩანდა, რომ გორში აუცილებელი იყო ისეთი დაწესებულების შექმნა, რომელიც, ერთის მხრივ, გორის მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და, მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობდა თბილისში ახლად დაარსებულ თეატრს თავისი სახე ეჩვენებინა გორში.

სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში წერს: „რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ, როდესაც უკვე დამკვიდრდა ტფილისში ქართული დასი, გორშიაც აღიძრა სურვილი გამართულიყო ქართული სცენა, რომ შეძლება მისცემოდა ტფილისის დასს წარმოდგენების გამართვისა გორშიაც... მაშინდელი გორის საზოგადო საკრებულო განთქმული იყო წევრთა რიცხვით, წიგნთსაცავით, საღამოების მართვით, ასე რომ ტფილისიდანაც კი მოდიოდნენ სტუმრად“[2].

როტონდა, რომელიც ე. ერისთავს ეკუთვნოდა, დროთა განმავლობაში მოიშალა, სერიოზულ რემონტს საჭიროებდა. ერისთავმა ნება დართო როტონდა კლუბად, თუ „თეატრად“ გადაეკეთებინათ. საჭირო იყო ფული. ივანე მაჩაბელმა 150 მანეთი შეიტანა, დანარჩენი ხარჯები აღალო თუთაევმა და დიასამიძემ იკისრეს. სცენის მოწყობაში აქტიურ მონაწილე-

---

[1] ა. ცაგარელი, კომედიები, ი. გრიშაშვილის რედ. გვ. 367.

[2] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 54.

ობას ღებულობდა არტილერიის კაპიტანი ნელიუბინი. ნელიუბინი განათლებული ოფიცერი იყო და ქართულ ინტელიგენციასთან ახლო იდგა. მან შესანიშნავად იცოდა ხატვაც. ნელიუბინმა თავის ხარჯით დაახატვინა ფარდა და მოაწყო სცენის კულისები. ასე, რომ ამ ინტელიგენტთა თაოსნობით 1879 წელს გორში პატარა თეატრი მოეწყო. დაარსდა დასიც და ამიერიდან თითქმის ყოველკვირა იმართებოდა საღამო-წარმოდგენები. საღამო-წარმოდგენების პირველი შემოსავალი თეატრის საჭიროებას ხმარდებოდა, ხოლო შემდეგ წარმოდგენები იდგმებოდა საქველმოქმედო დანიშნულებისათვის, ე. ი. შემოსული ფული ამა თუ იმ საზოგადო საქმეს ხმარდებოდა. იყო ისეთი შემთხვევაც როცა საღამოს შემოსავალი გადაეცემოდა ხოლმე რომელიმე ღარიბ სტუდენტს ან ვინმე სხვას. ასე, მაგალითად: 1880 წლის 18 აგვისტოს გამართული წარმოდგენის მთელი შემოსავალი გადასცეს ერთ ღარიბ ახალგაზრდას, რომელიც უნივერსიტეტში აპირებდა წასვლას[1].

ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „წარმოდგენილი იქნა „ქოროღლი“ ზურაბ ანტონოვისა, რომელიც აქ ცნობილია მეჩიტიშვილის სახელით. განსვენებული ანტონოვი გორში დაიბადა, აქვე, სამაზრო სასწავლებელში სწავლობდა, იგი აქაური მკვიდრი იყო. სხვათაშორის ამბობენ, რომ „ქოროღლი“ მისი საკუთარი ნაწარმოები არ არისო. მას თურმე უთარგმნია ის. ეს კომედია აღმოსავლეთის კარჩაკეტილ ცხოვრებას გვაცნობს. საუკეთესო შემსრულებელთაგან უნდა აღინიშნოს: ნატროშვილი, კორინთელი, ქართველიშვილი, კერესელიძე[2].

გორის სცენის მოყვარეთა დასის აქტიური წევრები იყვნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, მისი მეუღლე ნინო მგალობლიშვილი, აღალო თუთაევი, სოფლის მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი, ნოქარი ლევან ჯულაბოვი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითაშვილი, მისი მეუღლე ქეთევან დავითაშვილი,

---

[1] Кавказ, 1880, № 225.

[2] იქვე.

მაშო კერესელიძე, მაშო ივანიშვილი (დემურია), სოფო და ფეფო მაღალაშვილები, ვასო მოზდოკელი და სხვ.

ამ მოხალისე ინტელიგენტთა საქმიანობას ცარიზმის ჯაშუშთა ხროვა ქოფაკი ძაღლივით დასდევდა და საშუალებას არ აძლევდა რაიმე თავისუფალი ნაბიჯი გადაედგა. 1884 წლის 12 იანვარს გორის მაზრის უფროსმა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი სპეციალურად გააფრთხილა, რომ არავითარი საღამო-წარმოდგენები და გასართობ-სანახაობანი გაშვებული არ იქნება პოლიციის აგენტის კონტროლის გარეშეო[1].

გორის საზოგადო საკრებულოს წესდება, რომელიც მთავრობის მიერ იყო დამტკიცებული 1887 წელს, სპეციალურ განმარტებებს შეიცავდა, სადაც პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ მასკარადები, საღამო-წარმოდგენები და სხვ. დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი პოლიციის უფროსთა ნებართვით.

მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ხალხში ამ გზით განათლება შეეტანათ.

გორში დადგმულ წარმოდგენებზე მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში საკმაოდ ვრცელი რეცენზიები იწერებოდა. თითქმის არც ერთი წარმოდგენა ყურადღების გარეშე არ რჩებოდა.

1887 წლის „ივერია“ (№ 87) ვრცელ მიმოხილვას უკეთებდა თბილისის ქართული თეატრის არტისტების მიერ „თამარ ცბიერის“ დადგმას. ვინაიდან ამ რეცენზიის მიმოხილვას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს.

„ამ თვის 22 (ლაპარაკია აპრილის თვეზე, დ. გვ.) ჩვენმა დრამატურგიულის დასის არტისტებმა წარმოადგინეს „თამარ ცბიერი“, ისტორიული დრამა აკაკისა. ხალხი ბლომად დაესწრო, სულ შემოსავალი იყო თოთხმეტი თუმანი; ...თუმცა გორში სცენა უხეიროა, დაძველებული და ტლანქი, ადგილიც პატარა, .მაგრამ წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. ვლ. ალექ-

[1] დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა, გვ. 119.

სი — მესხიშვილმა საუცხოოდ ითამაშა; არტისტი შესამჩნევია ნიჭის პატრონია და ამიტომაც იყო, რომ ხალხში მისმა თამაშობამ წარმოუდგენელი აღტაცება გამოიწვია, ბევრი აატირა „დიდი თამარის“ სახელის გახსენებამ; ბევრს ენატრებოდათ მესხიშვილის გაცნობა და ხილვა, გაიცნეს კიდეც და ღირსეული პატივი სცეს ამ ნიჭიერს ქართველსა.

მესხიშვილის შემდეგ ყველაზედ კარგი იყო ქ. თამაროვისა ცირას როლში; მიხვრა-მოხვრა, გარდაცემა ლექსისა ნამეტნავად კარგი იყო; სჩანდა, რომ როლი შეეგნო, გაეგო და შაეტყო სული და გული ცირასი და ამიტომ უმეტნაკლებოდ თამაშობდა; დრამატიული საზოგადოება ძალიან კარგს ინებებს, რომ თამაროვის ქალი ხელიდამ არ გაუშვას; ჩვენ გულწრფელად ვამბობთ, რომ თამაროვისას მცირე ნიჭი არა აქვს; რომ ის წარმატებაში წავა თანდათან და შესამჩნევს ადგილს დაიჭერს და სახელს დაიმსახურებს. ნაკლი თამაროვისა ის არის, რომ სიმღერა არა სცოდნია, ხმა მშვენიერი აქვს, კილოსაც არა უშავს რა, მაგრამ ხმას აკანკალებდა, რცხვენოდა თითქო სიმღერისა და რუსულს კილოს აძლევდა „ნანინასა“.

იმედია, რომ თამაროვისა შემდეგისათვის ამ ნაკლსაც აიცილებს.

ძალიან კარგი იქნება, რომ მასხარას როლი ბ-ნ ტყვიაველს მისცენ და ნიკო გურულისა, რომელსაც ტყვიაველი თამაშობს, ბ-ონ კობიაშვილსა. ტყვიაველი საზოგადოდ ძალიან რიგიანი არტისტია, ლექსების კითხვა ხომ მშვენივრად იცის; „თამარ ცბიერში“ გურულს საუცხოოდ თამაშობს“. შემდეგ მიმომხილველი აღნიშნავს ზოგიერთი არტისტის სუსტ მხარეს და მოგვითხრობს იმ გულწრფელ შეხვედრაზე, რომელიც გორელებმა აკაკის გაუმართეს[1].

როგორც ვხედავთ, გორი მეორე კერა იყო თბილისელი არტისტებისათვის. გორის დასი ხშირად სოფლებსაც ესტუმრებოდა ხოლმე და სოფლისათვის საგანგებოდ შერჩეულ პიესებს დგამდა.

1887 წლის ივლისში ხიდისთავში დადგეს რაფიელ ერის-

---

[1] „ივერია“, 1887 წ., № 87.

თავის კომედია — „ადვოკატები“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. დამსწრეთა შორის გლეხებიც იყვნენ. გლეხის როლს თვით სოფრომ მგალობლიშვილი თამაშობდა. მანვე პირველი მოქმედების შემდეგ წაიკითხა სცენები გლეხის ცხოვრებიდან[1].

ასეთი მოღვაწეობის შედეგად, გორი გადაიქცა კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ცენტრად. გორს, გარდა თეატრის არტისტებისა, ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე პროფესიონალ-მომღერალთა გუნდებიც. 1887 წლის იანვარში გორს ეწვია აღნიაშვილის მომღერალთა გუნდი 25 კაცის შემადგენლობით. აღნიაშვილის გუნდი იმავე წლის აპრილში მეორედ ყოფილა გორში 12 კაცის შემადგენლობით. კონცერტებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებლებზე. ამ კონცერტების შესახებ წერდნენ: „როდესაც პირველად დავინახეთ მომღერალთა გუნდი სცენაზე ქართული მამაპაპეულის ტანისამოსით, გამოუთქმელს აღტაცებას და ნეტარებას მივეცით. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ისე ავღელდი, ისე ზეაღვიზარდე, რომ ქვეყნად აღარა ვგრძნობდი თავსა. გული ამიდუღდა, ამიჩუხჩუხდა და უნებლიედ თვალთაგან ცრემლის ნაკადი წამსქდა. მე მგონია, რომ ყველა ქართველი ამ ყოფაში იქნებოდა, როცა პირველად დაინახავდა ხოროს, რომელიც შეუდგა მამაპაპეულის სიმღერათა აღდგენას“[2].

როდესაც ინტელიგენციის პროგრესიული ნაწილი ასეთ სასარგებლო მუშაობას ეწეოდა, იმ დროს გონებაჩლუნგი, სოფრომ მგალობლიშვილის ენით რომ ვთქვათ, „ყვავის ტუზები“, „კრუჟოკში“ ისხდნენ და დღედაღამ ქაღალდს თამაშობდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ სათანადო საბუთები არა გვაქვს გორის „თეატრის“ გაბმული ისტორია წარმოვადგინოთ, ვიცით მხოლოდ, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში დანერგილი ტრადიცია შემდეგაც ბოგინობდა.

---

[1] „ივერია“, 1887 წ., გვ. 145.

[2] იქვე, გვ. 87.

1909 წელს გორელი მოწინავე მუშებისა და ინტელიგენციის ერთი ნაწილი თავს იყრიდა „სახალხო თეატრის“ ირგვლივ. 15 ნოემბერს ჟივიძის მეთაურობით დადგეს პ. ირეთელის ცნობილი პიესა „დამარცხებულნი“. პიესამ დიდი გავლენა მოახდინა. „მთელი აუდიტორია ქვითინებდა... ხალხი ბლომად დაესწრო და დიდი ნასიამოვნებიც დაბრუნდა. ხშირად ისმოდა: „ნეტავ კიდევ დადგამდნენო“[1].

ამავე წელს გორში არსებობდა რკინიგზის სადგურისა და ნავთსაყუანის მოსამსახურეების სცენისმოყვარეთა წრე. ამ წრემ დაიჭირავა შენობა და დაიწყო წარმოდგენების გამართვა. 31 მაისს მათ აჩვენეს „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“; 13 ივნისს – „ოინბაზი“ და „ორი მშიერი“, და რუსული „Аптъ“; 28 ივნისს — „პეპო“ და რუსულად „Модный докторъ“, 19 ივლისს — „უჩინმაჩინის ქუდი“ და „გაცრუებული იმედი“, 26 ივლისს—გუნიას პიესა „და-ძმა“, 2 აგვისტოს—„არსენა“.

წარმოდგენებისაგან შემოსული ფულით გაისტუმრეს სახლის ქირა, იყიდეს საჯდომები, მოაწყეს სცენა და შეიძინეს სცენის მოწყობილობა[2].

დიდი პატივით სარგებლობდა გორში ისეთი ხალხური ტრადიციული სანახაობანი, როგორიც იყო კრივი. გორში გამართული კრივის შესახებ ქართულ პერიოდიკაში არა ერთი საინტერესო ცნობა არის გამოქვეყნებული.

1886 წ. 25 თებერვალს „ივერიამ“ გამოაქვეყნა ალექსანდრე შაიშმელოვის კორესპონდენცია გორში გამართული კრივის შესახებ. კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„ყველიერის პირველ კვირიდამ დაწყობილი, მუდამ შუადღის შემდეგ, სობორის ქუჩაზედ და შუა ბაზარში გავლა ძრიელ ძნელი იყო მოკრივე ხალხის სიმრავლისაგან. გორელები გაიყვნენ ორ ნაწილად, ქვემო უბანი ცალკე და ზემო უბანი ცალკე გავიდა. ზემო უბანი დაბანაკდა სობორის ქუჩაზედ და ქვემო უბანი შუა ბაზარში. ქვემო უბანი ვერ ბედავდა სობორის ქუჩაზედ ზემო უბნელებთან გამოლაშქრებას და

---

[1] მომავალი, 1909 წ., № 72.

[2] ჩანგი, 1909 წ., № 25.

აგრეთვე ზემო უბანი ვერ ბედავდა შუა ბაზარში. ერთმანეთთან მისვლის შიში აი რაში მდგომარეობდა: ზემო უბანი ოთხჯერ მეტი იყო რიცხვით ქვემო უბანზედ, ამისათვის ქვემო უბანი რომ მისულიყო ზემო უბანთან სობოროს ქუჩაზედ, როგორც ფართო ადგილზედ, მაშინ ზემო უბანი თავისუფლად მოთავსდებოდა და თითოზედ ოთხი-ხუთი კაცი მივიდოდა, და ზემო უბანი ვერ ბედავდა ქვემო უბნელებთან შუა ბაზარში მისვლას იმიტომ, რადგანაც ძრიელ ვიწროობა იყო და ერთ-ერთზედ ოთხი-ხუთი ვეღარ მივიდოდა და პირდაპირობისა კი ეშინოდათ.

მოკრივე ხალხს გარდა მაყურებელი დიდძალი ხალხი იყო: მთელი ქუჩა თავიდამ ბოლომდისინ, ბანები, სახლის ფანჯრები, მოაჯირეები, სადაც კი რამ კედელზე ფეხის მოსაკიდი იყო და სხვა, ისე იყო ფერად-ფერადი ხალხით გამსილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. არას დროს არ ყოფილა ამდენი ხალხი. ჟღავ-ჟღუვი, ურას ძახილი და ამგვარი ჩოჩქოლი ძრიელ ბევრი იყო და კრივი კი კანტიკუნტად ხდებოდა. შებინდების ჟამს სიბნელისაგან იშლებოდა კრება და მიდიოდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

ამავე დაწყობილობით, გუშინ, დიდ მარხვის პირველ ორშაბათს, შუადღის სამ საათზედ, შეგროვდნენ თავ-თავის ბინაზედ მოკრივე ხალხი და მოაწყდა უთვალავი მაყურებელიცა.

ზემო უბნელებმა გამართეს დაფა-ზურნაზედ თამაშობა სობოროს ქუჩაზედ და ელოდებოდნენ როგორმე ჩამოეტყუებინათ ქვემო უბნელები. ქვემო უბანმა ფეხი არ მოიცვალა შუა ბაზრიდამ; ბოლოს ზემო უბნელები თავიანთ დაფა-ზურნით მიუხტნენ ქვემო უბნელებსა შუა ბაზარში და გაიმართა ათი წამის განმავლობაში საშინელი გაცხარებული მუშტის კრივი და, როცა ქვემო უბნელებმა გაირეკეს ზემო უბნელები, ამ დროს მაყურებლის ხალხის სიმძიმისაგან, უცებ დაეშვა შუა ბაზრის ჩარდახი და პანტა-პუნტით ყირამალა წამოვიდა ზევიდამ ხალხი, ამათში იყვნენ რამდენიმე მანდილოსნებიც და დაეცნენ მოკრივე ჯგუფ ხალხს. ამათი იღბალი, რომ ძირს არავინ დაეცა თორემ სულს ვეღარ ჩამოაწევდნენ.

მოკრივე ხალხზედ არაფრად იმოქმედა ამ ამბავმა და მაინც გაცხარებულნი ერთმანეთს სცემდნენ და ფეხს არ არიდებდნენ ჩამოცვენილ ხალხს და რამდენიმე წამის შემდეგ ორი კაცი გამოიტანეს ცოცხალ-მკვდარი, ერთი სრულიად გონებამიხდილი იყო და ხმას ვეღარ იღებდა და მეორე საშინლად გულსაკლავად კვნესოდა. საეჭვო არის მათი მორჩენა.

ამბობენ, ჩამოცვივნულნი რომ ქვეშ მდგომ ხალხს არა დასცემოდნენ და ან ისე ჯგუფი ხალხი არ ყოფილიყო, ერთი ვერ მორჩებოდაო. მე კიდევ ამას ვიტყვი, რომ თუ ამ შეხთხვევას არ დაეშალა, ეს კრივი ოცამდის და კიდევ მეტს კაცს იმსხვერპლებდა, ისე გულმოსული იყვნენ ერთმანეთზედ. ერთს ვერ ნახავდით, რომ თავპირი დამტვრეული არა ჰქონოდა.

ბოლოს გაიმართა ქვის კრივი, მაყურებლები სრულიად გაიფანტნენ და ისეთი ამბავი მოხდა, რომ თითქოს სეტყვა მოვიდაო: ფანჯრები ისე დალეწეს, რომ აღარაფერი აღარ გაუშვეს. სახლის პატრონები ეშურებოდნენ კარების დაკეტვას და ფანჯრების ასაფარებლის მოგულვას, რომ თვითონ მაინც გადარჩენილიყვნენ. პოლიციამ ვერა გააწყო რა და არც ეგონებოდნენ. ბოლოს მოითხოვეს სალდათები, მაგრამ გვიანღა იყო და სიბნელისაგან ხალხი თვითონვე დაიშალა".

მთავრობა უძლური აღმოჩნდა კრივი გაეუქმებინა. არა იშვიათად ასეთი კრივები ბევრის სიკვდილით მთავრდებოდა, დასახიჩრება კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

9. ბრძოლა პერიოდული გამოცემისათვის გორში

გორის მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ქალაქ გორს თავისი საკუთარი გაზეთი ან ჟურნალი ჰქონოდა. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში, გორის ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივით, დაიწყო ბრძოლა ჟურნალ „სინათლის" გამოცემისათვის.

1845 წელს ამ ჯგუფმა მთავრობასთან შეთანხმებასაც მიაღწია ჟურნალის გამოცემის შესახებ.

ჟურნალის მიზანდასახულობა ასე ესახებოდათ: „ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლად გულისა და გონებისა ესა-ჲიროების ახალი აზნაურობითი საქმიანობა. სწავლათა და ხელოვნებათა შინა... ჟურნალი ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილ მდგომარეობაში მოყვანებისა, ამისათვის აწცა სურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა გამოსცენ ესეევითარი ჟურნალი“[1].

ჟურნალს ექნებოდა განყოფილებები:

1. პოლიტიკურ-ეკონომიური
2. ეთნოგრაფიული
3. ისტორიულ-ლიტერატურული
4. სამუსიკო
5. მეთოდური
6. ნარევი.

როგორც ვხედავთ, ჟურნალს ფართო პროგრამა ჰქონდა; ამოცანაც საპატიო იყო, მაგრამ ეს კეთილშობილური წამოწყება განუხორციელებელი დარჩა.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ქართველი ხალხოსნების გორის ჯგუფში კვლავ დაისვა საკითხი პერიოდული გამოცემის აუცილებლობის შესახებ. გადაწყვეტილი იყო ჟურნალ „მიმოხილვის“ გამოცემა. რედაქტორად გიორგი უთურგვაული შეარჩიეს, მაგრამ ეს წამოწყებაც ამაოდ დამთავრდა.

ასე, რომ მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე გორის ინტელიგენციის ყოველგვარი ცდა ჟურნალ-გაზეთების გამოცე-

[1] „ცნობის ფურცელი“, 1896, № 35.

ძის შესახებ განუხორციელებელი რჩებოდა. 1912 წელს ი. ცინცაძის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „ქართლი“, ხოლო 1914 წლიდან დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით — „ახალი ქართლი“. აღნიშნული გაზეთები თავის ფურცლებზე აშუქებდნენ მიმდინარე მომენტის დამახასიათებელ მოვლენებს, ქართლის გლეხთა ცხოვრებას, ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, თეორიულ-მეცნიერულ სტატიებს, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალებს და სხვ.

თავი VI

ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფი

საქართველოში ხალხოსნურ მოძრაობას თავისი გამომწვევი მიზეზები ჰქონდა. ეს მოძრაობა რუსი ნაროდნიკების გავლენით აღმოცენდა. იგი აღმოცენდა იმ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ნიადაგზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვითმპყრობელურ რუსეთში.

თუმცა 1861 წ. რეფორმა ყირიმის ომისა და გლეხთა მოძრაობის შედეგად წარმოიშვა, მაგრამ მან მიწის საკითხი მემამულეთა სასარგებლოდ გადაჭრა.

„პირადი თავისუფლებისათვის გლეხებმა გადაუხადეს თავადაზნაურობას თავისი საუკეთესო მიწების ნაწილი. ის რაც გლეხებს დარჩათ, ძალიან დიდი იყო იმისათვის, რომ შიმშილით მომკვდარიყვნენ და მეტად მცირე იყო იმისათვის, რომ არსებობა შეენარჩუნებინათ“[1].

ასე, რომ ენგელსისავე შენიშვნით ამ რეფორმის შედეგად, გლეხობა ისეთ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული, როცა შეუძლებელი იყო სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, стр. 30.

თავადაზნაურობამ მთელი ხელოვნება გამოიყენეს იმისათვის, რომ გლეხები „განთავისუფლების“ შემდეგ უარეს მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებს ამ ფაქტს: „გლეხებს, მემამულეთა მიერ 1861 წელს მიწისაგან მათი „განთავისუფლების“ დროს, მიწები იმგვარად მიუზომეს, რომ გლეხები „თავისი“ მემამულის ხაფანგში აღმოჩნდნენ. რუსულმა საერობო-სტატისტიკურმა ლიტერატურამ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება გაამდიდრა მემამულური მეურნეობის გაძღოლის უაღრესად ორიგინალური, თვითმყოფი, ჯერ კიდევ თითქმის უნახავი წესის აღწერილობით. ეს არის მეურნეობა ჩამონაჭერი მიწების საშუალებით. გლეხები „გაათავისუფლეს“ 1861 წელს მათი მეურნეობისათვის აუცილებელი წყალსალევებისაგან, საძოვრებისაგან და სხვა. გლეხთა მიწები სოლად შეჭრილია მემამულეთა მიწებს შორის, ასე რომ ბატონი მემამულეებისათვის უზრუნველყოფილია მეტისმეტად საიმედო—და მეტისმეტად კეთილშობილური — შემოსავალი, წანახედის გადასახდელი „ქათამი ვერსად გამომიშვია“, — ეს მწარე გლეხური სიმართლე, ეს „ყელზე საბელმობმულის იუმორი“ ყოველ გრძელ ციტატზე უკეთ გვამცნობს გლეხური მიწათმფლობელობის იმ თავისებურებას, რომელიც სტატისტიკურად არ შეიძლება გამოიხატოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს თავისებურება წმინდა წყლის ბატონყმობაა, როგორც თავისი წარმოშობით, ისე მემამულური მეურნეობის ორგანიზაციის წესზე გავლენის მოხდენით“[1].

საგლეხო რეფორმის მემამულურ-თავადაზნაურული ხასიათი კიდევ უფრო საგრძნობი იყო რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, რადგან ცარიზმი სწორედ ამ გაბატონებული კლასების მეშვეობით ბატონობდა ამ მხარეში.

მიუხედავად ამისა, რეფორმას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის შემდეგ სამრეწველო კაპიტალიზმი საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 79—80.

გასაგებია, რომ რუსეთის იმპერიის საერთო მოვლენები თავის გავლენის ქვეშ აქცევდა საქართველოსაც.

მართალია დაგვიანებით, მაგრამ საქართველოშიც ბატონყმობა „გადავარდნილად“ გამოაცხადეს. ამ „გადავარდნის“ შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ „მიწა, რომელზედაც სახლობენ გლეხნი ეკუთვნისთ სრულად და შეუხლებლად მებატონეთა, ხოლო თუ რამე აქვს გლეხს მემამულის მიწაზე სახლ-კარი, ბაკი, ბოსელი, საბძელ-კალო, ვაზები, ხეხილის ბაღები, თუთის ხეები, ესენი გლეხებსავე რჩებათ მხოლოდ დაწესებულის გადასახადის გადახდით მებატონეთა მიწისათვის“[1].

ამ რეფორმის კლასობრივ ხასიათზე მიგვითითებს თბილისის გუბერნიის მაგალითი.

თბილისის გუბერნიის გლეხებს რეფორმამდელ ხანაში ჰქონდათ 84 665 დესეტინა მიწა; საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 5,9 დესეტინა. რეფორმამ ამ გლეხებს დაუტოვა მხოლოდ 55 679 დესეტინა, ე. ი. 28 986 დესეტინით ნაკლები, ანუ ერთ კომლზე საშუალოდ, 3,9 დესეტინა. აღსანიშნავია, რომ გლეხის გამგებლობაში დარჩენილი მიწა იბეგრებოდა მემამულის სასარგებლოდ მოსავლის მეოთხედით[2].

ყველა ამას კი არ შეეძლო გლეხში უკმაყოფილება არ გამოეწვია. გლეხის მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც, რადგან იგი „თავისუფალი“ იყო არა ეკონომიური იძულებისაგან, არამედ იმ მიწისაგან, რომელიც მას ეკუთვნოდა მამა-პაპიდან.

რეფორმამ დააჩქარა კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი ზრდა.

„რეფორმისშემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ... მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბ-

---

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1866 წ., № 1

[2] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 35—36.

რიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ძველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინოსათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასასყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,—ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[1].

ასეთი მდგომარეობა გაღატაკებულ ხელოსანს, გაძვალტყავებულ და დამშეულ გლეხს უკმაყოფილების მორევში ისროდა და ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილ ინტელიგენტთა საზრდოსათვის თავისებურ მასალას იძლეოდა.

ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ლავროვი მოუწოდებდა ინტელიგენციას, რომ მათ „დაივიწყონ პრივილეგიური წოდების ინტერესები, ჩადგნენ ხალხის რიგებში, იმუშაონ ხალხის სასარგებლოდ და გულითადი მონაწილეობა მიიღონ მთავრობისა და არსებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში"[2].

ნაროდნიკობის ძირითადი ხასიათის შესახებ ლენინი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703—704,

[2] П. И. Лавров, Избранные сочинения, том III, изд. 1934, стр. 339.

წერდა: „ნაროდნიკობად ჩვენ მიგვაჩნია შეხედულებათა ის სისტემა, რომელიც შეიცავს შემდეგ სამ თვისებას:

1) კაპიტალიზმის აღიარება რუსეთში დაცემულობად, რეგრესად...

2) აღიარება საერთოდ რუსეთის ეკონომიური წყობის თვითმყოფობისა და კერძოდ გლეხის თვითმყოფობისა მისი თემით, არტელით და სხვ....

3) უგულებელყოფა ჩვენი ქვეყნის „ინტელიგენციისა" და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან"[1].

თავიანთ შეხედულებათა ცხოვრებაში გასატარებლად რუსი ნაროდნიკები XIX საუკუნის 70-იან წლებში აყალიბებენ წრეებს, ამზადებენ პროპაგანდისტებს, გადიან ხალხში, სოფლებში და გლეხებს მოუწოდებენ არსებული უკუღმართობის მოსასპობად შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ამ დროს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტები უახლოვდებიან რუს რევოლუციონერებს და აარსებენ წრეებს.

1873/74 წწ. პეტერბურგში არსებობდა ქართველ სტუდენტთა წრე, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ: რაფაელ ყაზიბეგი, მიხეილ ყიფიანი, ელისაბედ ყაზიბეგი და სხვ.

ამ დროინდელ გამოჩენილ პროპაგანდისტთა შორის ერთერთ თვალსაჩინო ადგილს იჭერს სტუდენტი ლევან ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი.

ამავე ხანებში პეტერბურგში ეგნატე იოსელიანმა ჩამოაყალიბა „კავკასიელთა" რევოლუციური წრე, ამ წრეში შედიოდნენ: ეგ. იოსელიანი, იოსებ ბაქრაძე, კონსტანტინე ბაქრაძე, ლავრენტი და პოლიაქტორ კვიცარიძეები, მიხ. ყიფია-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 639—640.

ნი, გ. ზდანოვიჩი, ისიდორე ქიქოძე, ელისაბედ ყაზიბეგი და სხვ.[1]

1874 წელს ჩამოყალიბდა „მოსკოველთა წრე", რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ჯაბადარი იყო.

აი ეს ქართველი განათლებული ახალგაზრდობა არდადეგების დროს ჩამოდიოდა საქართველოში და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა ხალხში.

ქართულ ხალხოსნურ მოძრაობაში გორის წრეს სრულიად საპატიო ადგილი უჭირავს. ამ წრის დაარსება დაკავშირებულია სოფრომ მგალობლიშვილის სახელთან.

1873 წლის სექტემბერში გორში ჩავიდა სოფრომ მგალობლიშვილი. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა გორის ინტელიგენცია და საფუძველი ჩაუყარა ხალხოსნურ ორგანიზაციას.

ამის შესახებ თვით სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს: „1873 წლიდან ქ. გორში დაარსდა სოციალ-რევოლუციონური (ხალხოსნური) საიდუმლო წრე, რომელმაც მიზნად დაისახა გაეცნო ხალხისათვის მთავრობის მავნე წესწყობილება, ჩაეხედებინა გლეხობა თავის ცხოვრებაში, დაერწმუნებინა იგი, რომ უმამულოდ მისი განთავისუფლება ძველ ბატონყმობაზე უარესი იყო, რომ ამ გარემოებამ გლეხი უფრო ყურმოჭრილი ყმა გახადა ნაბატონარისა"[2].

სოფრომ მგალობლიშვილი, როგორც თვითონ ამბობს, გორში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა პავლე ბურჯანაძესა და ვასო დეკანოზიშვილს. ვასო დეკანოზიშვილს კავშირი ჰქონდა რუსეთში მყოფ იმ ქართველ სტუდენტებთან, რომლებიც გამოჩენილ ხალხოსნებად ითვლებოდნენ და რუსეთში მომქმედ ნაროდნიკულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ. ასეთები იყვნენ: მიხეილ ჩიკოიძე, ქაიხოსრო ფურცელაძე, რომან ფავლენიშვილი, ნიკო ხუდადოვი და სხვ. ამათგან ვასო დეკანოზიშვილი ღებულობდა მთავრობის საწინააღმდეგო ლიტერა-

---

[1] ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 69—70.

[2] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 204.

ტურას და ადგილზე იყენებდა. მაგ. ვასოს ჰქონდა: ლავროვის „ოპერიოდი", გერცენის „კოლოკოლი" და სხვ.[1]

მალე გორის ჯგუფს შეემატა კიევის სასულიერო აკადემიის ყოფილი სტუდენტი მათე კერესელიძე და სხვ.[2]

1875 წლისათვის ქართველი ხალხოსნების გორის ჯგუფში შედიოდნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, ვასო დეკანოზიშვილი, მათე კერესელიძე, პავლე ბურჯანაძე, ვანო ხიმშიაშვილი, ქაიხოსრო ფურცელაძე, დათიკო ფურცელაძე, ანტონ ფურცელაძე, გიგო ავალიშვილი, ვასილ სამადაშვილი, რომან ფავლენიშვილი, კოლა ფავლენიშვილი, მოსე ნათაძე, ლუარსაბ ერისთავი, კოტე ერისთავი, ილიკო მაჭავარიანი, ილიკო ჯავახიშვილი.

1875 წლის ზაფხულში ამ წრეში გაერთიანდნენ: ნ. ხუდადოვი და ისიდორე ქიქოძე.

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის იდეურ ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ ეგნატე იოსელიანი და მიხეილ ყიფიანი.

ეგნატე იოსელიანმა პეტერბურგში სწავლის დროს ჩამოაყალიბა „კავკასიელთა" წრე, ამ წრეში შედიოდნენ, იოსელიანს გარდა, იოსებ ბაქრაძე, კონსტანტინე ბაქრაძე, ლავრენტი და პოლიაქტორ კვიცარიძეები, მიხეილ ყიფიანი, გ. ზდანოვიჩი, ისიდორე ქიქოძე, ელისაბედ ყაზიბეგი და სხვ.[3]

ეგნატე იოსელიანმა უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო და საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ახალგაზრდობაში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელება. ამ მიზნით მან დააარსა ახალგაზრდა რევოლუციონერთა რაზმი.

ეგნატე იოსელიანი რუსეთიდან ღებულობდა და საქართველოში ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურას. მას ჰქონდა

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 72.

[2] იქვე, 73.

[3] ხ. შ ვ ე ლ ი ძ ე, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 70.

„მეცნიერულ წიგნების საუცხოოდ შერჩეული პატარა ბიბლიოთეკა“[1].

ამ ბიბლიოთეკის შესახებ თვით ეგნატე იოსელიანი იგონებდა: „1866 წ. შევუდექით ბიბლიოთეკის დაარსებას— დავიწყეთ ფულების მოგროვება; ჩხოტუამ... 20 მანეთი მოგვცა... სტუდენტთა მოძრაობას (რუსეთში) ბოლო მოუღო რეპრესიებმა 1868 წ. დეკემბერში. პეტერბურგიდან საქართველოში წამოვიდა 8—12 კაცი—იზმაილოვი, ალ. სარაჯიშვილი და სხვ. თან წამოეღოთ ერთი ჩემოდანი სავსე წიგნებით ჩვენი ბიბლიოთეკისათვის, მაგრამ ის გზაში დარჩენოდათ, რომელიც შემდეგ მივიღეთ. 2—3 თვის შემდეგ ჩამოვიდა ნიკოლაძეც. გარდაცვლილიყო ხომასურიძე (მომზადებული ახალგაზრდა) და ინაშვილი ნიკო. ჩამოვიდა აგრეთვე კირილე ლორთქიფანიძე, ალ. ინაშვილი, ტფილისში გავხსენით ბიბლიოთეკა ივანოვის გამგეობით“[2]. ამ ბიბლიოთეკაში იყო ისეთი წიგნებიც კი, როგორიცაა: „18 მარტის რევოლუციის ისტორია“, ჩერნიშევსკის შრომები „დამატებები და შენიშვნები ჯონსტ. მილის პოლიტიკური ეკონომიის პირველ წიგნზე“, „კავენიაკი“, „საკრედიტო საქმე“, „ლესინგი, მისი დრო, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ და სხვ.

ეგნატე იოსელიანის გავლენით ხალხოსნურ ორგანიზაციას მიემხრო შიო დავითაშვილი. სოფრომ მგალობლიშვილის დახასიათებით შიო დავითაშვილი „იყო მთელ ქართლ-კახეთში არალეგალური ლიტერატურის გამავრცელებელი, სად იყო და სად არა, მომადგებოდა გორში ყოველკვირა „ჩვენი შიო“ წიგნაკებით ავსებული დიდი ტომრით“.

1877 წელს გორში გადასახლდა შიო დავითაშვილი, ნაცნობების დახმარებით მოეწყო გორის სამასწავლებლო სემინარიაში ამკინძავად. იგი თავის ხელობას ასწავლიდა მოსწავლეებს და თან მათში აკრძალულ ლიტერატურისადმი ინტერესს აღვივებდა. მალე შეუტყვეს და სემინარიიდან გააძევეს. ამის შემდეგ, შიომ მოახერხა, ამხანაგების დახმარებით,

---

[1] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში.

[2] ს მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 82.

ქალაქის თვითმმართველობაში მოწყობა, იგი ფრჩხილებში მდივნად.

ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ წრეებს ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ და ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ. ასე, რომ გორის ჯგუფმა იცოდა რა ხდებოდა თბილისში, კახეთსა თუ იმერეთში და პირიქით. მოძრაობის ხელმძღვანელები ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი წერილობით თუ პირადი შეხვედრებით ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, თვალყურს ადევნებდნენ რუსეთში არსებულ ნაროდნიკულ მოძრაობასაც და საჭირო დახმარება-კონსულტაციებს იღებდნენ.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ორლევსკის 1876 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება. დადგენილებაში ნათქვამია, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ზოგიერთი ახალგაზრდა ცდილობს დააარსოს საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება ხალხის მომზადება მთავრობის დასამხობად. ამისათვის ყიდულობენ რევოლუციურ წიგნებს და თარგმნიან ადგილობრივ ენაზე. მათ ფული შეაგროვეს და განზრახული აქვთ საზღვარგარეთიდან გამოიწერონ აკრძალული ლიტერატურა 1 600 წიგნის რაოდენობით. ბროშურებსა და წიგნებს გარდა ელიან საბეჭდ მანქანასა... ამ საქმის მთავარ ხელმძღვანელებად ასახელებენ ეგნატე იოსელიანს (თბილისში მცხოვრები), მიხეილ ყიფიანს (ქუთაისში მცხოვრები) და ისიდორე ქიქოძეს, რომელიც თურქეთის საზღვარზე იმალება. ეს პირები, ან უშუალოდ, ან სხვების საშუალებით ერთმანეთთან კავშირს აბამენ, დადიან ერთი ადგილიდან მეორეში, ორგანიზაციაში აბამენ სხვებსაც, მუშაობენ გლეხებთან, აგროვებენ ფულს საზღვარგარეთიდან წიგნებისა და საბეჭდავი დაზგის გამოსაწერად. მათვე შეადგინეს ორგანიზაციის პროგრამა.

ამავე დადგენილებიდან ჩანს, რომ საზოგადოების მუშაობის უკეთ წარმართვისათვის საზოგადოების ხელმძღვანე-

ლებს გადაუწყვეტიათ სალაროს შექმნა. ამ საქმის ძოწესრიგება დაუვალებიათ ვარლამ გაბიჩვაძისა და მიხეილ ყიფიანისათვის. მათ საამისო სხდომაც ჩაუტარებიათ ქუთაისში, გაბიჩვაძის ბინაზე. აქვე აღნიშნულია, რომ სოფ. ბახვში და მერეთში ჰქონდათ შეხვედრები ფულის შეგროვების ღონისძიებათა დასახვის მიზნით. აქვეა საუბარი მოსკოვის წრიდან რომან ფავლენიშვილის მიერ წამოღებულ 700 მანეთის დახარჯვის შესახებ.

საზოგადოების დავალებით პლატონ გაბიჩვაძე რაჭაში გაიგზავნა გლეხებში პროპაგანდის საწარმოებლად.

როგორც ამ მასალებიდან ჩანს, მთავრობამ უკვე იცოდა, რომ ხალხოსნური ორგანიზაციის წევრები: ლევან ჩერქეზიშვილი, არსენ კალანდაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, მიხეილ ყიფიანი, ბესარიონ ლოსაბერიძე, ელენე ყიფიანი, ლაზარე დადუნაშვილი, ილიკო ბახტაძე, ვასილ სამადაშვილი, სტუდენტი კოჩუხოვი, ვარლამ გაბიჩვაძე, ისიდორე ჭიქოძე და სხვ. მოელიან საზღვარგარეთიდან არალეგალურ ლიტერატურას[1].

საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობა ორ მთავარ პერიოდად იყოფა: 70—80-იანი წლების ნაროდნიკობა და 80 — 90-იანი წლების ნაროდნიკობა. პირველი პერიოდის მოძრაობა არსებითად განსხვავდება მეორე პერიოდის მოძრაობისაგან. პირველი პერიოდის ხალხოსნები გლეხური რევოლუციის გზით ცდილობდნენ მთავრობის დამხობას, რუს ნაროდნიკებთან მტკიცე კავშირის საშუალებით; ე. ი. საერთო გლეხური რევოლუცია მათი მოქმედების პროგრამა იყო. ამ საერთო მიზნის მიღწევისათვის პროპაგანდა უნდა ეწარმოებინათ გლეხებში.

პირველ პერიოდში ქართველი ხალხოსნები ხშირ თათბირებს მართავენ, ერთმანეთთან მიწერ-მოწერას აწარმოებენ და ბრძოლის საერთო გზების დასახვისათვის ენერგიას არ ზოგავენ. „ხალხოსნების მუშაობა იქით უნდა წარმართულიყო, რომ, როგორც ერთ-ერთმა ხალხოსანმა ნაკაშიძემ აჩვენა,

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7. საქმე 20, გვ. 20—21.

მოემზადებინათ ხალხი არსებული წყობილების დასამხობად და ახალი წყობილების დასამყარებლად, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სოციალისტურ და კომუნისტურ საწყისებზე“[1].

ხალხში წარმოებულ პროპაგანდის ერთ-ერთ სახეობად ხალხოსნებს მიაჩნდათ აკრძალული ლიტერატურის გავრცელება, მაგრამ რომ ეს უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, ამიტომ საჭირო იყო, რომ რუსეთიდან ან საზღვარგარეთიდან მიღებული ლიტერატურა ქართულად ეთარგმნათ და დაებეჭდათ. ამ მიზნით ხალხოსანთა გორის ჯგუფმა სოფელ ტყვიავში ჩამოაყალიბა რევოლუციონერთა წრე. წრემ ტყვიავში, ვასილ სამადაშვილის ბინაზე მოაწყო სტამბა, სადაც ქართული რევოლუციური ფურცლები და აკრძალული ბროშურები დაბეჭდეს.

ვასილ სამადაშვილი ცხოვრობდა სოფლის გარეუბანში, პატარა ლიახვის პირას. მან სტამბის ხელობა კარგად იცოდა, ანტონ ფურცელაძის დახმარებით, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს, შეისწავლა ასოთაწყობა, ბეჭდვა და აკინძვა. ტყვიავის სტამბაში უნდა დაებეჭდათ: „ოთხი ძმის ზღაპარი“, „ზღაპარი კაპეიკზე“, „შიმშილი სამარაში“ და სხვ.[2].

ჩანს, გორის ჯგუფს საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა ჰქონდა, რომელიც ტყვიავში, ვასილ სამადაშვილის ბინაზე ინახებოდა („ვპერიოდი“, „რაბოტნიკი“, „ზღაპარი კაპეიკზე“ და სხვ.) ბიბლიოთეკა მოწყობილი იყო რომან ფავლენიშვილის ბინაზეც („დეკაბრისტის ჩანაწერი“, „ერთი ფრანგი გლეხის ისტორია“, „ასოციაცია“, „მუშათა საკითხი“ და სხვ.)[3].

როგორც აღნიშნული იყო, ხალხოსნების წარმომადგენლები პერიოდულად იკრიბებოდნენ ხოლმე, ამ თათბირებზე

---

[1] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 7, საქმე 20, გვ. 217—221.
[2] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 76.
[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე, 21, გვ. 2.

აჯამებდნენ განვლილ მუშაობას და სახავდნენ მომავალი მუშაობის ღონისძიებებს.

ერთ-ერთი ასეთი თათბირი სოფელ ტყვიავში მოაწყეს რომან ფავლენიშვილის ბინაზე. ამ თათბირს ესწრებოდნენ: რომან ფავლენიშვილი, გაბაშვილი, ვასო დეკანოზიშვილი, ვასილ სამადაშვილი, დათიკო ფურცელაძე, მიხეილ ერისთავი, ვარლამ ერისთავი და სხვ. ამ სხდომაზე საბეჭდავი მანქანის საზღვარგარეთიდან გამოწერის საკითხი იდგა[1].

ხალხოსნების კონფერენცია ჩატარდა 1876 წლის 2 აგვისტოს სოფელ მერეთში.

კონფერენციას ესწრებოდნენ: რომან ფავლენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, კონსტანტინე ფურცელაძე, მიხეილ ყიფიანი და სხვ.

ამ კონფერენციაზე შემდეგი საკითხები გაარჩიეს: „1) ვინ რა თანხა შეიტანოს ურთიერთდამხმარე სალაროში, 2) საერთო ყრილობის მოწვევის შესახებ, 3) მოსკოვში გასაგზავნ რწმუნებულთა არჩევის შესახებ (ამ რწმუნებულებს ევალებოდათ მოსკოვში 2000 მანეთის სესხება საბეჭდავი მანქანის შესაძენად), 4) მოსკოვის წრის კუთვნილი 700 მანეთის გამოყენების შესახებ (ეს ფული რომან ფავლენიშვილს ჰქონდა ხელზე), 5) ვასილ სამადაშვილის თბილისში გაგზავნის შესახებ". დადგენილების ამ მუხლით სამადაშვილს ევალებოდა, რომ ის მისულიყო ჩერქეზიშვილთან, გაეგო იმ კაცის მისამართი, რომელთანაც ბათუმიდან წამოსაღები წიგნები ინახება და გარდა ამისა, სამადაშვილს უნდა მოეხერხებინა სინოდალურ კანტორაში, რომ იგი ტყვიავიდან ხაშურში გადაეყვანათ. სხდომის აზრით სამადაშვილი ხაშურში უნდა მოწყობილიყო პროპაგანდისტული მუშაობის გასაშლელად.

სამადაშვილს ევალებოდა თბილისელ ხალხოსნებისათვის გაეცნო ეს დადგენილება[2].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 20, გვ 310.

[2] იქვე, საქმე 21, გვ. 38, უფრო დაწვრილებით იხ. ხ. შველიძის ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში.

ამ დადგენილების განხორციელებას პრაქტიკულად შეუდგნენ, შეაგროვეს 500 მანეთამდე ფული.

ფულის შეგროვების მიზნით იდგმებოდა თვითმოქმედი საღამო-წარმოდგენები გორის მაზრის სოფლებში. ამ საღამო-წარმოდგენების გამართვაში მონაწილეობდნენ: ელენე, მარიამი, სოფიო, ვასილ და კონსტანტინე ყიფიანები, ალ. ქარსიძე, იოსებ თარხნიშვილი, ზაქარია ფალავანდიშვილი, კონსტანტინე ორჯონიკიძე და სხვ.

ქართველი ხალხოსნური ინტელიგენცია მარტო ასეთი კრებებით არ იზღუდებოდა, მათ ამ, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ იწყეს „ხალხში გასვლა“

„ჩვენი სამოქმედო ასპარეზი,—იგონებს შიო დავითაშვილი,—უმთავრესად სოფელი უნდა ყოფილიყო. ჩვენ უმთავრესად გლეხობაში უნდა გვემუშავნა და ჩვენი ძალღონეც სწორედ აქით იყო მიმართული. ყოველ ღონისძიებას ვხმარობდით, რომ პროპაგანდა გაგვეფართოებინა“[1].

საერთოდ, ხალხოსნები მცდარ გზას ადგნენ. „გლეხობა არ გაჰყვა მათ, ვინაიდან ისინი არც გლეხობას იცნობდნენ, როგორც საჭიროა, და არც ესმოდათ მათი“[2].

ამიტომაა, რომ ქართველი ხალხოსნები ნიადაგ ჩიოდნენ: „გლეხობა მეტისმეტად დატვირთული იყო მუშაობით, ჩვენთვის ყურის დასაგდებად მას არც ეცალაო“[3].

ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გორის ხალხოსანთა ჯგუფის დამაარსებელი სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „ხალხოსნური მოძრაობა, რუსული „ნაროდნიკობა“ თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი ჩვენ არ გვიკა-

---

[1] შ ი ო დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 42.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. გვ. 14.

[3] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 33.

რებდა, განსაკუთრებით გლეხობა... როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს ჩვენი სიტყვა"[1].

ამ დებულების დასამტკიცებლად სოფრომ მგალობლიშვილს ასეთი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს: „ერთხელ ჩემს სოფელში, რომლის მცხოვრებლებს ხუთი თითივით ვიცნობდი... შევყარე ყველანი, მიტინგი გავმართე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა, მიწის მუშისაა, რომ მეფემ გლეხი უმიწოთ გაანთავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიანო... რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალა-უფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს.

გლეხებმა ამაზე ასე მიპასუხეს:

— ეჰეი, ხელმწიფის ორგულობა, როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე ღვთისაგან დაყენებული კაცია... წმ. არა, ძმაო, ხელმწიფეს ვერ ვუღალატებთ... ეიბე, როგორ იქნება.

როდესაც ჩვენ ვუამბობდით „ოთხი ძმის ზღაპარს", „ცბიერი მექანიკის" შინაარსს, ან ვუამბობდით ბატონების უღიერობას, ეგრეთწოდებულ „პირველღამის ჩვეულებას"... დიამბეგის დროის შეწუხებაზე, დღევანდელ ბოქაულზე, მეფის სხვადასხვა მოხელეთაგან ხალხის შეწუხებაზე, ვუამბობდით, რომ მეფიდან დაწყობილი უკანასკნელ ჩაფრამდე, მუშა-გლეხის კისერზე სხედან, მაშინ ჩაფიქრდებოდნენ.

— მართალს ამბობენ, ხალხო, მართალს.

— მართალია, მართალია,... გაისმოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ, როცა საქმე მიდგებოდა ასრულებაზე, რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე, ხელებს ასავსავებდნენ"[2].

ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფი მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, გლეხის დაბეჩავებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, თვითმპყრობელობისა და მემამულეთა მოსპობის შედეგად, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართული ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას.

ხალხოსანთა გორის ჯგუფს განზრახვა ჰქონდა თბილის-

---

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 83.

[2] იქვე. გვ. 83—84.

ში, ვასო დეკანოზიშვილის ბინაზე გამოეცათ ჟურნალი „მიმოხილვა“. ჟურნალის მატერიალური სახსრებისა და პროგრამის საკითხებზე მოწვეული იქნა თათბირი ქალაქ გორში. ამ თათბირს თბილისიდან ესწრებოდნენ ანტონ ფურცელაძე და გიორგი უთურგაული. რედაქტორად დასახელებულ იქნა გიორგი უთურგაული[1].

სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემა არ მოხერხდა.

ხალხოსანთა საქმიანობა მალე ჟანდარმერიის ყურამდე აღწევს. ჟანდარმერიამ მიაღწია ხალხოსანთა შორის აგენტი გაეჩინა. ასეთ აგენტად გამოდგა გარეწარი იაგორ იოსელიანი, რომელიც ხალხოსანთა შორის დიდი ნდობით სარგებლობდა და მას „ჩვენ კაცს“ უძახდნენ. იაგორ იოსელიანი ხალხოსანთა ორგანიზაციებს შორის თავისებურ მეკავშირის როლს ასრულებდა. მას ერთი ორგანიზაციიდან მეორეში მიჰქონდა ხოლმე წერილები. თურმე ეს არამზადა ამ წერილების ასლს იღებდა და პოლიციის ორგანოებს აბარებდა. ამ გზით პოლიციამ საყოველთაო დაპატიმრება ჩაატარა 1876 წლის 6 ოქტომბერს. სატუსაღოებში გამოამწყვდიეს ხალხოსნური მოძრაობის საუკეთესო ძალები. პატიმართა რიცხვმა 1878 წლისათვის 80 კაცამდე მიაღწია.

ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფიდან დააპატიმრეს სოფრომ მგალობლიშვილი, ვასილ სამადაშვილი, ვანო ხიმშიაშვილი, გიგო ავალიშვილი, დათიკო ფურცელაძე, კოტე ყიფიანი და სხვ. მალე მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს ჯგუფის აქტიური წევრი ვასო დეკანოზიშვილიც. რუსეთში დააპატიმრეს რომან ფავლენიშვილი. ვასო დეკანოზიშვილმა და რომან ფავლენიშვილმა ვერ გაუძლეს ციხის შემხუთავ პირობებს, ტუბერკულოზით დაავადდნენ და გარდაიცვალნენ.

ვასო დეკანოზიშვილი გორში დაკრძალეს. მისი დასაფლავება ხალხმრავალ დემონსტრაციად გადაიქცა. მთელი ქალაქი დასტიროდა თავის საყვარელ შვილს. გლოვის ნიშნად დაიკეტა დუქნები და ბაზარი.

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. მოგონებანი, გვ. 104.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხალხოსნური მოძრაობა გორის რაიონში კვლავ გამოცოცხლდა. ალექსანდრე გარსევანიშვილის გადმოცემით ამხანად გორში მუშაობდა ორი წრე. წრეები სხვადასხვა მიმართულებისა იყო.

ერთი სამხედრო-კონსპირატიული ორგანიზაცია იყო. ამ ორგანიზაციას ფურცელაძე და მეტყევე მელენჩუკი მეთაურობდენ. მეორე წრეში — ე. წ. „სემინარისტების წრეში“ შედიოდნენ: ანტონ ფურცელაძე, კერესელიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გოლოევი, ვასო მელვინეთუხუცესი, მიშო ყიფიანი, ვასილ სამადაშვილი, შიო დავითაშვილი, ნიკო ლომოური, ილიკო მაჭავარიანი და სხვ.[1].

თუმცა 1876 წლის 6 ოქტომბერს ჟანდარმერიამ ტყვიავში სტამბა აღმოაჩინა და ვასილ სამადაშვილიც დააპატიმრა, მაგრამ სამადაშვილმა მოასწრო და საბეჭდავი მანქანა ტყვიავის ეკლესიაში გადამალა. ჟანდარმერიამ ეჭვი ვერ აიღო, რომ ეს „წმიდა ტაძარი“ რევოლუციური საქმისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული და ამიტომ ეკლესია არ გასინჯა.

ამით ისარგებლეს ხალხოსნებმა. მანქანა ხიდისთავში გადმოიტანეს და კალანდაძის სახლში დადგეს. ამ სტამბაში დაიწყეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების ბეჭდვა.

ამ ხანებში ორგანიზაციამ უფლისციხეში მოაწყო საიდუმლო კრება. კრების მსჯელობის საგანი იყო: მემამულეთა მიწების კონფისკაცია, გლეხთა კავშირების შექმნა, ამ კავშირების მომზადება გადამწყვეტი შეტევისათვის და სხვ.

მაგრამ ხალხოსნები, გარდა გამონაკლისისა, თანდათან ხელს იღებდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე და ცდილობდნენ თვით ამ მთავრობის არსებობის პირობებში ხალხის მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას.

80-იანი წლების ხალხოსნებმა შეცვალეს რა თავიანთი რევოლუციური ბრძოლის მეთოდები, დაადგნენ ხალხში „განათლების შეტანის გზას“. განათლების გზით უნდოდათ ხალხის—გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება.

1881 წელს ორენბურგიდან საქართველოში დაბრუნდნენ

---

[1] ალ. გარსევანიშვილის არქივი, გ. ი. ე. მ. ფონდი 535.

ეგნატე იოსელიანი და მიშო ყიფიანი. ყიფიანმა მოახერხა გორში ქართული ენის მასწავლებლად მოწყობა. ასე რომ, ახლა გორში იმყოფებოდნენ მიშო ყიფიანი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი და სხვ.

ესენი აქტიურ მუშაობას შეუდგნენ, მაგრამ უკვე შეცვლილი პროგრამით. „რაკი ხალხში გასვლით ვერა გავაწყეთ რა,—იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი,—ჩვენი მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შევცვალეთ, გადავწყვიტეთ, მასწავლებლებს გვემოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე, გვემართნა იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები. ამ მიზნით კიდევაც ქ. გორში დავაარსეთ მოყვარულთა წრე“[1].

სოფრომ მგალობლიშვილისა და მიშო ყიფიანის ინიციატივით გორში დაარსდა აგრეთვე „ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი საზოგადოება“.

გორის სცენის მოყვარეთა დასის აქტიური წევრები იყვნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, მისი მეუღლე ნინო მგალობლიშვილი, ქალაქის გამგეობის წევრი აღალო თუთაშვილი, სოფლის მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი, ნოქარი ლევან ჯულაბოვი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითაშვილი, მისი მეუღლე ქეთევან დავითაშვილი, მაშო კერესელიძე, მაშო ივანიშვილი, სოფო და ფეფო მაღალაშვილები, ვასო კარგავა (მოზდოკელი) და სხვ.

გორის წრეებს თანაუგრძნობდა ადგილობრივი გარნიზონის ზოგიერთი ოფიცერი (ლიუბიმოვი, ნეზლობინი და სხვ.)[2].

აღნიშნული წრეები აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს, ლექცია-მოხსენებებს, ექსკურსიებს, კოლექტიურ შეხვედრებს, საღამო-დისპუტებს და სხვ. შიო დავითაშვილისა და სოფრომ მგალობლიშვილის ბინები ხალხოსნების შესაკრებ პუნქტებად გადაიქცა. მათთან იყრიდნენ თავს გორის მაზრის

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ცოგონებანი, გვ. 84.

[2] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 75.

[3] იქვე, გვ. 76.

სოფლის მასწავლებლები, მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხებზე, იღებდნენ სახელმძღვანელო მითითებებს.

წრის წევრები ზრუნავდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე. ქართული ენა გორის სასულიერო სასწავლებლებიდან განდევნილი იყო. „წრემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ გორში მოვიდა პეტერბურგიდან, სასულიერო სასწავლებლების სარევიზიოდ, სინოდის სამოსწავლო კომიტეტის წევრი, ცნობილი პედაგოგი მიროპოლსკი“. წრემ მის წინაშე ქართული ენის სწავლების საკითხი დააყენა და მისი დახმარებით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა[1].

1883 წლის 4 მარტს ჟანდარმერიამ დააპატიმრა გორის ჯგუფის ხელმძღვანელები: მიშო ყიფიანი, შიო დავითაშვილი, ილიკო მაჭავარიანი, ხოლო სოფრომ მგალობლიშვილი ტიფით იყო ავად და პატიმრობას გადარჩა; მალე დააპატიმრეს ეგნატე იოსელიანიც. ეს იყო ქართველი ხალხოსნების დიდი მარცხი.

მიშო ყიფიანი გადაასახლეს სემიპალატინსკში, შიო დავითაშვილი მეტეხის ციხეში იჯდა წელიწადზე მეტხანს. ამიერიდან ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფმა თითქმის არსებობა შეწყვიტა. „ჩავედი თუ არა გორში, მაშინათვე შევამჩნიე,—ამბობს შიო დავითაშვილი,—ჩვენი ფართო წრისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება. ზოგი ამხანაგი სულ მოშორებოდა გორს. დანარჩენებს სრულიად გაეწყვიტათ კავშირი ერთმანეთთან. ყველას რაღაც შიში, ეჭვიანობა ემჩნეოდა. ყველა თითქოს სამუდამოდ განშორებოდა ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას“[2].

როგორც აღვნიშნეთ, სოფრომ მგალობლიშვილი 1883 წელს დაპატიმრებას გადაურჩა. იგი მაშინ ავად იყო. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ მასწავლებლად დარჩა გორში. მან აქ 1893 წლამდე იმუშავა. მთელი ამ ხნის განმავ-

---

[1] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 84—85.

[2] იქვე, გვ. 119.

ლობაში. ახლა უკვე ყოველგვარი „პოლიტიკის“ გარეშე კულტურულ მუშაობას მიჰყო მან ხელი და არაერთი საღამო-წარმოდგენა გამართა სოფლებში.

1887 წელს „ივერია“ წერდა: „თეატრის მოყვარულთ წარმოადგინეს ხიდისთავში რაფიელ ერისთავის კომედია „ადვოკატები“. წარმოდგენა ეზოში გაიმართა და ბევრი ხალხი დაესწრო. გლეხის როლს ასრულებდა სოფრომ მგალობლიშვილი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ისე რიგიანად ითამაშა, რომ მდაბიო ხალხს თვალწინ წარმოუდგა თავისი მოძმე მუზა-მუზელა—ტანჯული: ვაჭრებისაგან უსინდისო ადვოკატისაგან“[1].

წარმოდგენები ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო დანიშნულებისათვის. 1887 წელს სპეციალური საღამოები ჩაატარეს და შემოსული ფული წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლასა და გორის საქალებო პროგიმნაზიას გადასცეს.

ასეთი მოღვაწეობის შედეგად გორი იმ ხანებში გადაიქცა კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ცენტრად.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო რევოლუციური გზა. პირიქით ისინი ასეთი მუშაობით „მშრომელთა ყურადღებას აშორებდნენ მჩაგვრელთა კლასთან ბრძოლას... აფერხებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას“[2]. „ნაროდნიკების ნაშთები, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, დაჟინებით უწევდნენ წინააღმდეგობას მარქსიზმის გავრცელებას რუსეთში, ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის ორგანიზაციას“[3].

ამიტომ ხალხოსნების იდეური განადგურება წინასწარი პირობა იყო მარქსიზმის გამარჯვებისათვის. ამიტომ იყო, რომ ლენინი და სტალინი ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მათთან ბრძოლას.

---

[1] „ივერია“, 1887 წ., № 145.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. გვ. 15—16.

[3] იქვე, გვ. 16.

თავი VII

გორის საზოგადოებრივი ორგანიზაციები

1. გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება

XIX საუკუნის 80-იან წლებში გორში ყალიბდება სხვადასხვა „კოლექტიური“ ანუ „კოოპერაციული“ ორგანიზაციები.

1882 წლის თებერვალში ქართველი ხალხოსნების გორის ჯგუფის ინიციატივით ქალაქ გორში დაარსდა „გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება“. ამ საზოგადოების მიზანდასახულობას საზოგადოების დამაარსებლები ასე განმარტავდნენ: „დანიშნულება ამისთანა საზოგადოებისა ის არის, რომ გაუადვილოს ხალხს ცხოვრება, გაუადვილოს ყოველივე ხორაგეულის, საჭირო ნივთების მოპოვება, გამოიხსნას იმ ტვინისა და სისხლის წოვისაგან, რომლებსაც ასე დაუნდობლად, შეუბრალებლად და სიამოვნებით სწუწნიან ათასნაირის დამღის ვაჭრები“[1].

1882 წლის 21 თებერვალს ქ. გორში მოწვეულ იქნა „გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოების“ ყრილობა. ყრილობამ აირჩია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები:

[1] „დროება“, 1882 წ., № 45.

I. მმართველობის წევრები.
II. რჩევის წევრები.

მმართველობის წევრებად აირჩიეს: ა. თუთაშვილი, გ. ჯაფარიძე და ს. მგალობლიშვილი.

კანდიდატებად არჩეულ იქნენ: გ. ლოლაძე, პ. ბურჯანაძე და ვ. პიასეცკი.

საზოგადოების რჩევის წევრებად ყრილობამ აირჩია: აპ. ბუტენკო, თ. ნ. დიასამიძე, თ. რ. ერისთავი, დ. სემენოვი, გალუსტ სტეფანოვი და თ. ა. ჯავახიშვილი.

ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა საზოგადოების წესდების შედგენა. კომისიის წევრები იყვნენ: მიშო ყიფიანი, შ. შიუკაშვილი, ს. მგალობლიშვილი, შ. კერესელიძე და ლ. გრიგოლაშვილი.

აქ ჩამოთვლილი პირები ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ. ასეთი საზოგადოების შედგენა მათი სამოქმედო პროგრამიდან გამოდიოდა. ხალხოსნები ხედავდნენ, თუ როგორ იტანჯებოდნენ გლეხები ჩარჩ-ვაჭრებისაგან. მათ ეგონათ, რომ ასეთი საზოგადოებების შექმნით იხსნიდნენ გლეხობას, მაგრამ ისინი სასტიკად სცდებოდნენ. ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ჩარჩ-ვაჭრების მოსპობა უნდა მომხდარიყო იმ საზოგადოების მოსპობით, რომელიც ამ ჩარჩ-ვაჭრებს წარმოშობდა. ამიტომ ასეთი საზოგადოება თავიდანვე განწირული ჩანდა.

2. გორის „ურთიერთნდობის საზოგადოება“

1907 წელს დაარსდა „გორის ურთიერთნდობის საზოგადოება“. ეს საზოგადოება კომერციული ხასიათისა იყო. საზოგადოების ყველა წევრს „რა წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს, ამ წესდების თანახმად, ჰქონდეს ღონისძიება თავისი შეძენილი ფული სარგებლით შეინახოს ამ საზოგადოებაში და აგრეთვე ისესხოს ხოლმე თვისის სავაჭრო, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საჭირო თანხა“[1].

[1] წესდება, გვ. 4.

საზოგადოების წესდებით (მუხ. 8) საზოგადოების წევრად გახდომა შეეძლო როგორც ინდივიდს, ისე ორგანიზაციას. საზოგადოების წევრს ეკრძალებოდა სხვა მსგავსი საზოგადოების წევრად გახდომა.

წესდების მეცხრე მუხლით „საზოგადოების წევრად მიღება შესაძლოა: 1) თუ წევრობის მსურველი მისცემს საზოგადოებას გირაოდ უძრავ ქონებას, რომელიც ქალაქ გორშია და იმის მაზრაში; 2) თუ წარუდგენს საზოგადოებას გირაოდ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებს, პაებს, აქციებს, ობლიგაციებს და გირავნობის ფურცლებს; 3) თუ წარუდგენს თავდებად ერთსა ანუ რამდენსამე იმისთანა კაცს, რომელიც მიმღებ კომიტეტს ყოვლად კეთილ საიმედო კაცად მიაჩნია და 4) თუ მიმღებმა კომიტეტმა იცის, რომ თვით მთხოვნელიც კეთილსაიმედო კაცია“.

დანაგროვ ფულს საზოგადოება სესხად აძლევდა თავის წევრებს ექვსი თვის ვადით (§ 17), ამავე დროს ვალის ამღებს საზოგადოებისათვის უნდა დაეგირავებინა ან უძრავი ქონება, ან ფასიანი ქაღალდები.

საზოგადოების საქმეებს განაგებდა: საზოგადოების საერთო კრება, საბჭო, გამგეობა და მიმღები კომიტეტი. საერთო კრებას იწვევდნენ წელიწადში ერთხელ; თუ ამას საჭიროება მოითხოვდა შეიძლებოდა საგანგებო კრების მოწვევაც. კრება კანონიერი იყო, თუ კი კრებას წევრთა ერთი მესამედი მაინც დაესწრებოდა. თითოეულ წევრს ერთი ხმა ჰქონდა, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევაც, რომ რომელიმე წევრი თავის ამხანაგს დაავალებდა მის მაგიერაც მიეცა ხმა. ასეთ კაცს უფლება ჰქონდა სხვისი ხმა გამოეყენებინა, მაგრამ არა უმეტეს სამი ხმისა. საზოგადოების კრება ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოს, ამტკიცებდა ხარჯთაღრიცხვას და სხვ. (§ 39).

საზოგადოების საერთო კრება ირჩევდა 6 წევრისაგან შემდგარ საბჭოს. საბჭოს დეპუტატებს (წევრებს) კრება ირჩევდა სამი წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეს თვით დეპუტატები ნიშნავდნენ.

საბჭო კონტროლს უწევდა საზოგადოების საქმის მსვლელობას, საბჭოს წევრები ჯამაგირს არ იღებდნენ.

საზოგადოებას თავისი გამგეობაც ჰყავდა. გამგეობა ირჩეოდა საზოგადოების კრებაზე სამი წლის ვადით. გამგეობა სამი წევრისაგან შედგებოდა და საზოგადოების საქმეებს აწარმოებდა, მის ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. მათ ხელფასი ენიშნებოდათ საზოგადოების კრების მიერ.

საბჭო ირჩევდა მიმღებ კომიტეტს 10 წევრისაგან. მიმღები კომიტეტის ფუნქციას შეადგენდა საზოგადოების წევრთა მიღება.

საზოგადოებას ჰყავდა სამი კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია. მოგებული ფული, გაწეული ხარჯების დაფარვის შემდეგ ნაწილდებოდა საზოგადოების წევრებზე.

საზოგადოების წესდება შედგებოდა ცხრა თავისა და ოთხმოცდა ოთხი პარაგრაფისაგან და საზოგადოების უფლება-მოვალეობას დაწვრილებით განსაზღვრავდა.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა საზოგადოებამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა გორის მაზრაში. 1914 წლის ნოემბრისათვის გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბალანსის აქტივი 209 266 მანეთსა და 24 კაპიკს შეადგენდა.

3. ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“

1913 წელს დაარსდა გორის ქართველ ქალთა საზოგადოება — „მანდილოსანი“. საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ: ანა ალექსანდრეს ასული ამილახვარისა, ანასტასია გიორგის ასული ერისთავი-ხოშტარია, ოლღა გიორგის ასული გოგლიჩიძისა, თინათინ რევაზის ასული ჯავროვისა, ანა ბესარიონის ასული მაისურაძისა, მარიამ კონსტანტინეს ასული ელიოზაშვილისა, ქეთევან გიორგის ასული ჯავახიშვილი, ანასტასია ვასილის ასული კაპანაძისა, იულია რაჟდენის ასული კვალიაშვილისა, ანა ალექსანდრეს ასული ქარუმიძე, მარიამ გიორგის ასული კეზელი, ბარბარე ივანეს ასული ამილახვარი და სხვ.

საზოგადოება „მანდილოსანმა“ ორგანიზაციის ამოცანები ჩამოაყალიბა თავისი წესდების 1—4 პარაგრაფებში:

§ 1

„„მანდილოსნის“ მიზანია დაეხმაროს გაჭირვებულ ქალთა, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერად.

§ 2

„მანდილოსნის მოქმედება“: 1) მოაწყოს სათანადო ნებართვისამებრ განმანათლებელი ხასიათის დაწესებულებანი: სკოლები, საბავშვო ბაღები, კურსები, წიგნთ-საცავები, სამკითხველოები, წიგნების გამოცემა და სხვ... ა) გამართოს მოქმედ კანონების დადგენილ წესისამებრ ლექციები, რეფერატები და საზოგადო კითხვები, გ) შეძლებისდაგვარად აძლიოს ფულით შემწეობა, დ) გახსნას სხვადასხვა სახელოსნოები და ე) დააფუძნოს განსაკუთრებულ ნებართვის აღებით არტელები, საურთიერთო დამხმარე კასები, თავშესაფარები, საავადმყოფოები და სხვა.

§ 3

დასახულ მიზნის მისაღწევად სათანადო ნებართვის აღებით „მანდილოსანი“ ხსნის: ა) მაღაზიებს, ფერმებს, საკანდიტროებს, ყავახანებს, სასტუმროებს, სხვადასხვა სანოვაგის საწყობებს და სხვა. ბ) მართავს: წარმოდგენებს, კონცერტებს, საღამოებს, ბაზრობას და სეირნობას, გ) მისდევს მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ფრინველთა მოშენებას, მებოსტნეობას და საზოგადოდ ყოველგვარ მეურნეობას და დ) იძენს უძრავსა და მოძრავ ქონებას, ჰყიდის და იჯარით აძლევს მათ.

§ 4

„მანდილოსანი“ მოქმედებას იწყებს ჯერ ქალაქ გორში და შემდეგ სათანადო ნებართვის აღებით შეუძლიან განყოფილებანი გახსნას გორის მაზრაში, სადაც საჭირო აღმოჩნდება“.

როგორც ვხედავთ, ამ საზოგადოებას არ სურდა რაიმე რადიკალური ცვლილებანი შეეტანა საზოგადოებრივ წყობილებაში. იგი ლეგალური თავისებური საქველმოქმედო დაწესებულება იყო.

„მანდილოსანმა“ გახსნა „საჩაიე“, აწყობდა „ალიგრიებს“, ლიტერატურულ საღამოებსა და სხვ.

4. საზოგადო საკრებულო

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გორში არსებობდა ეგრეთწოდებული „საზოგადო საკრებულო“. ეს საზოგადო საკრებულო ჩამოყალიბდა ე. წ. გორის „კრუჟოკის“ ბაზაზე, ამიტომ ხშირად მას, ძველებურად, „კრუჟოკსაც“ უწოდებდნენ.

ეს საზოგადო საკრებულო განთქმული იყო წევრთა სიმრავლით, წიგნთსაცავით, საღამოების მოწყობით და სხვ.

ამ საზოგადოების სტრუქტურისა და მიზანდასახულობის შესახებ საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს საკრებულოს წესდება, რომელიც 1887 წლის 24 ივლისს არის შედგენილი („კრუჟოკის“ წესდება დამტკიცებული იყო 1872 წელს).

წესდების პირველ პარაგრაფში ნათქვამი იყო: „გორის საზოგადო საკრებულოს მიზანია თავის წევრებსა და მათ ოჯახებს შეუქმნას შესაძლებლობა თავისუფალი დრო გამოიყენონ სარგებლიანად, მხიარულად, სასიამოვნოდ“.

საკრებულოს მიერ ამ მიზნის შესრულების უზრუნველსაყოფად, იმავე წესდების მეორე მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ საკრებულო ჩაატარებს თავისი წევრებისა და სტუმრებისათვის ბალ-მასკარადებს, მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს, საღამო-წარმოდგენებს, გამოიწერს ჟურნალებს, გაზეთებს და სხვა პერიოდულ გამოცემებს. მეტიც, წესდების ამავე მუხლით საკრებულო აღუთქვამდა თავის წევრებს, რომ იგი ლექციების წასაკითხავად მოიწვევს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

საზოგადო საკრებულო შედგებოდა ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან. საკრებულოს წევრად ყველას არ იღებდნენ. კერძოდ, წევრად არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ: ქალები, მოზარდები, მოწაფეები, დაბალი ჩინის სამხედრო ოფიცრები და იუნკრები, სასამართლოს მიერ უფლება აყრილნი.

საკრებულოს ნამდვილ წევრად მიღება მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა. ნამდვილ წევრად მისაღებად საჭირო იყო საკრებულოს ორი წევრის რეკომენდაცია. მიღება კენჭისყრით წარმოებდა.

რეკომენდატორები პასუხისმგებელნი იყვნენ იმ პირის მოქმედებაზე, რომელსაც რეკომენდაციას უწევდნენ (§ 11).

რეკომენდაციის ადონაწერი 14 დღით ადრე ქვეყნდებოდა სათანადო განცხადებებში (§ 12).

კანდიდატთა კენჭის ყრა ხდებოდა საბჭოს მიერ დანიშნულ დღეს. კრებას წევრთა მთელი შემადგენლობა უნდა დასწრებოდა. იმ დღეს, როცა წევრად მიღება ხდებოდა, კანდიდატებს კრებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ.

საპატიო წევრად არჩევისათვის საკმარისი იყო წევრთა ორი მესამედის დასწრება.

თითოეული წევრი შესასვლელს იხდიდა 12 მანეთის რაოდენობით. საპატიო წევრები შესასვლელი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ.

საკრებულოს წევრთა ოჯახები ბალ-მასკარადებზე, საღამო-წარმოდგენებზე, მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებზე და სხვ. უფასოდ შედიოდნენ.

საზოგადო საკრებულოს საქმეებს განაგებდა უხუცესთა საბჭო. უხუცესთა საბჭო შედგებოდა 7 კაცისაგან, რომელიც ირჩეოდა წევრთა საერთო კრებაზე ორი წლის ვადით.

საბჭოს ყოველ წევრს თანაბარი უფლება ჰქონდა და არავინ არ სარგებლობდა რაიმე უპირატესობით. საბჭო თავის წევრებიდან ირჩევდა თავმჯდომარეს და ხაზინადარს, დანარჩენები კი ინაწილებდნენ ფუნქციებს, აგრეთვე აწესებდნენ მორიგეობას. საბჭოს სხდომები როგორც წესი კვირაში ერთხელ იწვეოდა, მაგრამ თავმჯდომარეს შეეძლო რიგგარეშე სხდომაც დაენიშნა.

უხუცესთა საბჭო საზღვრავდა ბალ-მასკარადების, ლიტერატურული დისპუტების, საღამო-წარმოდგენებისა და სხვა ხასიათის თამაშობათა დღეს.

საზოგადოების დანახარჯის ანგარიშს საბჭო წარუდგენს კრებას და საერთო კრება ამტკიცებს მას.

ეს საზოგადოება მთავრობის უმკაცრესი ცენზურის ქვეშ არსებობდა და წარმოდგენის დადგმაზეც კი ოფიციალური ნებართვა იყო საჭირო.

5. ქალაქის მმართველობა

ყოველ ქალაქს თავისი მმართველობის აპარატი გააჩნდა, თავისი მოხელეები ჰყავდა. ამ მხრივ არც გორი წარმოადგენდა გამონაკლისს. გორის მთავარ მოხელეთა ჯგუფში შედიოდნენ: მოურავი, მელიქი, მამასახლისი და ნაცვალი. აქ ჩამოთვლილ მოხელეთა უფლება-მოვალეობის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალები გაგვაჩნია. რადგან მათი უფლება-მოვალეობის გარკვევა საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, ამიტომ ამ მოხელეების შესახებ ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით.

1. მ ო უ რ ა ვ ი — დიდი ხელისუფალი იყო. მას „ქალაქის მოვლა და ბეჯითად გარჯა“ ევალებოდა[1].

მოურავი ქალაქის უმაღლესი ხელისუფალი იყო. იგი მეფის ბრძანებით ინიშნებოდა. საქალაქო საქმეებს მოურავი განაგებდა. თვითეული ქალაქის მოურავს თავისი სარგოს წიგნი ჰქონდა, სადაც ჩამოთვლილი იყო მისი უფლება-მოვალეობა. ამ წიგნის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში“. ამავე სარგოს წიგნებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მოურავი ვალდებული იყო „თავაზასა და ხათრს გარეშე“ ჰეშმარიტი სამართალი ეწარმოებინა.

ამ ზოგადი დებულებიდან გამომდინარეობდა მოურავის უფრო კონკრეტული მოვალეობანიც. მოურავის სარგოს წიგნის მე-9 მუხლში ეწერა: „მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს“[2].

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ქალაქის ბატონ-პატრონი მოურავი ყოფილა და უცხოელი ფეხს ვერ შედგამდა ქალაქში მოურავის კითხვის გარეშე.

გორის მოურავის უფლება-მოვალეობის შესახებ ძვირ-

---

[1] საქ. სიძველენი, III, გვ. 12.

[2] იქვე, II, გვ. 524.

ფას ცნობას გვაძლევს ოთარ ამილახვრის ერთი წერილი. იქ სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:

„გ. მჭონდა გორის მოურაობა, გორში სამეფო ნაზვრევი არის, ნაბაღვარი და ურწყავები; აქედან რაც შემოსავალი იქნებოდა ათის თავი ჩემი იყო და აქედან მჭონდა სარგებლობა.

— გორის მალიდამ მჭონდა რაც შემოვიდოდა სამეფოთა იმის ათის თავი (ამაში მჭონდა სარგებლობა).

ი—გორის დამოჟნა ესე იგი იჯარა სამეფო, აქედან მჭონდა განწესებული ზოგიდამ ათისთავი, ზოგიდამ ოცისა და თხუთმეტისა, რომ წელიწადში ჩემი სარგებლობა იყო თხუთმეტს თუმნამდინ.

ია—რაც გორში ჯარიმა ადგებოდა მეფეს საქმე არა ჰქონდა, ის ჯარიმა ჩემი იყო და ამაში მჭონდა სარგებლობა.

იბ—იმერეთიდამ საპალნით ღვინო რომ შემოვიდოდა და ან სხვაგნიდამ ურმითა, ურემზედ ორი თუნგი ღვინო ჩემთვის აიღებოდა და აგრეთვე საპალნეზედ ნახევარი თუნგი, ამაში მჭონდა სარგებლობა.

იგ—ხმელი თევზი რომ შემოვიდოდა ურემზედ სამ წყვილი თევზი ჩემი იყო და ახალი თევზი სასაპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მჭონდა სარგებლობა.

იდ—ზეთისხილი, ჭანჭური, ნიგოზი, ვაშლი, წაბლი და ხურმა, ამებისა რაც შემოვიდოდა საპალნეზედ და ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მჭონდა სარგებლობა.

იე—გორში მოსახლე კაცზედ კომლზედ ექვსი შაური სამოურაო დებულება ჩემი იყო და ამაში მჭონდა სარგებლობა.

ივ—გორში მოსახლეთ კომლზედ წელიწადში ორი ძღვენი დებულება აძევსთ, თითო ძღვენი ხუთ მინალთუნად ეღირებოდა. ამაში მჭონდა სარგებლობა.

იზ—ახალ წელიწადს კომლზედ თითო შაჰარი აძევსთ, რომ მომიტანდნენ და ზოგნი ბატკანს მომგვრიდნენ. ამაში ეჭონდა სარგებლობა.

იც—გორში რამდენიც მესამთლის დუქანი არის, დუქანზედ ნახევარი ლიტრა ჭონის სამთელი ჩემი იყო; ამაში მჭონდა სარგებლობა.

ით—ახალი წელიწადი რომ დადგებოდა და იჯარა გამოიცვლება, პირველის დღიდამ ათი დღე ჩემი არის; სულ საბაჟო შემოვა, იმისი ბაჟი ჩემია, ამაში მჭონდა სარგებლობა.

კ—გორელნი თუ სხვანი ვაჭარნი, როდესაც სხვა ქვეყნიდამ მოვიდოდნენ, ჩემს საფერს ფეშჭაშს მომართმევდნენ და ამაში მჭონდა სარგებლობა.

კა—რაც გორში მამული გაისყიდებოდა, ან იყიდდა ვინმე, ან გაიცემოდა, იმისი სიგელი ჩემგანაც უნდა დაბეჭდილიყო და ამაში მჭონდა სარგებლობა.

კბ—გორელი ქალს რომ გაათხოებდა, საჩექმე დებულება ერთი ოქრო ჩემი იყო; ამაში მჭონდა სარგებლობა.

კგ—ქალაქის ჩელიექის იჯარიდამ განწესებული მჭონდა წელიწადში სამ თუმანნახევარი, ამაში სარგებლობა მჭონდა. ამაების შემოსავალში წელიწადში შემოსავალი მჭონდა ხუთას თუმნამდის, ხან მეტი და ხან ნაკლები"[1].

სანამ სხვა მასალებს დავიმოწმებდეთ ჯერ ამ საბუთს გავუკეთოთ ანალიზი.

ამ საბუთს სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს (მაგ., რა პროდუქტები შეჰქონდათ გორში და სხვ.), მაგრამ ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს საბუთის ის მხარე, რომელიც მოურავის უფლება-მოვალეობას შეეხება.

ამ საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ გორის მოურავს თითქმის ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი, რაც კი საქალაქო ცხოვრებას ეხებოდა, სახელდობრ, იგი სამეფო სახლის იმ ქონების მეურვე და ზედამხედველიც იყო, რომელიც გორში მდებარეობდა (§ 3). მოურავის კითხული იყო სახელმწიფო გადასახადის ე. წ. მალის ორგანიზაცია (§ 8). იგი განაგებდა სამეფო ბაჟის, იჯარის საქმეს (§ 10). მოურავის ხელისა იყო სხვა ქვეყნებიდან თუ ქართლის სოფლებიდან მოსულ ვაჭრების სავაჭრო განწესება (§§ 12, 13, 14, 19, 20).

მოურავი აწესრიგებდა სამოქალაქო ურთიერთობას (§§ 15, 16, 17, 18, 21, 22).

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 9004.

სხვა მრავალი საბუთიც გაგვაჩნია გორის მოურავის უფლება-მოვალეობის გასათვალისწინებლად.

მაგ., გორელ მცხოვრებთა გაყრა გორის მოურავის კითხული იყო, მასვე ეკითხებოდა მამულის ყიდვა-გაყიდვა. მისი მონაწილეობის გარეშე ყიდვა-გაყიდვის საბუთს ძალა არ ჰქონდა.

როსტომ ქართლის მეფის მიერ 1656 წელს გაცემულ ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „...ესე ამიერით უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... ამილახორს ანდუყაფარს, ძმასა თქვენსა გივსა და დემეტრეს და შვილთა და მომავალთა სახლსა თქვენისა ყოველთავე... გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა, გორისა და სამართალი მათი არა იკითხოდეს უთქვენოდ, ვერც ვის გაჰყრიდეს თქვენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერც ვის შეჰყროდეს, ვერც ვის მისცემდეს და ვერც ვის გამოართმევდეს. არც ჰქონდეს მამასახლისს ქალის გათხოვების საჩეჩმოსთან კელი და არც თევზის ბაჟთან. სათქვენოდ იყოს, როგორც ძველს სიგელში გეწერის ჯურუმიცა და ყოვლის იქაურის მოსავლის ათისთავის სათაო და რაც სამვრაო წესი იყოს, უკლებლად გვიბოძებია“[1].

ამ საბუთიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქალაქ გორის მთავარი პოხელე მოურავი იყო და მამასახლისი მას ემორჩილებოდა; ამდენად მამასახლისი მოურავის მითითებით მოქმედებდა და უიმისოდ ვერაფერს ვერ გადაწყვეტდა.

რადგან ყოველი ქალაქი თავისებური სავაჭრო-საბაზრო ცენტრი იყო, ამიტომ აქ არსებობდა საბაჟო. ეს საბაჟო გორშიაც იყო. ვაჭარ-მოქარავენი ქალაქში ვაჭრობის უფლების მოსაპოვებლად გარკვეულ ბაჟს იხდიდნენ. ეს ბაჟი განსაზღვრული იყო. გორის ბაჟის შესახებ დასტურლამალში წერია: „გორის ბაჟი არის: თავრეზის საპალნე, რომ მოიტანონ მძიმე ფარჩა და მსუბუქი გაუხსნელად, თუ იმაზე გამოერთმევის საპალნეზედ მინალთუნი სამი, ურდუვარის საპალნეზედ

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 4248.

მინალთუნი ორი, ენდროზედ აბაზი, მარილის საპალნეზედ ორი ბისტი, ბრინჯზედ ხუთი შაური, თევზზედ, ხიზილალაზედ, ქონზედ, ერბოზედ, მატყლზედ, ღაზლზედ და თითო აბაზი გამოერთმევის"[1].

რადგან გორი დიდ საქარავნო გზაჯვარედინზე მდებარეობდა აქ ვაჭრობა საკმაოდ გაშლილი იყო, რაც საბაჟო შემოსავალს ზრდიდა. ბაჟი სამეფო ხაზინაში მიდიოდა „ათის თავის" გამოკლებით. „ათის თავი" მოურავისა იყო.

ერთი სიტყვით, მტკიცედ იყო დადგენილი, რომ „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს და მოურავის ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა ცდილობდეს ყოვლის თავის გარჯით და თავდადებით"[2].

მოტანილი საბუთებიდან ჩანს, რომ მოურავის ხელში იყო ქალაქის მართვის თითქმის ყველა სფერო. მას ეძლეოდა ჯამაგირი. გორის მამულების „ათისთავი" მოურავისა იყო. „...როგორც ძველ სიგელში გეწეროს, — წერდა როსტომ მეფე ანდუყაფარ ამილახვარს, — ყოვლის თქვენის იქაურის მოსავლის ათისთავის სათაო — უკლებლივ გუიბოძებიაო"[3].

მოურავის სასარგებლოდ აიღებოდა ექვსი შაური თვითეულ კაცზე, თვითეულ კომლიდან იღებდა ძღვენს წელიწადში ორჯერ, საახალწლოდ „თითო კომლზე თითო შაქარი აძევსთ, რომ მომიტანდნენ, და ზოგი ბატკანს მომგვრიდნენ"— ნათქვამია ერთ-ერთ საბუთში[4]. ოჯახის გაყრისათვის მოურავი იღებდა გასამყრელოს, რაც XVII საუკუნის პირველ ნახევარში 5 მინალთუნს უდრიდა, შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა[5].

ჯარიმის მთელი შემოსავალი მოურავს ეძლეოდა. სხვადასხვა დანაშაულზე ჯარიმა სხვადასხვა სიდიდისა იყო. მაგ... ჯარიმა თავის გატეხვისათვის 5 მინალთუნს უდრიდა[6].

---

[1] დასტურლამალი, გვ. 20.
[2] საქ. სიძველენი, III. გვ. 528.
[3] საქ. მუზეუმი, IId, 4248.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 9004.
[5] მ. ქ ი ქ ო ძ ე. საამილახვროს ისტორიიდან, გვ. 70.
[6] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, საბ. 758.

გორის ბაჟიდან, როგორც აღნიშნული იყო, ამილახვარს ათისთავი მიჰქონდა, ხოლო ახალ წლის პირველი ათი დღის მთელი საბაჟო შემოსავალი მოურავს რჩებოდა. ერთი სიტყვით ისე არაფერი გაიყიდებოდა და შეისყიდებოდა, რომ გორის მოურავს თავისი წილი არ აეღო. როგორც თვით გორის მოურავი ოთარ ამილახვარი წერს, გორის სამოურაოდან მისი წლიური შემოსავალი ხუთას თუმნამდე დგებოდა[1].

საყურადღებოა, რომ მოურავი ცდილობდა თავისი შემოსავალი გაედიდებინა. ეს კი იწვევდა მოქალაქეების წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა ხშირად იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ მეფის ჩარევა გამხდარა საჭირო. ამ მხრივ ერთი საარქივო საბუთი იპყრობს ყურადღებას, რომელიც 1795 წლით თარიღდება და საქართველოს ცენტრარქივში ინახება (ფონდი 227, საბუთი 758). ამ საბუთში ნათქვამია: „მისი უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის ოქმი ჩვენ ამილახორის ოთარისათვის გამოეგზავნათ თქვენ ერთობით გორელებს. ის ოქმი ჩვენ ვნახეთ. თქვენ მის უმაღლესობისათვის არზა მიგერთმიათ, კურთხეულის ბიძის ჩვენის იასეს ამილახვარიშვილის დროსა, რაც ჩვენ ამილახვარს დებულება გვაძეს, იმას არ გვჯერდება, იმაზე მეტ უსამართლობას გვიშვრებაო. რაც დებულება გდებოდათ, ისიც სიით არზაში მოგეხსენებინათ, მის უმაღლესობას არზაზე ოქმი ებრძანა. ..ბატონო ამილახორო, რაც გორელებს ამ არზით ამილახვარის სარგო განწესება თითოეულად მოუხსენებიათ, ამას უნდა დასჯერდეო და თუ არ დასჯერდები მეფეთგან წერილი გექნება და ის მოგვიტანეთ. ჩვენ მის უმაღლესობის ოქმი რომ ვნახეთ, მის ბრძანებას დავმორჩილდით და რაც იმაში განწესება სწერია, იმას დავჯერდით“.

გორის სამოურაო XV საუკუნიდან ზედგინიძე-ამილახვრების ხელში იყო.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226. საბ. 9004.

6. მამასახლისი, მელიქი და ნაცვალი

მოურავის შემდეგ მამასახლისს პირველი ადგილი ეჭირა ქალაქის მართვა-გამგებლობაში. გორის მოურავის მიერ გაცემულ სამართლის დოკუმენტებში მამასახლისი მონაწილეობას იღებდა. ამიტომ სამოურაო სარგოში მამასახლისსაც წილი ჰქონდა. „ახალციხიდამ ზეთისხილი მოვიდეს, თუ ხილი არის საპალნეზედ ორი ოყა ჩვენი და მამასახლისისა არის“— ნათქვამია მოურავის ერთ-ერთ წერილში[1].

შეიძლება ითქვას, რომ გორის მამასახლისი უმცროსი თანამონაწილე იყო ყველა იმ საქმეებისა, რომელსაც გორის მოურავი აწარმოებდა. იგი მეფის მიერ ინიშნებოდა და მეფე ათავისუფლებდა. მოურავი მას ვერ მოხსნიდა.

საბუთებში ვხვდებით გორის მელიქსაც. არის შემთხვევები, როცა მელიქობა და მამასახლისობა ერთ კაცს აქვს ხელთ, მელიქის ფუნქციები ძირითადში ისეთივე იყო, როგორც მამასახლისისა. განსხვავება ის იყო, რომ მამასახლისი ქართულ მოსახლეობას უწევდა მომსახურეობას, ხოლო მელიქი — სომხურ მოსახლეობას. ამდენად მელიქიც მოურავის ხელქვეითი და მისი საქმეების მონაწილედ ჩანს. იყო შემთხვევები, როცა მელიქსაც და მამასახლისსაც საგანგებო დავალებები ეძლეოდათ მეფისაგან. ამ შემთხვევაში ისინი ანგარიშვალდებულნი არ იყვნენ მოურავის წინაშე და დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ამ მოსაზრებათა დასამტკიცებლად რამდენიმე საბუთს დავიმოწმებთ. 1. „...გორის მელიქს ფარსადანს ასე უამბეთ, მერმე ატენის ციხეში, რომ ოცდაათი კაცი დაგიყენებია და იმათი ცოლშვილი გორს სადმე გყავს დიაღ კარგად გიქნია; მაგრამ უცოლშვილო კაცს ციხეში ნუ დააყენებ, ვინც ციხეში დააყენო — ცოლშვილი გორს ყვანდეს“[2].

2. „მელიქო ავეტიქ, თოფჩიბაში ოცს თოფს მოგცემ:

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, 758.

[2] იქვე, ფ. 226, 8869.

სალდათისათვის, შენ უნდა გააწყობინო ჩახმახით და შტიკებით, რაც დაიხარჯოს თოფჩიბაშს ყაბაზი მოაწერინე"[1].

3. „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორის მელიქს ფარსადანსა. — ავლანის ჯარი გებოძებინა ორი უზბაში თავისი თაბუნებითა, თითოს ოროლი ცოლი, სამ-სამი ტყვე; სამ-სამი — ოთხ-ოთხი ცხენი და იაბუ ყავთ... დღეში ოთხას ორმოცდაათ ლიტრას ბზეს თხოულობენ, რასაც სახლის პატრონებისას ხარჯავენ იმას გარდა, ამდენი უნდებათ"[2].

მოტანილი ცნობებიდან ნათელია, რომ მელიქი საგანგებო დავალებებს ასრულებს, დავალებები სამხედრო ხასიათისაა; ჩანს მელიქს საამისო დავალებებიც ეძლევა.

მოხელეთა შორის ნაცვალიც მოიხსენება. ნაცვლის უფლება-მოვალეობის შესახებ შემდეგი საყურადღებო ცნობები გაგვაჩნია: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას; ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას"[3].

სხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს, და ადლს, ლიტრას და თუნგს უნდა სინჯავდეს"[4].

გორის მოხელეთა შორის მოიხსენებიან აგრეთვე მუშრიბნი, მებაჟენი და ქედხუდები. მუშრიბნი ტექნიკურ-საკანცელარიო საქმეებს აწესრიგებდნენ, მებაჟენი ბაჟს კრეფდნენ, ხოლო ქედხუდები სავაჭრო ნიხრებს უთვალთვალებდნენ. გორის მოხელეთა შორის ყურადღებას იპყრობს მინბაშის თანამდებობა.

გორის ციხეს მთელი შიდა ქართლის დაცვის მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ გონივრულობა მოითხოვდა, რომ ციხე მუდამ მზადყოფნის მდგომარეობაში ყოფილიყო. ყველა ამის

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 628.
[2] საქ. სიძველენი, III, გვ. 460.
[3] იქვე. გვ. 528.
[4] იქვე, გვ. 529.

გამო ციხეს თავისი უფროსი და მუდმივი დამცველი ამალა ყავდა. ძველად ციხის უფროსს ციხის თავი ეწოდებოდა, XVII — XVIII საუკუნეების საბუთებში კი ციხის თავის მაგიერ მინბაში გვხვდება. თუმცა მინბაში თურქული სიტყვაა და ათასის თავს ნიშნავს, მაგრამ მას ქართულის ნიადაგზე სხვა შინაარსი მიუღია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხისთავის აღმნიშვნელ თერმინად გადაქცეულა.

გორის ციხის მინბაშად მეფის მიერ ესა თუ ის ქართველი თავადი ინიშნებოდა. მას დიდი უფლებები ჰქონდა და სახელითა და პატივით სარგებლობდა. მინბაშის ყმა-მამული სამეფო საშსახურიდან თავისუფლდებოდა, მას მხოლოდ ციხის დაცვა ევალებოდა. ამის შესახებ ერეკლე მეორე 1786 წლის 14 იანვარს წერდა: „გორის მინბაშობა დიასამიძეს ივანეს, რომ მივეცით თავისი ყმანი გაუთარხნეთ, რომ ციხეში თავისი კაცი უნდა დაეყენებინა“[1].

1790 წლის 6 მარტს ერეკლე მეორემ მინბაშის უფლებამოვალეობა ასე განსაზღვრა: „ქ. ჩვენი ბრძანება არის დიასამიძე მინბაშო დიმიტრი! მერე გორის ციხის მინბაში შენა ხარ, იმისი ყოველი საქმე შენ გაძევს თავსა და შენ გეკითხება, კაცსაც შენ უნდა დააყენებდე და სხვას იმ ციხის საქმესაც შენ უნდა არიგებდე. ეს უფრო პირველი ქალაქი არის, მაგრამ ამის ციხესაც სხვა მინბაში ჰყავს მიჩენილი და ყოველი იმ ციხის საქმე იმის მინბაშს ეკითხების, სხვას საქმე არავისა აქვს და ეგრევე შენა ხარ გორის ციხის მინბაში და თუ გაგიჭირდებოდეს რამე ციხისთვინ, ან კაცის დაყენება, ან სხვა რამე, ამილახვარს შეატყობინებდე, გაარიგებინებდე და გამოართმევდე. დიდი ბეჯითი უნდა იყო იმ ციხის საქმეზე და მუდამ განუშორებლად იმ ციხეში უნდა იყო“[2].

საბუთებიდან ჩანს, რომ ციხის დაცვის ორგანიზაცია, მცველთა-განწესება და სხვა მინბაშის ხელისა იყო. ჩანს, ციხის დაცვის გარკვეული დებულება არსებობდა. დებულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე თვალყუ-

---

[1] საქ. მუზეუმი, Sd, 389.

[2] საქ. ცენტრ. არქივის საისტ. მოამბე. წ. 1, გვ. 20.

რის დევნება მინბაშს ევალებოდა. ციხეში შესვლის წესიც წინასწარ იყო შემუშავებული და ამ წესის შესრულება ყველასათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. ციხეში შესვლა და გამოსვლაც კი გარკვეულ რეგლამენტზე ყოფილა დამყარებული. დაგვიანების შემთხვევაში ციხეში შესვლა, მინბაშის ნებართვის გარეშე, ყველასათვის აკრძალული იყო. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ ერეკლე გორში მივიდა. მას გზაში შემოაღამდა და დაგვიანებით მიადგა ციხეს. ციხის მცველებმა დიდხანს აცდევინეს გვირგვინოსანს, სანამ მინბაში არ მოვიდაო[1].

მინბაში ციხისათვის საჭირო საგნებს ამილახვარის დახმარებით შოულობდა. ვინაიდან ციხე ქალაქის დაცვას ემსახურებოდა, მინბაშს ქალაქის შემოსავლიდან სათანადო სარგო ეძლეოდა. ციხის მცველები საჭმელ-სანოვაგეს მეფის ხაზინიდან იღებდნენ, ხოლო შეშას და სხვა ყოველდღიურ სახმარს კი გორელები და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი უზიდავდნენ.

7. მართვა-გამგეობა რუსეთთან შეერთების შემდეგ

მას შემდეგ, რაც საქართველოში ცარისტული ხელისუფლება დამყარდა, ქართული სახელმწიფო ინსტიტუტები თანდათან გაუქმდა და მმართველობის რუსული წესები იქნა შემოღებული. ეს ცვლილებები შეეხო გორსაც. 1801 წლის 6 ივნისს ჩამოყალიბდა ე. წ. ორი „პროვინციული კანცელარია“. ერთის ცენტრი იყო გორში, ხოლო მეორის—თელავში. პროვინციული კანცელარიის მოხელეთა შტატში შედიოდნენ: ვიცე-გუბერნატორი, სოვეტნიკი, ორი ასესორი, ხაზინადარი, მიწისმზომელი და შტაბს-ლეკარი. კანცელარია უშუალოდ გუბერნიის უფროსს ემორჩილებოდა. ყველა საქმეს, გარდა

[1] დ. ბაქრაძე, გორის ციხე. Кавказ. 1855, № 48—49.

სამოქალაქო და სისხლის სამართლისა, განაგებდა კანცელარია[1].

იმავე წელს თელავში, გორში, სიღნაღში, ლორეში და დუშეთში დაწესდა კომენდანტის ინსტიტუტი, რომელსაც საერობო სასამართლოს უფლებები გადაეცა[2].

1801 წლის 8 სექტემბერს გენერალმა ლაზარევმა, რომელმაც პირადად ინახულა გორი, ქალაქის კომენდანტს პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩს დაავალა ქალაქის მმართველობის მოწყობა. ლაზარევის აზრით ქალაქში უნდა შექმნილიყო ორი საგამგებლო. ეს საგამგებლოები თავის მხრივ დაიყოფოდნენ კვარტალებად. საგამგებლოების უფროსები დაექვემდებარებოდნენ მამასახლისებს. მამასახლისებს ევალებოდათ ქალაქში წესრიგისა და სისუფთავის დაცვა, მოქალაქეთა საქმიანი ურთიერთობის მოწესრიგება და ზომა-წონის სისწორის დაცვა. ქურდობის, ჩხუბისა და მისი მსგავსი ღანაშაულებანი უნდა გაერჩია მოურავს კომენდანტის ხელმძღვანელობით. აგრეთვე მოურავი ყოველდღიურ ცნობებს აწვდიდა კომენდანტს ბაზარზე ფასების მოძრაობის შესახებ. ჩანს, რომ ცარიზმის მოხელეებმა პირველ ხანებში ქალაქის ძველი მოხელეები გამოიყენეს, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შემდეგში თანდათან ადგილობრივი მმართველობის წესი შეცვლილი იქნა რუსი მოხელეებით.

1801 წლის 12 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გორის მაზრის დაარსების შესახებ. მაზრაში დაარსდა სამაზრო სასამართლო, რომლის უფროსად რუსი მოხელე დაინიშნა, ხოლო მსაჯულებად ორი ქართველი აზნაური. მართლმსაჯულება მიმდინარეობდა რუსული სამართლის საფუძველზე. მაზრაში ჩამოყალიბდა აგრეთვე საერობო პოლიციის სამმართველო. საერობო პოლიციის უფროსი იყო კაპიტან-ისპრავნიკი, მას ჰყავდა ორი იასაული ადგილობრივ აზნაურთაგან.

---

[1] Акты, Кавк. археографической комиссий, том 1, стр. 430.
[2] იქვე, გვ. 431.

გორში დაარსდა ხაზინადარის ინსტიტუტი, რომლის ძვთაურად ქართველი აზნაური დაინიშნა.

ამავე განჩინებით გორში დაარსდა კომენდანტის პოსტი. კომენდანტად რუსი მოხელე დაინიშნა, ხოლო მოადგილედ— ქართველი თავადი[1].

1801 წლის 10 ოქტომბერს ლაზარევმა კნორინგს უპატაკა, რომ მან გორი ორ ნაწილად გაყო, ხოლო თვითეული ნაწილი სამ კვარტალად. ქალაქის გარეუბანი ცალკე კვარტალს შეადგენდა. გამოიყო უბნების ბოქაულები. ბოქაულებს დაურიგდათ სამოქმედო განმარტებები. პოლიცმეისტრად გამოყოფილ იქნა გორის ყოფილი მამასახლისი ამირაღოვი. მოხელეებს ჯამაგირი ეძლეოდათ ქალაქის შემოსავლიდან[2].

1880 წელს გორში არსებობდა შემდეგი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი:

სამაზრო სამმართველო. სამაზრო სამმართველოს შტატი თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა: მაზრის უფროსი, მისი ორი თანაშემწე, ბოქაული ორი თანაშემწით, არქიტექტორი, მდივანი, ორი საქმისმწარმოებელი და არქივარიუსი[3].

სამომრიგებლო სასამართლო. სამომრიგებლო სასამართლო შედგებოდა მომრიგებელ-მოსამართლისა და მისი თანაშემწისაგან. როგორც მომრიგებელ-მოსამართლეს, ისე მის თანაშემწეს მთავრობა ნიშნავდა. მომრიგებელ მოსამართლეს შეეძლო იმ სადავო საკითხების გარჩევა, რომელიც 2 000 მანეთის ღირებულებას არ აღემატებოდა[4].

სამაზრო სახაზინადრო. სამაზრო სახაზინადრო შედგებოდა ხაზინადარის, ბუხჰალტერისა და მისი თანაშემწისაგან[5].

სატელეგრაფო სადგური. სატელეგრაფო სადგური შედგებოდა უფროსის და სამი სიგნალისტისაგან.

---

[1] Акты, канк. археографической комиссии. т. I. стр. 437—438.

[2] იქვე. გვ. 441.

[3] ალ. ჯავახიშვილი, გორი, გვ. 98.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 99.

საფოსტო კანტორა — პოჩტმაისტერის, მიმღებისა და ორი ფოსტალიონისაგან შედგებოდა.

გორში იყვნენ სააქციო მოხელენი: ზედამხედველის თანაშემწე, ორი მეთვალყურე, მეტყევე, მაზრის ექიმი, სამი ექთანი და სახელმწიფოებრივი ქონების სამმართველოს აგენტი[1].

გარდა სახელმწიფოებრივი დაწესებულებისა, გორში არსებობდა საზოგადოებრივი დაწესებულებებიც. 1876 წლის 18 ოქტომბერს გორში დაარსდა ქალაქის გამგეობა და საბჭო, ხოლო 1877 წელს „მეშჩანთა“ გამგეობა. „მეშჩანთა“ გამგეობას ხელმძღვანელობდა „მეშჩანთა“ უხუცესი და მისი მოადგილე. ქალაქის საბჭოში წევრად ითვლებოდა 30 ხმოსანი.

ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი დანიშნულება იყო ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამისათვის მათ ქალაქის შემოსავლიდან თანხებიც ეძლეოდათ, მაგრამ ქალაქის თავი და ხმოსნები უფრო მეტს ლაპარაკობდნენ და ქალაქის კეთილდღეობაზე კი არავინ ფიქრობდა.

---

[1] ალ. ჯავახიშვილი, გორი, გვ. 100.

თავი VIII

გორი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში

არ იყო არც ერთი საერთო საქვეყნო წამოწყება, სოციალური თუ რევოლუციური მოძრაობა, რომ გორს თავისი სიტყვა არ ეთქვა, ამ მოძრაობაში თავისი ადგილი არ დაეკავებინა, ამიტომ იყო, რომ ჩვეულებრივ ამბობდნენ ხოლმე გორი თბილისის შემდეგ პირველ ადგილზე არისო.

როგორც ცნობილია, „1901—1904 წლების პერიოდში მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდის საფუძველზე რუსეთში იზრდებიან და მტკიცდებიან მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები“[1]. ეს მოვლენა თავის გამოხატულებას პოვებს ამიერკავკასიასა და საქართველოში. „მესამე დასის“ უმცირესობა, რომელშიც ამხანაგი სტალინი, კეცხოველი და წულუკიძე შედიოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი გახდა. ამ საფუძველზე 1898—1900 წლების პერიოდში შეიქმნა და ჩამოყალიბდა თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. 1901 წ. დაარსდა თბილისის კომიტეტი.

---

[1] საკ. კ. პ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1946 წ., გვ. 66.

თბილისის კომიტეტის დაარსებით ახალი ხანა იწყება ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. თბილისის კომიტეტის დამაარსებელი იყო ამხანაგი სტალინი. ამიერიდან მოძრაობას უფრო ორგანიზებული ხასიათი ეძლევა, გავლენა ფართოვდება, მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა უფრო შინაარსიანი ხდება, ვიწრო წრეობრივი მუშაობა ფართო სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობით იცვლება, მზადდება პირობები მასიური გამოსვლებისათვის.

თბილისის კომიტეტის მიერ მომზადებული პროპაგანდისტები დადიან საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში და ეწევიან მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას, ავრცელებენ პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას. ერთ-ერთი ასეთი კუთხეთაგანია გორი და გორის მაზრა. თბილისის გუბერნატორისადმი გაგზავნილ ბარათში (1903 წლის პირველი აპრილი) გორის მაზრის უფროსი წერდა: „როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქ გორსა და გორის მაზრაში ძალიან ხშირად გამოჩნდება ხოლმე მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა ხასიათის პროკლამაციები; მაგრამ დღემდე შეუძლებელი ხდებოდა დადგენა იმისა, თუ სახელდობრ ვინ ავრცელებდა ამ პროკლამაციებს... ახლა კვალს მივაგენით, იგი უნდა იყოს თბილისელი მოქალაქე ულიანოვი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პოლიციის ზედამხედველობაში მყოფ ცაბაძესა და ჯიბლაძესთან“. მაზრის უფროსი განაგრძობს: „...გულდასმით დაზვერვის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სამ პირს კავშირი აქვს: 1) გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ ნადირაძესთან, 2) თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ მოსწავლე სიმონ ალიმბარაშვილთან, 3) მკერავ ნესტორ კერეჩაშვილთან, 4) აზნაურ ნიკოლოზ გვარამიძესთან, 5) გორში მყოფ მთვარელიძესთან“. ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ გორში უკვე არსებობს მთავრობის საწინააღმდეგო წრე და „ნადირაძე წრის ხელმძღვანელია, ხოლო სიმონ ალიმბარაშვილის სახლი მთავრობის მოწინააღმდეგე პირთა თავშესაფარია და საეჭვო პირები ცაბაძე და ჯიბლაძე ამ სახლში ცხოვრობენ, რომ მათთან ჩა-

პოდის ულიანოვი. მთავრობაში არსებული მასალით ნესტორ კერეჩაშვილი ჯერ კიდევ გასულ წელს იყო შემჩნეული გორში პროკლამაციების გავრცელებაში".

გვარამაძისა და მთვარელიძის შესახებ ნათქვამია, რომ ძათ გარკვეული საქმიანობა არა აქვთ, ერთავად დადიან თბილისსა და მიხაილოვოში (ხაშურში), თბილისისა და მიხაილოვოს რკინიგზის სახელოსნოების მუშებთან ნაცნობობა აქვთ, მათ ჩასვლას თბილისში ყოველთვის თან სდევს რაღაც უსიამოვნებაო. შემდეგ აღნიშნულია, რომ მასწავლებელი ნადირაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს წრეში. ცაბაძე და ჯიბლაძე მასთან მიდიან, ასევე კერეჩაშვილი და გვარამაძე როცა თბილისიდან ბრუნდებიან ნახულობენ ნადირაძეს. რაც შეეხება ალიმბარაშვილს, დასძენს მაზრის უფროსი, მისი სახლი არის შესაკრები პუნქტი მთავრობის საწინააღმდეგო ელემენტებისა. თავის მოხსენებით ბარათს მაზრის უფროსი იმით ამთავრებს, რომ გუბერნატორთან დაასმენს გვარამაძესა და მთვარელიძეს: „მოუხშირეს მიხაილოვოში სიარული, არსებული ცნობებით ირკვევა, რომ ისინი დაიარებიან მუშებთან, როგორც სახელოსნოებში, ისე სახლებში"[1].

ეს დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა. ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ქალაქი გორი რევოლუციური მოძრაობის მოწინავეთა რიგებში დგას. ამ საქმეშიც გორი ქართლის გულია. მეტიც, ირკვევა, რომ გორში უკვე არსებობს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფი, რომელიც გარკვეულ დავალებებს ასრულებს. გორელი რევოლუციონერები მთელს შიდა და ზემო ქართლში მოღვაწეობენ, ამხანაგ სტალინის დავალებებს ასრულებენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გორის მაზრის უფროსი 1903 წლის აპრილში აღარ მალავდა, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გორში გახშირდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები: ეს არ იყო შემთხვევითი. საქმე იმაშია, რომ 1901 წლის პირველ ნახევარში ქალაქ გორში უკვე არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წრე, სადაც შე-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 34. საქმე 407, ვვ. 3.

დიოდნენ: ს. ალიმბარაშვილი, ა. მთვარელიძე, ნ. კერეჩაშვილი, ვ. დათიკაშვილი და სხვ.[1]. სოციალ-დემოკრატიული წრეები არსებობს ქართლის დიდ სოფლებში, რკინიგზის კვანძებზე, მნიშვნელოვან საწარმოებში. მასიური აგიტაციისა და პროპაგანდის გვერდით ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, სტალინის უერთგულესი თანამებრძოლები მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროკლამაციებს და როცა შესაფერისი დრო დგებოდა, ისინი აღწევენ მოსახლეობის ფართო პოლიტიკური გაფიცვების მოწყობას. ასეთი გაფიცვები 1900 წლიდან თბილისში უკვე მასიურ ხასიათს იღებს. თბილისში მოწყობილი გაფიცვები თავის ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს პერიფერიაზე. 1902 წლის 5 თებერვალს გაფიცვა მოხდა ატენის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, 1902 წლის 18 აპრილს ქარელში ჩატარდა საპირველმაისო კრება[2]. ასეთივე მიტინგები, მანიფესტაციები, გამოსვლები ხდებოდა ქართლის სხვა სოფლებშიც. იმ მიზნით, რომ ასეთ მოძრაობას უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცემოდა და ეს მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, ამხანაგი სტალინის ინიციატივით გორში დაარსებული იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცენტრი. გამოიყო საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: გ. ელისაბედაშვილი, ს. ალიმბარაშვილი, ნ. კერეჩაშვილი და სხვ.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გავლენა გორსა და გორის მაზრაში კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება 1903 წელს.

1903 წლის 11 მაისს გორის მაზრის უფროსი მოახსენებს თბილისის გუბერნატორს, რომ ცაბაძე და ჯიბლაძე ცდილობენ ქალაქ გორის ქუჩებში მოახდინონ მუშებისა და მოსწავლეების შეერთებული მანიფესტაციები, რომ აქ არსებულ წრეებს ეხმარებიან თბილისიდან ჩამოსული პროპაგანდისტები[3].

---

[1] Я. Хуцишвили. Горийский уезд в период революции 1905—1907 гг., стр. 29.

[2] უფრო დაწვრილებით იხ. ი. ხუციშვილის დასახ. შრომა, გვ. 30—31.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 34, საქმე 407, გვ. 9.

ამ მანიფესტაციებისათვის მზადებას წინ უძღოდა 1903 წლის 18 აპრილს გორისას მთაზე მოწყობილი საპირველმაისო მიტინგი, რომელზედაც 50 კაცამდე შეიკრიბა. მიტინგზე ალმართული იქნა წითელი დროშა და წარმოითქვა სიტყვები, ამავე დღეს გაკრული იქნა პროკლამაციები[1].

1903 წლის 7 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე გორში ჩატარდა აშკარა პოლიტიკური დემონსტრაცია. რადგან გორის ციხე პატიმრებს ვეღარ იტევდა, პოლიციამ გადასწყვიტა ნაწილი პატიმრებისა თბილისში გადაეყვანა. სოციალ-დემოკრატიულმა წრეებმა გადაწყვიტეს მომენტით ესარგებლათ და სადგურში 200-მდე კაცს მოუყარეს თავი. დემონსტრანტებმა დროშები ალმართეს და საქვეყნოდ დასძახეს: „ძირს თვითმპყრობელობა", „გაუმარჯოს რესპუბლიკასო".

ამავე წლის 14 ივლისს თავისი მოცულობით და შინაარსით უდიდესი მნიშვნელობის გაფიცვა ჩატარდა ხაშურში. გაფიცულებმა ადმინისტრაციას წაუყენეს მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები: რვა საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის გადიდება 25 პროცენტით, დათხოვილი მუშების უკან დაბრუნება, მუშების აბუჩად ამგდებ ოსტატების დათხოვნა, მუშებისადმი თავაზიანი მოპყრობა და სხვ.

უიარაღო მუშებს პოლიციამ ტყვია დაუშინა, მოკლული იქნა 14 კაცი, ხოლო დაიჭრა — 15, მრავალი დააპატიმრეს. ამ აქტს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა სპეციალური პროკლამაციით უპასუხა.

17 ივლისს, ხაშურში, პოლიციამ მოჰკლა ნიკოლოზ ტურაშვილი. მის დასაფლავებასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის გორის ორგანიზაციის ინიციატივით გამოცხადდა ერთდღიანი გაფიცვა, დაიკეტა სავაჭროები, სახელოსნოები. დასაფლავების პროცესიაზე მონაწილეობა მიიღო 2 000-მდე

---

[1] ი. ხუციშვილი, Горийский уезд период революции 1905—1907 гг., გვ. 35.

კაცმა. საფლავთან სიტყვა წარმოთქვა ალ. მთვარაძემ, რომელმაც მოუწოდა ხალხს შური იძიონ მტარვალზე[1].

გორში წარმოებულ რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს დავიმოწმებთ. 1905 წლის 16 თებერვალს თბილისის სასამართლო პალატის ერთ-ერთი მოხელე საბრალმდებლო ოქმის დასკვნით ნაწილში წერს „1903 წლის 20 ივლისს გორის პრისტავს ავალოვს უფროსმა პოლიციელმა ვასილ ქურდაძემ მოახსენა, რომ 19 ივლისს ღამის თერთმეტ საათზე ის სხვა პოლიციელებთან ერთად ათვალიერებდა ქალაქს და წინადადებას აძლევდა მედუქნეებს სიგვიანის გამო დაეკეტათ დუქნები. არშაკ მღებრიშვილის სარდაფში შევიდნენ, სადაც ქეიფი და სიმღერა იყო. ქურდაძემ მოითხოვა სარდაფის დაკეტვა. იქ მყოფმა კოტე მამულაშვილმა და დავით მუჩაიძემ სთხოვეს ქურდაძეს მათთან ერთად დაელია ღვინო. ქურდაძემ მიიღო მოწვევა და დაიწყეს საუბარი. მამულაშვილმა და მუჩაიძემ ურჩიეს ქურდაძეს უბრალო ხალხს ნუ შეავიწროებო, მათ მხარეზე იყავ, რადგან სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ შენც უბრალო გლეხი გახდებიო. ამასთანავე ერთად ქურდაძეს აღუთქვეს, რომ ისინი მას მისცემენ წიგნებს, საიდანაც ის „ყველაფერს შეიცნობს“.

ავალიშვილმა როცა ყველაფერი ეს მოისმინა, ქურდაძეს რჩევა-დარიგება მისცა როგორ მოქცეულიყო და დავალებით გაუშვა. ქურდაძემ აღნიშნულ პირებთან კავშირი გააბა და ამ გზით ხელთ იგდო: ა) ოთხი პროკლამაცია რუსულ ენაზე, რომელიც მოუწოდებს თვითმპყრობელობის დამხობას, ბ) ბროშურა ქართულ ენაზე, სადაც აღწერილია მუშათა და გლეხთა მდგომარეობა და გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია მათი პირობების გაუმჯობესება მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობის გზით, გ) ბროშურა ქართულ ენაზე, რომლის სათაურია „ნიჟეგოროდის მუშების სიტყვა

---

[1] ი. ხუციშვილი, Горийский уезд в период революции 1905—1907 гг., გვ. 38—39.

სასამართლოზე“. დ) სამი სურათი წარწერით—„პროლეტარიატი და თვითმპყრობელობა“.

ამ დოკუმენტში საუბარია აგრეთვე, რომ „მაზრის უფროსის ყოფილი თანაშემწის ლეონტიევის და პოლიციის უნტერ-ოფიცრის სიუსიუკალოვის ჩვენებით, მათ ჰქონდათ ცნობა, რომ გორში მცხოვრებნი ნიკოლოზ მიხეილის ძე გვარამაძე, დავით გაბრიელის ძე მუჩაიძე, კონსტანტინე გაბრიელის ძე მამულაშვილი, სიმონ ალექსის ძე ალიმბარაშვილი, ნესტორ ლაზარეს ძე კერეჩაშვილი, ყაზარ მიხეილის ძე არაზუმანოვი, ალექსანდრე დიმიტრის ძე მთვარელიძე და ვასილ გაბრიელის ძე მუჩაიძე მონაწილეობას იღებდნენ 1903 წლის 7 ივნისს გორის სადგურზე მოწყობილ დემონსტრაციაში“[1].

ამ დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ თუ აქამდე გორის ისტორიის მკვლევარები ზოგადად მიუთითებდნენ ხოლმე პროკლამაციები და არალეგალური ლიტერატურა ვრცელდებაო, ახლა ჩვენ უკვე ვიცით როგორი იყო ეს ლიტერატურა და პროკლამაციები. ასევე ჩვენ მხოლოდ ძველი რევოლუციონერების გადმოცემით ვიცოდით ვინ იყვნენ ლიტერატურა-პროკლამაციების გამავრცელებლები, ახლა ეს დოკუმენტალურად დადასტურდა.

რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობა არა მარტო არ ჩამკვდარა ამ მხარეში, არამედ უფრო იზრდებოდა. 1904 წლის მაისით დათარიღებულ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის ერთ-ერთ საიდუმლო ცნობაში ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები ხშირი სტუმრები არიან გორისა და გორის მაზრისა: „ივანე კეცხოველი და იასონ (იგივე ილიკო) სიხარულიძე ჩამოვიდნენ ბორჯომიდან გორში. წმიდა გიორგის მთაზე მოაწყეს კრება რევოლუციური ხასიათის პროპაგანდის წარმოების მიზნით. მათი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით კრებაზე შეიკრიბა 30 კაცი გორის მაზრის სოფლის სკოლების მასწავლებელთაგან, კრებას ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსულებიც“. ამ ცნობაში საკმაოდ დაწვრილებით არის საუბარი კრების მნიშვნე-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 434, გვ. 43—46.

ლობის შესახებ. მთავრობამ გაიგო, რომ კრების მონაწილეებმა „ამ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება—გაავრცელონ გლეხებში რევოლუციური ხასიათის იდეები, რათა უახლოეს ხანში მოამზადონ საქართველოს გლეხური მოსახლეობა მთავრობის წინააღმდეგ, ამ მოძრაობის ცენტრი უნდა იყოს გორის მაზრა, სადაც რევოლუციური კომიტეტის ბევრი აგენტი მუშაობს".

შემდეგ საიდუმლო ცნობაში აღნიშნულია, რომ „...აპრილის თვეში ივანე კეცხოველი და იასონ სიხარულიძე ბორჯომიდან წავიდნენ და მოიარეს გორის მაზრის მრავალი სოფელი რევოლუციური შინაარსის პრობლამაციების გავრცელებისა და თითოეულ სოფელში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების საიდუმლო წრეების ორგანიზაციის მოწყობის მიზნით... 20 აპრილს დაბრუნდნენ თბილისში, სადაც, მათი სიტყვით, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ რევოლუციური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 25 აპრილს შედგება"[1]. ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ბოლშევიკები, წინააღმდეგ მენშევიკებისა, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ გლეხთა მიმხრობის საკითხს და დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ გლეხობაში.

როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში ციმბირიდან გამოქცევის შემდეგ ამხანაგი სტალინი თბილისში დაბრუნდა და მედგარი ბრძოლა გააჩაღა მენშევიკების წინააღმდეგ. გორსა და გორის მაზრაში რევოლუციურ-პროპაგანდისტული და მასობრივი საგაფიცვო მუშაობის წარმართვას ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ამიტომ იყო, რომ ეს მხარე რევოლუციური მოძრაობის უდიდეს ცენტრად გადაიქცა.

გ. პარკაძე მოგვითხრობს: „ჩვენი პარტია, ბოლშევიკები, ი. სტალინის ხელმძღვანელობით და მეთაურობით დიდ შრომას ხარჯავდნენ, რომ გლეხები მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზად ყოფილიყვნენ: ი. სტალინი თავის სამშობლო მხარეს ყურადღებას არ აკლებდა და ხშირად

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 34. საქმე 471, გვ. 8.

ესტუმრებოდა ხოლმე ქალაქ გორს, ხანგამოშვებით მიემგზავრებოდა თბილისიდან ქართლის შუაგულ სოფლებში. 1904—1905 წლებში ი. სტალინი, როცა კი გორში მიდიოდა, ყოველთვის ბოლშევიკ პროპაგანდისტებს თავს უყრიდა ერთად, აძლევდა მათ სათანადო დარიგებებს და ისე ანაწილებდა სოფლებში სამუშაოდ. ქართლში ი. სტალინმა მიავლინა კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი, მედგარი სტალინელი, მიშა დავითაშვილი, რომ ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ბოლშევიკური გზით წაეყვანა, რომ მჭიდრო კავშირი გაება მუშებსა და გლეხებს შორის და ამით სრული გამარჯვება მიენიჭებინა რევოლუციისათვის"[1].

1904 წლის შემოდგომაზე მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები გორსა და გორის მაზრაში შესამჩნევი ხდება, ბოლშევიკური გავლენა იზრდება, პროკლამაციების სიხშირე მოსვენებას არ აძლევს მთავრობას.

1904 წლის 7 ნოემბერს, კვირას, ნაშუადღევს, წვევანდელთა მობილიზაციის დროს, ბაზრის მოედანზე ჩვეულებრივ შეკრებილ ხალხთა შორის გაისმა წამოძახილი ქართულ ენაზე „ვაშა", ამ დროს მოედანზე მყოფ პოლიციელ მჭედლიშვილს მიეპარა ერთი, სტაცა ხელი ყელში და შესძახა: „აი პოლიციელი, დაახრჩეთ ეგა", შემდეგ ამოიღო წითელი ლენინის ცხვირსახოცი, შეაბა ჯოხს და ააფრიალა დროშის მსგავსად. სხვებმა ფურცლები მიმოფანტეს ხალხში. როცა ხალხი დაიშალა და პოლიციელებმა ფურცლები აკრიფეს გამოირკვა, რომ ამ ფურცელთა რაოდენობა 60-მდე იყო. პროკლამაციები დაწერილი იყო ქართულ ენაზე. პროკლამაციები შთააგონებდნენ ხალხს, რომ სალდათები მთავრობას სჭირდება მეფისა და მდიდრების დასაცავად, რომ სალდათი არ უნდა ეხმარებოდეს მთავრობას მუშებისა და გლეხების აჯანყებათა ჩაქრობაში, პირიქით, ისინი ვალდებული არიან თავიანთ თანამოძმეებს თანაუგრძნობდნენ, ეხმარებოდნენ და მათთან ერთად ამბობდნენ: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს

---

[1] გ. პარკაძე, წითელი და შავი რაზმი ქართლში, ჟურ. „პროლეტარული რევოლუცია", 2, 1940 წ., გვ. 191.

დემოკრატიულ რესპუბლიკას, ძირს კაპიტალისტები, გაუმარჯოს სოციალიზმს“.

ეს პროკლამაციები დაბეჭდილი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ[1].

პოლიციამ შეიპყრო ვასილ ბალიაშვილი, სიმონ მეჩიტაშვილი, გიორგი იორამაშვილი, ვასილ ბედიანიძე[2].

ასე მზადდებოდა წინასწარი პირობები რუსეთის მრავალ ქალაქებსა და სოფლებში იმ დიდი ქარიშხლისათვის, რომელმაც მთელი რუსეთის იმპერია შეაზანზარა.

საერთოდ, „მეფის რუსეთში კაპიტალისტურ ჩაგვრას აძლიერებდა ცარიზმის მხრივ ჩაგვრა. მუშებს ტანჯავდა არა მარტო კაპიტალისტური ექსპლოატაცია, საკატორღო შრომა, არამედ მთელი ხალხის უუფლებობაც. ამიტომ შეგნებული მუშები ცდილობდნენ სათავეში ჩასდგომოდნენ ქალაქის და სოფლის ყველა დემოკრატიული ელემენტის რევოლუციურ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ. გლეხობას სულს უხუთავდა უმიწობა, ბატონყმობის მრავალრიცხოვანი ნაშთები, იგი მემამულისა და კულაკის კაბალაში იმყოფებოდა. მეფის რუსეთში მოსახლე ხალხები განიცდიდნენ ორმაგ ჩაგვრას — თავისი საკუთარი და რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ“[3].

ყველაფერი ეს პროლეტარიატსა და გლეხობას რევოლუციისაკენ მოუწოდებდა.

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს უშუალო ხელმძღვანელობით 1904 წლის დეკემბერში ჩატარდა ბაქოს მუშების დიდი გაფიცვა. „ეს გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით, რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის“[4].

ბაქოს გაფიცვა გადაიქცა ამიერკავკასიისა და რუსეთის

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 608, გვ. 47—48.

[2] იქვე, გვ. 30—31.

[3] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1946 წ., გვ. 72—73.

[4] იქვე, გვ 73.

მთელ რიგ რაიონებში რევოლუციური აღმავლობის დასაწყისად.

„ბაქოს გაფიცვა მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

„ეს გაფიცვა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იყო ჰექაქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ“.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის დასაწყისად ითვლება 9 (22) იანვრის ამბები, „სისხლიანი კვირა“. „9 იანვარს მუშებმა სისხლიანი გაკვეთილი მიიღეს,—ვკითხულობთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში,—ამ დღეს დახვრეტილ იქნა მუშათა რწმენა მეფისადმი. მათ შეიგნეს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლება თავისი უფლებების მოპოვება. 9 იანვარს უკვე საღამოსათვის მუშათა რაიონებში იწყეს ბარიკადების აგება. მუშები ამბობდნენ: „მეფემ ჩვენ დაგვცხო, მაგრამ ჩვენც დავცხებთ მას!“[1]

მეფის ციერ პეტერბურგში ჩადენილი სისხლიანი ბოროტმოქმედების საშინელი ამბავი ყველგან გავრცელდა. აღშფოთებამ და გულისწყრომამ მოიცვა მთელი მუშათა კლასი, მთელი ქვეყანა. არ ყოფილა ისეთი ქალაქი, სადაც მუშებს მეფის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად არ გამოეცხადებინოთ გაფიცვა და არ წამოეყენებინოთ პოლიტიკური მოთხოვნები. ახლა მუშები მიდიოდნენ ქუჩაში ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა!“[2].

საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიამ მანამდე არ იცოდა თავისი შინაარსით ისეთი ფართო პოლიტიკური ძვრა-ნი, როგორიც იყო 1905—1907 წლების რევოლუცია. ეს იყო სრულიად ახალი, მანამდე გაუგონარი მოძრაობა. ამ რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ „მუშების პოლიტიკურმა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა შესძრეს. ქალაქის კვალდაკვალ ფეხზე დგებოდა სოფელიც. გაზაფხულიდან დაიწყო გლეხთა მღელვარება. გლეხები დიდ-

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1946 წ., გვ. 72

[2] იქვე, გვ. 75.

დიდ მასებად ილაშქრებდნენ მემამულეების წინააღმდეგ, ანადგურებდნენ მათ მამულებს, შაქრისა და არაყსახდელ ქარხნებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სასახლეებსა და კარმიდამოებს. მთელ რიგ ადგილებში გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწას, მასობრივად სჩეხდნენ ტყეებს, მოითხოვდნენ მემამულეთა მიწების ხალხისათვის გადაცემას. გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა პურს და სხვა სურსათ-სანოვაგეს, ყოფდნენ ამას დამშეულთა შორის. დაშინებული მემამულეები იძულებული გახდნენ ქალაქებში გაქცეულიყვნენ. მეფის მთავრობა ჯარისკაცებსა და ყაზახებს გზავნიდა გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. ჯარები ხვრეტდნენ გლეხებს, აპატიმრებდნენ „მოთავეებს“, სცემდნენ და აწამებდნენ მათ. მაგრამ გლეხები ბრძოლას არ წყვეტდნენ.

გლეხთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლჟიეში, ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში“[1].

1905 წლის რევოლუციის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ „რევოლუციამ მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოების ყველა კლასი. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რევოლუციით გამოწვეულმა მობრუნებამ ისინი დასძრა ძველი, შეჩვეული პოზიციებიდან და აიძულა გადაჯგუფებულიყვნენ ახალ ვითარებასთან შეფარდებით. თვითეული კლასი, თვითეული პარტია ცდილობდა გამოემუშავებინა თავისი ტაქტიკა, თავისი მოქმედების ხაზი, თავისი დამოკიდებულება სხვა კლასებისადმი, თავისი დამოკიდებულება მთავრობისადმი. მეფის მთავრობაც კი იძულებული აღმოჩნდა გამოემუშავებინა საკუთარი, მისთვის უჩვეულო, ახალი ტაქტიკა, „წარმომადგენლობითი დაწესებულების“—ბულიგინის სათათბიროს მოწვევის დაპირების სახით“[2].

ამ პერიოდში გორი და გორის მაზრა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში საპატიო ადგილს იკა-

---

[1] საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 77.

[2] იქვე. გვ. 80.

კებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველივე შესანიშნავი და მნიშვნელოვანი, რაც კი ამ პერიოდის გორის ისტორიას ახასიათებს, უშუალოდ დაკავშირებულია ამხანაგი სტალინის სახელთან. და თუ გორი თავისი დარაზმულობით, რადიკალური მოთხოვნილებებით, უკეთესი ორგანიზაციითა და სხვ. გამოირჩეოდა უპირველეს ყოვლისა მხოლოდ იმიტომ, რომ გორში ძლიერი იყო ამხანაგ სტალინისა და ბოლშევიკების გავლენა. ამხანაგი სტალინი ხშირად ჩადიოდა ქალაქ გორში და სწორ რევოლუციურ მიმართულებას აძლევდა გორის ბოლშევიკებს. მუშა გ. თარხანოვი მოგვითხრობს: „ერთხელ 1905 წლის გაზაფხულზე გორში შევხვდი ალიმბარაშვილს, რომელიც გორის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობდა. მან მითხრა: „ამხანაგი სოსო ჩამოვიდა, ჩვენ უნდა შევიკრიბნეთ“. საღამოს, მწუხრის ჟამს, მე მივედი ალიმბარაშვილის ბინაზე ამ სიხარულის გრძნობით, რომ აი შევხვდები და მოვუსმენ ჩვენს ხელმძღვანელს. ამხანაგ სტალინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოწყობილი გორის ბოლშევიკური ორგანიზაციის თათბირი მიმდინარეობდა ალიმბარაშვილის პატარა ოთახში, სადაც იდგა საწერი მაგიდა, წიგნების კარადა და ყველგან მიმოფანტული იყო წიგნები. თათბირზე განხილულ იქნა საკითხი ბოლშევიკების ტაქტიკის შესახებ. საუბარი საათნახევარს გაგრძელდა. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კონკრეტული მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განუმარტოთ მასებს რევოლუციის ამოცანები, როგორ ვაწარმოოთ ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ, რა მასალებით ვისარგებლოთ, რომ დავასაბუთოთ თითოეული ჩვენი პროპაგანდისტული სიტყვა“[1].

1905 წლის თებერვალში ქალაქ გორში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა, ქალაქი ფეხზე დადგა, ვრცელდებოდა პროკლამაციები, ლოზუნგები, ბროშურები.

თბილისის გუბერნიის პოლიციის სამმართველოს უფროსის, პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ 27 თებერვალს ქალაქ გორში წმიდა სტე-

[1] Заря Востока, 1939 წ., 21 დეკემბერი.

ფანეს სახელობის სომხურ ეკლესიაში ლოცვის დროს ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა ლოცვა მიატოვა, ეკლესიიდან გამოვიდა ქუჩაში და იწყო ხმამაღლა ვაშას ძახილი. ერთმა მათგანმა აღმართა დროშა და რამდენჯერმე გაისროლა რევოლვერი. პოლიციელებმა სანაკოევმა და ჩოჩიევმა შეიპყრეს ახალსოფლელი გლეხი ალექსი ივანეს ძე მარანელი, რომელიც სხვებზე უფრო აღელვებული იყო... გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა რევოლვერი, რომლიდანაც ოთხი ტყვია გაესროლა და სუნი კიდევ სდიოდა. მასვე უპოვეს რვეული ქართული ლექსებისა, ერთ-ერთი ლექსის სათაური იყო „სიზმარი“, ხოლო მეორესი—„ქალებს“—ორივე ლექსის შინაარსი მთავრობის საწინააღმდეგო იყო[1].

აღსანიშნავია, რომ გორის საზოგადოების ყველა სოციალური ფენა რევოლუციაში ჩაება, ყველამ ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესები სხვადასხვა იყო, მაგრამ ერთი რამ აშკარად ჩანდა: თვითმპყრობელობის დამხობა, სულ ცოტა, მოსახლეობის 99% მაინც სურდა.

მუშა თუ გლეხი, ხელოსანი თუ წვრილი ვაჭარი, მოსწავლე თუ მოსამსახურე რევოლუციისაკენ მიიჩქაროდა: რევოლუციის გამარჯვებაში საკუთარი წვლილის შეტანა სურდა.

საოსტატო სემინარიის დირექტორი იძულებული იყო აღეარებინა, რომ გორის სასწავლებლებში არეულობაა, მოსწავლეები არ უგონებენ მასწავლებლებს, მანიფესტაციებს აწყობენ ქუჩებში.

1905 წლის 14 მარტს იგი წერდა: წინასწარი ცნობებით ვიცოდი, რომ 14 მარტს გორის საქალაქო სასწავლებელში დიდი უწესრიგობა იქნებოდა. „სემინარიის მღვდელ გამყრელიძის თანხლებით მივედი საქალაქო სასწავლებელში, აღმოჩნდა, რომ მეცადინეობაზე მოსწავლეთა ნახევარიც არ მოსულიყოო“,—აუწყებს მომხსენებელი. ამ მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ საქალაქო სასწავლებლის მოსწავლე-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 653, გვ. 216.

ებმა პირველი გაკვეთილის შემდეგ მიატოვეს მეცადინეობა და შეუერთდნენ სასულიერო სასწავლებლის გაფიცულ მოსწავლეებს, რომლებიც უკვე საქალაქო სასწავლებლის წინ შეკრებილიყვნენ და მოითხოვდნენ მეცადინეობის შეწყვეტას. სემინარიის დირექტორი გადმოგვცემს, რომ ამ გაფიცულ მოსწავლეთა რიცხვში საკმაოდ ბევრნი იყვნენ თბილისის სასულიერო სემინარიისა და გიმნაზიის მოსწავლეები. მთელი ახალგაზრდობა ქუჩაში გამოსულიყო და დროშებითა და ლოზუნგებით ატარებდნენ მანიფესტაციებს. სასწავლებლების ადმინისტრაციები იძულებულნი გახდნენ სწავლა შეეწყვიტათ, მოსწავლეებს შეუერთდა მოსახლეობა, რომელიც კეტ-მარგილებით იყო შეიარაღებული, ისინი საოსტატო სემინარიას მიუახლოვდნენ და ქვები დააყარეს, პოლიციამ მათ სამაგიეროდ ტყვია დაუშინა. „არიან მოკლულნი, ბევრი დაიჭრა, ჯგუფი დაიშალა, ორი მოწაფე დაიჭირეს, ამ ამბების მთავარი დამნაშავე სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები არიან, რომლებიც სამი კვირაა ჯანყობენ. ამ საქმეში ურევიან აქაური მკვიდრნი თბილისის სასულიერო სემინარიისა და გიმნაზიის მოსწავლეები“[1].

მართალია საოსტატო სემინარიის დირექტორი ცდილობს სხვა სასწავლებლებს გადააბრალოს ყველაფერი და თავის სასწავლებელზე არაფერი თქვას, მაგრამ შემდეგში იძულებულია სიმართლე გაამჟღავნოს და 1905 წლის 16 მარტს აცხადებს: საოსტატო სემინარიის მოსწავლენი ყუმბარის ტყორცნას სწავლობენ, რევოლუციონერ პროპაგანდისტებს უსმენენ, პროკლამაციებს კითხულობენ, მასწავლებლებს აღარ უსმენენ, რის გამო სასწავლებლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა და სწავლა არ განახლდება მანამ, სანამ სათანადო ხელსაყრელი პირობები არ შეიქმნება[2].

14 მარტის ამბებმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო გორელებზე, არამედ მთელი გორის მაზრაზეც. მთავ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 18, საქმე 2464, გვ. 3.

[2] კავკასიის სასწ. ოლქის ფონდი, საქმე 2464, გვ. 5.

რობა არ მალავს განაცხადოს, რომ გორის 14 მარტის ამბავი გახდა საბაბი იმ მღელვარებისა, რომელმაც მოიცვა მაზრის უდიდესი ნაწილი, სადაც მოსახლეობა სდევნის მემამულეებს, ეკლესიის მსახურთ, თანამდებობის პირთ, სწვავენ, ანადგურებენ და იტაცებენ მათ ქონებას, სპობენ სოფლის სამმართველოებს, ერეკებიან სოფლის ადმინისტრაციას[1].

14 მარტის დემონსტრაცია მოწყობილი იყო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გორის ორგანიზაციის მიერ. საქმის ვითარება ასეთი იყო: განთიადზე 1000-მდე გორელმა თავი მოიყარა ამიროვის მამულში. მირონ ამიროვმა გორელთა საერთო მიწები მიიმძლავრა და მცხოვრებნი შეავიწროვა. ამაო იყო გორელთა საჩივარი სასამართლოებში. სასამართლო ამიროვს ამართლებდა. რადგან „სამართალი" ამიროვის მხარეზე აღმოჩნდა, ხალხმა ძალას მიმართა, ამიროვის მამულში შეიჭრა, გაკაფა ხილ-ვენახი, გააფუჭა თივა, მოშალა ღობე და მარგილ-კეტებით შეიარაღებული ხალხი ქალაქისაკენ დაიძრა. ცუცა ამიროვის სახლს გამოუარეს, მოაგონდათ, რომ ეს უკანასკნელიც ავიწროებდა „გარეთ უბნელებს", სახლს ქვები დაუშინეს და ფანჯრები ჩაამტვრიეს. ხალხმა შესძახა: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთიანობას", „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!"

დემონსტრანტებმა არტილერიის მოედნისაკენ გამოსწიეს, გზაზე ხალხი ემატებოდა მათ. „ერთ ჯგუფს, რომელიც არტილერიის მოედნისაკენ გაემართა, უცბად სალდათების „პატრული" დახვდათ. ამ უკანასკნელმა ჯერ გზა მისცა ხალხს, მერე, სრულიად უმიზეზოდ, თოფები ზურგიდან დაახალა... მოკლეს უსუსური ბავშვი და დასჭრეს ოცამდე კაცი"[2]. იგივე ჟურნალი განაგრძობს: „დაჭრილები ქუჩაში ეყარნენ და სისხლიდან იცლებოდნენ, თხოულობდნენ დახმარებას, რაზედაც ჯარისკაცები კონდახით უმასპინძლდებოდნენ და საშველად არავის უშვებდნენ. ბოლოს 1/2 საათის,

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 685, გვ. 4—6.

[2] მოგზაური, 1903 წ., № 11.

შემდეგ დაყარეს ფიცრებზე დაჭრილები, მკვდარი და სულმობრძავები და წაიყვანეს საავადმყოფოში... როცა შესაძლებლობა შეიქმნა... დაჭრილებთან ახლო მისულმა ერთმა ინტელიგენტმა საყვედური უთხრა „ამ ბავშვმა რა დაგიშავათო?“ სალდათებმა სიცილით უპასუხეს: „ეს პატარა ხვალ დიდი გახდება და უარეს იზამსო!“ როცა ინტელიგენტმა კიდევ განაგრძო შერცხვენა, ერთმა სტრაჟნიკმა მათრახი უცხუნა. ბავშვის საწყალი დედა მოვარდა, მან ჯერ არ იცოდა, რომ შვილი მოუკლეს და სალდათებს კითხავდა, ჩემი შვილი ხომ არ გინახავთო? სალდათებმა და სტრაჟნიკებმა სიცილით უპასუხეს: „შენი შვილი, აი იქ გაფრინდაო“ და მაღლა აიშვირეს ხელი. ერთი სიტყვით, ისეთი საზიზღრობა და პირუტყვობა ხდებოდა, რომ კალამი ვერ აწერს და ენა ვერ გამოსთქვამს“[1].

მთავრობას ეს მხეცობა ძვირად დაუსვა რსდმპ გორის კომიტეტმა. 14 მარტის მსხვერპლთა დასაფლავება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადააქცია. სასტიკად გაუსწორდა იმ ჯაშუშ-მოღალატეებს, რომლებიც 14 მარტის სისხლის დაღვრის დამნაშავენი იყვნენ.

გორის მცხოვრები სამუკაშვილი 14 მარტს დაიჭრა, ამ ჭრილობისაგან 20 მარტს გარდაიცვალა. გამოირკვა, რომ ეს არამზადა მთავრობის აგენტი ყოფილა. გორის რევოლუციურმა კომიტეტმა დადგენილება გამოიტანა: სამუკაშვილს ეკლესიური წესით დასაფლავება არ ღირსებოდა. ის ვინც მის დასაფლავებაზე მოვიდოდა, თუნდაც ნათესავი ყოფილიყო, მოკლული იქნებოდა. რევკომის ეს დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი. მოღალატე სამუკაშვილს ნათესავებიც კი არ გაკარებია. შერცხვენილის ცხედარს მხოლოდ მღვდელი და ორიოდე პოლიციელი მიჰყვებოდა[2].

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გორის კომიტეტის გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ბოლშევიკი პროპაგანდისტები დღედაღამ ხალხის სამსახურში იყვნენ.

---

[1] „მოგზაური“, 1905 წ., № 11.

[2] სპ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 692, გვ. 24.

ხალხმრავალ კრებებს ხელმძღვანელობდნენ: ნესტორ კერჩაშვილი. დათიკაშვილი, ირემაშვილი, ონიაშვილი და სხვ. ორატორები გამოდიოდნენ მხურვალე სიტყვებით, კითხულობდნენ პროკლამაციებს და სხვ.

მთავრობის საწინააღმდეგო კრებები იმართებოდა ნიკოლოზ გვარამაძის, ნესტორ კერეჩაშვილის, კონსტანტინე მამულაშვილის, იოსებ ირემაშვილის, ბესარიონ დათიკაშვილის, ცერცვაძის ბინებზე და არჩუაძის წიგნების მაღაზიაში. აღნიშნულ პირებს გარდა კრებებზე მონაწილეობას ღებულობდნენ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი პოპოვი, დავითაშვილი, მირაზანოვი (იგივე შერეკილი), საქალაქო სასწავლებლიდან ხანჩიკოვსკი, ბერძენიშვილი და ნებიერიძე, ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის მასწავლებლები: მამაური, კასრაძე, ბაქრაძე, სამხედრო საკრებულოს მწერალი შველიძე და სხვ. მრავალი[1].

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სერიოზული ხდებოდა, მთავრობის მიერ მიღებული ზომები საქმეს არ შველოდა. მთავრობის ყოველგვარ რეპრესიებს ბოლშევიკები სხვადასხვა ღონისძიებებით პასუხობდნენ. მთავრობა აღარ მალავდა, რომ გორში „მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია, რადგან აგრარულ მოთხოვნილებასთან ერთად გლეხები უკიდურეს პოლიტიკურ მოთხოვნილებასაც აყენებენ". მთავრობა დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდა გორსა და გორის მაზრაში, თავად-აზნაურთაგან ადგენდა შავრაზმებს, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

გორის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მითითებების საფუძველზე წითელ რაზმებს ადგენდნენ, იარაღის ხმარებას ასწავლიდნენ, ყუმბარებისა და სხვ. ტყვია-წამლის დასამზადებელ საიდუმლო სახელოსნოებს აარსებდნენ (რკონში, ხაშურში). საჭიროა აღინიშნოს, რომ ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშებმა ზარბაზანიც კი დაამზადეს.

14 მარტის ამბებმა მოსახლეობა ვერ დააშინა, პირიქით,

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 7, საქმე 692, გვ. 24.

შურისძიების გრძნობა ფართოვდებოდა, მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებანი უფრო შინაარსიანი ხდებოდა.

აპრილში გაფიცვები დაიწყეს გორელმა ხელოსნებმა და ნოქრებმა. 1905 წლის 10 აპრილს მათ თავიანთ „ხაზეინებს“ მოთხოვნები წაუყენეს პირობების გაუმჯობესების შესახებ. „ხაზეინები“ იძულებული გახდნენ მოთხოვნები დაეკმაყოფილებიათ, სათანადო პირობები განუსაზღვრეს და დაადგინეს: „ვინც ამ პირობებს დაარღვევს პირველად 5 მანეთ ჯარიმას გადაიხდის, შემდეგ კი—25 და ბოლოს სულაც დაკეტავს დუქანს“[1].

21 ივნისს გორში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. გაიფიცნენ ხელოსნები, ქარგლები, მუშები, მეპურეები, წყლის ზიდავები, მეეტლეები. დაიკეტა სავაჭროები, პატიმრები შიმშილობას აცხადებდნენ. ქალაქი სამხედროებით გაივსო, გორი სამხედრო ბანაკად გადაიქცა, მარტო გორის სათადარიგო პოლკიდან ქალაქის „წესრიგის“ დაცვისათვის 106 კაცი გამოიყო[2].

როგორც გორის სათადარიგო პოლკის უფროსის მიერ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის სახელზე გაგზავნილ პატაკიდან ჩანს ქალაქისათვის სპეციალურად გამოყოფილ ჯარის ნაწილის მოვალეობას წარმოადგენდა: გაფიცულთა ჯგუფების დაშლა-გაფანტვა, დაკეტილი მაღაზიების გაღება სადაც ვაჭრობა ჯარისკაცებს უნდა ეწარმოებინათ, კერძო ფურნეებში სალდათებს უნდა გამოეცხოთ პური და სხვ.

ივნისის ამბების შესახებ გაზეთი „მოგზაური“ აუწყებდა საზოგადოებას, რომ მოსახლეობა რევოლუციურ კომიტეტებს ემორჩილება და მთავრობას ყურს არ უგდებს. დაიკეტა სავაჭრო სახელოსნოები. ამაოდ ცდილობს მაზრის უფროსი ქალაქში მშვიდობა აღადგინოს, მას აღარავინ უგონებს. ერთ დღეს მაღაზიის პატრონებს „მაზრის უფროსმა თოფიანი ყაზახები დააყენა თავსა და ძალით ავაჭრებინა, მეორე დღეს კი ბევრი ეძებეს დუქნის პატრონები, რომელნიც სადღაც მიმა-

---

[1] „მოგზაური“, 1905 წ., № 24.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. ?, საქმე 23, გვ. 11.

ლულიყვნენ. ამ კერძო საკუთრების დამცველებმა, ძალით შეამტვრიეს დუქნები და სალდათ-ყაზახებს ავაჭრებინა... ამბობენ, როცა გამწარებული დუქნის პატრონები დაბრუნდნენ თავის სარჩოს დასაცავად, სულ ნახევარნახევარი ფასი მიიღეს გაყიდულ საქონელში"[1].

გორში მღელვარება-გაფიცვები არც ივლისში შეწყვეტილა. 1905 წლის 11 ივლისს „მოგზაური" წერდა: „ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ისეთი დღე არ ყოფილა, რომ ვისმესთვის რევოლვერი არ ესროლათ... გორის მშვიდი ბურჟუები საშინლად დაშინდნენ ამ ამბებით და ღელავენ... აქაური პრისტავი ბარძიმფალოვი... ეს ერთი თვეა სახლიდან გარეთ არ გამოდის. ხმა დადის უკანასკნელმა ამბებმა ისე დააშინეს, რომ ავად გახდაო"[2].

26 აგვისტოს ქალაქ გორში კვლავ საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ამ დროს გაფიცვები, როგორც ცნობილია, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც მიმდინარეობდა. 29 აგვისტოს თბილისის ამბებმა ქვეყანა ფეხზე დააყენა. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა 29 აგვისტოს გამოუშვა სპეციალური პროკლამაცია—„სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის". ეს პროკლამაცია დამაჯერებელი სიტყვებით განუმარტავდა მოსახლეობას მთავრობის ნამდვილ მიზანსწრაფვას და აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. „სისხლი სისხლისთვის და სიკვდილი სიკვდილისათვის—აი რით უნდა უპასუხოთ ჯალათებს. შეიარაღება და სისხლის აღება! გაუმარჯოს აჯანყებას!—აი როგორი უნდა იყვეს ჩვენი ლოზუნგები, ამხანაგო მუშებო"[3].

29 აგვისტოს ამბავი არც გორის საზოგადოებრიობისათვის დარჩენილა შეუმჩნეველი. გორის ქალთა პროგიმნაზიის მოსწავლეებმა წყევლა-კრულვა გაუგზავნეს მეფის ჯალათებს და გაფიცვა მოაწყეს[4].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 3, საქმე 23, გვ. 11.

[2] „მოგზაური", 1905 წ., № 24.

[3] ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ., გვ. 153.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, სასწ. ოლქის ფონდი, საქ. 2467, გვ. 72.

1905 წლის შემოდგომაზე რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა. 5 სექტემბერს მეფის ნაცვალს კავკასიაში მოახსენებდნენ, რომ ზომების მიღების მიუხედავად გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობა ფართოვდება, „თანამდებობის პირებს ბოიკოტს უცხადებენ, უარს ამბობენ მათ კანონიერ მოთხოვნილებათა შესრულებაზე, გლეხები რევოლუციონერთა ხელმძღვანელობით თვითონ ირჩევენ თავიანთ წრიდან ასისთავებს და მოსამართლეებს, რომლებიც მართავენ ცალკეულ რაიონებს და ხელმძღვანელობენ ხალხს რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონტროლით. ასეთ პირობებში თუ უახლოეს მომავალში მიღებული არ იქნება ენერგიული ზომები რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად, მაშინ მთავრობის ავტორიტეტის აღდგენისათვის საჭირო გახდება მხარის ხელახალი დაპყრობა“[1].

მთავრობა შეტევაზე გადავიდა, მასიურად იწყეს დაპატიმრება-გადასახლებანი. საპყრობილეები რევოლუციონერებით გაავსეს. მარტო გორსა და გორის მაზრაში დაპატიმრებულთა რიცხვი 300 კაცს აღემატებოდა. ჯარის ნაწილები და შავრაზმელთა ბრბოები ქართლის სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, კრიტიკულ მომენტში მშრომელი მოსახლეობისა და ბოლშევიკების ბრძოლას პირადათ ხელმძღვანელობდა. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა 1905 წ. 15 ოქტომბერს „პროლეტარიატის ბრძოლაში“ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი სათაურით: „რეაქცია მწვავდება“. ამხანაგ სტალინის ამ სტატიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უნერგავდა რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლებს მხნეობას და სწორ მიმართულებას აძლევდა მათ. „შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს თავზე. ბებერი თვითმპყრობელობა სულს იდგამს და „ცეცხლითა და მახვილით“ გვეგებება. რეაქცია მწვავდება! ტყუილად მიგვითითებთ მეფის „რეფორმებზე“, რომლებმაც

---

[1] ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, Гурийский уезд в период революции 1905—1907 гг., გვ. 101.

უმსგავსი თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს: „რეფორმები“ მხოლოდ ნიღაბია იმ ტყვიების და მათრახებისა, რომლებითაც ასე უხვად გვიმასპინძლდება პირსისხლიანი მთავრობა“.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ასწავლიდა მუშებსა და გლეხებს, რომ არ წამოეგონ მთავრობის ტყუილ დაპირებებზე, რომ მთავრობის ყოველგვარი „რეფორმები“ მხოლოდ მოტყუებაა. „ტყვიები პროლეტარიატს, ტყუილი დაპირება გლეხკაცობას და „უფლება“ მსხვილ ბურჟუაზიას—აი რა ზომებით იარაღდება რეაქცია“[1].

დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი თავის თანამებრძოლებს ასწავლიდა, რომ არ შეუშინდნენ რეაქციის შემოტევას, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ მთელი რუსეთი ფეხზეა დამდგარი.

მართალია რეაქციის ლოზუნგია „ა ნ ს ი კ ვ დ ი ლ ი, ა ნ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს დ ა მ ხ ო ბ ა“, მაგრამ „არც რევოლუციას სძინავს და დაუდგრომლად აკეთებს თავის დიად საქმეს. ომის შედეგად გაძლიერებულმა კრიზისმა და გახშირებულმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა ერთიანად ააფორიაქეს რუსეთის პროლეტარიატი და პირისპირ დაუყენეს იგი მეფის თვითმპყრობელობას. სამხედრო წესებმა არამც თუ ვერ შეაშინა პროლეტარიატი, — პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა და უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ვისაც სმენია პროლეტარების უთვალავი ძახილი: „ძირს მეფის მთავრობა, ძირს მეფის სათათბირო!“ ვინც გულდასმით დაკვირვებია მუშათა კლასის მაჯისცემას, მისთვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ რევოლუციის ბელადის—პროლეტარიატის რევოლუციური სული მაღლა და მაღლა აიწევს. რაც შეეხება გლეხკაცობას, ჯერ კიდევ სამხედრო მობილიზაციამ აამხედრა ის დღევანდელი წესწყობილების წინააღმდეგ, იმ მობილიზაციამ, რომელმაც გლეხკაცობას კერა დაუნგრია და საუკეთესო ოჯახიშვილები ხელიდან გამოაცალა“[2].

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი რეაქციის მოთხოვნას—„ან სიკვ-

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 167.

[2] იქვე.

დილი, ან რევოლუციის დამხობა“ უპირისპირებდა ბოლშევიკების ლოზუნგს „ან სიკვდილი, ან რევოლუციის გამარჯვება“.

ამხ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა ამ სტატიაში გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მენშევიკი მარტოვი და განსაზღვრა ბოლშევიკური ტაქტიკის მიმართულება.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეს სტატია ბოლშევიკების სამოქმედო პროგრამა იყო.

არ უშინდებოდნენ რა რეაქციის მათრახს, გორის ბოლშევიკები, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მითითებებს ადგილზე ანხორციელებდნენ და რევოლუციონერთა რიგებს ზრდიდნენ. ბოლშევიკებს თავისი სიტყვა ჯარის ნაწილებამდეც მიჰქონდათ, ჯარის ნაწილებში ავრცელებდნენ საიდუმლო პროკლამაციებს.

ოქტომბერში, გორში ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები ჩატარდა. ამ მიტინგების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გორის სასამართლოს პრისტავის ერთი წერილი. წერილში ნათქვამია: ოქტომბრის ბოლოს იმართებოდა მიტინგები გორში. ჩვენ გორის მოხელეები უარს ვამბობდით მიტინგზე დასწრებაზე, მაგრამ ძალას გვატანდნენ, გვემუქრებოდნენ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუჩაში ვერ გამოვდიოდით. შეურაცხყოფას გვაყენებდნენ არა მარტო გორელები, არამედ სოფლელებიც და ბავშვებიც პირში შეგვძახოდნენ „ძირს ჩინოვნიკებიო“. პრისტავი განაგრძობს: მომრიგებელი მოსამართლე შემომჩიოდა—მეც მიყვირეს და ხულიგანი მიწოდესო. შიშისაგან ვერც ის გამოდის ქუჩაში. რამდენჯერმე ჩამიმტვრიეს ფანჯრები, ქვებს მესროდნენ. ერთი სიტყვით, მოხელეებისათვის საშიშროება ისეთი დიდი იყო, რომ როცა ეწვეოდით, არ ვიცოდით, მოგვიწევდა თუ არა კვლავ ადგომა, რადგან ყოველთვის მოსალოდნელი იყო ტერორი, სახლკარის გადაწვა და სხვ.

ხელისუფლება ვალდებული იყო დაეცვა ჩვენი თავი, მაგრამ მოხელეები თვითონ ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ არ იცოდნენ სად დამალულიყვნენ, ხოლო თუ ვინმე მათგანი გამოჩნდებოდა ქალაქში უეჭველად თან უნდა ხლებოდათ

პირადი დაცვა. მაზრის უფროსი სამმართველოდან ორ ნაბიჯზე ცხოვრობდა, მაგრამ სახლიდან სამმართველოში მისვლის დროს გვერდით მიჰყვებოდნენ მცველები. პრისტავი არ მალავს, რომ ადმინისტრაციამ ავტორიტეტი დაკარგა ხალხში, რომ მოსახლეობა უჯერებს მხოლოდ და მხოლოდ რევკომებს. „მოხელეებს არ ცხვენოდათ სახალხო მოძრაობის მეთაურები მიეღოთ და თუ ვინმე რაიმე საქმეზე ამა თუ იმ მოხელეს მიმართავდა, იგი კომიტეტში აგზავნიდა მას და უმარტავდა, რომ ახლა ყველა საქმეებს კომიტეტი აწესრიგებსო“[1].

პრისტავის ეს განცხადება სხვა საბუთებითაც დასტურდება. განსაკუთრებით დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

1905 წლის ოქტომბერში გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა სპეციალური მოთხოვნა წარუდგინეს სასწავლებლის გამგეობას.

ამ მოთხოვნაში ნათქვამია: მოთმინება კარგი საქმეაო, იმეორებს ბევრი, მაგრამ ყოველთვის მართალი არ არის ეს ანდაზა. მოთმინება კარგი საქმეა მხოლოდ მაშინ, როცა ის მომთმენს რაიმე კარგს ჰპირდება. მაგრამ მოთმინება აუტანელი ხდება, როცა ტანჯვა, გაჭირვება, შეურაცხყოფა და სხვ., რომელშიც შენ იმყოფები კი არ მცირდება, არამედ ძლიერდება. ამიტომ მეტის მოთმენა სამარცხვინო ლაჩრობაა, რადგან ის შედეგია ან უძლურებისა და ან უგუნურობისა, ამიტომ ის უნდა დაგმო. ჩვენ ბევრი ვითმინეთ. დიდხანს გვეგონა, რომ სხვა გაგვიუმჯობესებდა ჩვენი აღზრდის საქმეს, მაგრამ ამაოდ. ჩვენი სკოლის კედლებში იმდენი წამება და ტანჯვა, სიცივე და შიმშილი, ჩაგვრა და შეურაცყოფა არის რომ ის აღარ თავსდება მასში და გადმოინთხა გარედ. სწავლა-აღზრდის მდგომარეობა ჩვენს სასწავლებელში (საერთოდ მთელს რუსეთში) ხასიათდება უდიდესი ნაკლოვანებებით, რომლის თავიდან აცილების გარეშე უაზრო და შეუძლებელია სასწავლებლის შემდგომი არსებობა. სასწავლებელი,

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1, საქმე 27, გვ. 2—3.

რომელიც უნდა იყოს მეცნიერების, განათლების და გონებრივი განვითარების ტაძარი, ტაძარი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდობის სულიერი და გონებრივი ძალების გაფურჩქვნის კერას, გადაქცეულია რაღაც წყვდიად, შემხუთავ, შემავიწროებელ ცივ ყაზარმად. იმის მაგიერ, რომ სასწავლებელმა შეასრულოს თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობა—თესოს დროის მოთხოვნილების შესაფერისი ნამდვილი ცოდნა, იგი წარმოადგენს მეცნიერებისა და თავისუფლების მტერს. სწავლების საქმის ასეთი უკიდურესად სავალალო მდგომარეობის დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, ეკისრებათ ჩვენი სასწავლებლის უხეშ, უვიც, თვალთმაქც, მიმკერძოებელ და ცინიკ დამრიგებელ-მასწავლებლებს. ისინი შოუთმენელი არიან სასწავლებლებისათვის.

სასწავლებლის მომავალი ნაყოფიერი მუშაობის მიზნით ჩვენ მოვითხოვთ:

1. ხატვის გაკვეთილების შემცირებას,

2. მშობლიური ენის სწავლების გათანაბრებას სხვა სავალდებულო საგნებთან,

3. სიმღერის, მუსიკისა და ფიზკულტურის სწავლებას მოსწავლეთა თავისუფალი არჩევნების მიხედვით,

4. საღმთოსჯულის გაკვეთილების შემცირებას,

5. პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა თავისუფლებას,

6. მოსწავლეთა კრებების, წრეებისა და მეცადინეობის თავისუფლებას,

7. მოსწავლეთა კერძო ცხოვრებაში მასწავლებლების ჩაურევლობას,

8. მოსწავლეთა თანხმობას მოსწავლის, ან მასწავლებლის დათხოვნაზე,

9. ღარიბ მოსწავლეთა უფასო სწავლებას,

10. პედაგოგების მიერ თავაზიან პედაგოგიურ მოპყრობას მოსწავლეებისადმი,

11. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის გაუქმების კანონის მიღებას და სხვ.[1].

მოსწავლეების ასეთი მოთხოვნები შედეგია მათ შორის ბოლშევიკური პროპაგანდის წარმოებისა.

როგორც ცნობილია, მენშევიკები მხარს უჭერდნენ ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობის მიღებას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, რომელთაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, უდიდესი მუშაობის ჩატარება დასჭირდათ მენშევიკების წინააღმდეგ, ისინი თათბირებსა თუ კრებებზე, დისპუტებსა თუ პრესაში ამხელდნენ მენშევიკების გახრწნილ სახეს და მასებს მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

1905 წ. მანიფესტმა კიდევ უფრო ახადა ფარდა მენშევიკებს და აშკარა გახადა მათი ნამდვილი სახე. ისინი უმტკიცებდნენ ხალხს, რომ ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, თვითმპყრობელობა მოკვდა, რუსეთი შედის კონსტიტუციურ მონარქიულ სახელმწიფოთა რიგებშიო და გადმოისროლეს ლოზუნგი „ჩვენ არ გვინდა იარაღი, ძირს იარაღიო“.

მენშევიკების ამ გამცემლური ლოზუნგის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ამხანაგმა სტალინმა და. სწორედ მანიფესტის გამოცხადების დღეს ნაძალადევში მუშათა მიტინგზე ხმამაღლა განაცხადა: „აბა რა რევოლუცია იქნება, რომ უიარაღოთ გაიმარჯვოს? ის რა რევოლუციონერია, ვინც იტყვის: ძირს იარაღიო? ამის მთქმელი ორატორი, ალბათ, ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი. და ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია...

რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე—შეიარაღება, მესამე—კიდევ და კიდევ შეიარაღება“.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, კავკასიის სასწ. ოლქის მზრ. ფონდი, საქ. 2464, გვ. 75—76.

ამხანაგ სტალინის ამ დებულების საფუძველზე თბილისის კომიტეტმა გამოსცა ბოლშევიკური პროკლამაცია, რომელიც ხალხს მოუწოდებდა შეიარაღებისაკენ: „მოქალაქენო! რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო! ჩვენ უკვე განვიცადეთ ამ რევოლუციის პირველი აქტი მისი საშინელი სისხლისღვრით. მომავალში უფრო მეტი ბრძოლა და მეტი მსხვერპლი მოგველის. პირველი მიზანი, რომელიც დღეს თვალწინ გვიდგას—ეს ხალხის შეიარაღებაა. თვითმპყრობელობის დამარცხებისა და რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა შეიარაღება, შეიარაღება და შეიარაღება!

მოქალაქენო! საჭიროა ყველა ღონისძიება ვიხმაროთ, რომ იარაღი შევიძინოთ. საჭიროა ხულიგნების წელში გატეხა, მეფის ბაში-ბუზუკების ალაგმვა, საჭიროა გადამჭრელი ომი თვითმპყრობელობასთან, ომი სამოქალაქო და ომი პოლიტიკური! ყველა ეს კი შეუძლებელია შეუიარაღებლათ.

მოქალაქენო! ნუ გაექცევით თქვენს მოვალეობას — ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს ხალხის შესაიარაღებლათ!“

ამ სტალინურმა მოწოდებამ გორში დიდი გამოხმაურება პოვა. გორელი ბოლშევიკები ფართო კამპანიას აჩაღებენ იარაღის შესაძენი სახსრების შესაგროვებლად.

გორის მაზრის უფროსი მოახსენებდა მთავრობის ზემდგომ ორგანოებს, რომ 1905 წლის 25 ნოემბერს რევოლუციონერ აგიტატორთა გავლენით გორში შეიკრიბა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგს დაესწრო მთელი ქალაქის მოსახლეობა. მიტინგმა მიიღო დადგენილება, რომ გორის მაზრის სამმართველოში არსებული იარაღი მოეთხოვათ და თუ მთავრობა უარს იტყოდა იარაღის მიცემაზე, მაშინ ძალით გაეტანათ იგი. რევოლუციური კომიტეტი მოუწოდებდა მოსახლეობას შეეძინათ იარაღი, დაიწყეს ფულების შეგროვება შეძლებისდაგვარად (ვაჭრები, სახლთმფლობელნი). იარაღის შესაძენად რეკომის სალაროში უნდა შეეტანათ 200—300 მანეთამდე. მოხელეებსა და მასწავლებლებს უნდა გამოეღოთ ამ

მიზნისათვის ხელფასის 10%. ამ წესით რევკომის სალაროში უკვე შეგროვილი ჰქონდათ 2 500 მანეთი[1].

საერთოდ, გორსა და გორის მაზრაში, ნოემბრის თვე აღინიშნა ხალხმრავალი მიტინგების, დემონსტრაციების, მანიფესტაციებისა და მთავრობის საწინააღმდეგო სხვ. გამოსვლებით.

13 ნოემბერს გორში ხალხმრავალი დემონსტრაცია მოხდა, ხალხი დროშებით გამოვიდა ქუჩებში და მთავრობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ლოზუნგი გადმოისროლა.

უკმაყოფილება იზრდებოდა ჯარის ნაწილებშიც. ჯარისკაცთა მღელვარების საბაბი შეიქმნა ჯარისკაცებისადმი ოფიცრების უხეში მოპყრობა, ცუდი კვება, ტანსაცმლის გაუცემლობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცებმა წერილობითი მოთხოვნა წარუდგინეს პოლკის უფროსს და კატეგორიულად მოითხოვეს პირობების გაუმჯობესება. პოლკის უფროსი იძულებული გახდა ეს მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა[2].

1905 წლის 16 ნოემბერს გორის მაზრის უფროსი, გორში მყოფ ჯარების უფროსს წერილობით მოახსენებდა: მე მაქვს სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ 17 ნოემბერს განზრახულია საყოველთაო გაფიცვა, რომ განზრახვა აქვთ დაეცენ ციხეს და პატიმრები გაათავისუფლონ[3].

შემდეგ, მაზრის უფროსი ძველ ადრესატს კვლავ მოაგონებდა, რომ 20 ნოემბერს გორში ხალხმრავალი მიტინგი შედგებოდა თბილისიდან გამოგზავნილ აგიტატორთა მეთაურობით[4].

ნოემბერში არა მარტო გორში, არამედ რუსეთის მთელს იმპერიაში ადგილი ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას. ი. ბ. სტალინი წერდა: „მძლავრი ბუმბერაზი—სრუ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 19, საქმე 275, გვ. 10—13.

[2] სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები ტ. XXXV, 1949 წ., გვ. 160.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 19, საქმე 3, გვ. 19.

[4] იქვე, გვ. 40.

ლიად რუსეთის პროლეტარიატი კვლავ ამოძრავდა... მთელ რუსეთს მოედო ფართო სააგიტაციო მოძრაობა. თითქოს ჯადოსნური კვერთხით ანიშნესო, რუსეთის მთელ თვალუწვდენ სივრცეზე ცხოვრება ერთბაშად შეჩერდა“[1].

ანალიზს უკეთებდა რა შექმნილ ვითარებას, ი. ბ. სტალინი დასძენდა: „პროლეტარიატი ბრძოლაში იწვევს წყეულ ირთავიან ურჩხულს... ჩვენ ვიმყოფებით მთელი რუსეთის საყოველთაო-სახალხო აჯანყების წინ — და ამ აჯანყების ჟამი მოახლოებულია“[2].

მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის აჯანყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის მთელ იმპერიაში. პატარა გორიც ჩაება ამ საერთო ფერხულში.

1905 წლის 8 დეკემბერს გორიდან იტყობინებოდნენ, რომ გორის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნა თავდაცვის ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით. ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო რევოლვერებით, გააჩნდა განმასხვავებელი ნიშანი და ქალაქში წესრიგს იცავდა, რკინიგზის ხაზზე მოძრაობა არსებითად რევოლუციონერებს ემორჩილებოდა.

მოსკოვის აჯანყების დამარცხებამ დეკემბრის ბოლოს ერთგვარად შეანელა გაფიცვები და აშკარა გამოსვლები. რეაქცია მძვინვარებდა. იგი შეტევაზე გადავიდა გორშიც. რევოლუციონერთა საუკეთესო ნაწილს საპყრობილეში ამწყვდევდნენ; ამოქმედდნენ ჯაშუშ-მოდალატენი, ადმინისტრაცია და მოხელენი სარდაფებიდან გამოძვრნენ და გააქტივდნენ. დაიკეტა გორის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც რევოლუციონერთა თავშესაფარს წარმოადგენდა[3].

სხვა მრავალ ღონისძიებებთან ერთად გორის ადმინისტრაციამ სპეციალური ხელწერილები ჩამოართვა მეეტლეებს, რომ ისინი ქალაქში სწრაფად არ გარეკავდნენ ცხენებს, მთვრალ პირებს გარმონით არ დასვამდნენ ეტლში, სამხედრო

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 176.

[2] იქვე.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1, საქმე 121, გვ. 14.

პირების ან პოლიციელების სიგნალის მიცემისთანავე გააჩერებდნენ ეტლს და სხვ.[1]

რესტორანების, სასტუმროებისა თუ კერძო სახლების მფლობელნი გაფრთხილებული იყვნენ, რომ შემოეღოთ სპეციალური ჟურნალები მოსულთა თუ წასულთა რეგისტრაციის საწარმოებლად, ყოველგვარი ცნობები დაუყოვნებლივ უნდა მიეტანათ პოლიციაში[2].

გენერალ-გუბერნატორის სპეციალური ბრძანებით გამოცხადებული იყო საგანგებო სამხედრო მდგომარეობა ბრძანება ითვალისწინებდა:

1. ის ვინც პოლიციას და სამხედრო პირებს არ დაემორჩილებოდა, მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა ძალა, ხოლო იარაღის ხმარების შემთხვევაში, იარაღითვე გაუმასპინძლდებოდნენ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე.

2. თუ რომელიმე პირი გაბედავდა გაქცევას, დაუყოვნებლივ ეხმარათ იარაღი.

3. თუ ჯგუფებად გამოჩნდებოდნენ ქუჩაში და საშმაგი გაფრთხილების მიუხედავად არ დაიშლებოდნენ მათთვის დაეშინათ ტყვია.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხალხი კეტებით იყვნენ „შეიარაღებული" და სალანძღავ სიტყვებს ხმარობდნენ მოხელეთა მიმართ, მოხელეებს უფლება ეძლეოდათ სროლა აეტეხათ მათთვის.

5. თუ მაღაზიები დაკეტილი იქნებოდა, პოლიციას უფლება ჰქონდა თვითნებურად გაეღო მაღაზია და ეწარმოებინა ვაჭრობა.

6. საეჭვო პირების ჩხრეკა პოლიციას უნდა ეწარმოებინა მწუხრის ჟამს[3].

მართალია პოლიციურმა რეჟიმმა ერთგვარად შეანელა რევოლუციური მოძრაობა დეკემბრის ბოლოს მთელს ამიერ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 19, საქმე, 9, გვ. 5.

[2] იქვე, ფონდი. 19, საქმე 9, გვ. 6.

[3] იქვე, საქმე 2, გვ. 39

კავკასიაში, მაგრამ ხალხის რევოლუციური აღტყინება ვერ ჩაკლა.

ამხანაგმა სტალინმა სტატიაში—„ორი შეჯახება“, რომელიც 1906 წლის 7 იანვარს გამოქვეყნდა, ანალიზი გაუკეთა 1905 წლის 9 იანვრისა და დეკემბრის აჯანყებებს და მომავალი საბრძოლო პროგრამა დასახა.

რევოლუციის გამარჯვებისათვის, საჭირო ამოცანათა შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჯერ ერთი, ჩვენი ამოცანაა—დავაგვირგვინოთ უკვე დაწყებული საქმე—ერთი და განუყოფელი პარტიის შექმნა...

მეორე, ჩვენი ამოცანაა — პარტიას დავეხმაროთ შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში, აქტიურად ჩავერიოთ ამ წმინდა საქმეში და დაუღალავად ვიმუშაოთ მისთვის. ჩვენი ამოცანაა—ვამრავლოთ წითელი რაზმები, გავწვრთნათ და ერთმანეთზე გადავაჯაჭვოთ ისინი, ჩვენი ამოცანაა — იარაღით იარაღი შევიძინოთ, სახელმწიფო დაწესებულებათა მდებარეობა შევისწავლოთ, დავითვალოთ მტრის ძალები, შევისწავლოთ მისი სისუსტე — სიძლიერე და ამისდამიხედვით შევიმუშაოთ აჯანყების გეგმა. ჩვენი ამოცანაა—სისტემატურ აგიტაციას ვეწეოდეთ აჯანყების სასარგებლოდ არმიაში და სოფლად, მეტადრე იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქების ახლო მდებარეობენ, შევაიარაღოთ ამ სოფლების საიმედო ელემენტები და სხვ. და სხვ. ... .

მესამე, ჩვენი ამოცანაა—უკუვაგდოთ ყოველი რყევა, დავგმოთ ყოველგვარი გაურკვევლობა და ხელაღებით დავადგეთ შეტევის პოლიტიკას...

ერთი სიტყვით, მ ჰ ი დ რ ო პ ა რ ტ ი ა, პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი აჯანყება და შეტევის პოლიტიკა — აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ აჯანყების გამარჯვებისათვის“[1].

დიდი სტალინის ამ მითითებათა საფუძველზე მოქმედებდნენ გორელი ბოლშევიკები.

1906 წლის 30 იანვარს მეფის ნაცვლის სახელზე გაგზავ-

---

[1] ი ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 193—194.

ნილ მოხსენებაში გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელი ბაუერი წერდა: „ქალაქი გორი აღმოჩნდა ადგილობრივ რევოლუციონერთა გავლენის ქვეშ. მათ საკმაოდ დიდი ხანია ადგილობრივი მცხოვრებნი ემორჩილებიან. აქ ფულს აგროვებენ, რათა ორგანიზაცია უყონ სახალხო მილიციას, რომელიც მზათ უნდა იყოს რევოლუციური კომიტეტის სიგნალისთანავე თავს დაეცნენ გორში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებებს. პოლიციელებს იარაღი აჰყარეს რევოლუციონერებმა და ცდილობენ ჯარის განიარაღებასაც.

რევოლუციონერებმა გორში მოაწყეს ე. წ. რევოლუციური სასამართლო, რომელიც შედგებოდა რამდენიმე წევრისა და პროკურორისაგან. ბაუერი არ მალავს, რომ გორი საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცა“. ბაუერი ტრაბახობს, რომ მან მთელი რიგი ზომები მიიღო, გამოაცხადა საალყო მდგომარეობა, ცეცხლი აუნთო აჯანყებას[1].

მიუხედავად მთავრობის მხეცური რეპრესიებისა, 1906 წლის მთელ მანძილზე გორში ადგილი ჰქონდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს.

1906 წლის 22 ივნისს გორში დაიკეტა ყველა სახელოსნო, დაწესებულება და მაღაზია. ამავე დღეს ადგილი ჰქონდა გაფიცვებს ხაშურშიც. საკმარისია ითქვას, რომ ხაშურში მომხდარი გაფიცვის შედეგად არც ერთი მატარებელი არ გასულა ხაშურიდან.

ცოტა ამაზე უფრო ადრე, 1906 წლის 19 ივნისს სავაჭრო დაწესებულებებისა და რესტორანების მუშა-მოსამსახურეები გაიფიცნენ, მათ „ხაზეინებს“ წარუდგინეს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკმაყოფილებული იქნა[2].

8 ივლისს შიო ჩიტაძისა და ნიკოლოზ მამულაშვილის ვერაგული მკვლელობის გამო გორში საყოველთაო გაფიცვა

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 1, საქმე 121, გვ. 34—35.

[2] ი. ხუციშვილი, Гурийский уезд, გვ. 133.

დაიწყო. მაღაზიები დაიკეტა, მეეტლეებმა მოძრაობა შეწყვიტეს[1].

ძლიერი იყო გლეხთა მოძრაობა გორის მაზრის სოფლებშიც. მემამულეთა სახლკარის გადაწვა, ქონების გატაცება, ტერორი და სხვ. ეპოქის თანამგზავრი გახდა.

გაძლიერდა არალეგალური ბოლშევიკური მუშაობა. მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს თუ ბროშურებს კვლავ დიდი რაოდენობით ავრცელებდნენ. ასეთი მუშაობა გორის სათადარიგო პოლკის ოფიცრებსა თუ ჯარისკაცთა შორისაც მიმდინარეობდა.

1906 წლის 15 ოქტომბერს გორის სათადარიგო პოლკის უფროსი კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს მოახსენებდა, რომ მისდამი რწმუნებულ პოლკში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ავრცელებდნენ:

მეორე ასეულის ეფრეიტორი იუდა გოლდმანი და რიგითი ჯარისკაცი ბორის გოლდბლატი;

მესამე ასეულიდან—უმცროსი უნტერ-ოფიცერი სიმსონ გიგინეიშვილი;

მეხუთე ასეულიდან—ეფრეიტორი დავით კოგანი და რიგითი ჯარისკაცი ამჩისლავსკი;

მეექვსე ასეულიდან — უმცროსი უნტერ-ოფიცერი ტროფიმ ნაკონეჩნი;

მეშვიდე ასეულიდან — უმცროსი უნტერ-ოფიცერი ლევან ბოკერია.

სალდათმა ტარას პერესადამ აჩვენა, რომ აქ ჩამოთვლილ პირებს რაღაც საიდუმლო კონსულტაციას უწევს პოდპორუჩიკი მატეენკო[2].

გორის მაზრის უფროსი ატყობინებდა რა მის მიერ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ჩატარებულ მუშაობას, თბილისის გენერალ-გუბერნატორს მოახსენებდა: რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა. მოძრაო-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 1, საქმე 312, გვ. 66.

[2] იქვე, ფონდი 2, საქმე 427, გვ. 12.

ბან უჩვეულო ხასიათი მიიღო. მაზრა მთლიან ანარქიაშია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მხრივ ამ მაზრას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთში ტოლი არა ჰყავს... საგანგებო ხარჯებისა და სხვა ხასიათის ზომების მიღების მიუხედავად, რომელიც მთავრობამ გაიღო იმ ჯარების შესანახად და სხვადასხვა ჯაშუშ-აგენტებზე, არა თუ დაწყნარება მოჰყვა, არამედ მასიური და ინდივიდუალური გამოსვლები ყოველდღიურად იზრდებოდა[1].

1906 წლის ბოლოდან მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებანი დაიწყო. ამ ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ადგენდნენ მოხსენებით ბარათებს, ცნობებს, აქტებს, დაკითხვის მასალებს და სხვ. ყველა ამ მასალებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გორში 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სრული სურათის წარმოსადგენად. ამ მასალებიდან არკვევა არა მარტო ის, თუ ვინ იყო ასეთი მოძრაობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, არამედ ისიც, თუ რა ხასიათის მუშაობა მიმდინარეობდა გორში, რა ბროშურები და წიგნები ვრცელდებოდა, როგორი ხასიათის პროკლამაციები იბეჭდებოდა და სხვ. მაგრამ ასეთი ხასიათის დოკუმენტები ჯერ არავის გამოუყენებია.

1907 წლის 13 მაისის თარიღით შედგენილ ერთ-ერთ საბრალმდებლო აქტში საუბარია რსდმპ გორის ჯგუფის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ 1906 წლის 13 ნოემბერს ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის როტმისტრმა ლამიაშვილმა აწარმოა აზნაურ მარიამ მიხეილის ასულ გულიშამბაროვის ბინის გაჩხრეკა. გაჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა: ბალიშის ქვეშ—რსდმპ გორის კომიტეტის 9 ცალი ბეჭედი ხის ტარით, მეტალის ყუთში ჩასმული იისფერი საღებავით გაჟღენთილი ბალიში; ტანსაცმელის კარადაში დაკიდებულ პალტოს სახელოში იპოვეს ქვითრების ორი შეკვრა, რომელიც გამიზნული იყო კომიტეტის საჭიროებისათვის ფულის შესაგროვებლად. აქვე იყო ქართულ ენაზე შედგენილი კონსპირატიული მიწერ-მოწერა... მსგავსი წერი-

[1] ი. ხუციშვილი, Горийский уезд, გვ. 135—136.

ლები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე აღმოჩნდა სკივრში; კარადის უჯრაში—ხუთი წერილი, ხოლო კაბინეტში, საწერ მაგიდაზე ელაგა სხვადასხვა ხასიათის 99 რუსული და 4 ქართულ ენაზე შედგენილი ბროშურა.

ამ ბინის ერთ-ერთი ოთახის ღუმელში აღმოჩნდა არალეგალური შინაარსის რამდენიმე მოწოდება.

ჩხრეკის დროს ამ სახლში იყო უცნობი პირი, რომელიც თავის თავს ასაღებდა ილია დავითის ძე ბარბაქაძედ.

გულიშამბაროვს ჩამოერთვა: 1) ქართულ ენაზე დაბეჭდილი ანგარიში 8 ცალად. ამ ანგარიშს ასეთი დასათაურება ჰქონდა: „ქართლის ანგარიში 1905 წლის მაისისა“. ამ ანგარიშის ბოლოს დასმული იყო ბეჭედი, რომლის წარწერა ასე იკითხებოდა: „რსდმპ გორის ჯგუფი“, ხოლო ამის ქვემოთ — „რსდმპ თბილისის კომიტეტი. თბილისის კომიტეტის სტამბა“.

ამ ანგარიშში შემოსავალი და გასავალი ასეა აღნიშნული — „სტრელა“, „№ 153“, „კლდე“, „მელანი“, „გუთანი“ და სხვ.

2) გორის კომიტეტის ანგარიში ხუთ ცალად 1906 წლის 24 აგვისტოს თარიღით. ამ ანგარიშს ასეთი სათაური აქვს: „გორის ანგარიში 1905 წლის დეკემბრიდან 1906 წლის 31 ივლისამდე“. ეს ანგარიში დაბეჭდილი იყო გორის კომიტეტის სტამბაში.

შემოსავალი აქაც აღნიშნულია ფსევდონიმებით, ხოლო დანახარჯები პირდაპირ არის აღნიშნული: ტექნიკური — 297 მ. 15 კაპიკი, საორგანიზაციო 396 მ. 49 კ. გადასახლებულებს 71 მ. და ა. შ.

3) ჰექტოგრაფზე შესრულებულ სამუშაოთა დანახარჯი თანხის ანგარიში ერთ ცალად, რომელსაც არა აქვს ჩვენება როდის დაიხარჯა და ვისგან შემოვიდა. ანგარიშზე დასმულია იისფერი ბეჭედი — რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, სადაც ამოკვეთილია პირველი ასოები „რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი“.

4) რსდმპ მოწოდება დათარიღებული 1906 წლის 19 ივნისით — 26 ცალად. თითოეულზე დასმული იყო ბეჭედი „რსდმპ თბილისის კომიტეტის გორის რაიონული ჯგუფი“.

ამ მოწოდებაში ნათქვამია: „ამხანაგებო! თავისუფლებისათვის ბრძოლის გასაადვილებლად ნუ დაიშურებთ საკუთარ წვლილს და შესწირეთ გორის ორგანიზაციას“.

ზოგიერთ ამ მოწოდებას ქართულად ასეთი შენიშვნები აქვს გაკეთებული: „მედუქნეებს“, „პურისმცხობლებს“, „მეურმეებს“ და ა. შ.

5) იმავე პარტიის გორის ჯგუფის საქვითრე წიგნაკი 36 ფურცლით, რომლიდანაც ჩანს, რომ 1905 წლის 29 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე შეუკრებიათ ფული 20 კაცისაგან 2 200 მანეთი;

6) ასეთივე წიგნაკი, შევსებული ქართულ ენაზე, 1906 წ. 20 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე შეკრებილი ფულისა. ქვითრის ყუაზე აღნიშნულია: „მედუქნეებისაგან“, „ხუროებისაგან“, „ხარაზებისაგან“ და სხვ. თითოეულ ფურცელზე დასმულია ბეჭედი წარწერით „რსდმპ თ. კ. გორის რაიონული ჯგუფი“;

7) ფულადი სახსრების შემოსავალ-გასავლის ანგარიშები 12 ცალად, შედგენილი ქართულ ენაზე. ანგარიშის ნაწილი მოცემულია ცალკე ფურცლებზე, ხოლო ნაწილი აკინძულია რვეულებში. როგორც ჩანს, ეს ანგარიშები იწერებოდა სხვადასხვა პირებისაგან. ანგარიშებზე გაკეთებულია აღნიშვნები: „დურგალ ვასოს დამზადებულზე 11 მ“, „ილიკო მურადოვისაგან ვალი 150 მან.“, „დურგალ ვასოსაგან 20 მან“., „ილიკო მურადოვისაგან 50 მან.· კიდევ მისგან 50 მან“., მედუქნეების, მხერხავების, ხუროების, ნოქრების, მჭედლების ბლანკით ილიამ მიიღო 23 ივლისს 53 მ. 50 კ.“. „შოშიაშვილის საქმეზე რაზმელებს და ტერორისტებს ხიდისთავში“, „პორფილეს შესანახად 10 მან. მე და პორფილემ დავხარჯეთ 3 მან. პროპაგანდისტ პეტრეს 3 მ... ვარვარა მურადოვას ავადმყოფობაზე დაიხარჯა 20 მ. მუჩაიძეს მივეცი 200 მან. 31 ოქტომბერს პროპაგანდისტებთან დუქანში დაიხარჯა 3 მან. ზეტერიძეს პორფილესათვის გადასაცემად 70 მან. ტექნიკისათვის 200 მან... კეცხოველს გაეგზავნა 30 მან... მაშო კაპანაძისაგან 13 მ. ვასო მუჩაიძისაგან ვ. მ. ჰექტოგრაფს 8 მან. და 80 კ. პორფილეს პალტოს სასყიდლად 15 მან., მილიციონერებს 5 მან...

ბიუროს მოსაწყობად 13 მ. 8 კ. პროპაგანდისტ ვარდანიანცს 25 მ., ვასოს ციხისათვის 5 მ... პორფილეს 5 მ., მილიციონერებს ორი ქუდი, მათვე 6 მან. პორფილესათვის 3 მ. დურგალ ვასოს 1 მ. ვასილ დურგალს 20 მ... ვასო მუჩაიძისაგან 162 მ... შიხინაშვილისაგან ავიღე 600 მ. პორფილეს ხელფასი 17 მ... მაშოს მივეცით 13 მ. დაპატიმრებულ სალდათებს 2 მან. მატროსებს 10 მან... იმავე 2 მან. 50 კაპ. 60 ახალი ტყვიები 3 მან. 22 პატრონტაშზე 7 მან. 20 კაპ.

დურგალ ვასოს ტყვიებზე 7 მან. 70 კაპ. პორფილეს თბილისში 10 მან. 20 კაპ. ხანჯალი და ტყვიები 14 მან. დურგალ ვასოს 40 მან. და ა. შ.

8) 1905 წლის ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბრის ნახევარში გორის ორგანიზაციის მიერ დაბეჭდილი ანგარიშები ოთხ ცალად. დაბეჭდილი ანგარიშის მეორე გვერდზე მოთავსებული იყო ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დეკემბრის ბოლომდე წარმოებული შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

9) ხელნაწერი ანგარიში, აღნიშვნით: „სოსო დალაქის ანგარიში ივლისისა და აგვისტოსი“. შემოსავლის თანხები აღნიშნულია ასე: „ქაფქირისაგან 1 მან. კალათისაგან 1 მ. 48 კ., ხუროებისაგან, მჭედლებისაგან, ნოქრებისაგან და ა. შ. ეს ხელნაწერი ანგარიში შეკერილია 8 ფურცლისაგან, ხუთ ამათგანზე დასმულია რსდმპ გორის კომიტეტის ბეჭედი. მეშვიდე და მერვე ფურცლები წარმოადგენენ ბლანკებს, რომელთა სათაურია: „კავკასიის მუშათა ორგანიზაციის ცენტრალური სამხედრო ტექნიკური კომისია“.

10) ოთხი ხელმოსაწერი ფურცელი „გორელ გადასახლებულთა“ სასარგებლოდ ფულის შესაგროებლად. სადაც ნაჩვენებია სახელი, იმ კაცისა, ვინც ფული შესწირა ამ საქმეს.

11) წერილი ქართულ ენაზე, ხელმოწერით „დათიკო გულ“ „ძმა სოსოს“ სახელზე 1906 წ. 26 აგვისტოს თარიღით. წერილის ავტორი თხოვს სოსოს არ გაჯავრდეს ფულის გადაუხდელობის გამო და „ამხანაგობის“ პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ ერთი თვის ვადაში გადაიხდის.

12) ხელნაწერი დასათაურებულია: „პროპაგანდისტებისა

და ორგანიზატორების კრების დადგენილება, 3 ნოემბერი და ორ წრედ არის გაყოფილი. ერთზე მოთავსებულია გადაწყვეტილი საკითხები, მეორეზე რეზოლუციები; ასე მაგ., კითხვაზე „როგორ მოვაწყოთ ორგანიზაცია სოფლებში“ სწერია — „ჯერჯერობით ძველი სისტემა დავტოვოთ; შეძლებისდაგვარად ჩავაბათ ამ ორგანიზაციებში პროლეტარული იდეებით შეგნებული გლეხები“.

საკითხზე — „სალარო“ პასუხია — „ფულის შეგროვება მოხდეს სულზე (მუშები 20—50 წლამდე) 5 კაპ., სიებში, ორგანიზაციის მოწყობამდე ჩაიწეროს სახელი და გვარი, რაიონული ორგანიზაცია ავტონომიურია, ადგილობრივ ხარჯვაში დამოკიდებულია ცენტრალური ორგანიზაციისაგან“. საკითხზე მიემხრონ თუ არა უკანასკნელ კონფერენციის დადგენილებას სალდათების შესახებ“ პასუხი ასეთია: „ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდოს ქართლის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევამდე“. საკითხზე „ტექნიკის შესახებ“ წერია: „ეს დაევალოს ბიუროს. ტექნიკით რაიონების მომარაგება დაევალოს პროპაგანდისტს და რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კოპტაციებს“. საკითხზე „როგორ შევხედოთ ტერორს“ ვკითხულობთ: „დროისა და მდგომარეობის შესაფერისად“. საკითხზე „მოვითხოვოთ თუ არა მთავრობისაგან შავი რაზმების განიარაღება, თუ თვითონ ჩვენ განვაიარაღოთ“, ასეთი პასუხია: „საკითხი რჩება გადაუწყვეტელი, დაევალოს ყველას პირობების შესაფერისად მოექცნენ შავრაზმების წევრებს, გავლენიანი პირების საშუალებით იარაღი გადასცენ ხალხს“. და ასე შემდეგ.

13) ხელნაწერი სათაურით: „დადგენილება“, ასეთი შინაარსისაა: „იმის გამო, რომ ამჟამად აუცილებელია შეიარაღება თავდასხმისა და მკვლელობისაგან თავდასაცავად, რომელიც მოსალოდნელია, როგორც პოლიციის, ისე პოლიციის მიერ მოწყობილ ხულიგანთა ორგანიზაციისაგან (ხშირად ისინი მოჰყავთ სხვა ადგილებიდან იმ ადგილებში, სადაც ისინი არ არიან), ხოლო იარაღისათვის საჭიროა ფული და მილიციის შენახვა. ამიტომ რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის

გორის რაიონულმა ჯგუფმა მოიწვია ასეულისთავები და ათეულისთავები, აგრეთვე სხვა პირებიც, რომელთაც ევალებოდათ გამოეძებნათ საშუალებანი და სახსრები იარაღის შესაძენათა და მილიციელების შესანახად. კრებამ დაადგინა: მოსახლეობის მდგომარეობის მიხედვით მოხდეს ერთდროული შესატანის გაწერა, კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ თუ ვინიცობაა ვინმე იქნება ამის წინააღმდეგი, მაშინ მას გამოეცხადოს ბოიკოტი". აქვე ნაჩვენები იყო 66 გვარი გორის მცხოვრებთა და მემამულეთა, რომლებსაც შეწერილი ჰქონდათ 100 — 300 მანეთამდე. ზოგზე გაკეთებული იყო აღნიშვნა, რომ მან უკვე შეიტანა ფული.

14) წერილი მისამართზე „გორში მცხოვრებ გაბო მაჩაბელს", ამ წერილის შინაარსი ასეთია: „სოციალფედერალისტთა გორის რევოლუციური პარტია გთხოვთ გადაიხადოთ აღნიშნული პარტიის სასარგებლოდ 20 მან. დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში მებრძოლი რაზმი მიიღებს თქვენს წინააღმდეგ თავის რევოლუციურ ზომებს.

ამ წერილზე დასმული იყო ბეჭედი „სოც-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის გორის კომიტეტი".

15) რვეული, სადაც ეწერა მოწოდება გლეხებისადმი „ძვირფას მებრძოლ — ამხანაგ ნინო მინდიაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით". ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო „სისხლით გაუმაძღარ მთავრობას თავისი კაზაკებითა და სტრაჟნიკებით" უბედურება მოაქვს ხალხისათვის.

16) წერილი მისამართით — „ამხანაგებს". წერილში ნათქვამი იყო, რომ ეგზავნებათ წერილთან ერთად წესი არჩევნების შესახებ და სხვათაშორის წერილის ავტორი უმატებდა: „იცოდეთ, რომ მთავრობა ყველა ზომებს მიიღებს, რომ ჩვენები არ გაუშვას სახელმწიფო სათათბიროში, ამიტომ აუცილებელია მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ჩვენ გამოვიდეთ გამარჯვებული... ეცადეთ ახლავე დაიწყოთ აგიტაცია ხალხში".

17) ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ბლანკები ფულის შესაგროვებლად; ბლანკების სათაური იყო „სალარო № 76 სასარ-

გებლოდ" რსდმპ თბილისის კომიტეტის გორის რაიონული ჯგუფის ბეჭედით.

18) სპილენძის ცხრა ბეჭედი, რომლებიც ასეთ ანაბეჭდებს იძლეოდნენ: 1) რუს. სოც. დემ. მუშ. პარტ. გორის კომიტეტი (ეს ტექსტი მეორდებოდა ქართულ და რუსულ ენაზე); 2) „ქართლის ცენტრალური გლეხთა კავშირი", 3) „ქართლის გლეხთა კავშირის დემოკრატიული ორგანიზაციის მეჯვრისხევის რაიონი"; 4) ქართლის გლეხთა კავშირის დემოკრატიული ორგანიზაციის ატოცის რაიონი, 5) „ცხინვალის რაიონი", 6) „ქარელის რაიონი", 7) „გორის რაიონი", 8) „ახალქალაქის რაიონი", 9) „ატენის რაიონი".

19) ბალიში იისფერ საღებავში გაჟღენთილი ბეჭდებისათვის.

20) ერთი ცალი მოწოდება რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ვოლოგოდსკის ჯგუფისა, რომელიც მოუწოდებს „ამხანაგებს" მოაწყონ სექტემბერში ვოლოგოდსკის ჯგუფის პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია ვოლოგოდსკის საოლქო ორგანიზაციის მოწყობის მიზნით, რომელსაც უკვე აქვს „დროებითი ბიურო" ცენტრით ქალაქ ვოლოგოდში.

21) ალექსანდრე კეცხოველის წერილი მარიამ გულიშამბაროვისადმი, ამ წერილში ავტორი აცნობებს „ამხანაგების" შესახებ, გამოსთქვამს რწმენას, რომ „ამხანაგი მაშო" იქნება ერთი საუკეთესო პარტიულ მუშაკთაგანი; შემდეგ ეხება რა ვიღაცის ცდას, გადასახლებიდან დაბრუნების შესახებ, იგი წერს: „მე არა ვარ პატიების თანახმა. როგორ? იქ, სადაც ბოლო არ უჩანს გულთან ახლო მყოფ ადამიანთა დახვრეტას, ჩამოხრჩობას, მკვლელობას, ჩემს განთავისუფლებაზე წვალობენ?... დღეს თუ არა ხვალ დარეკს თავისუფლების საათი და მაშინ სახეში შევაფურთხებთ მას, ვინც მტარვალია მრავალ ტანჯული ხალხისა".

22) დაწერილი ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც 11 პუნქტია ჩამოთვლილი, ჩანს რომელიღაც კრებაზე განსახილველი. მათ შორის ყურადღებას იპყრობს: 1. „რაიონული ორგანიზაციების მოხსენება", „III სალარო, მისი დებულება", „VI პროპაგანდისტთა ძალების განაწილება", „VII ჩამოვაყალიბოთ

ტერორისტთა ჯგუფი", „XI — პატიმრებისათვის დახმარების აღმოჩენა".

23) უცნობი ავტორის წერილი ვიღაც სოფიო ოსიპოვის ასულთან, წერილის ავტორი თხოვს ადრესატს ურჩიოს როგორ მოიქცეს რაღაც წერილის შესახებ და ამბობს: „თვითონ არ შემიძლიან მოვიდე, რადგან მე კრება უნდა მჭონდეს კაზაკებისა".

24) ფანქრით დაწერილი წერილი უცნობი ადრესატისადმი, სადაც ნათქვამია: „პაპიროსი გაიყავით, გაზეთი წაიკითხეთ, ჰკუაზე იყავით, წმიდა თავისუფლება მოიპოვეთ. მარტო სალდათად კი ნუ რჩებით, იყავით ადამიანი, რუსი ადამიანი, რომელიც ადამიანებს არ ჰკლავს, თავის ძმას ყელს არ ჭრის".

25) ბროშურა ერთი ეგზემპლარი — „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, მიღებული პარტიის მეორე ყრილობის მიერ".

26) ქართული ხელნაწერი ორი ბეჭედით, — ერთი რუსულ ენაზე — „რუს. სოც. დემ. მუშ. პარტ. კავკასიის ორგანიზაციის ბიურო", მეორე ქართულ ენაზე — „რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის ქართლის ორგანიზაციის ხაშურის რაიონი".

ეს ხელნაწერი წარმოადგენს რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის კავკასიის მუშათა ორგანიზაციის მოწოდებას მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ, ხელისუფლების დაპყრობისაკენ. „პროლეტარიატი საფრთხეშია, — ამბობს ამ მოწოდების ავტორი, — კონტრრევოლუციამ თავი წამოყო, და ემზადება გადამწყვეტი შეტევისათვის. კონტრრევოლუცია შექმნილია კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციისა და ოფიცრობის მიერ, ამიტომ მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას უმკაცრესი ტერორი, უნდა გამოვიყენოთ დაუყოვნებლივ და გავაფართოვოთ ის ფართო შეიარაღებულ გამოსვლამდე, რათა მთავრობის დაწესებულებები—ხაზინა, ბანკები, არსენალი ხელთ ვიგდოთ". შემდეგ ავტორი იგონებს „თბილისის საგაფიცვო ბიუროს" შესახებ, ისწრაფეთ რკინიგზების ხელთგდებისათვის, გააფუჭეთ გზები, ხიდები, შენობები. ხელნაწერზე აღნიშნულია 1905 წლის 16 დეკემბერი

და ხელმოწერის მაგიერ აღნიშნულია: „რსდმპ კავკასიის მუშათა ორგანიზაციის ბიურო".

27 და 28 მუხლები საინტერესო არ არის.

29 მუხლში ნათქვამია: „ხელნაწერი სათაურით „სალდათების მოთხოვნები". ეს ხელნაწერი იწყება შემდეგი სიტყვებით: „მთელი პოლკის სახელით ჩვენ ვუყენებთ უფროსებს შემდეგ მოთხოვნებს": ამ მოთხოვნილებათა ზოგიერთი მუხლია დასახელებული ჩვენს დოკუმენტში: „5) მოვითხოვთ, რომ მორიგეობა ყარაულიდან დაბრუნებულ-დაღლილი განთავისუფლდეს მეცადინეობიდან, 6) მოვითხოვთ, რომ ჩვენს პოლკში შეიცვალოს ადამიანთა ჩამოხრჩობა". ეს ხელნაწერი თავდება ამ სიტყვებით: „გთხოვთ ყველა ეს მოთხოვნები გაშინჯოთ და დააკმაყოფილოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალათ მივაღწევთ მიზანს".

30) რუსეთის სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ვოლოგოდის ჯგუფის მანქანაზე გადაბეჭდილი მოწოდება სალდათებისადმი, შეიარაღებული აჯანყებისაკენ და მზათ იყავით „საჭირო წუთებისათვის", გამოსვლა არა სახელმწიფო სათათბიროს დაპყრობისათვის, არამედ დამფუძნებელი კრებისათვის. „უთხარით გლეხებს, რომ ნუ გადაუხდიან გადასახადებს და ნუ მისცემენ რეკრუტებს (ახალწვეულებს), სანამ არ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება... მხოლოთ მუშების, გლეხებისა და სალდათების შეიარაღებული ხელით მივაღწევთ დამფუძნებელ კრებას... შეიარაღდით თითონ, შეადგინეთ გლეხებისაგან შეიარაღებული რაზმები, ასწავლეთ მათ იარაღის ხმარება, დაამყარეთ ახლავე ურთიერთობა მუშებთან, რომლებიც შეიკრიბნენ რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის დროშის ქვეშ, რათა ერთად იბრძოლონ მიწისათვის, თავისუფლებისათვის...

31) ერთი ცალი გაზეთი „სოლდატსკაია მისლი" № 3, 1906 წ. 12 ივლისისა (რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის მოსკოვის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის ორგანო). გაზეთში მოთავსებულია ისეთი სტატიები, რომლებიც მოუწოდებენ სალდათებს — არ დაემორჩილონ უფროსებს და აჯანყდნენ იმ ოფიცრების წინააღმდეგ, რომლებიც მკაცრად ეპყრობიან.

32) რსდმ პარტიის სალდათთა კავშირის მოწოდება

კაზაკებისადმი, რომელიც მოუწოდებს შეერთებული. ძალით ვიბრძოლოთ ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

33) რუსი და კავკასიის სოციალ-დემოკრატების მოწოდება სალდათებისადმი ერთ ცალად — არ დაემორჩილონ უფროსებს, არ შეასრულონ მათი ბრძანება, იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა გზავნის მათ არა გარეშე მტერთან საბრძოლველად, არამედ საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობის დასახვრეტად.

34) რსდმპ თბილისის კომიტეტის მოწოდება სალდათებისადმი. ამ მოწოდებაში ნათქვამია, რომ სალდათებმა უნდა წარუდგინონ მოთხოვნები პირობების გასაუმჯობესებლად; შეხედეთ მუშებს, ცუდათ ცხოვრობდნენ წინად, ეხლა ისინი გაერთიანდნენ და მიაღწიეს ხელფასის გადიდებას, უკეთეს მოპყრობას, მაშინ როცა მათ არ ჰქონდათ არც ხიშტები, არც იარაღი, ხოლო თქვენ კი ყველაფერი ეს გაქვთ, მაშ რისაღა უნდა გეშინოდეთ".

ამის გარდა, გულიშამბაროვს ჩამოერთვა სხვადასხვა დასახელების 99 ბროშურა, სადაც მოცემულია თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკა სოციალ-დემოკრატიული თეორიის თვალსაზრისით.

იგივე დოკუმენტი გვამცნობს: 1906 წლის 29 ნოემბერს სოფელ სკრის მახლობლად, ფრიდონოვის ბაღთან პოლიციის მცველთა უფროსმა სტრაჟნიკმა ფალავანდიშვილმა დააკავა უცნობი ახალგაზრდა „პროპაგანდისტი პეტრეს" სახელით ცნობილი. იგი თავის თავს უწოდებდა სილიბისტრო გიორგის ძე ბახტაძეს. პირადი გაჩხრეკის დროს ჯიბეებში პასპორტისა და მეტრიკული ამონაწერის გარდა აღმოაჩნდა წერილი და ჩანაწერების წიგნაკი, სადაც ჩაწერილი იყო შენიშვნები, რომლითაც ჩანს, რომ ბახტაძე ყოფილა რსდმ პარტიის გორის კომიტეტის წევრი. იმ პარტიის წევრი, რომელიც ცდილობს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას.

ბახტაძის დოკუმენტებში აღმოჩნდა: 1) საფოსტო ქაღალდის ნახევარი ფურცელი ქართული ტექსტით, სხვადასხვა შენიშვნებისა და გვარების აღნიშვნით: „ლაზარე მურაშვილი, სიკო ხატიაშვილი, ზურაბ მახარაძე და სხვ. 2) სია იმ პირე-

ბისა, რომელთაც იარაღი და სხვ. მასალა აქვთ. ასე მაგალითად: დიბრას „ერთი ბერდანკა, 30 ცალი ტყვია, ჩხიკვიშვილს — 29 ცალი ტყვია, იორდან მამალაძე (პროტესტი), თედო ვაშაკიძე — 30; ივანე დოლიძეს — 28. და სხვ. ჩამოთვლილია სულ 13 გვარი.

აქვეა სოფლები ჩამოთვლილი, სად რა იარაღია, ვინ რამდენი ფული შეიტანა და სხვ. მაგ., „სკრაში იაკობ აისორი — ბერდანკა, სანადირო თოფი, 12 რევოლვერი.

ამის შემდეგ, ამ აქტში ნათქვამია, რომ გულიშამბაროვის სახლში აღმოჩენილი მასალები განვიხილეთო და დავადგინეთ საქმის ნამდვილი სურათი. ასე მაგ., „დაკითხულ პირთა მოწმე (სიმონ ზაზუნოვი, ხარატაშვილი, ალიხანიშვილი, ბაიანდუროვი, პეტროსოვი, კუზანოვი, რომანოვი და სხვ.) ჩვენებით დადასტურდა, რომ ქ. გორის მცხოვრებთაგან 1905 წელს ბევრი მიემხრო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას, რომლის წევრები თავიანთი იდეების პროპაგანდას ეწევოდნენ როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ისინი მართავდნენ კრებებს, კრებებზე გამოდიოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით, ხოლო ერთ კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომ შეეგროვებინათ ფული და 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოეწყოთ შეიარაღებული გამოსვლა“.

ვინმე შიხანოვმა აჩვენა, რომ „ის ერთხელ წაიყვანეს ქალაქ გარეთ მოწყობილ კრებაზე, სადაც გულიშამბაროვი საჯაროდ ამბობდა, რომ ხალხი უნდა შევაიარაღოთ მთავრობასთან საბრძოლველად და რესპუბლიკის დასამყარებლადო“. ამავე ხასიათისა იყო პორფილე ეფრემიძის სიტყვაც[1].

მსგავსი დოკუმენტები სხვაც მოიპოვება. როგორც ვხედავთ, გორი რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო საქართველოში. გორსა და გორის მაზრაში რევოლუციური გამოსვლები განირჩეოდა არა მარტო მასობრივობით, არამედ ორგანიზებულობითაც. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ბოლშევიკური გავლენა აქ დიდი იყო. ამხანაგი სტალინი

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 27, საქმე 1213, გვ. 1—18.

თავის მუშაობის ყურადღების ცენტრში აქცევდა გორსა და გორის მაზრას.

1907 წლის 3 ივნისის გადატრიალების შემდეგ დაიწყო სტოლიპინის შავბნელი რეაქცია.

მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა გორელ რევოლუციონერებს. გორის საპყრობილე ხალხს ვერ იტევდა. გორელი რევოლუციონერები გააციმბირეს, მაგრამ ერთხელ ანთებული ცეცხლის საბოლოო ჩაქრობა ცარიზმმა მაინც ვერ შეძლო.

ბოლშევიკური პროპაგანდის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ის მასებს უნერგავდა რწმენას რევოლუციის გარდაუვალობისა და ცარიზმის დამხობის აუცილებლობის შესახებ. ბოლშევიკების საბრძოლო ლოზუნგები—„დემოკრატიული რესპუბლიკა“, „8 საათიანი სამუშაო დღე“, „მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაცია“ და სხვ., კვლავ სამოქმედო პროგრამად რჩებოდა.

ქართველ ბოლშევიკებს რეაქციის წლებში, ისე როგორც მანამდე, ერთი წუთითაც არ მიუტოვებიათ გორი, გორში თავისებური, პირობისა და დროს შესაფერისი რევოლუციური მუშაობა არ შეწყვეტილა. ამ მხრივ საინტერესოა 1908 წლის 23 მაისს გორის პრისტავის მიერ შედგენილი დასკვნა რსდმპ გორის ორგანიზაციის კუთვნილი არალეგალური მიმოწერისა და ლიტერატურის აღმოჩენის შესახებ.

აქ ნათქვამია, რომ გორის პრისტავმა გოვოროვმა ხელოსან ნიკოლოზ გაბრიელის ძე დემეტრაშვილის სახელოსნოში (ქალაქ გორში) აღმოაჩინა ქართული შრიფტი 1—2 გირვანქა, 64 ცალი პროკლამაცია ქართულ ენაზე, რამდენიმე ცალი ტყვია და მასრა; ყუთში ინახებოდა ორი მოწმობა (ერთი ქართულ ენაზე, ხოლო მეორე რუსულ ენაზე) გაცემული რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამის წარმომდგენი არის გორის ორგანიზაციის წევრი, აქვე იყო რამდენიმე წიგნი და გაზეთის ამონაჭერი არალეგალური შინაარსისა. სახელოსნოში აღმოჩენილი იქნა ქართული ხელნაწერი ლექსი მიძღვნილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს გრიაზნოვის მკვლელის არსენა ჯორჯია-

შვილისადმი; მოწმობა „იოსების“ სახელზე—გაცემული გორის ორგანიზაციის მიერ, რომლის შინაარსი ასეთია: „გორის ორგანიზაცია აძლევს რა ამ მოწმობას ამხანაგ „იოსებს“, წინადადებას აძლევს სხვა ქალაქებისა და რაიონების ამხანაგებს, რათა ნდობით მოეპყრან მას, და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება, რადგან იგი არის უძველესი, დამსახურებული მუშაკი ჩვენი ორგანიზაციისა“.

სხვა მასალათა შორის აქვე აღმოაჩინეს 1907 წლის 26 მაისით დათარიღებული პროკლამაცია სათაურით—„ამხანაგებო“. „რა მშვენიერი იყო ის დრო,—ვკითხულობთ პროკლამაციაში,—როცა მთელს რუსეთთან ერთად ჩვენს პატარა გორსაც საზეიმო სახე ჰქონდა“. ეს პროკლამაცია თავდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას, გაუმარჯოს პოლიტიკურ ბრძოლას, გაუმარჯოს ჩვენს მიზანს—დემოკრატიულ რესპუბლიკას“:

ორი პროკლამაცია, დაწერილი ქართულ ენაზე, იწყებოდა ასეთი სიტყვებით: „გამათავისუფლებელი მოძრაობის ძლავრმა ქარიშხალმა საბოლოოდ შეარყია თვითმპყრობელობის საფუძველი და თანდათან ცდილობს მის საბოლოოდ მოსპობას“. აქვე იყო რსდმპ გორის კომიტეტის მიერ 1907 წლის 3 ივნისს გამოშვებული პროკლამაცია—„ამხანაგებო“ 500 ცალის რაოდენობით.

აღმოჩენილ მასალათა შორის იყო რსდმპ პროგრამა, მიღებული პარტიის მეორე ყრილობის მიერ. ბროშურები „სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრება“, „ჩვენი მოთხოვნილებანი“, „ოთხი ძმა“, „შავი პატრიოტები“, „განთიადი“ და სხვ. აქ ჩამოთვლილი ბროშურები მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისა იყო და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. ასე, მაგალითად, ბროშურაში—„სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრება“ ნათქვამი იყო: „და ასე მოვემზადოთ იარაღით ხელში საბრძოლველად, შევაიაროთ მთელი ხალხი. ჩვენ შეგნებულმა მუშებმა არ უნდა დავიეწყოთ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა ვაწარმოოთ აგიტაცია რევოლუციის მოსაწყობად და თვითმპყრობელობის დასამხობად, საყოველთაო-სახალხო, პირდაპირი, თანასწორი

და ფარული არჩევნების უფლების მოსაპოებლად და ა. შ.“. მეორე ბროშურა მოითხოვდა არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას და სხვ.[1].

როგორც ვხედავთ, მთავრობის საწინააღმდეგო ბროშურები, პროკლამაციები, ლოზუნგები გორსა და გორის მაზრაში 1907 წელში კვლავ ვრცელდებოდა, ცარიზმის სუსხიან ხელს არ შეეძლო ბოლშევიკების მტკიცე ნებისყოფა გაეტეხა.

1908 წ. 29 სექტემბერს რსდმპ გორის ცენტრალურმა ორგანიზაციამ შემდეგი შინაარსის პროკლამაცია გაავრცელა:

„რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტია. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დადგა შესანიშნავი დრო! მთელი აღმოსავლეთი მოიცვა რევოლუციის ალმა, რომელმაც გაანათა მთელი ქვეყანა, როგორც ამომავალმა მზემ. რევოლუცია სპარსეთში, რევოლუცია თურქეთში! ორივე ქვეყნის მშრომელები, ათასეული წლობით დაბეჩავებულნი მწყობრად გამოვიდნენ ბრძოლის ველზე. მათმა მედგარმა, გმირულმა ბრძოლამ საფუძვლიანად შეარყია და საბოლოოდ დაანგრია აღმოსავლეთის დესპოტების შაჰისა და სულთანის ტახტი“.

შემდეგ ნათქვამია, რომ თურქი ხალხი გამარჯვებას ზეიმობს, სპარსელები ბარიკადებს აგებენ და ისინიც მალე იდღესასწაულებენ გამარჯვებას, მაგრამ რა ხდება რუსეთში, „რა მდგომარეობაშია რუსეთის რევოლუცია? ის რევოლუცია, რომელმაც პირველმა დაარღვია კაცობრიობის წყვდიადი. ის რევოლუცია, რომელიც ევროპის რევოლუციების შემდეგ, პირველი გახდა მაგალითის მიმცემი ყველა აღმოსავლეთის ხალხებისათვის რევოლუციური იდეების გავრცელების საქმეში. მეთვრამეტე საუკუნე წარმოადგენდა რევოლუციების ეპოქას დასავლეთში, მეოცე საუკუნე წარმოადგენს რევოლუციების ეპოქას აღმოსავლეთში, რომლის პირველი ზარი ჩამოკრა რუსეთმა, ხოლო მას მიჰყვა სპარსეთი და თურქეთი. მალე ჩინეთიც შეუერთდება თავისი ოთხასი მილიონიანი მოსახლეობით. და აი, ამხანაგებო, ამ სახელოვან

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 24, საქმე 102, გვ. 10—14.

რევოლუციას ახლა თითქმის სძინავს, მისი ადგილი დაიკავა რუსეთის შავმა რეაქციამ". პროკლამაციაში ახსნილია ამის მიზეზი. მიზეზი ის არის, რომ ჩვენი მშრომელი მოსახლეობა მოუმზადებელი იყოო. მაშასადამე „მოემზადეთ პოლიტიკურად ამხანაგებო, შეიტანეთ შეგნებულობა ჩამორჩენილ ამხანაგებში, გაავრცელეთ რევოლუციური იდეები ჯარში, აი ჩვენი ახლანდელი ტაქტიკა, აი დღის საკითხი".

„მიაქციეთ ამხანაგებო მთავარი ყურადღება ამას, რათა უფრო მომზადებული, ერთიან პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩამდგარი, გავუმართოთ უკანასკნელი ბრძოლა რეაქციის ბურჯს — დავამხოთ ის საბოლოოდ და მის ადგილზე აღვმართოთ რესპუბლიკის წითელი დროშა, რომელიც მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას სათავეში ჩავუდგეთ სახელმწიფოებრივ მართვის საქმეს და ამით მოვამზადოთ ნიადაგი კაცობრიობის მთავარი მიზნის—სოციალიზმის განსახორციელებლად. აი იქ და მხოლოდ იქ დავყრით ჩვენ საბრძოლო იარაღს და „წმიდა შრომის დროშის" ქვეშ დავიწყებთ კულტურულ ცხოვრებას. და ასე, ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი საბედისწერო ბრძოლისათვის და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით:

ძირს რეაქცია!

გაუმარჯოს რევოლუციას! ძირს სასოწარკვეთილება! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ქვემოთ ეწერა რსდმპ გორის ცენტრალური ორგანიზაცია, გორის ცენტრალური ორგანიზაციის სტამბა; დაიბეჭდა 2 000 ეგზემპლარი[1].

ბოლშევიკები მოხერხებულად იყენებდნენ ლეგალურ ორგანიზაციებს. 1908 წელს გორის ნოქართა პროფკავშირის ბიურომ გაავრცელა სპეციალური პროკლამაცია, სადაც ნათ-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 7, საქმე 1362, გვ. 35—36.

ქვაში იყო: „გორელო ნოქრებო! რეაქციისა და შავი ძალების გამარჯვებამ ზოგიერთი ვაჭარი ძალიან გაახარა. დარწმუნებულნი იმაში, რომ პოლიცია მათი ზურგის შემწეა, ისინი შეუდგნენ ძველი წესების აღდგენას. ცდილობენ მუშების ინტერესები ფეხქვეშ გათელონ, სურთ წაგვართვან ბრძოლით მოპოვებული ჩვენი უფლებები. ზოგიერთი ვაჭარი დუქანს არა ჰკეტავს 5 საათზე, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო, თავგასულისათვის გადაწყვეტილება არაფერს არ ნიშნავს, მათ ძველებურად სურთ კვირაობითაც ივაჭრონ. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ბაგდის დუქანი გააღოს და დაკეტოს დადგენილ დროზე, მაგრამ ის თავისას აგრძელებს. ეხლა მას თანამგრძნობნი გაუჩნდნენ, მის მაგალითს მიბაძეს გიორგი არშაკუნმა, დათიკო ბანდალოვმა და არტემ გალუსტოვმა. ახლა ამ ფურცლებით უკანასკნელად ვაფრთხილებთ მათ დაემორჩილონ ჩვენს გადაწყვეტილებას. დაე იცოდნენ, რომ თუმცა რევოლუციური ძალები შესუსტდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ მათი ლაგამის ამოდება ვერ შესძლონ!“[1].

რეაქციის წლებში გორსა და გორის მაზრაში რევოლუციური მუშაობის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის დადგენილება, რომელიც 1909 წ. 23 იანვრით თარიღდება. დადგენილებაში ნათქვამია: 1908 წლის ივნისის შუა რიცხვებში მივიღეთ ჯაშუშთაგან ცნობები რომ ქალაქ გორში ადგილობრივ მცხოვრებ ნიკოლოზ ალექსოვის სახლში (სამმართველოსათვის ცნობილია, როგორც საეჭვო პირი), 1 ივლისს შეიკრიბნენ რსდმპ გორის ორგანიზაციის წევრები. 23 ივნისს ჩემს მიერ გაცემული იყო განკარგულება მათი დაპატიმრების შესახებ, შემდეგ მივიღე ცნობა, რომ პირველი ივლისის სხდომა გადატანილია 10 ივლისისათვის. ამის შესახებ მაზრის უფროს ვაცნობე დეპეშით.

მაგრამ, ჩანს, კრების წევრები მიუხვდნენ და კრების ადგილი გამოიცვალეს. აღნიშნული სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს. მეორე დღეს თერთმეტ საათზე ცხინვა-

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 7, საქმე 963, გვ. 11.

ლიდან მიიღეს ცნობა, რომ ერთი მდიდარი ებრაელის ბიჭი გაიტაცეს. გორიდან გაიგზავნა ოთხი შეიარაღებული პოლიციელი. გასცდნენ თუ არა ქალაქს ერთ შემოღობილ ბაღში, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებ ივანე სუსანიძეს ეკუთვნის. ძველ წისქვილში, უფროსმა პოლიციელმა ნიკოლოზ ივანიუკმა შენიშნა შემდეგი სურათი: გადაბრუნებულ ყუთს ირგვლივ მოსხდომოდა თხუთმეტი კაცი, რომელთაგან ორი ქალი იყო და რაღაცაზე ნახევრად ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ყუთზე ელაგა ორი შეკვრა კომერციული ანგარიში და ყველას წინ ქაღალდი, ფანქარი და კალამი იდო. პოლიციელი ივანიუკი შევიდა წისქვილში და შეეკითხა იქ მსხდომთ მათი შეკრების მიზანი. იქვე მყოფმა უცბად საუზმე გამოალაგა და პოლიციელს შესთავაზა ჩვენთან ერთად ისაუზმეთო, ერთი ქალი ადგა და განაცხადა მე ღვინისათვის მივდივარო, მეორემ თქვა წყალს მოვიტანო და სხვადასხვა წინადადებით სხვებმაც იწყეს წასვლა. ივანიუკმა იარაღს მოკიდა ხელი და წინადადება მისცა წისქვილიდან არ გასულიყვნენ. წისქვილში დარჩა მხოლოდ 6 კაცი, რომლებიც მაზრის სამმართველოში მოიყვანეს.

ესენი აღმოჩნდნენ:

1. ქონიევი დავით გიორგის ძე სოფ. ცხინვალის მცხოვრები (გორის მაზრა).

2. თაქთაქიშვილი კარპეზ ივანეს ძე — ქვემოხვითელი (გორის მაზრა).

3. კლიმიაშვილი მიხეილ იოსების ძე — მჭადიჯვრელი (დუშეთის მაზრა).

4. გიორგაძე კირილე ალექსის ძე — ვაკიჯვრელი (ოზურგეთის მაზრა).

5. მიქაძე რაჟდენ გიორგის ძე — სოფ. კობმანიდან (სენაკის მაზრა).

6. ბოტკაძე პეტრე ივანეს ძე — ზემო ავჭალა (თბილისის მაზრა)..

პირადი გაჩხრეკის დროს მხოლოდ კლიმიაშვილს აღმოაჩნდა ქაღალდი, ნახევრად ნაწერი „წრის კონსპექტი".

კრების ადგილზე წისქვილში აღმოჩნდა ბევრი ნაწერი ქაღალდი რუსულად და ქართულად.

ყველაფერი ეს გადასცეს ჩემს მოადგილეს როტმისტრ ლომიაშვილს. ლომიაშვილმა შეამჩნია, რომ დაპატიმრებულებს ქობულაშვილმა საჭმლის მიტანის დროს რაღაცაზე დაუწყო საუბარი. ქობულაშვილი გაჩხრიკეს, მას არაფერი აღმოაჩნდა, გაჩხრიკეს მისი ბინა და ნახეს:

1. წერილი ქართულ ენაზე შემდეგი შინაარსისა: „გამარჯვებათ ამხანაგებო, გიგზავნი თქვენ ამხანაგურ სალამს, თქვენგან გამოგზავნილი მე მივიღე და დავალება შევასრულე".

2. ასეთივე წერილი შინაარსით: „ამხანაგებო მივიღე 77 ცალი ბროშურა ცხინვალისათვის განკუთვნილი 97 ბროშურის ანგარიშში, დეკემბერი".

3. წერილი ქართულ ენაზე: „ილია (ილია მურადოკი, რსდმპ გორის კომიტეტის წევრი 1907 წ.). მე დაპატიმრებული ვარ, არ ვიცი გამომიშვებენ თუ არა. ნუ გეშინია, სახლში არ შეატყობინო. რაჟდენ. (რაჟდენ მიქელაძე).

4. ქართული ბროშურა სათაურით: „ანდერძი არსენა ჯორჯიაშვილისა და სხვა ლექსები". ეს უკანასკნელი მოუწოდებს ხალხს მთავრობის დამხობისა და ახალი წყობილების დამყარებას.

5. მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის ბროშურა ქართულ ენაზე—„მოთხრობის პირველი ნაბიჯი".

წერილებიდან, დახეული ფურცლებიდან და კრების ადგილზე ნაპოვნი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ასეთ საქმეებში მონაწილეობდნენ რსდმ პარტიის კომიტეტის წევრები, რომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ციხეში მყოფ პოლიტპატიმრებთან, ასე მაგალითად:

1. „ამხ. მიხა (მიხეილ კლიმიაშვილი) ეს წერილი გადაეცი დანიშნულ ადგილზე. ამასთან ერთად, გთხოვ ჩემს მიერ გამოგზავნილი წერილი არ შეინახო, არამედ წაკითხვის შემდეგ დახიო, იოსები". (იოსებ ქრისტეფორეს ძე მუნტიკოვი, სახელმწიფოებრივ დანაშაულისათვის 3 წლით დაპატიმრებული).

2. „...რკინიგზელებთან მუშაობა, ცხრა უჯრედი (15—30 კაცი). მოაწყეს კოსაშვილის სიკვდილი. ტექნიკა შეჩერდა უფულობით. ბორჯომი, პირველ ივნისამდე პარტიული მუშაობა კარგი იყო, შემდეგ მოეწყო გაფიცვა. მიხაილოვოში 7 უჯრედი,—გორში 7 უჯრედია. დუშეთში რეაქციის დასაწყისში არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობდა, ახლა მთლად კარგად არის საქმე.

3. ხალხის გონებრივი განვითარება. ხანძარი. დუქნების განადგურება. პოლიციური პირობები. მაყაშვილის ტერორი. ანარქისტების წინააღმდეგ კრება. პარტიული ორგანიზაცია. ბოლშევიკების ძველი წევრები. ახალი სავარაუდო მუშაობა სალდათებთან. დაშნაკელებთან. სალარო. ნაცნობებს შორის შეგროვილი საწევრო ფული. მუდმივი პროპაგანდა. დემოკრატიული მუშაობა. ამხანაგების დანიშვნა მომრიგებელ-მოსამართლეებად.

4. ფულადი სახსრების შეკრების მოწყობა. ციხესთან... რამდენჯერმე გავგზავნეთ კაცი ხიდისთავში მუშაობის მოსაწყობად. ცხინვალში მოვაწყეთ ფულის შეგროვება. გავგზავნეთ ლეგალური და არალეგალური ლიტერატურა. რაიონული ტექნიკა დაკეტილი იყო. ეგზეკუციის მოხსნის შემდეგ აუცილებელი იყო ფურცლების გამოცემა. ვცდილობდით ფურცლები დაგვებეჭდა კერძო სტამბებში, მაგრამ არ გამოგვივიდა. კრებამ დაადგინა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. საკითხი ფულის შესახებ.
2. რევოლუციური მუშაობა.
3. ტერორი პოლიციელებისა და შპიონების წინააღმდეგ.
4. საკითხი სკოლის შესახებ.
5. საკითხი დაჭირავებული მუშების შესახებ.
6. განადგურებული უჯრედების აღდგენა.
7. ტერორი.

კრებამ საჭიროდ ჩათვალა ჰყავდეთ ტერორისტები მავნე-ჯაშუშების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, მაშინ, როდესაც მენშევიკები დაადგნენ ლიკვიდატორობის გზას და ბურჟუაზიის კალთას შეაფარეს თავი, ბოლშევიკები არ შეუშინდნენ მთავრობის მათ-

რახსა და სახრჩობელას და შექმნილ პირობებს შეუფარდეს თავიანთი რევოლუციური მუშაობა.

რეაქციის შავბნელ ხანაშიაც გორს ამ მხრივ საპატიო ადგილი უჭირავს. გორელი პატრიოტები ეწეოდნენ სააგიტაციო მუშაობას, მშრომელ მოსახლეობას უნერგავდნენ რწმენას, რომ რევოლუცია საბოლოოდ არ დამარცხებულა, რომ იგი მომავალში კვლავ უფრო ძლიერად მოგვევლინება და სამუდამოდ წალეკავს რეაქციის ბურჯს—რუსეთის თვითმპყრობელობას.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ერემინის 1909 წლის 10 თებერვლის დადგენილებაში ვკითხულობთ:

1908 წ. 4 ოქტომბერს გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ვლადიმირსკიმ აღმოაჩინა, რომ ამ რიცხვების წინ გორში გაფანტული მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებები იბეჭდებოდა დავით მაჭავარიანის სტამბაში. გაჩხრიკეს სტამბა და ასოთამწყობების—კალანდაძის, მამალაძის, და ურუშაძის ბინები. მათთან ცხოვრობდა გაურკვეველი საქმიანობის მჭონე ალექსანდრე იორამაშვილი. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა:

კ ა პ ი ტ ო ნ კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ბ ი ნ ა ზ ე: 1) უჯრიანი რვეული, სადაც დაწერილი იყო რევოლუციური ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „მედგრად მეგობრებო, ნუ კარგავთ სიმხნევეს უთანასწორო ბრძოლაში"... და თავდებოდა „აი ჩვენი საბრძოლო დევიზი".

2) რუსულ ენაზე დაწერილი ჩვეულებრივი ქაღალდი, სადაც ჩამოყალიბებული იყო ეკონომიური მოთხოვნილებანი 9 პუნქტად, რომელსაც სტამბის მუშები უყენებდნენ თავის პატრონს მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასის მომატების შესახებ.

3) ბროშურა სათაურით: „როგორ უნდა იყოს მოწყობილი მიწის საქმე", გამოცემული ამხანაგობა „გლეხის" მიერ. აქ საუბარი იყო რუსეთში მიწის მოწყობის უვარგისობაზე და თავდებოდა ასეთი სიტყვებით: „...მაშასადამე ჩვენ ახლა ბიუროკრატიულ მთავრობასა და ღმერთს კი არ უნდა მივმარ-

თოთ, არამედ უნდა მოვილაპარაკოთ ერთმანეთს შორის და საერთო ძალებით დავიწყოთ ბრძოლა თავისუფლებისა და მიწის მოსაპოებლად".

გაბრიელ ურუშაძესთან აღმოჩნდა: 1) 1 ბროშურა სათაურით: „ამსტერდამის კონგრესი", „პარლამენტარიზმი და სოციალ-დემოკრატია", „ვისთან ერთად ვის წინააღმდეგ?" „პროლეტარიატის ბავშვები", „არმია და ეკლესია", „შეცადება და სოც.-დემოკრატია" („Покушения и социал-демократия") „ამერიკელი მუშა", „როგორ გავათანაბროთ მიწის სარგებლობა", „ნაღვლით გვევსება გული", „საპყრობილეების სველი ჩალა".

2) ერთი ბროშურა სათაურით—„სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა და სოციალური რევოლუცია", აქ ნათქვამია, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის საჭიროა სოციალური რევოლუცია.

3) ერთი ბროშურა ასეთი სათაურით „ვინ არიან ხალხის მტრები—სოციალ-დემოკრატები თუ ფედერალისტები?" აქ გატარებულია აზრი, რომ ფედერალისტები ხალხის მტრები არიანო.

4) ბროშურა „გზა სოციალიზმისაკენ" და სხვ.. აფანასე მამალაძეს სხვა ამბებთან ერთად აღმოაჩნდა ერთი წერილი, მიწერილი გურიაში მშობლებთან, ამ წერილს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მასში გორის ამბავი არის მოცემული. „აქ ასეთი მდგომარეობაა: ყოველდღე ქალაქში სროლაა, გამოვტყდები, ძალიან მეშინია. თუ ამხანაგებს არ გაჰყვები ცუდია, თუ გაჰყვები, მაშინ სიკვდილი გარდუვალია. 24 თებერვალს ამხანაგებს შორის ჩხუბი ატყდა, ერთმანეთს ურტყამდნენ სხვადასხვა უბნის ახალგაზრდები. ჯერ ერთმანეთს ურტყამდით, შემდეგ თავს დაგვეცა პოლიცია, შემოგვერტყა სამი მხრიდან სროლით, ისროდნენ რევოლვერით, ჩვენმა პარტიამ (ჯგუფმა) მოკლა რვა კაზაკი და დაჭრა სამი, ჩვენები უვნებელი გა-

დარჩნენ. მაგრამ ერთი (ალექსანდრე იორამაშვილი) დაიჭირეს. მაგრამ განთავისუფლებული იქნება"[1].

დასკვნაში ნათქვამია, რომ აღნიშნული პირები მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას ეწევიან.

ასე გამოიყურება ძველი ქალაქი გორი რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. ასე იხვეჭდა სახელს ეს ქალაქი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

სამწუხაროდ სათანადო საბუთები, რომელთა ანალიზი 1910 — 1917 წლების გორის ისტორიის შესახებ გაბმული თხრობის საშუალებას მოგვცემდა, არ გაგვაჩნია.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 7, საქმე 1362, გვ. 53—56.



თავი IX

მენშევიკების ბატონობა გორში

მეფის ხელისუფლების დამხობის აღსანიშნავად ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. 1917 წლის 9 მარტს გორში მიტინგს 20 000 კაცი დაესწრო.

ჯერ კიდევ 3 მარტს ქალაქ გორში დაარსებულ იქნა მუშათა დეპუტატების საბჭო, ხოლო 8 მარტს 21 წევრისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დააარსა სამი პირისაგან შემდგარი „კომისიომი". აღმასრულებელი კომიტეტი დაექვემდებარა დეპუტატების მუშათა საბჭოს[1].

აღნიშნულ ორგანოებში მენშევიკები მოკალათდნენ. გორში დაბანაკებული მეოთხე ქართული პოლკი ბოლშევიკების დიდ გავლენას განიცდიდა. ამ პოლკის პირადი შემადგენლობის საერთო კრებამ 1918 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო: 1) სახალხო კომისართა საბჭო არის ნამდვილი სახალხო მთავრობა, რომელიც ემსახურება მშრომელთა და ჩაგრულთა ინტერესებს. იგი მედგრად იბრძვის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და მის

[1] „ერთობა", 1917 წ., № 6.

თანამგზავრთა წინააღმდეგ. 2) ერთადერთი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი ოქტომბრის რევოლუცია მიიყვანოს ბოლომდე—ეს არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლის ხელში არის სახელმწიფო ძალაუფლება; 3) ოქტომბრის რევოლუცია არის რევოლუცია მუშების, ჯარისკაცების და უღარიბესი გლეხების. მათ სრული გამარჯვება მოიპოვეს—დაამყარეს რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკა, შრომის რესპუბლიკა, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, კლასის მიერ კლასის ექსპლოატაცია, როცა იზეიმებს ნამდვილი პროლეტარული ძმობა, ძმობა თავისუფლებისა; 4) ამიერკავკასიის დამცველ ნაციონალურ კომისარიატის პოლიტიკამ—ფაქტიურად კონტრრევოლუციის დამცველმა ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში,—მიიყვანა ჩვენი მხარე დაღუპვის პირას. ამ პოლიტიკის წყალობით მოხდა სისხლის ღვრა სადგურ შამქორსა და ელიზავეტოპოლში. ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ გეგეჭკორის მეთაურობით არსებულ ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ, რომელმაც დაადგინა სახკომსაბჭოს მიერ დანიშნულ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის ამხ. შაუმიანის დაპატიმრება[1]; 6) ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს დემოკრატია და რევოლუცია ამიერკავკასიაში, არის თავდაცვის კომისარიატის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება; 7) ჩვენ ვცნობთ ერთადერთ ცენტრალურ ხელისუფლებას სახკომსაბჭოს სახით, რომლის დეკრეტებსა და დადგენილებებს უყოყმანოდ და მტკიცედ გავატარებთ ცხოვრებაში[2].

მენშევიკები არაერთხელ შეეცადნენ გორში მყოფი მეოთხე ქართული პოლკი თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ. ამ მიზნით პოლკში მოვიდნენ გიორგი მაჩაბელი — მაზრის კომისარი, სერგეი რობაქიძე — ქალაქის თავი, დავით ონიაშვილი — გორის თვითმმართველობის თავმჯდომარე, სანდრო ყეცხოველი — თბილისის გუბერნიის მუშათა და ჯარისკაცთა

---

[1] გაზეთში მეხუთე მუხლი გამოტოვებულია.

[2] Кавказский рабочий, 1918, № 28.

ცენტრის წევრი, შაქრო ჯავახიშვილი — ქალაქ გორის თვითმმართველობის გამგეობის წევრი და გიორგი ვარდოიანცი — გორის მაზრის სოც. დემ. ცენტრის წარმომადგენელი.

მენშევიკების წარმომადგენლებს ჯარისკაცები უპასუხებდნენ: „თუ მაჩაბელი კაი კაცია, იარაღს რათ ატარებს, რისა ეშინიან თუ ხალხის ნდობით არის აღჭურვილი, ხალხის წინააღმდეგ ხომ არ უნდა იარაღი, — მაგრამ ქართული პოლკის აქედან მოშორება და თავადაზნაურთა შეიარაღება უნდა. წითელი გვარდიაც იმიტომ მოიწვიეთ, რომ თავადებს ზურგი გაუმაგროთ, ისინი თავზე წამოგვასკუპოთ, და წინანდელივით გლეხკაცის ზურგზე აპარპაშოთ. ტყუილა ეძახით მაგ გაბრიყვებულ გლეხებს წითელგვარდიას, ეგენი არიან დაქირავებული თავადაზნაურებისაგან „შავი რაზმი“[1].

ჯარისკაცები მიტინგებს მართავდნენ და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის დამხობას მოითხოვდნენ. ჯარისკაცებსა და მენშევიკურ გვარდიას შორის შეტაკებები ხდებოდა. ჯარისკაცებმა მენშევიკურ მთავრობას ასეთი შეტაკებების დროს წაართვეს 1 272 შაშხანა და 100 000 ვაზნა[2].

გორის მაზრის კომისარი გ. მაჩაბელი 1918 წლის პირველ მარტს წერდა: „გაცილებით უკეთესი იქნებოდა ოსძალების დაბანაკება ქართლის შუა გულში, ვიდრე ამ ავაზაკთა ბრბოსი“[3].

საზიზღარი მენშევიკები ამ განცხადებით ამხელდნენ თავის თავს, როგორც ქართველი ხალხის უბოროტეს მტრებს. მათთვის ქართველი ხალხის ინტერესი არაფერს არ წარმოადგენდა. საკუთარი ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად მზად იყვნენ საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ხალხი ოსმალებისათვისაც კი მიეყიდნათ, ისინი გაურბოდნენ ხალხის კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. 1918 წელს თბილისიდან ატყობინებდნენ რუსეთში, რომ გორში ბოლშევიკები დააპა-

---

[1] ერთობა, 1918 წ., № 53.

[2] იქვე, № 48.

[3] იქვე.

ტიმრეს, ჯარისკაცები განაიარაღეს და უკვე ხვრეტდნენ ხალხს[1].

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გორის ქართული პოლკის განიარაღება შესძლო, უფრო აშკარა ხდებოდა, რომ მენშევიკებს აღარ შეეძლოთ საკუთარი ძალებით ხელისუფლების შენარჩუნება და რევოლუციონერი გლეხების დასასჯელად გერმანელი იმპერიალისტები მოიწვიეს.

1918 წლის 4 აგვისტოს გერმანელთა ეშელონები გორში შევიდნენ. გერმანელი ყაჩაღები სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ თავს. 1918 წელს გორის მაზრის გლეხები მემამულეებს უარს ეუბნებოდნენ გადასახადების მიცემაზე. მენშევიკები უძლური აღმოჩნდნენ მემამულეთა ინტერესები დაეცვათ, ამიტომ გერმანიის სარდლობა უხეშად ერეოდა შინაურ საქმეებში და იარაღით ცდილობდა გლეხთა დამორჩილებას. გერმანიის დელეგაციის უფროსი ფონ კრესი წერდა შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილს: „ბატონო მინისტრო! მე გავიგე, რომ დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ყველა ჩემს ცდასა და ზეპირ თხოვნას, რითაც მე პატივი მქონდა მომემართნა თქვენი აღმატებულობისა და ბატონ მინისტრ-თავმჯდომარისადმი იმის შესახებ, რომ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გლეხებს 1917 წლის მოსავლის საიჯარო ქირა გადაეხადნათ გორის მაზრის მემამულეებისათვის. პირიქით, როგორც ჩანს, მდგომარეობა დღითიდღე სულ უფრო უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ, მოკვლის შიშით, ვერ გაუბედნიათ თავიანთ მამულში მისვლა კუთვნილი თანხების ასაკრებად“[2]. ამიტომ კრესი მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენელი, მემამულეების ორი წარმომადგენელი და დელეგაციის ერთი წარმომადგენელი. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოირკვიოს ის საერთო თანხა, რაც ჯერ კიდევ ასა-

---

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4. გვ. 70.

[2] მ. გაბრიჩიძე, გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, გვ. 76—78.

ღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, შემდეგ კი შეუდგეს კუთვნილი საიჯარო ქირის აკრეფას. ამ უკანასკნელი ამოცანის წარმატებით შესასრულებლად კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა"[1].

რაც უფრო მკაცრი იყო მენშევიკ გამცემთა ღონისძიებანი ბოლშევიკების, რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხების მიმართ, მით უფრო ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა.

ამაოდ ცდილობდნენ მენშევიკები სახელი გაეტეხათ საბჭოთა რუსეთისათვის, ისინი მიზანს ვერ აღწევდნენ, რადგან როგორც ამხ. სტალინი წერდა: „ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას ემუქრება. ასევე „არახელსაყრელი" ვითარება შეიქმნა თვით ამიერკავკასიაში.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა სახლ-კარი. ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს „გაბოლშევიკებულმა" ჯარისკაცმა-გლეხებმა"[2].

რაც უფრო მთავარია, „მოვლენებს არც მუშები ჩამორჩენიან და ვერც ჩამორჩებოდნენ. ჯერ-ერთი, ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარი მოჰქონდა, ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს. მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მეორეც, მას შემდეგ, რაც საბჭოებმა გაიმარჯვეს ჩრდილოეთ კავკასიაში, რო-

---

[1] მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, გვ. 110—111.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 64—65.

შელიც კალედინ-ფილიმონოვის დროს პურს აწვდიდა თბილისს, გაჭირვება სურსათის მხრივ არ შეიძლებოდა არ გამწვავებულიყო, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია მთელი რიგი „არეულობანი“ სურსათის უქონლობის გამო, — რევოლუციური ჩრდილოეთი კავკასია გადაჭრით აცხადებს უარს იმაზე, რომ კონტრრევოლუციური თბილისი ჰქვებოს. მესამეც, ფულის ნიშნების უქონლობა (ბონები მათ ვერ შეცვლის!) არღვევდა სამეურნეო ცხოვრებას და, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზის ტრანსპორტს, რამაც უეჭველად გააძლიერა ქალაქის დაბალი ფენების უკმაყოფილება. დასასრულ, რევოლუციური პროლეტარული ბაქო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სცნო საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც დაუღალავად ებრძვის ამიერკავკასიის კომისარიატს, ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა.

ყოველივე ამას, ერთად აღებულს, უეჭველად უნდა გამოეწვია ამიერკავკასიაში მთელი პოლიტიკური ვითარების გარევოლუციურება. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ „ყველაზე საიმედო“ ნაციონალურმა პოლკებმაც კი „გახრწნა“ იწყეს და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ“[1].

ამიტომ იყო, რომ მენშევიკების საქმე განწირული ჩანდა. მაგრამ მათი დღემოკლე ცხოვრება სისხლის წვიმების აუგად სახსენებელ დროდ გადაიქცა. მენშევიკური მთავრობის გორის ორგანოები სახრჩობელაზე გზავნიდნენ რევოლუციონერ მუშებისა და გლეხების საუკეთესო წარმომადგენლებს. 1919 წლის ნოემბერში ქალაქ გორში დახვრიტეს აჯანყების მონაწილე სამი გლეხი. 1920 წელს მენშევიკური რეაქცია კიდევ უფრო აუტანელი გახდა. 1920 წლის ივნისში ქალაქ გორის მახლობლად მენშევიკებმა შეიპყრეს 26 კომუნისტი და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს[2].

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ლაპარაკიც კი ზედმე-

---

[1] ი ბ ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 4. გვ. 65—66.

[2] „კომუნისტი“, 1920, № 3.

ტი იყო ქალაქის მეურნეობისა და კულტურულ ცხოვრებაზე ზრუნვის შესახებ.

თითქოს ეს სოციალურ-პოლიტიკური უბედურება საკმარისი არ იყოო, 1920 წლის 20 თებერვალს ზედ დაერთო სტიქიური უბედურება — მიწისძვრა.

საერთოდ. მეცხრამეტე საუკუნის მთელ სიგრძეზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი გორში მიწისძვრას: 1805, 1856, 1868, 1890, 1899 (1899 წელს სამჯერ იყო მიწისძვრა), 1906, 1907, 1908, 1909, 1911, 1912 (ოთხჯერ), 1915 წლებში, მაგრამ ისეთი კატასტროფიული მიწისძვრა, რომელიც 1920 წელს მოხდა, გორის ისტორიას არ ახსოვს. 1920 წლის 14 თებერვალს დაიწყო მიწისძვრა, გამეორდა იგი თებერვლის 20. 21, 22, 25 რიცხვებში. მარტის 5, 7, 29, 30 რიცხვებში, აპრილის 4, 6, 7, 8, 9, 22, 30 რიცხვებში, მაისის 12, 18, 29 რიცხვებში, ივნისის 3. 8, 27, 28 რიცხვებში, ივლისის 9, 16. 20 რიცხვებში, აგვისტოს 10, 16, 29 რიცხვებში, სექტემბრის 3, 7, 12. 24 რიცხვებში და სხვ. ზოგ დღეს მიწის ძვრა რამდენჯერმე მეორდებოდა. მაგ., 21 თებერვალს მიწისძვრას ადგილი ჰქონდა სამჯერ, შვიდ მარტს სამჯერ და ა. შ.

გორში მიწისძვრას შემდეგშიც ჰქონდა ადგილი — 1921 წ. 1925, 1926, 1927, 1930, 1931, 1932, 1934, 1937, 1940, 1947, 1949 წლებში, მაგრამ 1920 წელში მომხდარი მიწისძვრა ბევრად ძლიერი იყო. საკმარისია ითქვას, რომ ქალაქის ნაგებობათა ერთ მესამედზე მეტი დაინგრა, ნანგრევებში დაიღუპა 114 კაცი, მძიმედ დაიჭრა 38 კაცი. 1496 სახლიდან დაინგრა 487, და საგრძნობლად დაზიანდა 454 სახლი, მნიშვნელოვნად დაზიანდა აგრეთვე გორის ციხის კედლები.

დაზარალებულ გორელ მოქალაქეებს გაკოტრებული მენშევიკური მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა.

მენშევიკურ საქართველოს მდგომარეობასა და სვე-ბედს 1920 წლის 4 დეკემბერს ამხანაგი სტალინი ასე ახასიათებდა: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული სა-

ქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-მა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა"[1].

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეს წინასწარხედვა გამართლდა. მენშევიკები განწირული აღმოჩნდნენ. მათი არსებობის უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა. 1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა დაამხო მენშევიკური უდღეო მთავრობა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. განთავისუფლდა ქალაქი გორიც.

1921 წლის 9 მარტს გორში შემდგარ წითელარმიელთა და მოქალაქეთა მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია: „სამი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდით რა მენშევიკურ-შოვინისტების ხელისუფლების ქვეშ, რომლებიც განზრახ გვიმალავდნენ კომუნიზმის ზრდასა და მოძრაობას რუსეთში და ყოველმხრივ პროვოკაციას უწყობდნენ საბჭოების ხელისუფლებას, ჩვენ საშუალება არ გვქონდა სიმართლის გაგებისა, მსხვერპლი ვიყავით მენშევიკური თვითნებობისა და აი ახლა, როგორც იქნა, მოკლე ხნის განმავლობაში თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ წითელი არმია არის საერთაშორისო კაპიტალის მიერ საუკუნეებით დაჩაგრული მშრომელი მასების,

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 446—447.

მცირე ეროვნებათა განმათავისუფლებელი, და ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ მთელი ძალღონით დავიცავთ ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს და მთელ ენერგიას და ცოდნას დავძაბავთ კომუნიზმის გასამტკიცებლად და ასაყვავებლად აღმოსავლეთში"[1].

ამიერიდან დაიწყო გორის ისტორიაში ახალი ხანა, ქალაქის ნამდვილი ისტორია.

---

[1] საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ოცი წლისთავისათვის. გვ. 271—272.



თავი X

გორი საბჭოთა ხელისუფლების დროს

1. ქალაქის სახე

გორის ნამდვილი აღორძინება, მისი კულტურული და სამეურნეო აღმავლობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ქალაქმა საგრძნობლად იცვალა სახე, აშენდა და მოეწყო მრავალი საწარმო, სკოლები, პედაგოგიური ინსტიტუტი, ჯანმრთელობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, გასწორდა და გალამაზდა ქალაქის მრავალი ქუჩა. ქალაქის მშენებლობა და კეთილმოწყობა უფრო გაფართოვდა დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში. ამ სამუშაოთა ტემპი და მოცულობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1950 წლის იანვარში ქალაქი გამოეყო რაიონს და რესპუბლიკანური დაქვემდებარების ქალაქად გამოცხადდა.

1950 წლის თებერვალში შედგენილ და მიღებულ იქნა ქალაქის გენერალური დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის 15 წლიანი გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ძირითად რეკონსტრუქციას და მისი ცენტრალური ნაწილის ახლად გაშენებას — მის

ძირითად ხერხემლად აღებულია ბელადის სახლ-მუზეუმი, სტალინის პროსპექტი და გორის ისტორიული ციხე, რომელსაც ემორჩილება ყველა დანარჩენი ქუჩების, მოედნებისა და სკვერების დაგეგმარება.

1950 წლიდან დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს გენერალური გეგმით გათვალისწინებული რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოები. მშენებლობაშია ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტი, რომლის სიგანე 40 მეტრი იქნება, ხოლო სიგრძე 1500 მეტრს აღემატება, ქუჩა გამშვენიერებული იქნება ცაცხვითა და დეკორატიული მცენარეებით შემოსილი გაზონებით, ფართო ტროტუარებით. პროსპექტის ორივე მხარეზე მოეწყობა გორისათვის დამახასიათებელი, წმინდაწყლის არხები. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც სტალინის პროსპექტს პერპენდიკულიარულად კვეთს ილია ჭავჭავაძის და 1905 წლის რევოლუციის ქუჩები, 1952 წელს დამთავრდა სტალინის მოედნის მშენებლობა, რომლის ფართობი 17 ათას კვადრატულ მეტრს უდრის. ამ მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში ახლა მშენებლობაში იმყოფება სამსართულიანი, მშვენიერი ქართული არქიტექტურული გაფორმების ადმინისტრაციული სახლი. ამ სახლის წინ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებში გორელმა მშენებლებმა დაამთავრეს ი. ბ. სტალინის მონუმენტის მშენებლობა და 10 მეტრიანი სიმაღლის კურსების საუკეთესო გრანიტით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე აღმართეს ბელადის 6 მეტრიანი, ბრინჯაოში ჩასმული დიადი ფიგურა. 1952 წლის 2 ნოემბერს, ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლის გახსნა ქალაქის მშრომელებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს.

გასულ წელს დამთავრდა აგრეთვე ი. ბ. სტალინის მოედნის ჩრდილოეთით მოსაზღვრე საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სამსართულიანი სახლი, რომელიც ადმინისტრაციულ სახლსა და მოედნის სამხრეთით მშენებლობაში მყოფ უნივერმაღის მონუმენტურ შენობასთან ერთად ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის ქალაქის ცენტრში. პროსპექტის გასწვრივ ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს

სასტუმრო ინტურისტის, ქალაქის საბჭოსა და ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშათა საცხოვრებელი სამსართულიანი სახლების მშენებლობა, რომელთა დამთავრება მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული. მიმდინარე წელს დაიწყება კავშირგაბმულობის სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, დამთავრდება გორის მუზეუმის მონუმენტური შენობა, რომლის მთლიანი მოპირკეთება მიმდინარეობს ეკლარის თეთრი ქვით. მუზეუმის მარმარილოს ფილტებთან, წარმტაცი არქიტექტურული გაფორმების დარბაზში, აღიბეჭდება დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის გამოფენა.

მიმდინარე წელს დამთავრდება რკინა-ბეტონის ხიდი მდინარე მტკვარზე, რომელიც ქალაქის მთავარ ნაწილს სტალინის პროსპექტით მის მარჯვენა ნაწილთან შეაერთებს. სწორედ აქ ამ ადგილას დაიწყება გორის ახალი ვაგზლის მშენებლობა, ხიდისა და ვაგზლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, დაიწყება მტკვრის ორივე მხარეზე საწარმოთა მშენებლობა და კეთილმოწყობა, ქალაქის ეს ახლა ნაკლებად მიმზიდველი და კეთილმოუწყობელი ადგილი ულამაზეს სანახაობად გადაიქცევა.

1951 წელს სტალინის პროსპექტის პარალელურად დამთავრდა ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი — საბჭოს ქუჩის მშენებლობა, რომლის სიგრძე 2 კილომეტრს აღემატება. მდინარე ლიახვის გასწვრივ, დამთავრდა ახალი ქუჩის მშენებლობა, რომელმაც ქალაქის პარკთან ერთად მშვენიერი პანორამა შექმნა.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ახლად გაშენდა და კაპიტალურად გადაკეთდა 12 ძირითადი ქუჩა, ხოლო გადაიკირწყლა და ქუჩების საპროექტო პროფილი მიეცა 6 ქუჩას, ამავე პერიოდში ქალაქში მოიკირწყლა 88 035 კვადრატული მეტრი ქუჩა, მოედანი და ტროტუარი, ხოლო მოასფალტებულ იქნა 131 016 კვადრატული მეტრი.

ქალაქი მწვანე სამოსელში იმოსება. მარტო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქალაქის ქუჩებსა, სკვერებსა და ბაღებში დარგულია 70 ათასამდე ძირი მწვანე დეკორატიული

და სხვა მცენარე და ბუჩქი, რაზედაც დახარჯულია მილიონზე მეტი მანეთი.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის წყალსადენისა და კანალიზაციის, აგრეთვე ელექტრო მეურნეობის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მარტო მოსახლეობის წყლით მომარაგება ერთი ორად გადიდდა, ხოლო წყალსადენის ქსელი გაიზარდა 8 426 მეტრით.

მიმდინარე წელს დამთავრდება და ექსპლოატაციაში შევა 150 საწოლიანი კეთილმოწყობილი საავადმყოფოს შენობა.

გორელი სპორტსმენები მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღებენ ახალ კეთილმოწყობილ სტადიონს, რომლის ტევადობაც გათვალისწინებულია 10 ათასი მაყურებლისათვის.

გასულ წელს დაიწყო და გრძელდება გორის ისტორიული ციხის აღდგენითი სამუშაოები — კედლების აღდგენა, მათი გამაგრება, ციხის ირგვლივ კალთებზე მწვანე ნარგავების გაშენება და ზედაპლატოზე ასასვლელი გზის შეკეთება.

ქალაქის დასავლეთ ნაწილში ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სადაც რამოდენიმე წლის უკან გაუტეხავი ჭალა და დაჭაობებული ადგილი იყო, სწრაფი ტემპით შენდება გორელ ფეიქართა ახალი სოციალისტური ქალაქი და თვით გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი.

კომბინატის მშენებლობის დამთავრებისა და მთლიანად ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ სახელმწიფო ყოველწლიურად მიიღებს 40 მილიონ მეტრ წმინდა ბამბეულის ქსოვილს. კომბინატში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 7 ათას კაცს მიაღწევს, რის შედეგადაც მარტო ამ კომბინატის ხარჯზე ქალაქს 15 — 20 ათასი მცხოვრები მოემატება. ახლაც მიუხედავად მშენებლობის დაუმთავრებლობისა კომბინატის პირველი რიგის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ გორელი ფეიქრები დღე-ღამეში სახელმწიფოს უკვე აძლევენ 58 ათას მეტრო ხამ ქსოვილს და 8—9 ტონა ნართს.

პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების შედეგად ქალაქ გორის კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციისათვის ყოველწლიურად იზრდება კაპიტალური დაბანდე-

ბანი. ასე, მაგალითად, 1952 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის 10 მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯა, ხოლო მიმდინარე წელს ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება.

2. მრეწველობა

თუ საბჭოთა ხელისუფლებამდე გორში მხოლოდ რამდენიმე საწარმო იყო და მუშათა საერთო რაოდენობა 100-მდე ძლივს აღწევდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს გორი ერთერთი ინდუსტრიული ქალაქი გახდა.

ქალაქის სიამაყეს წარმოადგენს გორის ბამბეულის საქსოვი კომბინატი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობისათვის. კომბინატი პირველი რიგის სამუშაოთა დამთავრებისა და ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ წელიწადში გამოუშვებს 17,5 მილიონ მეტრ წმინდა ქსოვილს, ხოლო როცა მეორე რიგის სამუშაოც დამთავრდება, კომბინატი 45 მილიონ მეტრ ქსოვილს გამოუშვებს.

1951 წლის პირველ კვარტალში ექსპლოატაციაში შევიდა სართავი წარმოება, ხოლო მესამე კვარტალში — საქსოვი წარმოება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ კომბინატმა გორს საგრძნობლად შეუცვალა სახე და გორის მომავალიც ამ კომბინატის გაზრდა-გაფართოებაზე დიდად არის დამოკიდებული.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს გორის საკონსერვო ქარხანას. საკმარისია ითქვას, რომ ამ ქარხნის გამოშვებულმა პროდუქციამ საკმაოდ შორს გაითქვა სახელი. ქარხანა ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზეა მოწყობილი. ეს ქარხანა საკავშირო მნიშვნელობისაა.

საკავშირო მნიშვნელობისაა აგრეთვე გორის შპალსაღენთი ქარხანაც.

ქალაქ გორში მრავალი სხვა ქარხნებიც არის: საყუთესაკასრე, აგურის, ლუდის, ლიმონათის, სახერხი, კირის, მრა-

ვალი სარეწაო არტელი, პურის საცხობი კომბინატი, ხორც-კომბინატი და სხვ.

1950 წელს ქალაქის მრეწველობამ 111 852 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

3. საქალაქო მეურნეობა

ქალაქის წყალსადენის ქსელის სიგრძე 27,8 კილომეტრია, რომელზედაც მიერთებულია 1656 აბონენტი, ქსელის გამტარუნარიანობა წამში არის 90 ლიტრი. 1950 წელს დახარჯული იქნა 910 900 კუბური მეტრი წყალი.

კანალიზაციის მთავარი კოლექტორის სიგრძე არის 0,78 კილომეტრი, ქსელის სიგრძე—13,6 კილომეტრი, სიმძლავრე—5000 კუბ. მეტრი დღე-ღამეში, 442 აბონენტით.

ელექტროსადგურის მაღალი ძაბვის საკაბელო ქსელის სიგრძე 6,03 კილომეტრია, საჰაერო — 9,18 კილომეტრი, დაბალი ძაბვის — 29,5 კილომეტრი, ტრანსფორმატორის სიმძლავრე—2 650 კილოვატით განისაზღვრება, ელექტრო ქსელთან მიერთებულია 3 370 აბონენტი.

ქალაქს აქვს 33 ოთახიანი სასტუმრო, 58 საწოლით. 1950 წელს სასტუმროში გატარებულია 23 929 კაცი.

გორში არის აბანო, რომელსაც აქვს ნომრები. აბანო ერთდროულად 62 კაცს იტევს. 1950 წელს აბანოში გატარებულია 133 600 კაცი.

ქალაქს მომსახურეობას უწევს 6 საპარიკმახერო წერტი. 1950 წელს მომსახურეობა გაეწია 13 310 კაცს.

ქალაქის დასუფთავების საქმეს ემსახურება კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან არსებული დასუფთავების ტრესტი, რომლის გამგებლობაშია 1 საასენიზაციო ავტოცისტერნა, 1 თოვლის სახვეტი, 1 სარწყავი და 3 ნაგვის საზიდი მანქანა.

ქალაქის საბინაო ფონდს შეადგენს განზოგადოებული სექტორის 22 250 კვ. მეტრი და კერძო მფლობელთა 119 655 კვ. მეტრი, სულ 141 905 კვ. მეტრი.

ქალაქის ფარგლებში მოთავსებულია 891 ჰექტარი მიწის ფართობი, ამ ფართობიდან შენობებს უკავიათ 262 ჰექტარი, წყლის სივრცეს — 139 ჰექტარი, დანარჩენი მიწების ფართობი შეადგენს 490 ჰექტარს, ყველა მწვანე მასივების და ნარგავების ფართობი 18,5 ჰექტარია, მათ შორის მწვანე ნარგავების სიგრძე ქუჩების გასწვრივ 2,5 კილომეტრს უდრის, ხოლო გაზონების სიგრძე 6,3 კილომეტრს.

ქალაქს აქვს რვა სკვერი:

1. პიონერთა სახელობის,	ფართობით	4 320	კვადრატული	მეტრი
2. სანაპიროს	„	„	2 898	„	„
3. ლენინის ქუჩის	„	„	150		„
4. კინოთეატრის	„	„	623	„	„
5. თეატრის	„	„	8 275	„	„
6. ლომოურის	„	„	3 594	„	„
7. წერეთლის	„	„	900	„	„
8. სასტუმროს	„	„	850	„	„
		სულ	21 617	კვ. მეტრი	

კავშირგაბმულობის გორის კანტორა აერთიანებს შემდეგ განყოფილებებს: ფოსტა, რომელსაც ქალაქად აქვს ორი განყოფილება;

„სოიუზპეჩატის“ განყოფილება, რომელსაც აქვს ორი კიოსკი და 4 საგაზეთო ვიტრინა;

ტელეგრაფი სწრაფმოქმედი აპარატით; საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური; კომუტატორი 30×2-ზე.

ქალაქს აქვს 500 ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური და 800 ნომრიანი კროსი.

ქალაქს აქვს 5 000 ვატიანი რადიო კვანძი, ქალაქის ქუჩებსა, სკვერებსა და მშენებლობებზე დაყენებულია ქუჩის დინამიკები 14 ცალი, რადიო წერტთა რაოდენობა ქალაქში არის 1680.

ომისშემდგომ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქალაქში საავტომობილო ტრანსპორტი. 1950 წელს ექსპლოატაციაში იყო 286 ავტომანქანა, მათ შორის 246 სატვირთო, 14 მსუბუქი, 6 სპეც-დანიშნულების და 20 ავტობუსი. მოსახლეობას მომსახურეობას უწევს საქ. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გორის კანტორა, რომელსაც ექსპლოატაციაში ყავს როგორც სატვირთო მანქანები, ისე ავტობუსები მგზავრების გადასაყვანად.

ქალაქის მოსახლეობას მომსახურეობას უწევს 18 სავაჭრო ორგანიზაცია.

1950 წელს სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წლიური საქონელბრუნვის გეგმა შესრულებული იქნა 103,6 პროცენტით (გეგმით მოცემული იყო 71 938 ათასი მანეთი, შესრულდა 74 522 ათასი მანეთი).

4. ჯანმრთელობის დაწესებულებანი

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით ქ. გორში არსებობს შემდეგი პროფილაქტიკური სამკურნალო დაწესებულებანი:

1. ქალაქის საავადმყოფო — პოლიკლინიკის გაერთიანება 100 საწოლით, ემსახურება 136 თანამშრომელი, აქედან ექიმი — 31, საშუალო სამედიცინო პერსონალი — 45, დანარჩენი დაბალი მოსამსახურე პერსონალია.

2. ბავშვთა საავადმყოფოს გაერთიანება, სადაც შედის ბავშვთა პოლიკლინიკა, ბავშვთა კონსულტაცია და სარძეო სამზარეულო, ემსახურება 68 თანამშრომელი, აქედან 16 ექიმი, 20 საშუალო სამედიცინო პერსონალი.

3. სამშობიარო სახლი, სადაც გაერთიანებულია ქალთა კონსულტაცია, ემსახურება 47 თანამშრომელი, მათ შორია ექიმი 6 და საშუალო სამედიცინო პერსონალი 20.

4. ტუბდისპანსერს ემსახურება 8 თანამშრომელი, მათ შორის ექიმი — 3, საშუალო სამედიცინო პერსონალი — 3.

5. 15 საწოლიანი ვენდისპანსერი, რომელსაც ემსახურება

37 თანამშრომელი, მათ შორის 9 ექიმი და 14 საშუალო მედპერსონალი.

6. სანიტარული ეპიდემიოლოგიური სადგური, რომელსაც ჰყავს 29 თანამშრომელი, მათ შორის 9 ექიმი, საშუალო სამედიცინო პერსონალი — 15. სულ ქალაქ გორში მუშაობს 79 ექიმი და 122 საშუალო სამედიცინო პერსონალი.

რკინიგზის სადგურიდან დასავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე პატარა დასახლებულ ადგილ-გორიჯვართან ამოდის გოგირდოვანი სამკურნალო წყალი. გეოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ აღნიშნული წყალი ამოდის მიწის დიდი სიღრმიდან და დიდი რაოდენობით შეიცავს გოგირდწყალბადს, რომელიც კარგად მოქმედობს ძვალ-სახსროვან დაავადებაზე, განსაკუთრებით კი რევმატიზმებით დაავადებაზე. აქ მოწყობილია აბანო 8 აბაზანით, რომელიც ერთ სამუშაო დღეს მომსახურეობას უწევს 100 ავადმყოფს. აბანოსთან მოწყობილია 20 ადგილიანი სასტუმრო.

ღიდია მოსახლეობის მისწრაფება ამ აბანოსადმი. ავადმყოფები მოდიან, როგორც გორიდან, ისე ახლო რაიონებიდანაც. აბანოს შემდგომი გაფართოება და კეთილმოწყობა აუცილებელია.

5. კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი

ა) საშუალო სასწავლებლები

ქალაქში არსებობს შემდეგი სახის სკოლები და სასწავლო დაწესებულებანი:

სრული საშუალო სკოლა	7	3915	მოსწავლით
პედაგოგიური სასწავლებელი	1	443	„
საფერშლო სკოლა	1	92	„
სას. სამ. ტექნიკუმი	1	320	„
დაწყებითი სკოლა	3	190	„
მუშა-ახალგაზ. სკოლა	2	250	„
მუსიკალური სკოლა	1	312	„
საფაბ. საქარხ. სკოლა	1	120	„
საბავშვო ბაღი	5	250	ბავშვით
ბავშვთა სახლი	1	50	„
საბავშვო ბაგა	3	120	„

ქალაქში არის 332 მასწავლებელი, აქედან დამსახურებული მასწავლებელი 10, ორდენოსანი — 38, მედალოსანი — 143, უმაღლეს დამთავრებული — 176, უმაღლეს დაუმთავრებელი — 71 და საშუალო სპეციალური განათლებით — 82.

ბ) ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ქალაქ გორის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნა. ამ ინსტიტუტის გახსნას წინ უსწრებდა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1935 წლის აგვისტოში გაიხსნა.

ინსტიტუტი მაშინ სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის და ენისა და ლიტერატურის. ინსტიტუტი სწრაფად იზრდებოდა — განყოფილებები და ფაკულტეტები ემატებოდა.

1938 წლის სექტემბრიდან ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან გაიხსნა რუსული ენისა და ლიტერატურის სექცია.

1939 წელს ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გადაკეთდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად — ოთხწლიანი სწავლების ხანგრძლივობით. ინსტიტუტი შედგებოდა ენისა და ლიტერატურის (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა), ისტორიისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებისაგან. 1940 წელს გაიხსნა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, 1942 წელს — გეოგრაფიის ფაკულტეტი, 1947 წელს — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი ამრიგად 1952/53 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტი ექვსი ფაკულტეტისაგან შედგებოდა.

ინსტიტუტი სრულიად გარკვეულ ადგილს იჭერს ქართული კულტურის განვითარებაში. ინსტიტუტი ამჟამად ჩვენი რესპუბლიკას აძლევს რვა სპეციალობის მაღალკვალიფიციურ

ურ კადრებს. აქ, ამ ინსტიტუტში სწავლის მისაღებად მოდიან ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან.

ცალკეული წლების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტი შემდეგ სურათს იძლევა.

წელი	1935	1936	1937	1938	1939	1940
კონტინგენტი	120	336	391	414	454	583
წელი	1941	1942	1943	1944	1945	1946
კონტინგენტი	546	500	554	675	681	816
წელი	1947	1948	1949	1950	1952	
კონტინგენტი	866	885	1044	1095	1134	

მნიშვნელოვნად შეიცვალა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაც. თუ ინსტიტუტის გახსნის პირველ წლებში პროფესორ-მასწავლებელთა უდიდესი უმრავლესობა თბილისიდან ჩადიოდა და გორის ინსტიტუტში შეთავსებით მუშაობდა, ახლა ინსტიტუტს თავისი ძირითადი მაღალკვალიფიციური კადრი ჰყავს.

სასწავლო წლების მიხედვით პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა: (ცხრილი იხ. 280 გვერდზე).

გაიზარდა კათედრათა რიცხვიც. თუ 1935 წელს მხოლოდ ხუთი კათედრა იყო, ამჟამად ინსტიტუტში 22 კათედრაა. ინსტიტუტის ერთ-ერთ მიღწევად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამჟამად ინსტიტუტში მუშაობს 18 ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, რომელთაც გორის ინსტიტუტი აქვთ დამთავრებული. გორის ინსტიტუტდამთავრებულთაგან 23 ამხანაგი ლაბორანტად მუშაობს.

ყოველწლიურად იზრდება ინსტიტუტის მატერიალური ბაზა. 1939 წელს დამთავრდა ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი. ამჟამად ინსტიტუტს აქვს 9 ლაბორატორია და 21 კაბინეტი.

ლაბორატორიები: 1. ფიზიკის პირველი ლაბორატორია (მექანიკის), 2. ფიზიკის მეორე ლაბორატორია (ელექტრობა),

სასწავლო წელი	მომუშავეთა რაოდენობა	პროფესორი და დოქტორი	დოც და მეცნ. კანდიდატი	უფ. მასწ. და ასისტენტი
		სამასწავლებლო ინსტიტუტი		
1935/36	24	3	1	20
1936/37	20	2	1	17
1937/38	30	1	10	19
1938/39	33	1	11	21
		პედაგოგიური ინსტიტუტი		
1939/40	40	2	9	29
1940/41	45	3	15	27
1941/42	55	2	25	23
1942/43	63	4	2[illegible]	[illegible]0
1943/44	77	4	35	38
1944/45	93	3	40	90
1945/46	103	3	41	59
1946/47	108	2	43	63
1947/48	116	2	39	75
1948/49	114	2	49	63
1949/50	123	2	52	69
1950/51	124	4	49	71
1951/52	128	3	51	74
1952/53	115	3	38	75

3. მესამე ლაბორატორია (ოპტიკის), 4. ფიზიკის სპეცლაბორატორია, 5. სახელოსნო ლაბორატორია, 6. საპრეპარატო ლაბორატორია, 7. საკვლევო-სამეცნიერო მუშაობისათვის, 7. ანალიზური ქიმიის ლაბორატორია, 8. ფოტო-ლაბორატორია, 9. ფიზიოლოგიის ლაბორატორია.

ინსტიტუტს აქვს შემდეგი კაბინეტები: ფიზიკის სწავლების მეთოდიკის, სადემონსტრაციო იარაღების კაბინეტი, მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებელი მუშაობის, მარქსიზმ-ლენინიზმის საკონსულტაციო, პედაგოგიკის, რუსული ენის, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, ორგანული ქიმიის, ფიზკულტურის მეთოდიკების, ფიზიკური გეოგრაფიის, ეკონომიური გეოგრაფიის, გეოლოგია-მინერალოგიის, არაორგანული ქიმიის, ზოოლოგიის,

ბოტანიკის, ანატომიის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკის.

გარდა აღნიშნული კაბინეტ-ლაბორატორიებისა, ინსტიტუტს აქვს მეტეოროლოგიური სადგური, საცდელი ნაკვეთი და ორი სასპორტო დარბაზი (ერთი ტანვარჯიშის და მეორე სპორტ-თამაშების).

კაბინეტ-ლაბორატორიების უმრავლესობა იმდენად შეივსო იარაღ-ხელსაწყოებით და საერთო მოწყობილობით, რომ ნამდვილად გახდნენ არამარტო სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ბაზად, არამედ საკვლევო-სამეურნეო მუშაობის კერადაც.

ინსტიტუტს აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

აღსანიშნავია ინსტიტუტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, რომელიც 1935 — 36 სასწავლო წლის დასასრულს ითვლიდა 300-მდე წიგნს. ამჟამად ბიბლიოთეკას აქვს 80 000 ტომი — სახელმძღვანელო და სამეცნიერო ლიტერატურა. გარდა ამისა, ინსტიტუტის ბიბლიოთეკას აქვს 130 დასახელების ჟურნალ-გაზეთების წლიური კომპლექტები.

1939 წელს დაიწყო და 1940 წლის ზაფხულში დამთავრდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, რომლის მოცულობა უდრის 7007 კუბიკურ მეტრს, ფართობი — 1370 კვადრატულ მეტრს, შენობის საბალანსო ღირებულება— 501 493 მანეთს. 1936 წელს ინსტიტუტს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლად დროებით გამოყენებული ჰქონდა პედაგოგიური სასწავლებლის რამდენიმე ოთახი, სადაც ცხოვრობდა 70-მდე სტუდენტი. დღეისათვის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს 200-მდე სტუდენტი. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი წარმოადგენს სამსართულიან შენობას. ცენტრალური გათბობით, წყალგაყვანილობითა და კანალიზაციით. წლების მანძილზე საერთო საცხოვრებელი საკმაოდ შეივსო ავეჯითა და მოწყობილობით. საერთო საცხოვრებელთან არის სამრეცხაო, სამკითხველო. ინსტიტუტს აქვს სასადილო, ბუფეტი, საპარიკმახერო და ფეხსაცმელების შეკეთებელი სახელოსნო.

ინსტიტუტის მატერიალური ბაზის ზრდასა და გამტკიცებას ხელს უწყობდა ფინანსიური მდგომარეობის ყოველწლიურად გაუმჯობესება. 1936 წელს გახსნილი კრედიტების მიხედვით ინსტიტუტის ხარჯები 1 იანვრიდან 1 ივლისამდე უდრიდა 138 604 მანეთს.

შემდეგი წლების მანძილზე ბევრად გაიზარდა ინსტიტუტის ბიუჯეტი, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ასეთი სურათია:

1949 წელს	დამტკიცებული	იყო	6 404 000	მანეთი
1950 „	„	„	6 576 000	„
1951 „	„	„	6 350 000	„

1952 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული იყო 6 403 000 მანეთი.

აღნიშნული მონაცემები მკაფიოდ მეტყველებენ იმ უდიდეს ზრუნვაზე, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება უმაღლეს სასწავლებლებზე და მათ შორის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტზე.

სასწავლო აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად ინსტიტუტის პედაგოგიური კოლექტივი ეწევა საკვლევო-სამეცნიერო მუშაობას. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ყოველწლიურად ამუშავებენ საკვლევო-სამეცნიერო ხასიათის თემებს: უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ასეთი სურათია: 1948 წელს დამუშავებული იქნა 40 თემა, 1949 წელს — 40, 1950 წელს — 54, 1951 წელს — 41, ხოლო 1952 წელს — 59 თემა.

ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკების მიერ შესრულებული საკვლევო-სამეცნიერო თემების ნაწილი დაიბეჭდა ინსტიტუტის შრომების კრებულებში, ნაწილი დაიბეჭდა და იბეჭდება საკავშირო და საქართველოს აკადემიის ცალკეული საკვლევო ინსტიტუტების გამომცემლობებში.

გორის ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტმა მისი არსებობის 4 წლის მანძილზე სამშობლოს მისცა 688 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი. სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა უკანასკნელი გამოშვება მოხდა 1940 წელს, ხოლო პედაგოგიურ ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება—1942 წელს. ეს იყო

სამამულო ომით ნაკარნახევი, ვადამდე ადრე, სამწლიანი კურსით გამოშვება.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შესახებ ზუსტ მონაცემებს იძლევა ქვემოდ მოტანილი ცხრილი.

წელი	რამდენმა დაამთავრა	ქალი	ვაჟი
1937	96	30	66
1938	178	30	147
1939	193	38	155
1940	221	62	159
1942	145	113	
1943	გამოშვება არ ყოფილა		32
1944	115	98	17
1945	96	76	20
1946	74	63	11
1947	133	104	29
1948	143	105	38
1949	151	87	64
1950	189	75	114
1951	198	101	97
1952	236	138	98

ინსტიტუტის კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში და მასწავლებელთა კვალიფიციური დახელოვნების საქმეში.

1948 წლის აპრილიდან ინსტიტუტში მუშაობს მშობელ-

ია უნივერსიტეტი, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს მშობლებს მისცეს პედაგოგიური განათლების მინიმუმი. ინსტიტუტში მშობლებისათვის იკითხება ლექციები, ტარდება კონსულტაციები, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები. 1948 წლის აპრილშივე მშობელთა უნივერსიტეტში გაერთიანებული იყო 100-ზე მეტი მშობელი. ამჟამად მშობელთა უნივერსიტეტი ითვლის 150 მსმენელს.

ინსტიტუტში ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება სტუდენტთა და თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის შრომებმა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ინსტიტუტს შეუქმნა ყველა პირობა სტუდენტთა და თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შორის ერთერთი საპატიო ადგილი უკავია.

ბ) გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორში გასართობ-სანახაობას დიდი ყურადღება ექცეოდა: გორი ამ მხრივ თბილისის შემდეგ პირველ ადგილზე იდგა. ქართულ თეატრალურ კულტურას გორმა მისცა არაერთი შარავანდედით მოსილი მოღვაწე, რომელთა სახელი საყოველთაოდ ცნობილია.

გორში პროფესიული თეატრის გახსნაზე საბჭოთა ხელისუფლებამდე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ქართლის გულს, დიდი სტალინის სამშობლო ქალაქს, საკუთარი თეატრი ჰქონოდა.

1937 წელს დაიწყეს გორის თეატრის მშენებლობა, რო-

მელიც 1939 წელს დამთავრდა. ამ დროისათვის გორის თეატრს უკვე ყავდა პროფესიონალური დასი, რომელიც 1939 — 1940 წლების სათეატრო სეზონისათვის შეივსო სტუდიადამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებით. თეატრმა შემოიკრიბა ძველი, გამოცდილი მსახიობებიც.

ქალაქ გორის თეატრის ისტორიაში 1939 წელი ისტორიულ თარიღად დარჩება. 1939 წლის 21 დეკემბერს დიდი სტალინის დაბადების 60 წლის თავზე თეატრალურ კოლექტივს გადაეცა თეატრის ახალი საუკეთესო შენობა, რომელიც ხუთასზე მეტ მაყურებელს იტევს.

გორის მშრომელებმა შეიყვარეს თავისი თეატრი და დიდი სიყვარულით მიიღეს მისი შემოქმედებითი კოლექტივი. თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე ბევრი საინტერესო სპექტაკლი შექმნა. შემოქმედებითმა მუშაკებმა მრავალ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. დღიდან დაარსებისა თეატრის შემოქმედებითი გზა საინტერესოა მრავალფეროვანი რეპერტუარით. რეპერტუარში შერჩეულია როგორც კლასიკურ-ისტორიული, ისე თანამედროვე პიესები. თეატრის ხელმძღვანელობამ პირველ სპექტაკლად აირჩია ი. გედევანიშვილის „გადასასვლელზე“. ეს პიესა კოლექტივისა და მაყურებლისათვის საინტერესო იყო თავისი შინაარსით. პიესაში ასახული იყო ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური მუშაობა საქართველოში და, კერძოდ ქართლის სოფლებში. პიესაზე კოლექტივმა დიდი მონდომებით და სიყვარულით იმუშავა და მხატვრულად საინტერესო მაღალ-იდეური წარმოდგენა შექმნა. სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა და თეატრის მზარდი შემოქმედებითი უნარი გამოამჟღავნა. გორის თეატრის ისტორიაში მაყურებელთა საყვარელ სპექტაკლებს წარმოადგენს აგრეთვე შილერის — „ყაჩაღები“, გოლდონის — „საპატარძლო აფიშით“, შექსპირის — „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ქოჩარიანის — „ბრმა მუსიკოსი“, ოსტროვსკის—„უდანაშაულო დამნაშავენი“, სუმბათაშვილის— „ღალატი“ და სხვა. თეატრს თავის რეპერტუარში ჰქონდა აგრეთვე თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესები: ძმების ტურისა და შეინინის — „საგანგებო კანონი“, „ჭიდილი“, „ვის

ემორჩილება დრო", ს. კლდიაშვილის—„ირმის ხევი", გ. შატბერაშვილის — „ფიქრის გორა" და სხვა.

1941 — 42 წწ. სათეატრო სეზონი დაემთხვა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომის წლებს. თეატრის წინაშე ახალი ამოცანა წარმოიშვა. თეატრს თავისი შემოქმედებითი მუშაობა უნდა წარემართა არა მარტო ადგილზე კარჩაკეტილად, არამედ თავისი სპექტაკლები გაეტანა სამხედრო ნაწილებში, გასაწვევ პუნქტებში და ჰოსპიტლებში. თეატრმა შესძლო ამ ამოცანის შესრულება, მთლიანად გარდაქმნა რეპერტუარი და დასადგმელად შეარჩია ისეთი პატრიოტული პიესები, რომელიც მაყურებელს საბჭოთა ხალხის გმირობას, მებრძოლთა თავდადებას და სიმამაცეს უჩვენებდა, უნერგავდა გამარჯვების რწმენას და ახალ-ახალი საგმირო საქმეებით აღაფრთოვანებდა. ასეთი სპექტაკლები იყო: კ. სიმონოვის—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", ლავრენიევის—„რღვევა", ბრუნშტეინის — „გაგრძელება იქნება", ბ. გამრეკელის — „გრიგალი" და სხვა. სცენაზე გამოჩნდა სამამულო ომის გმირული ბრძოლის ამსახველი, სამშობლოსადმი სიყვარულის და თავდადების შთამაგონებელი სპექტაკლები. მის გვერდით მიდიოდა პატრიოტულ-ისტორიული პიესები, რომლებიც ქართველი ხალხის სიმართლისადმი თავდადებას და ბრძოლას აღწერდა. საბჭოთა თეატრი დიდ როლს თამაშობს მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, გორის თეატრის კოლექტივიც ყოველთვის სათანადოდ პასუხობდა ჩვენი სამშობლოს ყოველდღიურ მოწოდებას.

სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის საკავშირო ხელოვნების კომიტეტის პროფკავშირისა და სსრ კავშირის ცენტრალური სამხედრო-საშეფო საბჭოს მიერ კოლექტივის მრავალ წევრს საპატიო სიგელი გადაეცა, ხოლო თეატრს — გარდამავალი თასი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ თეატრმა თავისი რეპერტუარი გაამდიდრა ისეთი პიესებით, სადაც მოცემული იყო საბჭოთა ქვეყნისა და მოწინავე ხალხის ბრძოლა მშვიდობისა და ომის შემდგომ სტალინური ხუთწლედის უდიდესი ამოცანების შესასრულებლად. ამ მხრივ აღსანიშნავი იყო

პიესები: სიმონოვის — „რუსეთის საკითხი“, ჯ. გოუსა და დიუსოს — „ღრმა ფესვები“, დუმბაძის და ჩიქოვანის — „უბრალო ადამიანები“.

1947 — 48 წწ. სეზონში თეატრის კოლექტივმა საქართველოს საქალაქო და სარაიონო თეატრების დათვალიერების პირველ ტურში გამარჯვება მოიპოვა და მეორე ტურში კოლექტივი პირველად წარსდგა თავისი სპექტაკლებით რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე. თეატრმა ერთი კვირა დაყო თბილისში. განსაკუთრებით წარმატება ხვდა გორკის პიესას — „ვასსა ჟელეზნოვას“.

1948 — 49 წწ. სათეატრო სეზონში აღსანიშნავია საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო პიესები: პეტროვის — „მშვიდობის კუნძული“, სუროვის — „მწვანე ქუჩა“ და ქართულ ორიგინალურ დრამატურგიიდან კ. კალაძის — „სოფლის საამო საღამოები“. ამ სპექტაკლების შესახებ გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ წერდა: „გორის სახელმწიფო თეატრმა დათვალიერებაზე გვაჩვენა, რომ ის არის ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე თეატრი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს უაღრესად საპატიო ადგილს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გორის სახელმწიფო თეატრი მომავალშიაც ასეთივე ენერგიით იმუშავებს და ამით უზრუნველყოფს ისეთი მოწინავე თეატრის სახელის შენარჩუნებას, როგორიც შეეფერება ჩვენი საყვარელი ბელადის სამშობლო ქალაქს“.

1949 — 50 წწ. სეზონში დადგმულ პიესებს შორის აღსანიშნავია ი. მოსაშვილის — „ჩაძირული ქვები“, შირვანზადეს — „ნამუსი“, ვ. პატარაიას — „უჩა უჩარდია“. თეატრის კოლექტივი ამ სათეატრო სეზონში საგასტროლოდ გავიდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, ეს საგასტროლო მოგზაურობა დიდი შემოქმედებითი მოვლენა იყო. თეატრმა თავისი დადგმებით უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ბელადის სამშობლო ქალაქი გორი საქართველოს სხვა რაიონის მშრომელებს. თეატრის შემოქმედებითმა მუშაკებმა მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. 1950 — 51 წწ. სათეატრო სეზონში გორის თეატრის კოლექტივი მეორედ წარსდგა რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე.

თეატრის კოლექტივმა დიდი პასუხისმგებლობით ჩაატარა საპასუხისმგებლო გასტროლები. ამ გასტროლებმა კიდევ ცხადჰყო გორის თეატრის კოლექტივის დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

1951 — 1952 წწ. სათეატრო სეზონში განხორციელდა 10 ახალი დადგმა, მათ შორის უველაზე საინტერესო და აღსანიშნავია შ. დადიანის — „ნაპერწკლიდან“, მსახიობთა კოლექტივმა დიდი ყურადღებითა და მონდომებით იმუშავა ამ სპექტაკლის დადგმაზე და კარგ შედეგსაც მიაღწია. გორის თეატრის კოლექტივს სურვილი აქვს შექმნას ამ თემის ამსახველი მრავალი საინტერესო სპექტაკლი, რადგან მათ უშუალოდ ამ საყვარელ ქალაქში უხდებათ მუშაობა. წარმატებით დაიდგა ჰ. ფასტის — „ოცდაათი ვერცხლი“, აკ. წერეთლის — „ბაშიაჩუკი“ და ზ. ანტონოვის ცნობილი კომედია — „მზის დაბნელება საქართველოში“. ამავე სეზონში თეატრის კოლექტივმა წარმატებით ჩაატარა საგასტროლო მუშაობა ქალაქ ბორჯომში.

დიდი შემოქმედებითი შთამაგონებლობით დაიწყო 1952—53 წწ. სათეატრო სეზონი; ეს სეზონი დაემთხვა მთელი საბჭოთა ხალხის სასიხარულო თარიღს — მეცხრამეტე პარტიულ ყრილობას. თეატრის კოლექტივი სიხარულით შეხვდა ცნობას, საკ. კ. პ. (ბ) მე-19 პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ და ვალდებულება იკისრა ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის მიეძღვნა ისტორიულ თემაზე შექმნილი ი. ვაკელის პიესა „გიორგი სააკაძე“, რომელშიაც აღწერილია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სპექტაკლმა გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი და ის საპატიო სახელი, რომელთანაც დაკავშირებული იყო სპექტაკლის გამოშვება. ამ სეზონის დასაწყისში აღსანიშნავია აგრეთვე ი. ვაკელის პიესა „რვალის“ დადგმაც.

თეატრის კოლექტივი ხელმძღვანელობს რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დაუღალავი შრომით ქმნის თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებიდან საინტერესო სპექტაკლებს.

გორის თეატრის კოლექტივმა განვლილი მუშაობის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი მუდამ მზადაა ჩვენი პარტიის დავალებათა შესასრულებლად. თეატრში საბოლოოდ დამკვიდრდა ანსამბლურობა და რეალიზმი, თეატრის შემოქმედებითი მუშაკები დაეუკაცდნენ და ხარისხობრივად გაიზარდნენ. თეატრში ძველი შემადგენლობიდან ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან რესპ. დამსახ. არტ. შ. ხერხეულიძე, მსახიობები: ნ. ბეროზაშვილი, ს. კალანდარიშვილი, ალ. შონია, სტ. გრიქუროვი, ვ. კახნიაშვილი, ერ. არაქელოვი, ივ. ოსაძე, ქ. ბოჟორიშვილი და სხვა. აღსანიშნავია ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების ზრდა — გ. ციცქიშვილი, ბ. ღონღაძე, ო. დათუნაშვილი, ს. ტატალოვი, ა. ჩრდილელი, ვ. გაბისიანი წარმატებით ასრულებენ მრავალ საპასუხისმგებლო როლს. თეატრის კოლექტივში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან მსახიობები: ნ. მაჭავარიანი, ვ. მაზმიშვილი, ვლ. ცხვარიაშვილი, ნ. იონათამიშვილი, გ. პატარიძე, ო. ლომიძე, ნ. ოდიშელიძე, ვ. ტოროშელიძე, ვ. ხუბულური, რ. ლორთქიფანიძე და სხვა.

თეატრის ნაყოფიერი მუშაობის დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ 1940 წლიდან 1953 წლის იანვრამდე გორის თეატრის მიერ დადგმულია 3 680 სპექტაკლი, 126 ახალი წარმოდგენით, დადგმულ სპექტაკლებზე დაესწრო 715 775 მაყურებელი.

დ) კინო

1931 წლამდე ქალაქ გორში სპეციალური კინო-თეატრი არ იყო. მანამ კინოები ტარდებოდა მუშათა ცენტრალურ და რკინიგზელთა კლუბებში. 1931 წლიდან გორში მოძრავი კინო დაარსდა, რომელიც მუნჯი კინო-სურათებით მთელს რაიონს ამოვრაგებდა. 1933 წელს ცეკავშირის საწყობი გადააკეთეს კინო-თეატრად, რომელსაც „შუქურას“ ეძახდნენ. ამ კინო-თეატრში 200-დე მაყურებელი ეტეოდა. 1933 წელს ამ კინო-თეატრში ხმოვანი კინო-სურათების ჩვენება დაიწყეს. პირ-

ველი ხმოვანი ფილმი, რომელიც გორში აჩვენეს იყო „საგზური ცხოვრებისა“.

1935 წელს გორში დაიწყო და 1937 წლის იანვარში დამთავრდა 400 საჯდომიანი კინო-თეატრის მშენებლობა.

1950 წელს კინო-თეატრმა 1176 სეანსი ჩაატარა და გეგმა 133,5% შეასრულა. კინო-სეანსებს 194 825 კაცი დაესწრო.

1952 წელს კინო-თეატრმა 1 280 სეანსი ჩაატარა, რომელსაც 244 300 კაცი დაესწრო.

1950 წელს გორის კინო-თეატრმა 183 კინო სურათი უჩვენა, აქედან 128 საბჭოური და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკებისა, ხოლო 45 საზღვარგარეთული.

კინოფილმები ტარდება აგრეთვე რკინიგზის კლუბში, ბამბის კომბინატის კლუბში, საკონსერვო ქარხნის კლუბში და სხვ.

ე) გორის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი

1936 წელს ქალაქ გორში ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ამ ანსამბლს პირველ ხანებში ეთნოგრაფიული გუნდის ფუნქციების შესრულება ევალებოდა. მართლაც ამ მხრივ გუნდმა გარკვეული მუშაობა ჩაატარა და არაერთი ქართული სიმღერა გამოავლინა და შეისწავლა.

1946 წელს გუნდი გადაყვანილი იქნა სახელმწიფო დოტაციაზე და სათანადო გეგმაც მიეცა.

გუნდი საგასტროლოდ დადიოდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში, მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ გუნდმა 1952 წელს 75 კონცერტი ჩაატარა, რომელსაც 12 160 კაცი დაესწრო.

3. გორის კულტურისა და დასვენების პარკი

გორის მშრომელი მოსახლეობის ერთ-ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენს გორის კულტურისა და დასვენების

პარკი. ეს პარკი ერთ-ერთი ძველი პარკთაგანია საქართველოში. იგი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გააშენეს. ამჟამად პარკის საერთო ფართობი 15 ჰექტარს აღემატება.

თუ რა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება ამ პარკში ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება 1952 წელს აქ ჩატარებული მუშაობის ციფრობრივი მონაცემები.

1. ჩატარდა ლექცია 6-ჯერ, დაესწრო 3 145 მსმენელი.
2. „ პლანეტ. ლექცია 25-ჯერ, დაესწრო 600 მსმენელი.
3. „ კონცერტი მოწ. ძალებით 24-ჯერ, დაესწრო 8 529 მაყურებელი.
4. „ საღ. წარმოდგენა 6-ჯერ, დაესწრო 2 159 მაყურებელი.
5. „ თვითმოქმედი საღ. 9-ჯერ, დაესწრო 4 272 მაყურებელი.
6. სეირნობა და მასიური გართობა მოეწყო 20-ჯერ, დაესწრო 31 554 კაცი.
7. ჩატარდა კინო სეანსები 12-ჯერ, დაესწრო 3 065 მაყურებელი.
8. პარკში მოწყობილ ატრაქციონებზედ დაესწრო (4 ატრაქც.) 9 643 კაცი.
9. ბავშვთა მოედნებზე მომსახურეობა გაეწია 5 183 ბავშვს.
10. ფიზკულტურული ღონისძიებები ჩატარდა 11-ჯერ.
11. სამკითხველო საჰადრაკო ოთახმა მომსახურეობა გაუწია 3 532 კაცს.

გორში არის სარაიონო კულტსახლი, მასწავლებელთა სახლი და სხვ. გორი განთქმულია თავისი ბიბლიოთეკებითაც. ქალაქში არის ორი საქალაქო ბიბლიოთეკა, ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა და თვრამეტი საუწყებო ბიბლიოთეკა.

4. სტალინის სახლ-მუზეუმი

ქალაქ გორში არის სტალინის სახლ-მუზეუმი. ეს სახლ-მუზეუმი გადაიქცა ხალხთა მეგობრობის კერად. შეიძლება

გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთ მუზეუმს იმდენი მნახველი არა ჰყავს, რამდენიც გორში სტალინის სახლ-მუზეუმს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ხალისით მოდიან გორში კეთილი ნების ადამიანები და ნახულობენ იმ სახლს, სადაც დაიბადა, ბავშვობა და ყრმობა გაატარა დიდმა სტალინმა.

გადაათვალიერეთ შთაბეჭდილების წიგნები, რომლებიც უკვე ტომებად გადაიქცა და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ ამ სახლ-მუზეუმის მნიშვნელობას.

დიდი ჩინეთის ახალგაზრდობის დელეგაცია 1951 წელს ეწვია გორს და შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერეს: „ჩვენ დიდად ბედნიერნი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გვენახა სახლი, სადაც დაიბადა ჩინელი ხალხის ყველაზე ახლობელი მეგობარი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი... მისი რევოლუციური მოღვაწეობა და ენერგია აღგვაფრთოვანებს ჩვენ... ახალი ჩინეთის მშენებლობის საქმეში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის საქმეში“.

ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდები წერენ: „...ჩეხოსლოვაკიის ხალხი თავის ახალ, თავისუფალ ცხოვრებას და მის მომავალ წინსვლას უმადლის ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს და მის უდიდეს ბელადს ამხანაგ სტალინს. დიდი ბედნიერებაა ჩეხოსლოვაკელებისათვის იმ ადგილის გაცნობა, სადაც დაიბადა კაცობრიობის გენია, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი. მსოფლიოში მშვიდობისათვის პირველი მებრძოლი — ჩვენი ძვირფასი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“.

რუმინელი გლეხები თავიანთ გულწრფელ გრძნობებს ასე გამოხატავენ: „...ჩვენ დიდად ბედნიერნი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გვენახა და დაგვეთვალიერებინა სახლი, სადაც დაიბადა ჩვენი სამშობლოს გამათავისუფლებელი, ჩვენი ხალხის ყველაზე საყვარელი მეგობარი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის დიდი მედროშე“.

უნგრელი ახალგაზრდები წერენ: „...ჩვენ, უნგრეთის ჰაბუკები და ქალიშვილები, დიდად დავალებული ვართ ამხანაგ

სტალინისაგან ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი დღევანდელი დღისათვის. ამიტომ უღრმესი სიყვარულითა და სიხარულით ვნახეთ ის ადგილი და იმ ისტორიული ძეგლები, რომლებიც დაკავშირებულია სტალინის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებთან. ეს გვავალებს ჩვენ, უნგრეთის ახალგაზრდობას, დავიკავოთ ღირსეული ადგილი სოციალიზმის შენებლობაში ჩვენს სამშობლოში — უნგრეთში, რომელიც სხვა ქვეყნების გვერდით დგას მშვიდობის ბანაკში, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირი და ამხანაგი სტალინი... ბრძოლა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა გორიდან დაიწყო, გაიმარჯვებს".

ასე ესახებათ გორი, დიდი სტალინის სამშობლო ქალაქი, საზღვარგარეთელ მეგობრებს.

კიდევ უფრო ამაღელვებელი და მგრძნობიარე სიტყვები ჩაუწერიათ შთაბეჭდილების წიგნებში, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მეცნიერებს, ახალგაზრდებს, მუშებს, კოლმეურნეებს, მოსწავლეებს.

ატალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ი. გლუშჩენკო წერს: „უდიდესი აღფრთოვანებით დავათვალიერე წმინდათა-წმინდა ადგილი — გორი. ვნახე უბრალო, მაგრამ უბედნიერესი სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა უდიდესთაგან უდიდესმა ადამიანმა ამხანაგმა სტალინმა".

მრავალი ექსპონატია დაცული ამ სახლ-მუზეუმში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ამხ. სტალინის სახელთან.

მუზეუმში აუარებელი დოკუმენტალური მასალაა გამოფენილი დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს მუზეუმი უდიდეს შემოქმედებით დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციას ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლის საქმეში.

5. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1935 წელს დაარსდა. ამ მუზეუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის ამოცანას შეადგენს ქართლის მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა.

საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთა შორის გორის მუზეუმს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. მართალია მას არავითარი სამუზეუმო ფონდები არ მიუღია და იგი არსებითად ცარიელ ადგილზე აღმოცენდა, მაგრამ მუზეუმმა თავის არსებობის მანძილზე აუარებელი მასალები დააგროვა და მნიშვნელოვანი კოლექციები აქვს არქეოლოგიაში, ისტორიაში, ეთნოგრაფიაში. მუზეუმმა შეიძინა და უკვე მდიდარი ხელნაწერთა ფონდები შექმნა.

მუზეუმმა მრავალი ექსპედიციები ჩაატარა: 1938—1940 წწ. მუზეუმმა მოაწყო არქეოლოგიური გათხრები სოფელ ტყვიავში. ამ გათხრების შედეგად ქართულ არქეოლოგიურ საგანძურს არა ერთი ძვირფასი ნივთი შეეძინა ენეოლითის პერიოდიდან.

თავისი შედეგებით მნიშვნელოვანი იყო დვანში (ქარელის რაიონი) მუზეუმის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. აქ აღმოჩენილ იქნა 14 სამარხი განვითარებული რკინის ეპოქის მდიდარი ინვენტარით.

1938—1950 წლების მანძილზე მუზეუმმა ჩაატარა დაზვერვითი გათხრები გორში (კვერნაკი, გორის ციხე)—სოფელ რიეთში, ზემო ნიჩბისში, იგოეთში, მეღვრევისში, პატარა გარეჯვარში, ანჩისში, სვენეთში, მღებრიანში და სხვ.

სხვათაშორის გორში აღმოჩენილი იქნა ძველი წელთაღრიცხვის III—I საუკუნეების რომაული და პართიული მონეტები, სამკაულები, თიხის ჭურჭლები და სხვ.

მუზეუმმა, გარდა არქეოლოგიური ექსპედიციებისა, მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციებიც პატარა ლიახვის, ფრონეს, ტანასა და თეძამის ხეობებში. ამ ექსპედიციების შედე-

გად მუზეუმმა მდიდარი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა დააგროვა.

მნიშვნელოვან მეცნიერულ მუშაობას ეწევიან მუზეუმის მეცნიერი მუშაკები. მათ მიერ შედგენილია ქართლის შესახებ არსებული ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია, მუზეუმში დაცულია გორის რაიონის არქეოლოგიური კოლექციების საბარაკო კატალოგი, შეკრებილია მასალები გორისა და გორის რაიონის ისტორიულ წარსულზე, ეკონომიკაზე და სხვ. მუზეუმს გამოსაცემად გამზადებული აქვს რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა პერიოდის ამსახველი მასალების შეგროვებას და გამოფენას.

მუზეუმის ერთ-ერთი საპატიო მოვალეობაა დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალების შეკრება. მუზეუმს აქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა — პოლიტიკური, მხატვრული და მეცნიერული წიგნებით. მუზეუმში მოწყობილია გამოფენა. ეს გამოფენა ძირითადად სამი განყოფილებისაგან შედგება: არქეოლოგიური, გორელ მოღვაწეთა და ეთნოგრაფიული.

* * *

გორს მსოფლიოს ქალაქთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ამიტომ ქართველი პოეტები თავიანთ საპატიო მოვალეობად მიიჩნევენ პოეტურ სახეებში ასახონ დიდი სტალინის მშობლიური ქალაქი, მისი წარსული და მომავალი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არც ერთ ქალაქს იმდენი მომღერალი არ ჰყოლია, რამდენიც გორს.

პოეტი-აკადემიკოსი გალაქტიონ ტაბიძე მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით ასახავს გორის სახეს ლექსში „გორი".

გორის ციხე ქართული ვაჟკაცობის სიმბოლო იყო წარსულში. თუ რაიმეს გააკეთებდნენ, იტყოდნენ: „გორის ციხესავით მაგარია", „გორის ციხესავით აუღებელია" და სხვ. პოეტი სიუჟეტად იღებს რა ამ თქმულებას დასძენს:

„მაშ, წინ გასწი, მშენებელო,
გზას მიჰხედე, სტალინს მიჰყე,
ეგ არის და ჩვენი ძმობა,
ეგ არის და გორის ციხე“.

სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე თავის შემოქმედებაში სრულიად განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თემატიკას დიდ სტალინზე და გორზე. მისმა ლექსებმა საყოველთაო სახალხო აღიარება პოვეს.

სამშობლოსა და დიდი სტალინისადმი უანგარო სიყვარულია ჩაქსოვილი პოეტის ამ ლექსებში. მაღალი პოეტური გემოვნება, ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს საფუძვლიანი ცოდნა, სწორი აღღო, საღი მიზანსწრაფვა საშუალებას აძლევს პოეტს სრულქმნილი გახადოს თავისი პოეზია.

ლექსში „ბელადის კერა“, გიორგი ლეონიძემ ქება-დიდება შეასხა სახლს, სადაც დაიბადა დიდი სტალინი.

„მზე აქ ჭოხიდან ამოგვიდა —
დამშუქებელი ხალხის გულისა;
აქ აელვარდა ხმელი ფოლადი —
სამაგრე ჩვენი, თვითეულისა“.

ლექსში — „ქალაქი ვერხვის ფოთლებში“ გიორგი ლეონიძემ უმღერა გორს:

„ძველო ქალაქო, მცირე ქალაქო,
შენმა ნათელმა ხმელეთს უწია,
რამდენიც უნდა გადმოალაგონ,
შენებრ ნაყოფი ვის მოუცია?!

შენ — ბეღნიერო მიწის ნაჭერო,
ცალკე ლამაზო, ტურფავ მთლიანად,
შენ ხარ ენახი, დაკრეფის მერე
მაოფლიომ შენგან მოირთვლიანა“.

გორის შესახებ მრავალი საყურადღებო ლექსი დასწერა სიმონ ჩიქოვანმა. პოეტის აზრით მტკვარი და გორის ციხე

ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდებაზე მოგვითხრობენ, ხოლო სახლი, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა დიდმა სტალინმა თანადროულობის სიდიადის სიმბოლოა. ლექსში „გორის ციხე“ ჩიქოვანი წერს:

„მიწას მიკრული, როგორც მტკაველი,
მტკვარი ელვარებს ქართლის უბეში,
თითქო გადააქვს ხმა რუსთაველის
საუკუნიდან საუკუნეში“.

აქ, ამ პატარა ქალაქში არის ის სახლი, რომლის სანახავად:

„ყოველ კუთხიდან მოსულ ჰაბუკებს
მოუტანიათ სალამი წრფელი:
უნდა დახედონ მიწის საფუძველს
მარადისობას შეახონ ხელი“.

გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა გორს უძღვნა ლექსები: „მზის დღე“, „აკაკის“, „მთვარე გორის ციხეში“.

ლექსში „მზის დღე“ პოეტმა სტალინის დაბადება მზეს შეადარა, რომელმაც დიდი ხნის გაუთენარ ღამეს სძლია, წყვდიადი დაამარცხა და ქვეყანას სინათლე დაუმკვიდრა.

1882 წელს, როდესაც ცნობილი იტალიელი რევოლუციონერი გარიბალდი გარდაიცვალა, მაშინ გორში არსებობდა ქართველ ქალთა საზოგადოება, ამ საზოგადოებამ სამგლოვიარო დეპეშა გაგზავნა იტალიაში. მაშინდელი იტალიური პრესა წერდა, რომ სადღაც კავკასიის ქალაქიდან — გორიდან მოვიდა დეპეშა. ეს ქალაქი რუკაზეც კი არ არის აღნიშნული. ახლა კი გორს მთელი მსოფლიო იცნობს, რადგან აქ დაიბადა დიდი სტალინი.

გორში გაატარა ამხანაგმა სტალინმა ბავშვობა და ყრმობა, აქ ჩაიხედა მან პირველად ცხოვრების ორომტრიალში. როგორც პოეტი ა. მაშაშვილი წერს სტალინი „აქ იზრდებოდა, იწყებდა აკვნიდან ალმაფრენასა“.

სტალინური პრემიის ლაურეატი, ნიჭიერი პოეტი გრიგოლ აბაშიძე გორს მიმართავს:

„ქვეყნად მჩაგვრელთა დამამხობელის
იმ შუქში ბრწყინავს აზრი და გული
და შენც გეკუთვნის სამადლობელი
კრემლისთვის ყველა ხალხისგან თქმული“.

მრავალი საინტერესო ლექსები დასწერეს ქ. გორზე ცნობილმა ქართველმა პოეტებმა იოსებ ნონეშვილმა, რევაზ მარგიანმა, ნოდარ დუმბაძემ და სხვ.

6. გორი საუკუნეთა სახალხო გლოვის დღეს

თავის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქალაქ გორს ბრავალჯერ ჩაუცვამს შავები, ბრავალჯერ შეცვლია ახიარუ-ლება ტირილით. მაგრამ სულ სხვა იყო გორის გლოვა 1953 წლის მარტში. ასეთი გლოვა გორს არასოდეს არ განუცდია. დიდი გლოვა დიდი დანაკლისის შედეგია. გორმა დაჰკარგა ის ადამიანი, ის არწივი, რომელმაც გორის სახელი შარავანდედით შემოსა და მსოფლიოს ყველა კუთხეში ცნობილი გახადა.

დღედაღამ, თითქმის განუწყვეტლივ, თვალცრემლიან ადამიანთა კოლონები მიედინებოდნენ ბელადის ქოხთან. გამოუთქმელი მწუხარებით მუხლს იდრეკდნენ დიდი ადამიანის აკვანთან და პირობას სდებდნენ, რომ მთელ თავიანთ შეგნებულ ცხოვრებას მოახმარდნენ კომუნისტური პარტიის დიად მიზნებს.

ჩვენი ხალხი დიდ მწუხარებაში სასოწარკვეთილებას კი არ მიეცა, არამედ ძალები შემოიკრიბა და მუშაობა ახალი ძალით გაშალა.

სტალინის უახლოესი თანამებრძოლების სიტყვებში ხალხი გრძნობდა, რომ დიდმა სტალინმა დატოვა საიმედო მემკვიდრეები, რომლებიც ბოლომდე მიიყვანენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გ. მ. მალენკოვმა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს სიტყვით მიმართა:

„ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს.

დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა, კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა".

ამ მძიმე დღეებში საბჭოთა ხალხის დიდ მწუხარებას იზიარებს მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, დედამიწის ყველა ნაწილის ხალხთა უფართოესი მასებისათვის. განუზომელია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის სიდიადე და მნიშვნელობა საბჭოთა ხალხისათვის და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. სტალინის საქმეები იცოცხლებენ საუკუნეებში, და მადლიერი შთამომავალნი, ისევე როგორც ჩვენ თქვენთან ერთად, დიდებით მოიხსენებენ სტალინის სახელს.

ამხანაგ სტალინის სახელი ძვირფასია მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებისათვის, რადგან „ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისა და კაბალისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, გამანადგურებელი ომებისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეს, ქვეყნად მშრომელი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს" (მალენკოვი). იმიტომ, რომ „ამხანაგმა სტალინმა, ჩვენი ეპოქის დიდმა მოაზროვნემ, შემოქმედებითად განავითარა ახალ ისტორიულ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. სტალინის სახელი სამართლიანად დგას კაცობრიობის მთელ ისტორიაში უდიდესი ადამიანების — მარქს-ენგელს-ლენინის სახელების გვერდით".

ლენინი და სტალინი მრავალი წლის მანძილზე იატაკქვეშეთის უძნელეს პირობებში ეწეოდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის უღლისაგან, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის. ლენინისა და სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა

უდიდესი მობრუნება კაცობრიობის ისტორიაში, ბოლო მოეღო კაპიტალისტურ წყობილებას ჩვენს ქვეყანაში და გამოვიდა ახალ გზაზე — სოციალიზმის გზაზე. განაგრძობდა რა ლენინის საქმეს და დაუცხრომლად ავითარებდა რა ლენინურ მოძღვრებას, რომელიც პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს უნათებს წინსვლის გზას, ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყანა მიიყვანა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, რამაც ადამიანთა საზოგადოების არსებობის მრავალი ათასეული წლის მანძილზე პირველად უზრუნველყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამხანაგ სტალინის სახელთან არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხის—ეროვნული საკითხის გადაჭრა. ეროვნული საკითხის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ისტორიაში პირველად, უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, უზრუნველყო საუკუნეობრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ დაძლია წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ერი და გამოჭედა ხალხთა მეგობრობა.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქმნებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა არმია. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება და საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერება ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი იყო. საბჭოთა არმიამ თავისი დიდი მხედართმთავრის — გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა მეორე მსოფლიო

ომში და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

ამხანაგი სტალინის დაუცხრომელი შრომის შედეგად, მის მიერ შემუშავებული გეგმებით, ჩვენმა პარტიამ წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, შექმნა ახალი ეკონომიური წყობილება, რომლისათვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს და გამოაწრთეს ჩვენი პარტია, როგორც საზოგადოების დიადი გარდამქმნელი ძალა. ამხანაგი სტალინი მთელ თავის სიცოცხლეში იმას გვასწავლიდა, რომ არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე კომუნისტური პარტიის წევრის წოდება. მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა, მონოლითობა და დარაზმულობა.

დიდი სტალინის წინამძღოლობით შექმნილია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი. ამხანაგი სტალინი თავისი გენიის უდიდეს ძალას მიმართავდა იმისაკენ, რომ დაეცვა ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობის საქმე[1].

ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ყველა ჩვენი გამარჯვებათა სულისჩამდგმელი, გენიალური მხედართმთავარი, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ი. ბ. სტალინი.

ჩვენ დავკარგეთ სტალინი, მაგრამ ის, მისი სახელი, მისი საქმეები გზას გვინათებენ ჩვენი საბოლოო მიზნის — კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

---

[1] გ. მ. მალენკოვი, სიტყვა სამგლოვიარო მიტინგზე, ი. ბ. სტალინის დაკრძალვის დღეს.

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობის მაგიერ 3

თავი I. გორის წარმოშობის საკითხისათვის. ქალაქის გარეგანი სახე, გორის ციხე 5

თავი II. გორის თავგადასავალი 32

1 ბრძოლა გორისათვის . . . . . —

2 გორი—ზემოქართლის სადროშოს ცენტრი 76

თავი III. გორის ეკონომიური სახე 98

1 ვაჭრობა . . . . . —

2 ხელოსნობა 117

3 სოფლის მეურნეობა 125

თავი IV. ქალაქის სოციალური სახე 126

თავი V. ქალაქის კულტურული სახე 136

გორის სასწავლებლები . . . . . —

1 გორის სასულიერო სასწავლებელი 137

2 გორის საქალაქო სასწავლებელი 141

3 გორის ქალთა გიმნაზია 143

4 გორის ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია 148

5 გორის ვაჟთა პროგიმნაზია 150

6 სომხური სასწავლებელი გორში . . . . . —

7 პროფსკოლა 151

8 გასართობ-სანახაობანი 154

თავი VI. ქართველ ხალხოსანთა გორის ჯგუფი 166

თავი VII. გორის საზოგადოებრივი ორგანიზაციები 185

1 გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება . . . . . —

2 გორის „ურთიერთნდობის“ საზოგადოება 186

3 ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“ 188

4 საზოგადო საკრებულო 190

5 ქალაქის მმართველობა 192

6 მამასახლისი, მელიქი და ნაცვალი 198

7 მართვა-გამგეობა რუსეთთან შეერთების შემდეგ 201

თავი VIII. გორი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში 205

თავი IX. მენშევიკების ბატონობა გორში 260

თავი X. გორი საბჭოთა ხელისუფლების დროს 269

1 ქალაქის სახე . . . . . —

2 მოეწველობა 273

3 საჭალაჭო მეურნეობა 274
4 ჯანმრთელობის დაწესებულებანი 276
5 კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი 277
ა) საშუალო სასწავლებლები . . . . . —
ბ) ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 278
გ) გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრი . . 284
დ) კინო 289
ე) სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 290
ვ) გორის კულტურისა და დასვენების პარკი . . . . . —
ზ) სტალინის სახლ-მუზეუმი 291
თ) გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 294
6 გორი საყოველთაო სახალხო გლოვის დღეს 298

Д. ГВРИТИШВИЛИ

ИСТОРИЯ ГОРОДА ГОРИ

(на грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1954

რედაქტორი გ. გულბანი
მხატვარი მ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ი. ჯანაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/V-54 წ. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 19. ტირაჟი 6.000. უე 02657. შეკვეთის № 929.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. სტამბა, უნივერსიტეტის ქ., 1.
Типография издательства Т Г У имени Сталина
Университетская 1.